ოთარ ჭურღულია

„სიტყვა ფიქრის სხეულია“

(წერილები და გამოკვლევები)

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1982

83.3 ქ
ჯ — 894

კრებულში შეტანილია ბოლო წლებში შექმნილი ლიტერატურულ-პუბლიცისტური წერილები და სამეცნიერო გამოკვლევები, გაშუქებულია ქართული ლიტერატურის ისტორიის, საზოგადოებრივი აზროვნებისა და ლიტერატურულ-კულტურულ ურთიერთობათა აქტუალური საკითხები.

განკუთვნილია სპეციალისტებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი: ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი,
დოცენტი სოლომონ ლეკიშვილი
რეცენზენტები: ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი,
დოცენტი რევაზ სალია
პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი,
დოცენტი აბესალომ გადილია

Чургулия Отар Григорьевич

«СЛОВО — ПЛОТЬ ДУМЫ»
Письма и исследования

(на грузинском языке)
Издательство Тбилисского университета
Тбилиси 1992

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1992

4702180104
Ч ———————
608 (06) — 92

ილია ჭავჭავაძე — ლიტერატურის მკვლევარი

დიდმა მწერალმა და სახელოვანმა მამულიშვილმა, გასული საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ფიქრთა მპყრობელმა და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურმა ილია ჭავჭავაძემ მრავალი საინტერესო მეცნიერული ნაშრომი, სტატია, გამოკვლევა, ნარკვევი უძღვნა მშობლიური ლიტერატურის საკითხებს, მისი წარმოშობისა და განვითარების კანონზომიერების შესწავლას, ცალკეულ მწერალთა ნაწარმოებებსა თუ მხატვრულ სახეებს, წარსულ მემკვიდრეობასა თუ თანამედროვეთა შემოქმედებას. დიდი ილია იყო პირველი ქართველი მოაზროვნე, რომელიც შეეცადა როგორც ძველი, ისე თავისი თანამედროვე მწერლობის ძირეული საკითხების, მთავარი პრობლემატიკის გაშუქებას.

ი. ჭავჭავაძემ თავის შეხედულებებს, მრწამსს, თვალთახედვას, მხატვრულ ღირებულებათა შეფასებას საფუძვლად დაუდო ხელოვნების რეალისტური თვალსაზრისი, რომელიც ეყრდნობოდა მსოფლიო ლიტერატურისმცოდნეობისა და ესთეტიკის მიღწევებს.

ილია ჭავჭავაძემ მსოფლიო ლიტერატურის ფონზე განიხილა შ. რუსთაველის, დ. გურამიშვილისა და ნ. ბარათაშვილის უკვდავი ქმნილებები და ეს სამი გენიოსი შემოქმედი გვერდით ამოუყენა საკაცობრიო ლიტერატურის კორიფეებს — ჰომეროსს, ლუკრეციუსს, ვირგილიუსს, ჰორაციუსს, შექსპირს, ბაირონს. ეს გარემოება მწერლის უდიდესი ნიჭიერების გამოსახულება და გამბედაობაც გახლდათ იმ პერიოდის ქართული სალიტერატურო კრიტიკის პირობებში.

ი.ჭავჭავაძე ამჟღავნებს არა მარტო ქართული ლიტერატურის კრიტიკული შეფასების დიდ უნარს, არამედ დასავლეთ ევროპისა და ახლო და შუა აღმოსავლეთის საზოგადოებრივი აზროვნების, მწერლობის, ისტორიის საფუძვლიან ცოდნას.

მან ჩინებულად იცოდა ჩვენი მწერლობის ისტორია, მისი განვითარების გზები, იდეური მიმართულებანი, კავშირურთიერთობანი მეზობელი ხალხების ლიტერატურულ-კულტურულ სამყაროსთან, თემატური და ჟანრობრივი თავისებურებანი, ორიგინალური და ნათარგმნი ძეგლები. იგი ძველი ლიტერატურის, საერო და სასულიერო მწერლობის ნაწარმოებებს, რომლებიც მაშინ ჯერ კიდევ არ იყო გამოქვეყნებული, ხელნაწერებში იცნობდა. ეს ნათლად შეიმ-

ჩნევა მის მსჯელობაში ცალკეულ ქმნილებებზე. მოაზროვნის რკინისებური ლოგიკის მიღმა ყოველთვის თავს იჩენს მდიდარი ფაქტობრივი მასალა.

მწერლობა ხალხის ისტორიის ნაწილია, სულიერი კულტურის დედაბურჯია. ამიტომ ი.ჭავჭავაძეს მწერლობის პრინციპული საკითხებისათვის ბრძოლა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ძირითად შემადგენელ ნაწილად მიაჩნდა.

მართალია, ი.ჭავჭავაძეს ქართული მწერლობის შესახებ მონოგრაფიული გამოკვლევები არ დაუწერია, არც ისეთი ნაშრომები, რომლებშიც მოცემული იყოს ლიტერატურული პროცესის ვრცელი და სრული მიმოხილვა. ამის დრო და მოცალეობა მას ნამდვილად არ ჰქონდა. მას აქვს ცალკეული სტატიები, წერილები, მიმოხილვები, ნარკვევები, საპოლემიკო გამოსვლები, რომლებშიც განხილულია ჩვენი მწერლობის მხატვრული პრინციპების თავისებურებანი. როგორც მიუთითებს აკად. ალ. ბარამიძე, ი. ჭავჭავაძეს თავის სტატიებში „ძირითადში სავსებით სწორად აქვს დახასიათებული ძველი ქართული პოეზიის როგორც შინაარსობრივ-აზრობრივი და თემატური, ისე ფორმალური მხარეები“.

ჩვენს ლიტერატურაში ჩახედული ადამიანი კარგად შეამჩნევს იმ გარემოებას, რომ ამა თუ იმ მწერლის შემოქმედების, ლიტერატურული მოვლენის ი.ჭავჭავაძისეული შეფასება არ გასცილებია ჭეშმარიტებისა და ობიექტურობის ფარგალს, ამაში მას დიდ ნიჭთან ერთად შველოდა კვლევის ისტორიულ-შედარებითი მეთოდის მომარჯვება. მან ჩინებულად იცოდა, რომ „ცხოვრება რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის, რომ იგი იცვლება, მიდის წინ და მოაქვს განახლება ყოველისფერისა“, რომ ამ კანონს ემორჩილება ჩვეულებაც, ტრადიციაც, აზრიც, ენაც, რომ „ყოველისფერი იცვლება მის ძლიერი გავლენისაგან“.

ამ თვალსაზრისს იმარჯვებდა ი.ჭავჭავაძე, როდესაც იძლეოდა მწერლობის საკითხების გაშუქებას.

ცნობილია, ანტონ კათალიკოსის სკოლამ თუ რა დიდი ზეგავლენა მოახდინა ქართულ მწერლობაზე. ილია კარგი შეხედულებისა იყო ანტონ კათალიკოსის მოღვაწეობაზე, პირადად მას, როგორც ისტორიულ პიროვნებას, პატივს სცემდა. მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა მოეცა ანტონის იდეური მემკვიდრეობის და განსაკუთრებით კი ახალ ეპოქასთან (XIX ს.) მისი ნააზრევის დამოკიდებულების კრიტიკული

შეფასება. ამ მხრივ საყურადღებოა ი.ჭავჭავაძის „პასუხი“, რომელშიც „მამათა“ ბანაკის წარმომადგენლის გ.ბარათოვის (ბარათაშვილის) მისამართით შემდეგი არის ნათქვამი:

„მე რომ სხვის გემოვნებითა ვცხოვრობდე, როგორც უფ.ბარათოვი ანტონ კათალიკოზის გემოვნებითა, მე თქვენ მოგიწონებდით მაგგვარი აზრის გასხივოსნებას“. ი.ჭავჭავაძემ როგორც კი ახსენა ანტ.კათალიკოსი, იქვე, სქოლიოში მიუთითა:

„ნურავინ ნუ გაიფიქრებს, რომ არ მესმოდეს დიდი მნიშვნელობა ანტონ კათალიკოზისა. ანტონი დიდ ადგილს დაიჭერს ჩვენს ლიტერატურაში, როგორც წარმომადგენელი იმ დროის საქართველოს განათლებისა, მაგრამ ეხლა რომ პოეზიის განხილვა იმ დროის კანონებით მოვინდომოთ, ძალიან შევცდებით, მაშინ სხვარიგად ესმოდათ, ეხლა სხვარიგად.“

როგორც ვხედავთ, ი.ჭავჭავაძემ სწორად განსაზღვრა ძველი ქართული მწერლობის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენლის ადგილი და მნიშვნელობა ეროვნული კულტურისა და აზროვნების ისტორიაში. მან ასევე გარკვევით მიუთითა, რომ მწერლის შემოქმედების შინაარსს, მის თავისებურებებს განსაზღვრავს ეპოქა, ის ეკონომიკური, საზოგადოებრივი და კულტურული ურთიერთობა, რომელიც შემოქმედის თანამედროვე ცხოვრებას ახასიათებს და არა „ანბანთ თეორეტიკა“.

ახალგაზრდა ი. ჭავჭავაძემ სწორად განსაზღვრა კლასიციზმის, როგორც ლიტერატურული მიმართულების, თავისებურება და, შეადარა რა იგი აღორძინების პერიოდის ქართული ლტერატურის შინაგან კანონზომიერებას, შეამჩნია, რომ ქართულ ლიტერატურას ჰქონია თავისი, პირობითად თუ ვიტყვით, „ეროვნული კლასიციზმი“, რომელიც, მისი სამართლიანი აზრით, გამოიხატებოდა რუსთაველის შემოქმედებისადმი მიბაძვაში. ი.ჭავჭავაძემ ეს მიიჩნია მწერლობის დაქვეითებად იმდენად, რამდენადაც აღორძინების პერიოდის ქართველმა მწერლებმა მიბაძეს რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მხოლოდ გარეგან ფორმას და ვერ გაიგეს კი, რომ „ვეფხისტყაოსანი“ თუ არის უკვდავი, არა მარტო თავის ფორმით, არამედ თავის შინაგან ღირსებით“.

ეს აზრი, რომ ძველ ქართულ ლიტერატურას ჰქონდა თავისი ერთგვარი „კლასიციზმი“, შემდეგ ლიტერატურისმცოდნეებმაც გაიზიარეს.

ი. ჭავჭავაძე ყოველთვის ქომაგად ედგა მშობლიურ მწერლობას. იგი დაუნდობელი იყო ყველა იმათ მიმართ, ვინც შეეცდებოდა შეელახა და დაემცირებინა მისი ღირსებები. ამ თვალსაზრისით მეტად საყურადღებოა სტატია — „რა მიზეზია, რომ კრიტიკა არა გვაქვს?“ ავტორი აქ მიუთითებს, ჩვენს განათლებულ საზოგადოებაში ხშირად გაისმის სამდურავი იმის შესახებ, რომ რიგიანი ლიტერატურული კრიტიკა არა გვაქვს. ეს მართლაც დიდი დანაკლისიაო. ზოგი ამ ნაკლის მიზეზად იმას ასახელებდა თურმე, რომ „ჩვენი ლიტერატურა კრიტიკისათვის მეტად ცოტა საზრდოს იძლევაო“. ზოგი კი ჩვენი ლიტერატურის შინაარსს წუნობდა. „აი ამ მხრით მეტად ხელმოკლეა ჩვენი ლიტერატურა და კრიტიკას ამიტომაც ჩვენს ლიტერატურაში ჯერ არავითარი საქმე და სარბიელი არა აქვსო“.

ი.ჭავჭავაძემ როგორც ერთი, ისე მეორე შეხედულება სასტიკად გაკილა, ამხილა მათი ავტორების მცდარი შეხედულებები და მიუთითა, რომ როგორც ძველი, ისე ახალი ქართული ლიტერატურა მეტად მდიდარია, მხოლოდ ჩვენი კრიტიკა ვერ ამაღლებულაო მათ დონემდე. ამ სტატიაში ი. ჭავჭავაძისათვის ჩვეული ლაკონიურობით დახასიათებულია კლასიკური პერიოდის, აღორძინების ეპოქისა და მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენლების შემოქმედება, მათი აზროვნების მიმართულება და მინიშნებულია, რომ ეს მდიდარი სულიერი სამყარო, ხელოვნების ეს ფასეულობა მსოფლიო მხატვრული აზროვნების დონეზე დგასო.

პუბლიცისტურ-პოლემიკურ წერილებში ი.ჭავჭავაძე ხშირად მიმართავდა მშობლიური ლიტერატურის ნაწარმოებებს. მის სახეებს და მათზე დაყრდნობით ცდილობდა თავისი თვალსაზრისის დადასტურებას.

სტატიაში „ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე“ იგი მოხდენილად იყენებს სულხან-საბა ორბელიანის ნაწარმოებს თავისი მოკამათეების (ამ შემთხვევაში გ.წერეთლისა და ი.მაჩაბლის) მიერ წამოყენებული დებულებების გასაქარწყლებლად. ჯერ ერთი, სტატიის სახელწოდება შერჩეულია ს.-ს. ორბელიანის ერთსახელა ნაწარმოების იდეური შინაარსიდან გამომდინარე. აქვე პარალელურად ი. ჭავჭავაძემ მშვენივრად განმარტა ს.-ს. ორბელიანის ნაწარმოების სათაური და ის არსიც, რაც დიდმა მეიგავემ თავის წიგნში ჩააქსოვა.

„მე ვფიქრობ, — წერდა ი.ჭავჭავაძე, — რომ საბა ორბელიანს

გებოდა. ამ მოთხრობიდან ჩანს, რომ ავტორს აწუხებს მშრომელი ადამიანის ბედი.

პირველივე მოთხრობამ განაპირობა მწერლის შემოქმედების მომავალი ბედი, იდეური შინაარსი და მიმართულება. სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა შემოქმედი მიზნად ისახავს პირნათლად განახორციელოს დედის ანდერძი — უანგაროდ ემსახუროს მშობლიურ ხალხს, შეუმსუბუქოს მას სულიერი და ფიზიკური ტკივილები.

1925—1926 წლებში ფუცუ თანამშრომლობს ჟურნალ „გრდემლში“, რომელიც ქუთაისში გამოდიოდა. აქ დაიბეჭდა მისი მრავალი ნოველა.

მიუხედავად ამისა, 1927 წელი მაინც სადებიუტო იყო მწერლისათვის, რადგან სწორედ ამ წელს ქუთაისში ცალკე წიგნად გამოვიდა მისი პირველი სოციალური რომანი „გრძნობათა ნანგრევებზე“. ამ მხატვრულმა ტილომ დიდი გამოხმაურება ჰპოვა როგორც პრესაში, ისე მკითხველ საზოგადოებაში.

ნაწარმოების სიუჟეტი საკმაოდ დინამიკურია. ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაციები ისე ბუნებრივადაა გადახლართული ცენტრალური გმირების — ბიქტორ ცოტაძისა და ნატო ყიფიანის რომანულ ურთიერთობასთან, რომ ნაწარმოები დიდი ინტერესით იკითხება. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მწერლის ჰუმანიზმი, ადამიანისადმი, მისი ბედისადმი თანადგომა, რის ხორცშესხმას ბიქტორ ცოტაძის მხატვრული სახე წარმოადგენს.

„გრძნობათა ნანგრევებს“ მოჰყვა მოთხრობები: „დამღა“, „შრომის ძალა“, „ჩაის მკრეფელი“, „რუსუდანი“, „მოჩხუბარიძის სიკვდილი“, „ქალის გული“ და სხვ. ისინი შევიდა 1951 წელს სოხუმში გამოცემულ კრებულში. როგორც სახელწოდებანი მიუთითებს, ამ მოთხრობების თემატიკა მრავალფეროვანია. იგი ეხება როგორც წარსულს, ისე თანამედროვე ცხოვრებას, როგორც სოციალურ-ეკონომიკურ, ისე ინტიმურ საკითხებს.

წლების მანძილზე ფუცუ დგებუაძე-ფულარია მონდომებითა და დიდი ინტერესით მუშაობდა ისტორიულ რომანზე „ოქროს ბეჭედი“, რომელიც გამოქვეყნდა სოხუმში 1952 წელს, მეორე შევსებული გამოცემა — 1954 წ.

ეს ვრცელი სოციალური ტილო, რთული არქიტექტონიკით, მწერლის ყველაზე სრულყოფილი, მიმზიდველი, მთელი მისი შემოქმედების დამაგვირგვინებელი ნაწარმოებია. სწორედ მასში გამოჩნდა

ამის თქმა უნდოდა“, მე ზღაპარს გეუბნები და სიბრძნეს კი გამცნობო და შემდგომ ავტორი განაგრძობს მსჯელობას, „ზღაპარი მოგონილი ამბავია, არამართალი, მაშასადამე სიცრუეა. ის სიცრუე კი არა, რომელიც სწამლავს და ჰშხამავს ადამიანს და სიცრუის მთქმელს უფრო სთხრის და აუწმინდურებს, ვიდრე სხვას, ის სიცრუე კი არა, რომელსაც აუღია ურცხვად თავი და ქურდულად იკბინება გესლიან მორიელსავით და რომელიც ასე საზიზღარია და სამართლიანად დევნული ყოველ პატიოსან კაცისაგან.

საბა ორბელიანის სიცრუე-მეთქი სულ სხვაა. საბა ორბელიანის სიცრუე ზღაპარია, არაკია, იგავია, იგავი, არაკი, ზღაპარი ამისთანა სახეა, კანია აზრისა, რომელიც საჭკუო და საზნეო ჭეშმარიტებას ზედმიწევნით გვიხატავს ხორცშესხმულად, ჭკუას გვასწავლის, გვარიგებს, ზნეს გვიწურთნის... ამ მხრივ ზღაპარი, არაკი, იგავი სიბრძნეც არის და სიცრუეც. სიცრუე თვითონ ამბავია, სიბრძნე — შიგ ჩასახული აზრია“.

ს.-ს.ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“ ძირითადი არსის უფრო სრულყოფილ განმარტებას იშვიათად შევხვდებით. ნაწარმოების შინაარსის მთავარი აზრის წვდომის რა დიდებული ხელოვნებაა გამოხატული მწერლის ამ სიტყვებში.

ამავე სტატიაში საყურადღებოა ი.ჭავჭავაძის კიდევ ერთი მეტად საინტერესო შეხედულება. მან სულხან-საბას, როგორც მეიგავის, შემოქმედება განიხილა ამ ჟანრის მსოფლიო წარმომადგენლების შემოქმედებასთან შეპირისპირებით. იმ დროს ეს იყო ახალი სიტყვა.

ი.ჭავჭავაძეს ძველი ქართული ლიტერატურიდან ყველაზე მეტად შ.რუსთაველი და მისი პოემა იზიდავდა. მან გენიალური პოეტის შემოქმედებას უძღვნა პოლემიკური ხასიათის ვრცელი სტატია — „აკაკი წერეთელი და „ვეფხისტყაოსანი“. ნაწარმოები დაიწერა 1887 წელს და დაიბეჭდა იმავე წლის გაზეთ „ივერიაში“ — №75,76,77.

სტატია „ვეფხისტყაოსანზე“ აკ.წერეთლის საჯარო ლექციების გამოხმაურებაა. აკაკიმ ლექციები რუსულად წაიკითხა თბილისში 1887 წლის 26-29 მარტს (რამდენიმე წლით ადრე ეს ლექცია მან წაიკითხა ქართულადაც), ხოლო იმავე წლის აპრილში ი.ჭავჭავაძემ ამ ლექციებში გატარებული აზრის შესახებ თავისი შეხედულებები გამოაქვეყნა „ივერიაში“.

აკ.წერეთელი ი.ჭავჭავაძის ამ სტატიას იმთავითვე გამოეხმაურა. ასევე მოგვიანებითაც 1898 წელს თავის ჟურნალ „აკაკის კრებულის“

ფურცლებზე დაბეჭდა პასუხი — „რამდენიმე სიტყვა ბატ.ილია ჭავჭავაძის საპასუხოდ „ვეფხისტყაოსნის“ გამო“.

აკ.წერეთლის ლექციებიდან ი.ჭავჭავაძემ კრიტიკული განხილვის საგნად აქცია საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ არიან პოემის მთავარი მოქმედი გმირები, რა იდეური და მხატვრული დატვირთვა გააჩნიათ მათ, რა იდეოლოგიას გამოხატავენ და რამდენად შეესატყვისებიან მსოფლიო ლიტერატურის მიერ შექმნილ საკაცობრიო მხატვრულ სახეებს? ეს პრობლემები ი.ჭავჭავაძემ განიხილა ეროვნულისა და ზოგადის მიმართების ასპექტში.

აკ. წერეთელმა აღნიშნული პრობლემები, ი. ჭავჭავაძის თქმით, ასე გადაჭრა:

„მთელი სამი ლექცია ბატონი აკაკისა წარმოადგენს, — ერის იმ დედა-აზრის აკიდოს, რომ რუსთაველმა გამოსახა თავის პოემაში სამი, საქართველოს სხვადასხვა ნაწილის, ქართველი. მისი სიტყვით ტარიელი რადგანაც ზარმაცია — ქართლელია. ავთანდილი, რადგანაც წინდახედულია და ცბიერი — იმერელია და ფრიდონი კი — არ გვახსოვს რა მიზეზით და რის გამო — ზღვის-პირის ქართველია“.

ეს აზრი ი.ჭავჭავაძემ სამართლიანად მიიჩნია არასწორ დებულებად, მცდარ პოზიციად. ამიტომ, სწორედ აქედან დაიწყო მან თავისი თანამოკალმის შეხედულებათა კრიტიკა. აი აქ, ჭავჭავაძის ამ შეხედულებებში, ჩაისახა პირველად ქართული მეცნიერული აზრი შ. რუსთაველის პოემის შესახებ.

ი.ჭავჭავაძე აღაშფოთა „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული სახეების ინტერპრეტაციამ. იგი გულისტკივილით წერდა: „ძნელია იმისთანა მართლა სახელოვანი პოეტი, როგორც რუსთაველია, კაცმა უბრალო ეთნოგრაფიის საჩხირ-საკედელაო საქმეზედ ჩამოახდინოს“. ი. ჭავჭავაძე იმან აღაშფოთა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ასეთი მდიდარი და ფართო მოედანი „ჰეშმარიტის კრიტიკის ფრთების გასაშლელად“, თვითონ კრიტიკამ შეცდომით, თუ განგებ, ვიწრო ფარგალში მოაქცია“. ეს ფაქტი სტატიის ავტორმა გენიოსი რუსთაველის დამცირებად მიიჩნია. მისი აზრით, „ეს მეტის-მეტი დაქვეითებაა პეგასზე მჯდომ ცხენოსნისა“. შემდეგ ი.ჭავჭავაძე მიმართავს ერთგვარ პარალელებს რუსთაველისა და შექსპირის პერსონაჟებს შორის. იგი წერს:

„ფალსტაფი ისეთივე შვილია მთელის კაცობრიობისა, როგორც ჰამლეტი, ოტელო, ტარიელი, ავთანდილი და სხვანი ამისთანანი, დიდი შემოქმედების ძალით შექმნილნი“. ეს თვისება ლიტერატურისა,

ილიას გაგებით, ეყრდნობა იმ კანონზომიერებას, რომ მწერლობა ზოგადს კონკრეტულის მეშვეობით აღწევს, კონკრეტულის საფუძველზე აქანდაკებს მხატვრულ სახეს, ხოლო, „რამდენადაც მწერლის შემოქმედების ძალი სწვდება ამ ზოგად კაცობის ტიპსა, იმოდენად მწერალი დიდია, იმოდენად მსოფლიოა“.

ი. ჭავჭავაძემ აკაკი წერეთელს სწორედ ნაწარმოების შეფასების საზომი, „საწყაო“ დაუწუნა. ის, რაშიც რუსთაველის გენიოსობას ხედავს. ი. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელმა ყურადღების გარეშე დატოვა ან ვიწრო ეროვნულ ჩარჩოში მოაქცია და მისდაუნებურად მსოფლიო ლიტერატურის შედევრი მხოლოდ ყოველდღიური ცხოვრების ფონზე განიხილა. რის გამო თავისი თანამებრძოლის მკაცრი შენიშვნები დაიმსახურა.

ი. ჭავჭავაძე XIX ს. მწერლობას განიხილავდა, როგორც ძველი ქართული ლიტერატურის ლოგიკურ განვითარებას. მან საფუძვლიანად გააანალიზა ახალი ქართული მწერლობა ჩასახვიდან 90-იან წლებამდე. რომანტიზმი, კლასიციზმისა და სენტიმენტალიზმის რეციდივები. რეალიზმი. კრიტიკული რეალიზმი. ძველი და ახალი თაობის ბრძოლა, ხალხოსნური ლიტერატურა — აი ის გზა, რომელიც, მწერლის გაგებით, ახალმა ქართულმა ლიტერატურამ განვლო. დიდმა მოაზროვნემ მოგვცა არა მარტო ამ მიმართულებათა, სტილთა, მხატვრულ სკოლათა ზოგადი დახასიათება, არამედ ჩვენს მწერლობაში მათი უმთავრესი წარმომადგენლების შემოქმედების ძირითად თავისებურებათა გაშუქებაც.

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ი.ჭავჭავაძის „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“. როგორც თვით ავტორი მიუთითებს, ამ წერილების მიზანი ყოფილა არა ცალკეულ მწერალთა შემოქმედების ყოველმხრივი გარჩევა, არამედ იმის გარკვევა, „თუ რამოდენად იზრდებოდა. მატულობდა ჩვენი აზრი, რამოდენად შორსა და შორს სცემდა ჩვენი თვალთა-ხედვის ისარი, რამოდენად დიდდებოდა ჩვენი მსოფლმხედველობა და გუშინდელი რას სთესდა დღეისათვის და დღევანდელი დღე რას ითხოვს ხვალისათვის“.

ი.ჭავჭავაძე ახალ ქართულ ლიტერატურას გარკვეულ პერიოდებად. ხანებად ჰყოფს და ამ პერიოდებს შორის უფრო ლოგიკურ თანმიმდევრობას ამჩნევს, ვიდრე წინაალმდეგობათა დაპირისპირებას.

ფრიად საყურადღებოა ი.ჭავჭავაძის აზრი, რომ XIX საუკუნის ლიტერატურა ემსახურებოდა იმის გარკვევას და დადგენას, „თუ ვინ

ვართ და რანი ვართ“? აი ეს დიდი და გადაუჭრელი პრობლემა ამოძრავებდა ქართულ მწერლობას მთელი გასული საუკუნის მანძილზე.

ილიას გაგებით, მთელი ახალი ქართული ლიტერატურა ერთი უწყვეტი ჯაჭვია, სადაც ყოველ რგოლს თავისი ისტორიული მისია და დანიშნულება ჰქონდა, სადაც „ყოველი მოღვაწენი ერთს დიდს უღელში ჰბმულან და ვისაც სად, რა და როგორ ეხერხებოდა, ეს უღელი უწევიათ იმიტომ, რომ აქ ყოველი გზა რომში იყო მისასვლელი“.

სწორედ ეს დიდი ეროვნული პრობლემა (ჩვენი „რომი“) აერთიანებდა გასული ასწლეულის ყველა პროგრესულ ქართველ მწერალს ერთ განუყოფელ ოჯახში, ერთ უდიდეს ჰერქვეშ და ეს იყო, ხატოვნადაც რომ ვთქვათ, ჩვენი „რომიც“, საითკენაც მიემართებოდა ეროვნული ლიტერატურის ყველა შარაგზა, ბილიკი და ორღობე.

ილია ჭავჭავაძემ მოგვცა ახალი ლიტერატურის პერიოდიზაცია, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს მეცნიერული მნიშვნელობა. მან XIX საუკუნის ქართული მწერლობა დასაწყისიდან 90-იან წლებამდე დაჰყო ოთხ პერიოდად, რომელიც ძირითადად ემთხვევა თანამედროვე დაყოფას. ეს პერიოდებია:

1. XIX საუკუნის დასაწყისიდან 50-წლებამდე, ანუ როგორც მას ილია უწოდებს, 30-40 წლების ლიტერატურა (ალ.ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ნ.ბარათაშვილი).

II.50-იანი წლების ლიტერატურა, რომლის დამწყებად მას გიორგი ერისთავი მიაჩნია, ხოლო წარმომადგენლებად ზ.ანტონოვი, რაფ. ერისთავი, ვ.ორბელიანი. მწერლობის ამ ნაკადის ძირითად თავისებურებად მიაჩნია რეალიზმი.

III. სამოციანი წლების ლიტერატურა, როდესაც სამოღვაწეო სარბიელზე გამოდის ახალი თაობა. ეს პერიოდი გრძელდება 70-იანი წლების დასასრულამდე.

IV. მეოთხე პერიოდი არის ხალხოსნური მიმართულება. იგი 80-იანი წლების ლიტერატურაა. ეს მწერლობა, ილიას გაგებით, მოწყვეტილი იყო ეროვნულ საფუძვლებს და უშუალოდ რუსული აზროვნებისა და ლიტერატურის ზეგავლენით შეიქმნა.

ილია ჭავჭავაძე ახალი ქართული ლიტერატურის განხილვას იწყებს XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისის ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და აზროვნების დახასიათებით. აქ პირველ რიგში უნდა წამოჭრილიყო ის დიდი პრობლემა, როგო-

რიც იყო საქართველოს რუსეთთან შეერთება და რომელმაც განაპირობა ქართული საზოგადოებრივი, სულიერი და ინტელექტუალური ცხოვრების მთელი შემდგომი ვითარება. როგორც ცნობილია, ილია ამ სახელმწიფო აქტში პირველ რიგში ხედავდა ქართველი ერის ფიზიკური გადაშენებისაგან გადარჩენის საშუალებას, შინაგანი ფეოდალური კინკლაობისა და გარეშე მტრების თავდასხმისაგან თავის დაღწევას. ამიტომ ახალი ქართული ლიტერატურის პირველი პერიოდის მონაკვეთის, ე.ი. გასული საუკუნის პირველ ათეულ წელს, უწოდებს „სვენების ხანას“. ამ პერიოდში, ილიას გაგებით, ქართული ლიტერატურა ჯერ კიდევ საზრდოობდა წარსული ცხოვრების სურათებით, მას „დაჰნათოდა შუქი წინა დღის ჩამავალი მზისა“.

ასე დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. ცხოვრება თავისას ითხოვდა. ამ გარემოების ძალით დროებით მიმქრალი, მიჩქმალული გრძნობა — „ვინა ვართ და რანი ვართ?“ — ხელახლა გაცოცხლდა. ის მოჩვენებითი პატრიოტობა, რომელიც ასულდგმულებდა საქართველოს რუსეთთან შეერთებით კმაყოფილ საზოგადოებას, გაშიშვლდა, ქართველების გულში თანდათან გაიღვიძა ჭეშმარიტმა მამულიშვილურმა გრძნობამ. ქართველმა მოწინავე საზოგადოებამ ალღო აუღო თანამედროვე პირობებს და ამოძრავდა იგი. რადგანაც პრესა არ გვქონდა და არც წიგნების გამოცემის პრაქტიკა არსებობდა, ამიტომ მხოლოდ მწერლობა იყო აზრის გამოხატვის ერთადერთი საშუალება.

ასეთი იყო, მწერლის გაგებით, თავისებურება პირველი პერიოდისა და ეს ნიშან-თვისება ყველაზე მკაფიოდ გამოხატა ალ.ჭავჭავაძემ. ამ პერიოდის მწერალთაგან ი.ჭავჭავაძემ საგანგებო ყურადღება მიაქცია ნ.ბარათაშვილის შემოქმედებას, რადგან „ბარათაშვილის გულისთქმანი, მისნი გრძნობანი, მისნი ჭირნი და მწუხარებანი უფრო საყოველთაოა, საკაცობრიონი არიან, ვიდრე კერძონი, ვიდრე მარტო მის საკუთარ გულისანი. მისი კვნესა კაცობრიობის კვნესაა, მისი ჩივილი კაცობრიობის ჩივილია. ნ. ბარათაშვილმა კაცობრიობის წყურვილს ქართველიც თანამოაზრედ გაუხადა და კაცობრიული წყურვილის მოსაკლავ წყაროს ქართველიც დააწაფა“.

როგორც მკითხველი ხედავს, ი.ჭავჭავაძემ მოგვცა როგორც ეპოქის, ისე განსაკუთრებით ნ.ბარათაშვილის შემოქმედების ბრწყინვალე ანალიზი. ილიას ეს აზრი შემდგომ საფუძვლად დაედო ქართულ ფილოლოგიურ მეცნიერებას ნ.ბარათაშვილის გენიის შეფასებაში.

XIX საუკუნის 50-იანი წლების ლიტერატურამ, რომლის დამწ-

ყებად ი.ჭავჭავაძეს გ.ერისთავი მიაჩნია, „შექმნა პირობები, რომლის ძალით ღონისძიება მიეცა ჩვენთა აზრთა დენას შინიდამ გარეთ გამოსულიყო საქვეყნოდ და მწყურვალისათვის აზრთა წყარო ესმია.“

ამ პერიოდის საზოგადოებრივი აზროვნების ძირითადი შინაარსი ი.ჭავჭავაძემ დაინახა ჟურნალ „ცისკრის“ დაარსებაში, თეატრისა და „სათეატრო მწერლობის“, დრამატურგიის შექმნაში, რეალიზმის ჩამოყალიბებაში, მწერლობაში სოციალური საკითხის მძაფრად დასმასა და ჟანრობრივ მრავალფეროვნებაში.

ახალი ქართული მწერლობის მესამე პერიოდში (60-იანი წლების ლიტერატურა), ილიას დაკვირვებით, შემდეგი თავისებურებები შეიმჩნევა: პატრიოტული გრძნობის გაძლიერება, ამ თემის ახლებური გაგება და გაღრმავება, სოციალური საკითხის გამწვავება, მისი ახალ ასპექტში წარმოდგენა, ჩაგრული ადამიანის უფლებების დაცვა, კრიტიკული რეალიზმის დამკვიდრება.

მეოთხე პერიოდად ილია ასახელებს ხალხოსნურ ლიტერატურას, რომელიც არ მიაჩნდა ეროვნული მწერლობის ლოგიკურ გაგრძელებად.

ასეთია მოკლედ ი.ჭავჭავაძის მიერ ჩამოყალიბებულ შეხედულებათა არსი ქართული მწერლობის განვითარების გზების შესახებ.

ილია ჭავჭავაძე იყო არა მარტო დიდი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, არამედ ლიტერატურის ჩინებული მკვლევარიც, რომლის დაკვირვებებსა და შეხედულებებს დღესაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა.

1986

ერის მოჭირნახულე

ი. ჭავჭავაძეს წილად ხვდა დიდი ისტორიული მისია, გასული საუკუნის მეორე ნახევრის რთულ ეპოქაში ყოფილიყო ერის ბურჯი, დამრიგებელი, გზის მაჩვენებელი, გულისნადების გამომხატველი, ჭირისა და ლხინის მოზიარე. სოციალური და ეროვნული ტკივილების მოსალბუნე. მანვე ხმა აღიმაღლა მამულისა და მშობლიური ენის, ისტორიის უდიდეს ქარტეხილებთან ჰიდილში მოქანცული ერის ინტერესების დასაცავად, განუმტკიცა ხალხს მტკიცე რწმენა როგორც წარსული, ისე თანადროული და მომავალი ცხოვრებისადმი.

ილიას ღრმად სწამდა თავისი ქვეყნის ყოფა. პატარა ერების ნათელი მომავალი, რაც მას არაერთგზის დაუდასტურებია სიტყვით და საქმით. დიდი მწერალი და მოაზროვნე ამ იდეას ქადაგებდა მარადჟამს და ცდილობდა ყოველი ხელსაყრელი შემთხვევა გამოეყენებინა თავისი ეროვნული კონცეფციის დასამკვიდრებლად. ერი და მამული — აი მწერლის ხატი და სამლოცველო. დღეს სასკოლო ქრესტომათიის კუთვნილებად არის ქცეული მწერლის სიტყვები:

ერის წყლული მაჩნდეს წყლულად,
მეწოდეს მის ტანჯვით სული.
მის ბედით და უბედობით
დამედაგოს მტკიცე გული.

...ერი, მრავალრიცხოვანია იგი თუ მცირერიცხოვანი. უდიდესი სოციალური და პოლიტიკური ფენომენია თავისი ენით, ფსიქოლოგიით, საყოფაცხოვრებო ადათ-წესებით, ტრადიციებით, კულტურით, წარსული და თანამედროვე ყოფით, მომავლით. ი.ჭავჭავაძეს ერის მთავარ ღირსებად, იმ თვისებად, რომელიც მას უნარჩუნებს თავის სახეს, თავის ადგილს სხვა ერთა შორის რთული სამყაროს პირობებში, მიაჩნდა სიყვარული მშობლიური მიწისა და ენისადმი და ამ უსპეტაკესი გრძნობის დაცვის უნარი. შემართებისა და ბრძოლის შინაგანი ძალა თუ ერს აქვს, თუ მას არ დაჩლუნგებია მამულიშვილური გრძნობა და თავმოყვარეობა, თუ მისთვის მიწის ყივილს არ დაუყარგავს ძალისხმიერება, იგი უძლეველია. სიცოცხლისუნარიანია, დიადია, ხოლო თუკი მან ხელი ჩაიქნია თავის ბედზე, მისი არსებობა განწირულია. აბა ყური მივაპყროთ დიდ მოამაგეს, ამ საკითხ-

თან დაკავშირებით თუ რას ამბობდა:

„ძლიერია ერი, რაც უნდა პატარა იყოს, როცა მამულიშვილობა, თავისი ქვეყნის სიყვარული ამხნევებს, ამოქმედებს, როცა უბედურება რამ, განსაცდელი რამ, გულზე ხელს არ აკრებინებს, როგორც იმედგაწყვეტილს, სასოება დაკარგულს, არამედ იმოდენად ძლიერ აღვიძებს, ძლიერ მისძრავს-მოსძრავს, რამდენადაც ძლიერია თვით მის თავზე მისული უბედურება და განსაცდელი."

ი.ჯავჯავაძემ მშობლიური ერის თავისებურების, მისი წარსულის, აწმყოსა და მომავლის შესწავლას მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება შეალია. იგი ათეული წლების მანძილზე თვალს ადევნებდა ევროპის, აზიის, აფრიკისა და ამერიკის დიდი და პატარა ერების ისტორიასა და თანამედროვე ცხოვრებას და ყოველთვის ცდილობდა სხვათა მაგალითის მომარჯვებითაც გაერკვია საკუთარი ერის პერსპექტივები. იმ რთულ, მშფოთვარე ეპოქაში ი.ჯავჯავაძის საგანგებო ყურადღების საგანი იყო მცირერიცხოვანი ერების ბედი. იგი მონდომებით ცდილობდა საფუძვლიანად შეესწავლა ეს საკითხი, ამისათვის მიმართავდა ღრმა წიაღსვლებს, აანალიზებდა უმდიდრეს მასალას სხვა თუ მშობლიური ერის ისტორიიდან და დიდი სიფრთხილით, გამოწვლილვით გამოჰქონდა სათანადო დასკვნები, ყოველთვის საგანგებოდ მიუთითებდა ერთა თანამშრომლობის, ურთიერთ კულტურული და სულიერი გამდიდრების უდიდეს მნიშვნელობაზე, როგორც მათი არსებობის განმსაზღვრელ პირობაზე.

აღიარებული ჭეშმარიტებაა, ის ერი, რომელიც მხოლოდ თავის ნაჭუჭშია ჩაკეტილი, მხოლოდ პირადი ცხოვრებით ცხოვრობს და იზოლირებულია გარესამყაროსაგან, მსოფლიო ცივილიზაციის წარმატებისაგან გარიყულია, ასეთი ერი, მწერლის მართებული აზრით, განწირულია. რა დამაჯერებლად წერდა ი.ჯავჯავაძე:

„ისტორია და წარმატება იმისი კი არ არის, ვინც მარტო თავის ავკარგიანობას შეჰხარის, ვინც მარტო დღევანდელობას — ავია იგი თუ კარგი — ჰკმარობს, ვითარცა ხელშეუვალს რასმე ანდერძს მამა-პაპეულს, არამედ იმისა, ვინც მას არ კმარობს — რაც დღეს არის, და ვისაც დღევანდელობა მარტო ხიდად მიუჩნევია ხვალისათვის და არა ბინად, საცა კაცმა თავი უნდა შეიტანოს, როგორც სამუდამო სადგურში, სამუდამოდ გულზე ხელ-დასაკრებად და მოსასვენებლად. ტყუილად კი არა სთქვა ტურგენევმა, რომ ეს ქვეყანა ტაძარი კი არ არის, საცა კაცი უნდა ჰლოცულობდეს, არამედ სახელოსნოა, საცა

უნდა ირჯებოდეს და ჰმუშაობდესო“.

ი.ჭავჭავაძე ერის ჯილაგს, დვრიტას სწორედ გარჯასა და მონდომებაში ხედავდა. ერის სწრაფვაში ხვალინდელი დღისადმი ეძებდა იგი ამ ურთულესი საკითხის პასუხს. იგი ხშირად იმეორებდა აზრს, რომ „ისტორია და წარმატება — მარჯვესი, გამრჯესი, მხნესი და მერმისისათვის მებრძოლის კუთვნილია“. ეს შეხედულება განავითარა მან 1903 წელს სოხუმში ქართველი და აფხაზი საზოგადოების წინაშე წარმოთქმულ სიტყვაში:

„...დღევანდელ ცხოვრებაში სუფრის თავში ის ერი ზის, ვინც ირჯება, ვინც ცდილობს ქონება შეიძინოს, ეკონომიურად წელში გამაგრდეს. ვინც ამას არ ფიქრობს, ვინც სხვას შეჰყურებს, რაცა რამე გავარდეს ხელიდან და მე ავიღოვო, ის ხალხი ტყუილად ნუ ელის შორი მანძილი გაიაროს ცხოვრებაში“...

ასეთ დაწინაურებულ, გამრჯე და მონდომებულ ერებად გასული საუკუნის მიწურულს მას მიაჩნდა ევროპელი ერები და ამიტომ არის, რომ მათ დარჩათო ბურთი და მოედანი ცხოვრების სარბიელზე.

სამაგიეროდ, მიუთითებდა იგი, ამას ვერ ვიტყვით საერთოდ აზიისა და კერძოდ, ჩინეთის მიმართ. ამ უკანასკნელმა გალავნით შემოიზღუდა თავი, ჩაიკეტა საკუთარ ნაჭუჭში, გაერიყა სხვათა ცხოვრებას, გაინაპირა თავისი საცხოვრისი, გვერდი აუარა მსოფლიო ცივილიზაციის მონაპოვარს, რის გამო სასტიკად დაისაჯა, ისტორიის ბოლოს დარჩაო. იმ დიდმა ჩინურმა კედელმა, რომლითაც ის განერიდა საკაცობრიო კულტურის მიღწევებს, დაღუპაო ერთ დროს კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანთან მდგომი ხალხი. ამ თვითკმაყოფილებამ ერს „თვალები აუბა იმდენად, რომ თავისზედ უკეთეს სხვას არავის ჰხადა“.

ი.ჭავჭავაძის სამართლიანი მითითებით, ერის სიცოცხლისუნარიანობის ერთ-ერთი მთავარი პირობაა „ინტენსიური ცხოვრება“. იგი მისთვის ჰაერივით აუცილებელია. სწორედ ის არისო სათავეც და შედეგიც კულტურისა. ამდენად, აღნიშნავდა მწერალი, კულტურა და მასთან განუყოფელი ინტენსიური ცხოვრება კაცობრიობის დონისა და სიმკვიდრის დედაბოძია, ქვაკუთხედია.

ი.ჭავჭავაძე სხვა ერების ისტორიის მაგალითზე თავის მშობლიურსა და კავკასიის პატარა ერებს უნერგავდა იმის რწმენას, რომ საჭიროა არა მარტო ეროვნული ერთიანობა, კონსოლიდაცია, არამედ სხვა ერებთან მეგობრობა, ძმობა, ურთიერთობა, თანამშრომლობა,

რომლის გარეშე არ არსებობს უშფოთველი, მშვიდობიანი ცხოვრება. იგი ეროვნული დისკრიმინაციის, ძალმომრეობის, ერთა შორის შუღლისა და უნდობლობის გაღვივების სასტიკი წინააღმდეგი იყო, რაც ყველაზე დიდ ბოროტებად მიაჩნდა. „ერთაშორისი დაუნდობლობა, ომი, სისხლისღვრა,— წერდა იგი, — კაცობრიობის ბედნიერებისა და კეთილდღეობის სულის შემზარავი და დამღუპველია“.

პატარა ერებს ჰხოლოდ ურთიერთგაგებით და ურთიერთპატივისცემით, საკაცობრიო კულტურულ ფასეულობათა გათავისებით შეუძლიათ განიმტკიცონ თავიანთი არსებობა და კუთვნილი წვლილი შეიტანონ საერთო სულიერ საგანძურში. ი. ჭავჭავაძეს სამართლიანად მიაჩნდა, რომ „ძმობა და ერთობა არის იგი კლდე, რომელზედაც უნდა აშენდეს დიდი სახახლე ჩვენი ცხოვრებისა.“

მშობლიური ისტორია ყოველთვის იყო ერის მასაზრდოებელი და მაცოცხლებელი წყარო. საქვეყნოდ აღიარებული ჭეშმარიტებაა, რომ ის ხალხი, რომელიც ივიწყებს წარსულს, თავის ტრადიციებს — განწირულია. ამიტომ მწერალი თავის ხალხს, ერს ყოველთვის უკიჟინებდა, რომ წარსულთან წილნაყარობა მომავლის საწინდარიაო. „ვაი იმ ხალხს, — ამბობდა მწერალი გულისტკივილით, — რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა; ვაი იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, საცა ყველაში თითო არ არის და თითოში ყველა“.

ხოლო სტატიაში „დავით აღმაშენებელი“ მიუთითებდა:

„არ ვიცით, სხვა როგორ ფიქრობს და ჩვენ კი ასე გვგონია, რომ ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს“.

ი.ჭავჭავაძე დაუნდობელი იყო ყველა ჯურის რეაქციული მიმდინარეობის — ნაციონალიზმის, შოვინიზმის, ეროვნული ნიჰილიზმის მიმართ, სასტიკად ილაშქრებდა ვაი მეცნიერებისა და ვაი მოღვაწეების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ სხვათა უბედურებაზე თავისი ბედნიერების აგებას. ასევე ვერ ურიგდებოდა კუთხურ პატრიოტიზმს, პროვინციულ ყოყოჩობასა და თავაშვებულობას. მისთვის სამშობლოს ყველა კუთხის მკვიდრი მშობლიური და ახლობელი, სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი იყო. იგი სიამაყით აცხადებდა:

„სამოციან წლებში ყველაზე უწინარეს გამობრწყინდა დავიწყებული სიტყვა „მამული“ მთელის თავის გულით მიმზიდველ და დიდებულ მნიშვნელობითა“.

მეგობრობა და თანადგომა, ურთიერთპატივისცემა და გაგება ი. ჭავჭავაძეს მიაჩნდა იმ ბურჯად, რომელსაც ძალუძს ხალხთა და ერთა დაახლოება და დაძმობილება, შედუღაბება. დიდ მოამაგეს ჩინებულად ესმოდა, რომ მეგობრობა უდიდესი ადამიანური ნიჭია და როგორც ყოველ ზეცით ბოძებულ მადლს, მასაც ფაქიზი მოვლა, ყოველდღიური ზრუნვა და სათუთი მიდგომა სჭირია. მეგობრობა სიყვარულს ეფუძნება, ეყრდნობა, მისით ხარობს და სულდგმულობს, სიყვარულია მისი საარსებო სახსარი. სიყვარულს ეყრდნობა იმიტომ, რომ სწორედ სიყვარულია ის ძალა, რომელიც ადამიანს ამაღლებს, აკეთილშობილებს, ალამაზებს, ასპეტაკებს, უნერგავს რწმენას მოყვასისადმი. იქ, სადაც სიყვარული არ ყოფილა შუამავალი, მეგობრობას ფეხი ვერ აუდგამს, ძალა ვერ მოუკრებია, ვერ დამკვიდრებულა. თითქოს ი.ჭავჭავაძე მეტყველებს გალაკტიონის ბაგეებით:

უსიყვარულოდ
მზე არ სუფევს ცის კამარაზე,
სიო არ დაჰქრის, ტყე არ კრთება
სასიხარულოდ...
უსიყვარულოდ არ არსებობს
არც სილამაზე,
არც უკვდავება არ არსებობს
უსიყვარულოდ.

ი. ჭავჭავაძეს წარმოუდგენელი ჰქონდა პირადი ბედნიერება საერთო, სახალხო ბედნიერებისაგან გარიყულად. იგი ხშირად მიმართავდა ბრძენთა ნათქვამს: „რომ მე მართლაც ჰეშმარიტად ბედნიერი ვიყო, საჭიროა ყველა სხვა სულიერნიც ბედნიერნი იყვნენო“. ეს ადამიანთა გულებისაკენ მიმავალ მეტად რთულ გზად და ხიდად მიაჩნდა დიდ შემოქმედს. მისი შეხედულებით — „მადლის მოედანი და სარბიელი ეს არის“.

ი. ჭავჭავაძე დიდი გულისყურით, მონდომებით ადევნებდა თვალს როგორც მშობლიური, ისე მოძმე ერების წარსულ და თანადროულ ცხოვრებას და მათ ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ და მეგობრულ ურთიერთობასა და თანამშრომლობაში ხედავდა მომავალი თავისუფალი სუფევის საწინდარს.

1985

„ჩემი ხატია სამშობლო“

აკ. წერეთელს მრავალ მხატვრულ, პუბლიცისტურ თუ პოლემიკურ ნაწარმოებში აქვს გამოთქმული თავისი მრწამსი, შეხედულება ეროვნულ პრობლემაზე, მამულის ჰეშმარიტი სიყვარულისა თუ ხალხთა ურთიერთობისა და თანამშრომლობის ურთულეს საკითხებზე, რომლებიც ყოველ დროსა და ეპოქაში იწვევდა მწარე ტკივილებს. მათი სავალი ყოველთვის გადიოდა ბეწვის ხიდზე, ერთმანეთის საპირისპირო აზრთა და შეხედულებათა ჰიდილის თხემზე. დღეს ქრესტომათიულ ჭეშმარიტებად არის ქცეული აკაკის სიტყვები: „ჩემი ხატია სამშობლო, სახატე — მთელი ქვეყანა“. ეს აფორისტული, ფხიანი ფრაზა წერეთლისეულია და შევიდა იგი ქართულ პოეტურ სამყაროში.

ყველაზე ძვირფასი სალოცავი პოეტისათვის სამშობლო იყო, თავს ევლებოდა მას და არც არავის აძლევდა მისი დამცირებისა და აბუჩად აგდების უფლებას. „სამშობლო დედასავით უნდა უყვარდეს ყველას, — წერდა იგი, — და რაგინდ სნეულ-დავარდნილიც იყოს დედა, შვილს არა აქვს უფლება ზურგი უჩვენოს და მიატოვოს“ („აღსარება“).

პოეტი ამ საპატიო საქმეში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა მწერლობას, მხატვრულ ლიტერატურას. „მწერალი, — აკაკის მართებული აზრით, — მთელი ხალხის მოძღვარია. მის ნაწერებს ყოველთვის პედაგოგიური მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს და არა გრძნობა-გონების წარმტაცი უნაყოფო ოხუნჯობა“.

ამ სამრეკლოდან უყურებდა პოეტი სამყაროს, ადამიანთა და ერთა ურთიერთდამოკიდებულებას, ყოველდღიურ ცხოვრებას, რომლის ხატოვანი სურათი უნდა წარმოაჩინოს სიტყვაკაზმულმა მწერლობამ. აკაკიმ, როგორც ზემოთ ითქვა, აღნიშნულ საკითხზე თავისი შთამბეჭდავი აზრი დაბეჯითებით გამოთქვა არაერთ ქმნილებაში და მათ შორის კი 1908 წელს საკუთარ იუბილეზე წარმოთქმულ სიტყვაში, რომელიც მიმართული იყო ნორჩი თაობისადმი. ნათელმოსილმა პოეტმა ასე დამოძღვრა ახალგაზრდობა:

„აი, ხომ ხედავთ, ხალხში აღძრულა ეროვნული გრძნობა და

უნდა, რომ ჰყავდეს მას ნამდვილი მოღვაწე და გმირი... და ეს გმირი თქვენმა თაობამ უნდა წარმოშობოს და ეს მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ მუდამ ეროვნულ ნიადაგზედ გედგებათ ფეხი; ვინც თავის გვარტომობას უარყოფს, ის ვეღარც სხვებს გამოადგება, უვარგისი იქნება შინაც და გარეთაც. **გიყვარდეთ თქვენი ქართველობა, მაგრამ შოვინისტური გრძნობით კი არა, ესე იგი, რომ სხვისი დაკლებით რამე შესძინოთ თქვენს ეროვნებას. არა! იმ სიყვარულით, რომელსაც სარჩულად უნდა ედვას ძმობის, ერთობის და სიყვარულის სურვილი"**[1].

მოტანილ ციტატაში, განსაკუთრებით კი მის ჩვენ მიერ ხაზგასმულ ნაწილში, მკაფიოდ ჩანს პოეტის მრწამსი და პოზიცია როგორც მამულის სიყვარულში, ისე სხვა ხალხთა ყოფისა და კულტურისადმი. აკაკი სასტიკად გმობდა შოვინიზმს, როგორც ბოროტებას — სხვა ერთა ჩაგვრისა და დამცირების საფუძველზე საკუთარის განდიდებას. იგივე აზრი ასეა გამოხატული ლექსში „წერილი პატარა მეგობრებს":

მაშ გიყვარდეთ სამშობლო!
სხვისაც ნუ შეგძულდებათ!
იყავით მოთმინებით,
ნატერა აგისრულდებათ

აკ. წერეთელი დაუნდობელი იყო ყველა იმათ მიმართ, ვინც ფარისევლობდა, ანგარებით ეკიდებოდა ღვთიურ სიტყვებს: „სამშობლო", „მამული", „ძმობა", „ერთობა", „თავისუფლება" და ცდილობდა თავისი შავი ზრახვებისათვის გამოეყენებინა ქვეყნის სამსახური. პოეტი ასეთ ადამიანებს საჯაროდ კიცხავდა და გმობდა:

ვინც გაიძახის ცარიელ სიტყვებს
და გულში სულ სხვა აქვს დამარხული,
ამაო არის მისი ნათქვამი: „ძმობა, ერთობა და სიყვარული".
მთელ ქვეყანაზე და კაცთა შორის
იყოს წყეული ... ის იყოს კრული,
ვინც მხოლოდ სიტყვით გაიძახოდეს:
„ძმობა, ერთობა და სიყვარული".

ერების სიძულვილი კულტურის სიძულვილია, რაც უდიდესი ბოროტებაა. ადამიანს უნდა ეყოს შინაგანი ენერგია, რომ დაძლიოს ეს ეშმაკეული სენი — შოვინიზმი და თავის სალოცავ ტაძრად პატრიოტიზმი გაიხადოს, სადაც ერთმანეთის გვერდით თავიანთ საგოდებელსა

---

[1]. აკ. წერეთელი, თხზ. ტ.XIV, თბ., 1961. გვ.342.

და სადიდებელს წარმოთქვამენ სხვადასხვა ერის შვილები.

ამ კეთილშობილურ ქმედებაში მოქალაქეებსა და ერებს შუამდგომლობა უნდა გაუწიოს მხატვრულმა ლიტერატურამ. სიტყვაკაზმულმა მწერლობამ ცხოვრებისეულ რთულ სიტუაციებში უნდა შეიტანოს ჰარმონია, ხალხებს შორის — ურთიერთპატივისცემა და სიყვარული, რაც ოდითგანვე ადამიანთა საზოგადოების ძირითადი მამოძრავებელი ძალა იყო. უძველესი ხალხური შემოქმედებაც აქეთკენ მოგვიწოდებს: რაც მტრობას დაუქცევია, სიყვარულს უშენებიაო.

ჰუმანისტი პოეტი თავაღეჭილი გაიძახოდა: „ერთობას და მასთან ძმობას არაფერი მირჩევნია“-ო და ეს თვით მწერლის სიცოცხლეშიც კი არავის ეჩოთირებოდა, რადგან ერთიანი იყო შემოქმედის სიტყვა და საქმე, რაც მან არაერთგზის დაამტკიცა კავკასიელი ხალხების, აზერბაიჯანელების, აფხაზების, ადიღეების და სხვათა მიმართ, ასევე სომხებისა და რუსებისადმი. მითოლოგიური ჰაოსისა და ქართლოსის შთამომავალთა ძმობის მომღერალ ცნობილ სომეხ მწერალ გაბრიელ სუნდუკიანცს აკაკი მიმართავდა:

შენ სომეხი ხარ და მე
ქართველი.
მაგრამ ძმები ვართ
ერთმანეთისა.
ორივე შვილი ერთი
მიწა-წყლის,
ერთი მოდგმისა და ერთი მთისა.

აკაკი უდიდესი პატივისცემით ეპყრობოდა ძმობის მომღერალ გაბრიელ სუნდუკიანცს იმის გამო, რომ მას „გულში ჰქონდა ჩამარხული სიდიადე და შვენება; სწამდა კაცი ყოველ' ერში!.. ამაღლებდა ქრისტეს მცნებას“.

აკ.წერეთელმა ადამიანის დანიშნულების, მისი პატრიოტული ვალის ურთულეს პრობლემას მრავალთ შორის უძღვნა ერთი ჩინებული ლექსი, რომელიც ანდერძად დაუტოვა საკუთარ შვილს და სათაურიც ასეთი მისცა „ანდერძი ჩემს შვილს“. აბა შვილზე უფრო ახლობელი და საყვარელი ვინ უნდა იყოს ამ ცოდვილ და უკიდეგანო დუნიაზე? ადამიანი თუ ვინმეს უსურვებს სიკეთეს და ანდობს თავის ყველაზე სანუკვარ ოცნებას — ეს უტყუარად არის შვილი: სისხლი — სისხ-

ლთაგანი და ხორცი — ხორცთაგანი და აკაკი თავის ერთადერთ პირმშოს ასეთ დარიგებას აძლევდა:

ყველა გიყვარდეს და ცოდვაც
შეუნდვე წრფელის სულითა!
მით ამაღლდება მდაბალი,
სხვებისგანც სიყვარულითა.

მარტო შენს თავზე ნუ ზრუნავ,
სხვებიც გახსოვდეს მარადა,
შრომა აიღე მახვილად
და მოთმინება ფარადა.

მოტანილ სიტყვებში რა კარგად ჩანს ქრისტიანული მოძღვრებით ნაფერი დიდი პოეტის ცხოვრებისეული სიბრძნე და ჰუმანიზმი.

პოეტმა ერთ-ერთ თავის შედევრში — „ჰაღარა“ გამოთქვა უდიდესი ოპტიმიზმი სამშობლოს მომავლის შესახებ, სახალხოდ აღიარა რა მისი უკვდავება, რომ იგი, ბოლოს და ბოლოს, თავს გამოიხსნიდა მონობის უღლისაგან და ეზიარებოდა თავისუფლების ნათელს. ამ ოცნების განმახორციელებლად მას ახალგაზრდობა მიაჩნდა, ის ახალგაზრდობა, რომლის შეხედულებები ნაფერი იყო წინაპართა გმირული სულისკვეთებითა და თავისუფლების დაუოკებელი წყურვილით. ამიტომ პოეტის მხატვრულ ნაწარმოებებში ხშირად მოხმობილია გმირთა ნათელი სახეები:

ვუხმობ ფრიდონს და
ავთანდილს,
მხარი მხარს მივცეთ, ხელი
ხელს,
ნესტან-დარეჯან ქაჯებს ჰყავს,
მოელის ტურფა გამომხსნელს.

რა ვუყოთ, თეთრი მერიოს?!
სისხლით შევღებავ ჰაღარას
და სულ სხვა ხმაზე დავუკრავ
ამ ჩემ დაფსა და ნაღარას.

არა! აყვავდეს იმედი!..
გულს ვერ გამიტეხს ჰაღარა!..
გმირებს უძახის... უყივის
ჩემი დაფი და ნაღარა!..

„სულიკოს“, „განთიადის“, „ჰაღარას“, „თორნიკე ერისთავის“, „ნათელას“, „ბაში აჩუკის“ ავტორის ნათელი და მბორგავი სული დღეს ჩვენთან ერთად იბრძვის ქართველი ხალხის სანუკვარი ოცნებისათვის — თავისუფალი და ერთიანი საქართველოსათვის!

1990

2. „ძალ-მეც ვსთრგუნვიდე გოროტსა სულსა“

დიდი განმანათლებელი და ჰუმანისტი მწერალი აკ.წერეთელი თავისი შემოქმედებითა და საზოგადოებრივი მოღვაწეობით მშობლიურ ერს უნერგავდა არა მარტო მამულისათვის თავდადებასა და თავგანწირვას, „ჰირსა შიგან გამაგრებას“, არამედ სიყვარულს მოყვასისადმი, ადამიანისადმი, სხვა ერებისა და ხალხებისადმი, ლექსში „პატარა მეგობრებს“ ეს კეთილშობილური გრძნობა ასე აქვს გამოხატული: „ქართველობით მაშინ გაქებ, თუ ხარ ძმათა მოყვარული“. ამიტომაც გახდა მისი შემოქმედების დევიზი — „ძმობა, ერთობა და სიყვარული“. ამ საკაცობრიო იდეალის განხორციელებისათვის სამსახურს შეალია შემოქმედმა თავისი კალამი, ნიჭი და უნარი. პოეტის აზრით, „ძმობა, ერთობა და სიყვარული“ მაგიური ძალის შემცველი საკრალური სიტყვებია, რომლებიც მრავალტანჯულ მშობლიურ ხალხს, დიდ განსაცდელში ჩავარდნილს, შეუძლებელს შეაძლებინებდა და შეუმსუბუქებდა ხვედრს თავისუფლების მოპოვების რთულ და დაძაბულ გზაზე. ეს რწმენა გასდევს მთელ მის შემოქმედებას.

ასევე ღრმად იყო დარწმუნებული, რომ დიდი ისტორიული წარსულის მქონე ერი, რომლის ფიქრი და ოცნება გასხივოსნებული იყო ქრისტიანული მორალითა და ჰუმანიზმით, ფერფლიდან აღსდგებოდა და კვლავაც დაუდასტურებდა კაცობრიობას თავისი ნიჭის ბრწყინვალებას და ჩადგებოდა მოწინავე და განათლებულ ერთა შორის. „ისტორიულმა მსვლელობამ დაგვიმტკიცა, — წერდა იგი, — რომ ეს

პატარა საქართველო ყოველგვარ განსაცდელსა და გასაჭირს გაუძლებს. და მართლაც ის ერი, რომელმაც წარმოშვა: რუსთაველი, მთაწმინდელები, გორგასლანი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, გიორგი სააკაძე და მათი მსგავსნი, განა სასიკვდილოა? არ გასულა საუკუნე, რომ ნიშანი სასიცოცხლო არ მოეცეს ჩვენთვის ცხოვრებას“.

მამულის უანგარო და უზადო სიყვარული და შოვინიზმი — ქვეყნის სიყვარულის გაუკუღმართებული, ავადმყოფური გაგება, ყოველთვის საპირისპიროდ იდგნენ და ერთმანეთთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში მოედინებოდნენ ისტორიის მანძილზე. მსოფლიოს უდიდესი შემოქმედნი პატრიოტიზმს სხვა ხალხთა და ერთა პატივისცემისა და თანაგრძნობის თვალსაზრისით განიხილავდნენ. ამ გრძნობას მსგავსადვე აშუქებდა აკ.წერეთელი. ეროვნულ-პატრიოტული საკითხის აკაკისეული გაგების გასარკვევად საგანგებო აღნიშვნის ღირსია „აკაკის სიტყვა რუსეთელ მოსწავლე ახალგაზრდობისადმი“, წარმოთქმული მოსკოვში, ნადიმზე, ეს გახლდათ 1913 წელს მოსკოვის სალიტერატურო წრის მიერ ქართველი პოეტის პატივსაცემად გამართულ ვახშამზე, რომელსაც სხვადასხვა ეროვნების ორასამდე ინტელიგენტი ესწრებოდა. მათ შორის ცნობილი მწერლები და ხელოვანები: ვ. ბრიუსოვი, ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკო, კ. სტანისლავსკი, მ.ერმოლოვა, ა.სუმბათაშვილი-იუჟინი და სხვ. ამ დიდებულ საკრებულოში აკ.წერეთელი გამოვიდა სიტყვით:

„შოვინისტობა, ესე იგი, სამშობლოს უკუღმართი სიყვარული, როცა იმას ანაცვლებენ სხვების კეთილდღეობასა და ბედნიერებას, საძაგლობაა, მაგრამ ერთი ათასად უფრო საზიზღრობაა თავის ქვეყნისათვის სამშობლოს გარეწრობა. ვისაც თავისი მშობელი არ უყვარს, ის სხვებსაც ვერ შეიყვარებს. ვინც თავის პატარა ერს არ ემსახურება, ის ვერც კაცობრიობას გამოადგება. თავის ქვეყნის სამსახურში მსოფლიოც გამოიხატება... ნუ დაგავიწყდებათ (მიმართავდა პოეტი ახალგაზრდებს — ო.ჯ.), რომ მომავალი თქვენია და სამშობლოც თქვენგან მოელის იმ უკვდავების წყაროს, რომელიც სამკურნალოდ უნდა ესხუროს არა მარტო მას, არამედ მთელ კაცობრიობასაც“.[1] ამავე საკითხთან დაკავშირებით გვსურს მკითხველს შევთავაზოთ ამონარიდი პოეტის მეორე სტატიიდან „ჩემი აღსარება“, სადაც ასევე გამო-

---

[1] აკ. წერეთელი, თხზ., ტ.XIV, თბ., 1961, გვ. 523.

კვეთილად ჩანს ავტორის თვალსაზრისი:

„სიტყვა „პატრიოტი“ დღეს ზოგიერთებისაგან საკიცხავ სიტყვად არის გადაქცეული. იმათ პატრიოტობა შოვინიზმი ჰგონიათ, როდესაც ამ ორ სიტყვას შუა დიდი ზღვარია და ერთმანეთში საერთო არა აქვთ რა! — სასწორ-მხედველო პატრიოტობას უტყუარი ბუნება მოითხოვს და თვალდამდგარ შოვინისტობას კი ეგოიზმი, უმართლო თავ-მოყვარეობა“[1]

ხალხთა ურთიერთდამოკიდებულების საქმეში ეს იყო აკ.წერეთლის ის მყარი პოზიცია, ის დედაბურჯი თვალსაზრისი, რომელსაც ეყრდნობა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა.

კაცთმოყვარეობა, ჰუმანიზმი, სწრაფვა კეთილქმედებისაკენ იმთავითვე დააჩნდა მის შემოქმედებას. 19 წლის ჭაბუკი პოეტი ლექსში „ცოდვილის სინანული“ სოფლის გამრიგეს შესთხოვდა:

რადგან ზეცავ, შენ, აჰა, მოგმართე,
ამაოდ ნუ ჰყოფ ჩემს სინანულსა!
კეთილისათვის გზა წარმიმართე,
ძალ-მეც, ვსთრგუნვიდე ბოროტსა სულსა!

ქართულ მწერლობაში ჩახედული ადამიანი უმალვე შეამჩნევს ამ სიტყვების ტიპოლოგიურ მსგავსებასა და ნათესაობას აკაკის სახელოვანი წინამორბედისა და სასიქადულო თანამოკალმის ნ.ბარათაშვილისა და ი.ჭავჭავაძის მრწამსთან, მათ სწრაფვასთან სიკეთისა და კეთილმოქმედებისაკენ. აკ.წერეთლის, როგორც შემოქმედის, დიდი ღირსება არის ის, რომ იგი ამ რწმენას — კეთილის სამსახურსა და ბოროტების თრგუნვას — უნერგავდა ხალხს. ამ სულისკვეთებით ეძებდა იგი ეროვნულ გმირს, რომელიც ხან ამირანისა და მედეას, ხან ნათელასა და ცოტნეს, ხან თორნიკესა და ბაგრატის, ხან თამარისა და ერეკლე II-ის სახით ეზმანებოდა და მათ საქმიანობაში ეძებდა მშობლიური ქვეყნის ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის იდეალს. ვის არ ახსოვს „თორნიკე ერისთავიდან“ ცნობილი სიტყვები:

წარსულ ნერგზედ ახალ ნამყნის
ველოდებით შეხორცებას,
მით ვიქარვებთ აწმყო ნაღველს
და ვეძლევით აღტაცებას.

---

[1] აკ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ., ტ.XIV, თბ., 1961, გვ.351.

აკ.წერეთელი უდიდესი ოპტიმისტი იყო. მთელი ცხოვრების მანძილზე მისი დაფი და ნაღარა ეძებდა გმირებს, მამულისათვის თავდადებულებს. სწორედ მომავლის რწმენამ ათქმევინა მას შემდეგი სიტყვები:

აღსდეგ. სამშობლო! ბევრი გეძინა!
ვინც კვალში გდევდენ, გაგისწრეს წინა!
შენის ბუნების მქონი, მითხარი,
რამ დაგაღონა? რამ დაგაშინა?

აღსდეგ მამაცად და გაიმართე.
თუ რომ იშრომებ, გზები გაქვს ფართე!
ცეცხლის გემები, რკინისა გზები
და ტელეღრაფი თამამად მართე!

როგორც შეჰფერის შენსა ბუნებას,
ისე აძლევდე შრომასა ნებას,
ხარბის თვალითა მიიტაცებდე
და ავრცელებდე მანდ განათლებას.
(„ქართლის სალამი").

პოეტი მიგვანიშნებდა, რომ „თავისუფლება" ცხრაკლიტულ'ში იყო გამოკეტილი და მისი გამოხსნისა და სუფევისათვის უდიდესი ძალისხმევა იყო საჭირო. ამ სანუკვარი მიზნის მისაღწევად პოეტს მონდომებასთან ერთად ადამიანთა ურთიერთთანადგომა და თანამშრომლობა, ნდობა და სიყვარული მიაჩნდა. ლექსში „პასუხი ილია მამაცაშვილს" იგი წერდა:

თავისუფლების იმედს რად ჰკარგავ, ჩემო ილია...?
განა არ იცი, თავის გამოხსნა რა ადვილია,
თუ რომ ძმურადა ჩვენ ერთმანეთს მივეცით ხელი.

ისტორიულად ასე იყო, მრავალეროვან ქვეყნებში ყოველთვის ურთულეს პრობლემას წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს სხვადასხვა ერთა წარმომადგენლების თანაცხოვრებისა და თანამშრომლობის საკითხი. ეს ქმნიდა ურთულეს პრობლემებს ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, ეროვნულ ასპექტებში. ამ მხრივ საქართველო მის მიწა-წყალზე მოსახლე სხვადასხვა ერთა წარმომად-

გენლების სიჭრელით ოდითგანვე გამოირჩეოდა. ამისი მიზეზი მრავალი იყო და მათ ახსნა-განმარტებას აქ აღარ შევუდგებით, რადგან მკითხველი საზოგადოებისათვის ისინი საკმაოდ ცნობილია და თანამედროვე პრესაში მათ შესახებ მრავალი საინტერესო მასალა ქვეყნდება. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ისტორიულად საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ერთა შვილები: სომხები, ებრაელები, ბერძნები, აზერბაიჯანელები, ჩრდილოეთკავკასიის ხალხთა წარმომადგენლები, ქურთები, აისორები, ოსები, არაბები, სპარსელები, რუსები, უკრაინელები, გერმანელები და სხვ. ქართველებთან შეხმატკბილებულად ცხოვრობდნენ. ისინი ქართველებისაგან არასოდეს განიცდიდნენ ეროვნულ თუ რელიგიურ დევნას, დისკრიმინაციას. პირიქით. ზემოჩამოთვლილ ხალხებს თავიანთ კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში ჰქონდათ კულტურული ცენტრები, სამლოცველოები, რწმენისა და რელიგიის თავისუფლება. დღესაც თბილისში და სხვა ქალაქებშიც ერთმანეთის გვერდით დგას მეჩეთი და სინაგოგა, გრეგორიანული (სომხური) და მართლმადიდებლური (ქართული, რუსული) ეკლესიები. ისინი არასოდეს შეუბღალავს ქართველ კაცს. მიმდინარე საუკუნის ოცდაათიანი წლების დასასრულამდე თბილისში არსებობდა გერმანელების კათოლიკური ეკლესია „კირხეს“ („კირკეს“) სახელწოდებით. ამ ტაძრის მიხედვით თბილისის ერთ-ერთ უბანს ეწოდებოდა (დღესაც შემორჩენილია ეს სახელი) „კიროჩნი“ (დღევანდელი მარჯანიშვილის მოედნის მიმდებარე ტერიტორია). ქართველების ეროვნულ შემწყნარებლობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ქართულ ეკლესიას საკმაოდ ბლომად ჰყავს სხვა ეროვნების წმინდანები (შუშანიკი, აბო თბილელი და სხვ.).

ეს ძვირფასი ტრადიცია — სხვადასხვა ერთა და სარწმუნოებათა პატივისცემა და შემწყნარებლობა, რაც ბრწყინვალე ანარეკლს პოულობს „ვეფხისტყაოსანშიც“, თაობიდან თაობას გადაეცემოდა სულიერი მემკვიდრეობის სახით. ამ ჰუმანურ იდეას აგრძელებენ და აღრმავებენ ქართველი სამოციანელები და მათ შორის აკ.წერეთელი.

ჰუმანისტი პოეტი ყველა ერში მოძმესა და მოკეთეს ეძებდა. მისი სიტყვებია: ვინც გვიძმობს, ვეძმოთო. მისთვის უცხო იყო ეროვნული ქედმაღლობა და ყოყოჩობა.

„ხალხის განვითარება ეროვნულ ნიადაგზე უნდა ხდებოდეს, — წერდა იგი, — ერი უნდა გიყვარდეს. მაგრამ, რასაკვირველია, არა შოვინისტურად, არამედ მამულისადმი ჩვენს სიყვარულს სხვა ერები-

სადმი სიყვარული, ძმობა, ერთობა უნდა უძღოდეს წინ".

აკ.წერეთელი ყველა ერს მიაგებდა თავის წილ სითბოს, სიყვარულსა და პატივისცემას, დიდად აფასებდა მათ კულტურას, ტრადიციებს, ადათ-წესებს. ისტორიას, სიტყვაკაზმულ მწერლობას, ზეპირსიტყვიერებას. განათლებით ორიენტალისტი, იგი ღრმად და საფუძვლიანად იცნობდა მრავალი ერის და განსაკუთრებით კი მეზობელი და მეცეცხლური ერების თავისებურებებს, სულიერ სამყაროს და იმ წვლილს, რომელიც მათ შეჰქონდათ საკაცობრიო კულტურის საგანძურში. ცნობილია, ებრაელებს უდიდესი ამაგი მიუძღვით საკაცობრიო კულტურის განვითარებაში, მაგრამ ამასთან ისინი აღმოჩნდნენ ყველაზე ტანჯულ ერად მსოფლიოში. დიდხანს განიცდიდნენ დევნასა და შევიწროებას, მაგრამ სიმართლემ თავისი გაიტანა და მსოფლიო ცივილიზაციის აკვნის დამრწევ ერს დღესაც კუთვნილი წვლილი შეაქვს საკაცობრიო კულტურაში. ებრაელებსა და ქართველებს ურთიერთობის, თანაცხოვრებისა და თანამშრომლობის 1600 წლის ისტორია გააჩნიათ. აკაკიც კდემამოსილებითა და პატივისცემით ეპყრობოდა მრავალტანჯულ ხალხს და დიდად აფასებდა მის ამაგს ცივილიზაციაში.

„გადასულ ერებში, — წერდა იგი, — ყველაზე უფრო ურიები მომწონს. სიტყვა „ურია" ჰნიშნავს დიდს და მართლაც, რომ ძველად, ოდესმე, როგორც სულიერი მკვლევარი და კერპობის დროსვე „ერთღმერთობის" მიმდევარი, დიადი ყოფილა ურიობა. არც ერთ ერთაგანს ბიბლიისებური ჩვენთვის არა დაუტოვებია რა. იქ არა თუ „შეჰმნათა საკითხავი", „მეფეთა წიგნი", „საწინასწარმეტყველოები" და სხვანი შესანიშნავია, უბრალო იგავ-არაკებსაც კი გენიოსობის ბეჭედი ასვიათ"[1].

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აკაკი ამ სიტყვებს ამბობდა მაშინ, როდესაც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და მათ შორის რუსეთშიც, ებრაელი ერი განიცდიდა საშინელ დევნას, დამცირებას, დარბევას. აქაც ნათლად ჩანს პოეტის დიდი ჰუმანიზმი, კაცთმოყვარეობა. ცნობილია, აკაკის კეთილმეზობლური და კეთილმეგობრული დამოკიდებულება აფხაზებისადმი, სომხებისადმი, აზერბაიჯანელებისადმი. აკაკისა და გ.შარვაშიძის ურთიერთდამოკიდებულება და პატივისცემა სამეცნიერო ლიტერატურაში გააზრებულია, როგორც ორი მოძმე ხალხის კეთილი ურთიერთობის ეტალონი.

---

[1] აკ. წერეთელი, თხზ. ტ.XIV. თბ., 1961, გვ.551.

ნაციონალ-შოვინისტების პროპაგანდის საფუძველზე, როდესაც 1905 წელს პროვოცირებულ იქნა სომეხთა და აზერბაიჯანელთა სისხლისმღვრელი შეტაკებები, რამაც უდანაშაულო ადამიანების ურიცხვი მსხვერპლი გამოიწვია, ამ ფაქტს გამოეხმაურა აკაკი წერეთელიც და როგორც შეეფერებოდა ღირსეულ პოეტსა და მოქალაქეს, კარის მეზობელსა და მეგობარს, მოუწოდა თანამოძმეებს შერიგებისაკენ:

გააგდეთ ხმალი...ხანჯალი,
ხელი მიეცით ძმურადა!
ნუ შესცქერიხართ ერთმანეთს
მტრულად და ბატონყმურადა.

ბედნიერება ამ ქვეყნად —
შეერთებული შრომაა,
რა დროს მტრობაა ძმებისა
და რა დროს განზე დგომაა?

შეერთდით, ძმებო, შერიგდით!
ხელი ხელს მიეცთ ძმურადა
და მტერს დაუხვდით გარეშეს
თამამად, ვაჟკაცურადა.

აკ. წერეთელი საფუძვლიანად იცნობდა მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსების — ჰომეროსის, ფირდოუსის, დანტეს, ტორკვატო ტასოს, შექსპირის, სერვანტესის, მოლიერის, გოეთეს, შილერის, პუშკინის, ტოლსტოის და სხვ. შემოქმედებას, იმოწმებდა მათ ნააზრევს თავის ქმნილებებში. დიდ შემოქმედს კარგად მოეხსენებოდა ის ცნობილი ჭეშმარიტება, რომ არ არსებობს საკაცობრიო პოეზია ეროვნულის გარეშე, ამიტომ აკაკი, როდესაც ეხებოდა მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენლების ნაამაგარს, უპირველეს ყოვლისა, იმას აღნიშნავდა, თუ რა წვლილი შეიტანა ამა თუ იმ მწერლის ნაღვაწმა მშობლიური ლიტერატურის საგანძურში. ეხებოდა რა ლევ ტოლსტოის შემოქმედებას, პოეტი აღნიშნავდა:

„გრაფ ტოლსტოის ხელოვნური ნაწარმოებები, პატარა-პატარა მოთხრობები სევასტოპოლის ბრძოლის შესახებ, კავკასიის ომების აღწერა, „კაზაკები“ და სხვანი მართლაც საოცრად ჰხიბლავენ მკითხ-

ველს. დიდმა რომანებმა: „ომი და ზავი“, „ანნა კარენინა“ და სხვანი საქვეყნოდ გაუთქვეს სახელი, როგორც გენიოს ხელოვანს... მის მოძღვრებას საფუძვლად სახარება ედვა. ის ჰქადაგებდა: „ერთობას, თანასწორობასა და სიყვარულს. წინააღმდეგი იყო ძლიერისაგან სუსტის დაჩაგვრისა და დიდისაგან პატარის ჩაყლაპვისა“[1].

აკ.წერეთელს სამართლიანად მიაჩნდა, რომ „მწერლობა საწამებლად თავის დადებაა“, რომ „მწერლობა იგივე მკურნალობაა და ვისაც ეს არ ესმის, კალამს რად იღებსო“. ჰუმანისტი პოეტი მთელი თავისი ნათელმოსილი ცხოვრების მანძილზე მხატვრული სიტყვის საშუალებით ჰქადაგებდა და ხალხში ნერგავდა მამულისათვის უანგარო თავდადებას, ერებს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის, ურთიერთპატივისცემისა და სიყვარულის მარად ცოცხალ იდეას.

1991.

8. სასიქადულო მამულიშვილი

აკ. წერეთელი იყო მშობლიური ხალხის ჭეშმარიტი ჰირისუფალი, მისი სატკივრისა და საფიქრალის გამომხატველი, ენისა და ისტორიის დამცველი, სამართლიანობისა და თავისუფლებისათვის თავგამოდებული მებრძოლი. აკაკის სალოცავი ხატი იყო საქართველო. მოსწრებულად თქვა გრ. რობაქიძემ: „აკაკი იყო „მკილავი“, ხანდახან „მჭირდავიც“ (თუმცა, ვიმეორებ, ღვარძლი არა ჰქონია). შეეძლო ყველას გაკილვა და ყველაფრის გაჭირდვა. მხოლოდ ერთი რამ არსებობდა მისთვის მთელ ქვეყანაზე, რომელსაც იგი ეთაყვანებოდა. ეს იყო საქართველო. მასთან ერთად რუსთაველი“[2].

სამშობლოს სიყვარული, სამშობლო ქვეყნისათვის თავდადება მგოსანს ნამდვილი ადამიანის უდიდეს მოვალეობად და ღირსებად მიაჩნდა. ცნობილი ქართველი მეცნიერისადმი, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორ დ.ჩუბინაშვილისადმი მიმართულ სიტყვაში პოეტმა აღნიშნა: „სამშობლოსადმი ერთგულება და მისთვის თავგანწირულად ბრძოლის ველზედ სისხლად დაწურვა, დიდ-სულობის ნიშანია და თანაც საჩინო ბეჭედი ერთ-გვარი მამულის-შვილობისა“.

---

[1] აკ. წერეთელი, თხზ. ტ. XIV, თბ., 1961, გვ.377.

[2] გრ. რობაქიძე, აკაკი, კრებ. „მოგონებები აკაკიზე“, თბ., 1990, გვ.371.

სამშობლო, უპირველეს ყოვლისა, გაცნობიერებულია ენაში. ენაა მისი უშუალო სიცხადე, მისი არსებობის მთავარი პირობა. რა ენა წახდეს, ერიც დაეცესო, — გვიანდერძა გრ.ორბელიანმა, ხოლო ამ უკანასკნელის ღირსეული შთამომავალი აკაკი წერეთელი მშობლიური ენის სიყვარულის შესახებ წერდა: „ქართული, ეს ჩემი დედაენაა, ყოველ ენაზე უფრო უტკბესი და უძვირფასესი ჩემთვის“ (სიტყვა თქმული აკაკის მიერ ერნესტო როსის პატივსაცემად გამართულ ვახშამზედ.)[1]

ეს სიყვარული პოეტმა მთელი ცხოვრება უმწიკვლოდ გამოატარა და ნასათუთევი და მოვლილი დედაენა მომდევნო თაობებს გადასცა საპატრონოდ.

აკ.წერეთელმა თავის თანამებრძოლსა და სულიერ მეგობარს ი.გოგებაშვილს უკანასკნელი გამოთხოვების ჟამს ასე მიმართა: „...აქ კი იღალადებენ შენი ნაშრომნი და დარჩება სამარადისოდ შენგან გატკეპნილი გზა და ვინც იმ გზას არ გაივლის, ის არც ქართველად იხსენიება“. იგივე სიტყვები ცოტაოდენი პერიფრაზით თამამად შეიძლება სულმნათ აკაკის მიმართ გავიმეოროთ: ვისაც აკაკის მიერ გაკვალულ გზაზე არ უვლია, არ განუცდია მისი ლირიკის მშვენიერება, არ ჩაუხედავს პოეტის სულიერ სამყაროში, არ გაუთავისებია მისი ტკივილები, ის ნამდვილი მამულიშვილი ვერ გახდება, ვერ გაიგებს ქართველი კაცის საწუხარს. დიდმა პოეტმა ფანტაზიის მომარჯვებით და რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით მხატვრულ სახეებში ახალი სიცოცხლე მიანიჭა გარდასულ ჟამთა ქართველ გმირებს. მამულისათვის თავდადებულ რაინდებს. მეფის მთავრობის კოლონიური ბანგით მოდუნებული ერის მეხსიერება გააცნობიერა და თაობებს მოუწოდა დარაზმულობისა და ერთობლივი ბრძოლისაკენ სამშობლოს გასათავისუფლებლად. გასული საუკუნის II ნახევრისა და მიმდინარე საუკუნის დასაწყისის ცნობილი ექიმი, საზოგადო მოღვაწე და კრიტიკოსი ივანე გომართელი წერდა: აკ.წერეთლის ნაწარმოებები ჩვენი დაქსაქსული ერის გაერთიანებას ემსახურება და ჩვენი მწერლობაც ამჟამად ამ გზით ვითარდებაო. ეს სიტყვები ითქვა ერთერთ საოჯახო წვეულებაზე, სადაც ესწრებოდა თვით პოეტიც. ამის საპასუხოდ მგოსანს უთქვამს:

„რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა აქვს ერის ერთიან სულს,

---

[1] აკ. წ ე რ ე თ ე ლ ი, რჩ. ნაწერები. ტ.IV, თბ.. 1990, გვ. 463.

მაგრამ ამას უნდა მოჰყვეს პრაქტიკული ნაბიჯი ერის ყველა ტომის ერთიანობისათვის. უნდა ვებრძოლოთ მის დაქსაქსვას, ვინც უნდა იყოს ამის მიზეზი — შეუგნებელი შინაური თუ ცბიერი გარეული. საჭიროა ბავშვების შეგნებაშიც კი განვამტკიცოთ ის, რაც ამჟამად ხდება ერში"[1].

როგორ თანამედროვედ ჟღერს პოეტის სიტყვები, როგორი მშობლიური მზრუნველობით, წინასწარმეტყველის გამჭრიახი გონებით ადევნებდა თვალს აკაკი ერის ცხოვრების ყველაზე მტკივნეულ მხარეს და ცდილობდა ხალხის ჭრილობას მალამოდ დადებოდა. ფრიად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ აკ.წერეთლის შემოქმედება თვით მწერლის სიცოცხლეშივე საოცარ ზეგავლენას ახდენდა თანამედროვეებზე: ზრდიდა მათ მამულიშვილურ გრძნობას, სხვა ხალხთა პატივისცემისა და თანადგომის უნარს, აყალიბებდა ახალგაზრდების სულიერ სამყაროს და მტკიცედ ნერგავდა ხვალინდელი დღის რწმენას. ეს უდიდესი დამსახურება იყო ერის წინაშე. ამ გარემოებაზე მიუთითებდნენ პოეტის თანამედროვეები. მოვიტანთ ორიოდე მაგალითს. მწიგნობარი და საზოგადო მოღვაწე სოსიკო მერკვილაძე წერდა:.

„აკაკი მთელი რიგი ახალგაზრდათა თაობის აღმზრდელი იყო და მათ შორის ჩემიც. მთელი საქართველოს დაბალი ხალხის უსაყვარლესი და უძვირფასესი მგოსანი, მას შევხაროდით ყველგან და ყოველთვის, ის ჩვენთვის ღმერთი იყო"[2].

მეორე ცნობილი მოღვაწე ეკატერინე (კატო) მიქელაძე მიუთითებდა: „ჩემი ბავშვობისას მე ბევრი თვალტანადი ქართველი ვაჟკაცი მინახავს, მაგრამ არც ერთ მათგანს ჩემზე ისეთი შთაბეჭდილება არ მოუხდენია, როგორც აკაკის. მისი ზეაზიდული, ჩაფსკვნილი ტანი, ზევსისებური მზიური სახე, მაღალი შუბლი და ფართო, კეთილი თვალები საამური გაკვირვებით შეგაჩერდებათ, მისი ტკბილი საუბარი, ციური სიცილი დაუვიწყარ ხსოვნას სტოვებდა. აღსანიშნავია, რომ აკაკი დიდსა და პატარას ერთნაირად ხიბლავდა. ეს ბუმბერაზი შეხედულების კაცი კი არ გვაშინებდა ბავშვებს, არამედ გვათბობდა, გვიზიდავდა. პატარებთან მას თავისებური მომხიბლავი ენა ჰქონდა. აკაკი არაფრით არ წაგავდა იმდროინდელ დაბღენძილ ინტელიგენტებს, რომლებიც ბატონკაცურად გამოიყურებოდნენ და

---

[1] გაზ. „თბილისი", 24.IV.1990.

[2] კრებ. „მოგონებები აკაკიზე", თბ., 1990, გვ.313.

რომლებთანაც ლაპარაკს არა თუ ბავშვი, დიდებიც კი ვერ ბედავდნენ, თუ მათ უმაღლესი განათლება არა ჰქონდათ მიღებული. აკაკი იყო ნამდვილი ხალხოსანი, ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით"[1].

პოეტურ ალმაფრენასთან და დიდ ინტელექტთან ერთად აკაკი ყურადღებას იპყრობდა გარეგნული იერითა და ლოგიკური და მიმზიდველი მეტყველებით. ცნობილი მხატვარი მოსე თოიძე წერდა: „პოეტის გარეგნობა ანტიკური უკვდავი ქანდაკების შთაბეჭდილებას იძლეოდა"-ო.[2]

მწერლის თანამედროვე პოეტი დომენტი თომაშვილი მოგვითხრობს: „აკაკის მეტყველებას და გრძნეულ საუბარს რაღაც მომაჯადოებელი ზეგავლენა ჰქონდა მსმენელზე. ტკბილი, ხავერდოვანი და მეტად მოქნილი კილო მეტყველებისა, რომელსაც ერთი ბეწვისოდენა წაბორძიკებაც არსად შეემჩნეოდა, საოცრად იზიდავდა ადამიანს — და, როცა პოეტი საუბარს დაასრულებდა, გული დაგწყდებოდათ, ნეტავ ერთხანს კიდევ ესაუბრაო."[3]

სასიქადულო მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ შ.დადიანმა ორიოდე შტრიხით აკაკის დიდებული პორტრეტი შექმნა: „აკაკი მომხიბვლელი მოსაუბრე იყო და მომაჯადოებელი ღიმილის პატრონი. მისი გაცინება მართლა რომ სიხარულს ჰფენდა ირგვლივ"[4].

იმდენად თვალსაჩინო იყო აკ.წერეთლის (ილია ჭავჭავაძესთან ერთად) ზეგავლენა მწერლის თანამედროვე შემოქმედებით და ინტელექტუალურ საზოგადოებაზე, რომ გერმანიიდან ჩამოსვლისთანავე ცნობილ ორიენტალისტს არტურ ლაისტს ათქმევინა შემდეგი სიტყვები: „ჩვენი გაცნობის პირველსავე დღეს მივხვდი, რომ ეს ორი მწერალი — ილია და აკაკი — საქართველოს მთელ მაშინდელ გონებრივ ცხოვრებას განასახიერებდა".[5]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აკ.წერეთლის მხატვრულმა და პუბლიცისტურმა მემკვიდრეობამ, ეროვნულმა კონცეფციამ, ერთი მხრივ, ხელი შეუწყო იმ დროისათვის ჯერ კიდევ დაქსაქსული ქართველი ხალხის კონსოლიდაციას, ერის მეამბოხე სულის აღორძინებასა და განვითარებას, მეორე მხრივ, განამტკიცა ის ძვირფასი ტრადიციე-

---

[1] კრებ. „მოგონებები აკაკიზე", თბ., 1990, გვ.325.
[2] იქვე, გვ.209.
[3] იქვე, გვ.214.
[4] იქვე, გვ.107.
[5] იქვე, გვ. 275.

ბი, რომლებიც ასულდგმულებდა ქართველ ერს საუკუნეების მანძილზე. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ რუსთაველის შემდეგ ქართველ მწერალთაგან იშვიათად თუ ვინმეს ღირსებია ისეთი პოპულარობა, როგორც აკაკის. მთელმა ერმა სიცოცხლეშივე აღიარა თავისი სათაყვანებელი მგოსანი პოეზიის უგვირგვინო მეფედ. ხალხი არასოდეს ცდება საკუთარ შვილთა მოღვაწეობის შეფასებაში, ხალხის მეხსიერება ასეთ დროს უტყუარი საწყაოა. აქ უპრიანია დავიმოწმოთ ცნობილი მეცნიერის, პროფესორ რუსუდან ნიკოლაძის (ნიკო ნიკოლაძის ქალიშვილის) სიტყვები:

„მამა ხაზგასმით და აღტაცებით აღნიშნავდა, რომ, რასაც იგი, მესხი ან გიორგი წერეთელი გრძელ-გრძელი წერილებით ძლივს გამოთქვამდნენ, ან სულაც ვერ გამოთქვამდნენ მკითხველისათვის იმდროინდელი ცენზურის კლანჭებში, იმას აკაკის ჩანგი „ერთი სიმის ჩამოკვრით“ ააძგერებდა და აანთებდა მთელ ხალხის გულში.

კირილეც (ლორთქიფანიძე — ო.ჭ.) მხურვალედ ადასტურებდა ამის სისწორეს და მამასთან ერთად ეხუმრებოდა აკაკის, რომ ერთი უცქლელი ოცნებით გატაცებული მისი ჩანგი ყველაფერს ჩვენი განთავისუფლების სიმბოლოდ აქცევს, ყუმბარიდან ციცინათელამდე“.[1]

აკ. წერეთელს ფაქტიურად არ ჰქონდა მუდმივი საცხოვრებელი არც ქუთაისსა და არც თბილისში. როგორც თავის მოგონებებში მიუთითებდა ექვთიმე თაყაიშვილი, „აკ. წერეთელი ხან ერთ სასტუმროში ცხოვრობდა, ხან — მეორეში. სამსახური თავის დღეში არა ჰქონია, მაშასადამე, მისთვის არც ჯამაგირი არსებობდა. ცოტა შემოსავალს იღებდა თავისი მამულიდან და ყოველთვის უფულოდ იყო. მაგრამ, როგორც დამსახურებული და უებრო პოეტი, ის ყველასათვის საყვარელი კაცი იყო და შეძლებისამებრ ყველა ეხმარებოდა. ხშირად მას სასტუმროს მეპატრონენი, ნამეტნავად იმერლები და გურულები, არც ბინაში, არც სასმელ-საჭმელში ფულს არ თხოვდნენ.“[2]

მართალია, აკაკის მცირედი შემოსავალი ჰქონდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული თავისი ნაწარმოებების ჰონორარის სახით, მაგრამ ეს უმნიშვნელო თანხა იყო. მას გარკვეულ ფულად დახმარებას უწევდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება.

---

[1] კრებ. „მოგონებები აკაკიზე“, თბ., 1990, გვ. 353.

[2] იქვე, გვ. 202.

თანამედროვეთა ცნობით, აკ.წერეთელი ხშირად ჩერდებოდა ნაცნობ-მეგობართა ოჯახებშიც. თბილისში ნიკო დიასამიძის, მარიამ (მაკო) საფაროვა-აბაშიძის, ელისაბედ ჭავჭავაძე-მარჯანიშვილის (კოტე მარჯანიშვილის დედის), ივანე მაჩაბლისა და სოსიკო მერკვილაძის ოჯახების კარები აკაკისათვის მუდამ ღია იყო; ქუთაისში ნიკო ნიკოლაძის დების — ეკატერინე და ანასტასია ნიკოლაძეების, ეფემია კლდიაშვილის, ანეტა ღოღობერიძე-მუსხელიშვილის, ექიმ გ.გოკიელის, სერგო ბახტაძის, ალექსი ჭიჭინაძის, ბეჟან წერეთლის ოჯახების ხშირი სტუმარი გახლდათ; ყვირილაში, როგორც წესი, ჩერდებოდა დეკანოზ დავით ღამბაშიძესთან; ხონში — ივანე შარაშიძესთან და სერგო ბახტაძესთან. გულუხვი მასპინძლები ძვირფას ადამიანს საგანგებო ყურადღებით ექცეოდნენ და როგორც დასვენების, ისე შემოქმედებითი შრომისათვის სასურველ პირობებს უქმნიდნენ.

მიუხედავად მატერიალური ხელმოკლეობისა, აკ. წერეთელი დიდი ქველმოქმედი მამულიშვილი იყო. იგი მონდომებით ზრუნავდა ნიჭიერი ახალგაზრდობის აღზრდისა და განათლებისათვის. დამწყებ მწერლებს, პოეტებს, მსახიობებს ხელს უმართავდა, აგულიანებდა, შუამდგომლობდა რედაქციების წინაშე მათი ნაწარმოებების დასაბეჭდად. ახალგაზრდა პოეტები და მსახიობები ხშირად მონაწილეობდნენ დიდი აკაკის ლიტერატურულ საღამოებში. მან შემოქმედებით სარბიელზე დაულოცა გზა შალვა დადიანს, გალაკტიონ ტაბიძეს, იოსებ გრიშაშვილს, კოლაუ ნადირაძეს, ვარლამ რუხაძეს, მარიამ საფაროვა-აბაშიძეს, ეფემია მესხს და სხვ.

მწერალი ხშირად ნივთიერ დახმარებას უწევდა ღარიბ მოსწავლეებსა და სტუდენტებს. ამ მხრივ საინტერესო მოგონება შემოგვინახა დ.ფალავამ, რომელიც ახლოს იცნობდა დიდ პოეტს და ხშირად ხვდებოდა მას სოსო მერკვილაძის ოჯახში. .დ.ფალავა მოგვითხრობს: „ერთს ჩემს ამხანაგს ვ.ქ.-ძეს ძმამ, რომელიც ზრდიდა მას, ფულის გამოგზავნაზე უარი შემოუთვალა, სწერდა, რომ მისი საქმე ცუდად წავიდა და არავითარი დახმარება არ შეუძლია გაუწიოს, „უკვე მე-6 კლასში ხარ და შეგიძლია აწი თავი ირჩინოო“. ჩემს ამხანაგს კი სწავლის განგრძობა უნდოდა და მის მწუხარებას საზღვარი არ ჰქონდა.

აკაკის ვუამბე ამხანაგის გასაჭირი. ძალიან შეწუხდა და მითხრა: უთუოდ მნახოსო.

მეორე დღესვე მივუყვანე ამხანაგი აკაკის აკაკიმ დაწვრილებით გამოჰკითხა ყველაფერი და როცა დარწმუნდა, რომ ბავშვს სწავლა ძალიან სწყუროდა, უთხრა: მე დაგეხმარები, ოღონდ შენ ისწავლე, და თუ საჭირო იქნება, საზღვარგარეთაც გაგგზავნიო.

გახსნა მაშინვე საფულე, ამოიღო სამოცდახუთი მანეთი და მისცა, თავისთვის არაფერი დაუტოვებია... ამას გარდა, მას ჰყავდა ღარიბი ნათესავები, ვიღაც ერისთავები, რომელნიც კვირაში ერთხელ მაინც მოვიდოდნენ დახმარების სათხოვნელად. აკაკი მუდამ ეხმარებოდა.“[1]

მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ აკაკიმ თავისი მამაპაპეული ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი ანდერძით საქველმოქმედო საქმეს შესწირა. ამასთან დაკავშირებით მეტად საინტერესოა ე.თაყაიშვილის მოგონება. ერთხელ აკაკის შეუჩივლია ე. თაყაიშვილისათვის: „ყველაფერზე გული ამივარდა, არც ერთი ჩვენი დაწესებულება არ მაკმაყოფილებს შენი საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მეტი და ჩემი ქონება თქვენ უნდა დაგიტოვოთ ანდერძითო. მე გავიცინე და ღიმილით ვუთხარი:

— აკაკი! შენი ჭირიმე, ჩვენი დაღუპვა თუ არ გინდა, მაგას ნუ იქმ-მეთქი.

— რატომო? — მკითხა.

— იმიტომ, რომ მეშინია. შენს ვალებში არ გაგვიყიდონ ის ხელნაწერები და სხვა ნივთები, რომელნიც თქვენ უნდა დაგვიტოვო ანდერძით.

მან მიპასუხა:

— ვინ გითხრა ეს? ვალი ერთი კაპიკიც კი არა მაქვს, ან ვალი საიდან მექნება, როდესაც ფულს არავინ მასესხებს! ქე ნახავ მაშინ, როდესაც ჩემს მემკვიდრეობას მიიღებთ და მოსარჩლე არავინ გამოგიჩნდებათო. ამით გავათავეთ ლაპარაკი. წარმოიდგინეთ, წასულა აკაკი ქუთაისში და იმავე კვირაში ნოტარიული წესით დაუმტკიცებია ანდერძი, რომ მთელ თავის მამულს და მთელ თავის ნაწარმოებებს, გამოცემულს და გამოუცემელს, უტოვებს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას. ეს მე მხოლოდ მაშინ გავიგე, როდესაც აკაკი გარდაიცვალა.“[2]

მართლაც, ქუთაისში 1912 წლის 7 ნოემბერს შედგენილ „აკა-

———————

[1] კრებ. „მოგონებები აკაკიზე“, თბ., 1990, გვ.420 — 421.

[2] იქვე, გვ. 204 — 205.

კის ანდერძში“ ვკითხულობთ: „მე, თავადი აკაკი როსტომის ძე წერეთელი, რომელიც ვარ სრულ ჭკუასა და მტკიცე მეხსიერებაზე, საჭიროდ ვთვლი სიკვდილის შემდეგ დავტოვო შემდეგი ანდერძი: მთელს ჩემს კეთილშენაძენ უძრავ მამულს... ვუტოვებ ჩემს მეუღლე კნეინა ნატალია პეტრე ბაზილევსკის ასულს წერეთლისას და ჩემს შვილს თავადს ალექსი წერეთელს... ამ მამულიდან სამოსახლო ადგილს შენობებით და კარის ეკლესიით სოფელ სხვიტორში, შორაპნის მაზრაში, საკუთრებად ვუტოვებ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რომ იქ გაიხსნას დედათა სკოლა ჩემის სახელობისა; ვენახსა და დანარჩენს ჩემს მამულს ვუტოვებ საკუთრებად საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ქართულ ზღაპრებისა, არაკებისა და საერთოდ ზეპირს თქმულებათა შესაკრებად და გამოსაცემად. უფლება ჩემის ნაწერების გამოცემისა უნდა მიეცეს ზემოთ ხსენებულ საეთნოგრაფიო საზოგადოებას აღნიშნულ მიზნისათვის.“[1]

„ანდერძის თანახმად, — მიუთითებდა ე.თაყაიშვილი, — აკაკის სახლი, მამულიჭეზო და მისი ხელნაწერები მალე ჩავიბარეთ, მის სახლში გავხსენით მუზეუმი და მისივე ყოფილ მოურავს, კოტე აბდუშელიშვილს ჩავაბარეთ“.

როგორც ვხედავთ, პოეტის ჰუმანიზმი და სამშობლოს სიყვარულით ანთებული მგზნებარე სული აქაც გამოჩნდა. სასიქადულო მამულიშვილი უანგაროდ ზრუნავდა ეროვნული კულტურის აღორძინებისათვის.

ისიც სათქმელია, რომ ქველმოქმედების საქმეში მამას არც შვილი ჩამორჩა. აკაკის ერთადერთი პირმშო ალექსი, განათლებით ინჟინერი,“ ერთობ სიმპატიური ადამიანი იყო, ზრდილი, კაცთმოყვარე ლამაზი და კეთილი გულის პატრონი. მამა ძალიან უყვარდა, თუმცა ქართული ნაკლებად იცოდა, მაგრამ მამის თხზულებათა შინაარსი ზედმიწევნით ჰქონდა შეთვისებული“ (ე.თაყაიშვილი). იგი მთელი ცხოვრება რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში ეწეოდა ანტრეპრენიორობას. ხელმძღვანელობდა საოპერო ტრასს და მართავდა გასტროლებს ევროპის უდიდეს ქალაქებში. ამ საქმეში მამაც უწყობდა ხელს. წარმატებებიც კარგი ჰქონდა, მაგრამ ერთ დროს გაკოტრდა კიდეც, თუმცა შემდგომ ხელი ისე მოიმართა, რომ დიდი შემოსავალიც ჰქონდა. სიკვდილის წინ, ექვთიმე თაყაიშვილის ცნო-

---

[1] აკ. წერეთელი, თხზ. ტ.XIV, თბ., 1961; გვ.589.

ბით, მილიონნახევრად შეფასებული უმდიდრესი საკუთარი ბიბლიოთეკა, საოპერო დეკორაციები, თეატრალური ტანსაცმლები და სხვ. ანდერძით ქართულ საზოგადოებას დაუტოვა, მაგრამ ეს განძი ჩვენი დაუდევრობით დაიკარგა.

აკ.წერეთელი ჰაბუკი სულის, მებრძოლი განწყობილების ოპტიმისტად დარჩა სიცოცხლის დასასრულამდე. ჰაღარა პოეტის შემართებული სიტყვები — „გმირებს უძახის, უყივის ჩემი დაფი და ნაღარა!“ დღესაც საბრძოლო მოწოდებად გაისმის. ამასთან სულმნათ მამულიშვილს ღრმად სწამდა რუსთველური სიტყვებისა — „ჭირსა შიგან გამაგრება ისრე უნდა, ვით ქვიტკირსა“. ერთხელ ი. მეუნარგიამ აკაკის მიმართა სოციოლოგიური კითხვებით, რომელთა პასუხებში გამოჩნდა პოეტის მსოფლმხედველობისა და ხასიათის რიგი თავისებურება. სხვათა შორის, ერთ-ერთი კითხვა ასეთი იყო: „რომელია ყველაზე დიდი ბედნიერება?“ აკაკის პასუხი: „გარემოს ატანა“. ეს იგივეა, რაც ჭირთა თმენა. ალბათ, ისტორიულად ჭირთა თმენაც იყო ქართველი კაცის ხვედრი და ამანაც შეუწყო ხელი, როგორც ჩანს, ჩვენს გადარჩენას დიდი წარღვნებისაგან.

აკ. წერეთელი სამშობლოსადმი უნაპირო სიყვარულით, თავისუფლებისა და კაცთა მოდგმის სადიდებელი სიმღერებით, ადამიანისადმი უანგარო თანადგომით დღესაც აღაფრთოვანებს მამულიშვილებს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

1990

4. აკაკისა და იაკობის ურთიერთობიდან

გასული საუკუნის მეორე ნახევარში ქართული მწერლობისა და აზროვნების შინაარსი და მიმართულება ფაქტიურად სამი ბუმბერაზი წარმომადგენლის — ი.ჭავჭავაძის, აკ. წერეთლისა და ი.გოგებაშვილის მოღვაწეობამ განაპირობა. ეს, რასაკვირველია, ოდნავადაც არ აფერმკრთალებს იმ პერიოდის სხვა დიდებულ წარმომადგენელთა დამსახურებას ეროვნული მწერლობისა და კულტურის წინაშე. ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და იაკობ გოგებაშვილი აღიარებული წინამძღოლები იყვნენ იმ ახალი თაობისა, რომელმაც თავის სამოქმედო პროგრამას მიზნად დაუსახა მამულის, ენისა და სარწმუნოების დაცვა და აღორძინება. მათ მხატვრულ-პუბლიცის-

ტურ შემოქმედებაში საზოგადოებრივ მოღვაწეობასა და პრაქტიკულ საქმიანობაში აისახა ეპოქის ურთულესი პრობლემები და იდეები, რომელთა განხორციელებას უნდა მოჰყოლოდა ხალხის ეროვნული და სოციალური თავისუფლება, ეკონომიკური და კულტურული პროგრესი.

სტატიაში მოკრძალებული საუბარია აკ.წერეთლისა და ი.გოგებაშვილის შემოქმედებით და მეგობრულ ურთიერთობაზე. ამ მიზნით შეძლებისდაგვარად მოხმობილია მათი როგორც მხატვრულ-პუბლიცისტური, ისე მემუარული და ეპისტოლური ნაწარმოებები. ცნობილია, მიმოწერა და მოგონებები წერითი ურთიერთობის, აზრის გამოთქმის ის ფორმებია, რომლებშიც მეტნაკლები სიზუსტით, შედარებით უცდომელად წარმოჩინდება ავტორის სულიერი განცდები, მისწრაფებები, სხვა ვითარებაში დაჩრდილული ცხოვრების სინამდვილე, გულწრფელი დამოკიდებულება ადამიანებს შორის. თუ ამ კუთხითაც შევხედავთ აკ.წერეთლისა და ი.გოგებაშვილის ნაღვაწ-ნაამაგარს, აღმოვაჩენთ ბევრ ფაქტსა და მოვლენას, რომლებიც საინტერესოა არა მარტო მათი შემოქმედების რიგი საკითხის დაზუსტებისათვის, არამედ დღევანდელობის თვალსაზრისითაც, რამეთუ ამ გართულებულ და დაძაბულ სამყაროში ადამიანთა შორის კეთილი ურთიერთობის დამყარებასა და განმტკიცებას შეუწყობს ხელს.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ გასული საუკუნის სანიმუშო და სასიქადულო მამულიშვილები უდიდესი კდემამოსილებითა და პატივისცემით ეპყრობოდნენ ურთიერთის ღვაწლსა და ამაგს ლიტერატურულ და საზოგადოებრივ სარბიელზე. მათი თანამშრომლობა ზნეობრივი სრულყოფისა და დიდი ჰუმანიზმის გამოხატულება გახლდათ. გავიხსენოთ რა ღირსებითა და ადამიანური სითბოთი მიმართავდა დიდი ილია ჭავჭავაძე ნათელმოსილ აკაკი წერეთელს:

„ძმაო აკაკი, მე შენ ვერ გაგიკადნიერდი და ვერ მოგართვი ის დაბეჭდილი წერილი, რომელიც სხვებს გავუგზავნე. სხვები სხვანი არიან და შენ ერთადერთი აკაკი ხარ, ამიტომაც გარდა ჩემის საკუთარის წადილისა, მოვალეობამ მამულიშვილობისამ მაიძულა ჩვენი ქვეყნის „რჩეულისთვის“ რჩეული, განსაკუთრებითი წერილი მომერთმია და მეთხოვა გაგემშვენიერებინა ჩვენი გაზეთი შენის ნიჭის ნაშუქითა... მაინც და მაინც გთხოვ — დარწმუნებული იყო,

რომ შემეწევი თუ არ შემეწევი, ორსავე შემთხვევაში, სხვათა შორის, მეც ერთი გულწრფელი მადიდებელი და დამფასებელი შენის 25 წლის ღვაწლისა ვყოფილვარ, ვარ და ვიქნები".[1]

ი.ჭავჭავაძე განსაკუთრებული პატივისცემით იყო გამსჭვალული ი.გოგებაშვილის მიმართაც, რომელსაც ასეთი სტრიქონები უძღვნა:

იგია ფუძე ქართველისა,
მაგარი, ვითა ჯიქია...
დედა-ენიჱა წურთნა ყრმისა
მე ბევრჯერ მითქვამს, მიქია.

ასეთივე სუფთა და ამაღლებული იყო აკაკისა და იაკობის ურთიერთობაც. მართალია, მათ ჰქონდათ ცხარე კამათი ეროვნულ და ენათმეცნიერულ საკითხებზე, დავობდნენ პრესის საშუალებით, მკაცრად უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ ეს მათ არავითარ შემთხვევაში არ აძლევდა საბაბს, რომ ერთმანეთი უდიერად მოეხსენებინათ, პირიქით, ისინი ერთმანეთის შეხედულებებს, აზრებს, პოზიციებს პატივს სცემდნენ, მაგრამ ჭეშმარიტებას არასოდეს ღალატობდნენ.

სტატიაში „პასუხი „სახელოვან" ანტონ ფურცელაძეს" იაკობი წერდა: „აკაკი წერეთლისა და ჩემს შორის დაწყებული ხანგრძლივი პოლემიკა ქართული ენის გრამატიკულ ფორმულების თაობაზე იმით დასრულდა, რომ ჩვენი მანამდე უბრალო ნაცნობობა თითქმის მეგობრობად იქცა."[2] როგორც მათი ეპისტოლური მემკვიდრეობიდან ჩანს, ისინი ისე ახლო ურთიერთობაში იყვნენ, რომ უერთმანეთოდ დიდხანს ვერც ძლებდნენ. აკაკი ერთ-ერთ წერილში იაკობს ატყობინებდა: „წელს ორჯერ ჩამოვედი ბორჯომში რამდენიმე დღით, რადგანაც გარემოება მეტს დროს არ მაძლევდა, რომ საკუთრად შენ მენახე, მაგრამ ხომ გაგიგონია, „უბედო კაცს ქვა აღმართში მიეწევაო"... ორჯერვე გულდაწყვეტილი დავბრუნდი და ახლა აქა ვარ, ჩემ საჩხერეში... ვერ ვიტყვი, რომ მოწყენით ვიყო... მაგრამ ხანდახან კი მომენატრება ხოლმე, როგორც მარტოხელას, ზოგიერთი ჩემი ნაცნობების ნახვა და მათ რიცხვში შენი ყველაზე უმალ, არ გეგონოს,

---

[1] ი. ჭავჭავაძე. ტ.X, თბ., 1961, გვ.114 — 115.
[2] ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ.IV, თბ., 1955, გვ.304.

რომ იმერულათა გწერდე!.. აკაკურადა გწერ, მხოლოდ გულის აყოლით.“[1]

აკაკი აქვე მიუთითებს, რომ „ნაკადულის“ რედაქტორმა მარიამ დემურიამ მომწერა წერილი და მთხოვსო დახმარებას საბავშვო წიგნების გამოცემაში და თან დასძენს: „მე რა ავტორიტეტი ვარ, რომ აქ მომწვდნენ? შენ მანდ არ ხარ? შენ უკეთ არ მოახერხებ საყმაწვილოსაც და სავაჟკაცოსაც?“ აკაკი იაკობის ნიჭის, განათლების, შინაგანი კულტურის, ეროვნული საქმისადმი თავდადების უდიდესი პატივისმცემელი და დამფასებელი იყო.

აკაკი იაკობს თვლიდა ქართველი ინტელიგენციის ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენლად, ამიტომ გამოჩნდებოდა თუ არა რაიმე წამოწყება საზოგადოებრივ სარბიელზე, აკაკი მის ხელმძღვანელად ი. გოგებაშვილს ასახელებდა, იცოდა რა მეგობრის პრინციპულობა და სისპეტაკე. 1907 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის არჩევის დროს აკაკიმ ამ საზოგადოების თავმჯდომარედ წამოაყენა ი.გოგებაშვილის კანდიდატურა.

აკ. წერეთელი „დედაენის“ ავტორს უწოდებდა „წარსულის შვილს, მომავლის მამას და მყოფადის გადიას“, „ერის ბურჯს“, „უზადო მამულიშვილს“. თან დიდად აფასებდა და ანგარიშს უწევდა მის გონივრულ რჩევა-დარიგებას, რისთვისაც პოეტი ხშირად მიმართავდა იაკობს. 1909 წელს პარიზში ყოფნისას, აკაკის, როგორც წესი, ფული შემოაკლდა, სნეული პოეტი საგონებელში ჩავარდა. თან ისიც ადარდებდა, რომ სამკურნალოდ პარიზიდან რომში უნდა ჩასულიყო. იქ მას ელოდებოდა და დახმარებას ჰპირდებოდა ცნობილი სწავლული ისტორიკოსი მიხეილ თამარაშვილი. ასეთ დროს რჩევისა და დახმარებისათვის აკაკიმ თბილისში წერილით მიმართა თავის ძველ და უმტყუნო მეგობარს:

„ახლა მინდა რჩევა გკითხო: ვენეციაში მინდა შევუხვიო და იქ ალექსანდრე ზუბალაშვილი ვნახო, მდიდრებ ზუბალაშვილების ბიძა და დიდი შეძლებული, უცოლშვილო კაცი, მე მგონია, იმასთან მოლაპარაკება არ იქნება ურიგო. თუმცა გული არ მიწევს მათკენ, მაგრამ, თუ მირჩევ, იმ ზუბალოებსაც ვნახავდი. შვეიცარიაში არიან. ნათქვამია: „ცდა ბედის მონახევრეაო“... თუ მირჩევ მათ

---

[1] აკ. წერეთელი, თხზ. ტ.XV, 1963, გვ.116.

ნახვას, მათი ადრესიც მიშოვნე".[1] კიდევ ერთი მაგალითი. აკაკი იაკობის ერთ-ერთ წერილს ასე შეეხმიანა: „ხანდახან რომ გამომელაპარაკები ხოლმე, გულს მიკეთებ!.. აი ახლაც შენმა წერილმა და თან მოყოლებულმა წიგნმა გულს გადამაყარეს მოწოლილი სევდა!.. გადავიკითხე, გადავათვალიერე მუშტრის თვალით, ავწონ-დავწონე და შიგ ჰეშმარიტებისა და სიკარგის მეტი ვერა ვიპოვე რა. კურთხეულ იყოს არა მარტო შენი შრომა, ყოველი ბიჯის გადადგმაც კი!.."[2]

აკაკის და იაკობს იმდენად ახლო ურთიერთობა ჰქონდათ, რომ ეს უკანასკნელი თავისი „დედაენის" რედაქტირებას აკაკისთან ერთად აწარმოებდა. 1909 წელს დაწერილ სტატიაში „ორ სიტყვაში ოთხიოდე უცნაურობა" ი.გოგებაშვილი აღნიშნავდა: „რამდენიმე წლის წინად „დედა-ენის" ანბანში, აკაკის დახმარებით, გამოვტოვეთ ყველა ის სიტყვები, რომელნიც დასავლეთ საქართველოში არ იხმარებიან."[3]

ი. გოგებაშვილი აკაკის შემოქმედებაზე უმაღლესი შეხედულებისა იყო. იგი მიუთითებდა, რომ აკაკიმ შექმნა უძირო მორევი პოეზიისა და ეს გახლდათო ხალასი ნიჭის წყალობა, ხოლო დიდი პედაგოგის აზრით, „ნამდვილი ნიჭი კი ძალაა, რომელიც ემორჩილება თავის შინაგან მოწოდებასა და რომელსაც ვერ შეაფერხებს ვერც ქება და ვერც ძაგება."[4] ი.ჭავჭავაძე და აკ. წერეთელი ი.გოგებაშვილისათვის უდიდესი ავტორიტეტები იყვნენ. მას სჯეროდა ამ ნათელი ადამიანებისა და ყოველ საჭირო შემთხვევაში კიდევაც იმოწმებდა მათ შეხედულებებს თავისი მოსაზრებების დასადასტურებლად. ი.გოგებაშვილმა ერთ-ერთ თავის ძარღვიან სტატიას „ეროვნული შავი ჭირი იმიერ და ამიერ საქართველოში" ეპიგრაფად წაუმძღვარა ი. ჭავჭავაძის სიტყვები: „ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი?" და დაასრულა აკაკის „ღამურადან" მოტანილი სტროფებით:

კრულ იყოს მისი სახელი,
ვინც მთა გასცვალოს ბარზედა!
თვის ტომის დამწუნებელსა
ჭირი მიუვა კარზედა.

---

[1] აკ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ. ტ. XV, თბ., 1963. გვ.123.
[2] იქვე. გვ.124.
[3] ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი, თხზ. ტ. IV, თბ., 1955, გვ.317.
[4] იქვე, გვ.231.

ნურავინ ისხამს სხვის ჭურჭსა
და ნუ სცვლის თავის ენასა,
თორემ ბოლო დროს მოიმკის
მდუღარე ცრემლთა დენასა!

გადაგვარების მოსურნე
ბუნებისაგან კრულია,
მისი პირადი ღირსება
ყოველგან დაჩაგრულია.

დიდი ქართველი მწერლების მოტანილ სიტყვებში ჩადებული აზრი ნათლად გამოხატავს სტატიისა და მისი ავტორის მებრძოლ სულს, სტატიისა, რომელშიც დაუნდობლად მხილებულია ი.გოგებაშვილის თანამედროვე ზოგიერთი ქართველი ორპოფი და ღალატიანი ინტელიგენტი.

იაკობის თქმით, აკაკი იყო „მთავარი მამულიშვილი და დიდი პოეტი საქართველოსი... ამასთან მაღალი და თავისებური ნიჭი, რომლითაც უხვად დაჯილდოებულია აკაკი, თვით ევროპულ ერებშიაც ძალიან იშვიათი მოვლენაა და, ვინ იცის, ელირსება თუ არა ქართველს ერს მეორე აკაკი შემდეგ საუკუნეებში.“[1]

იაკობი ასე ანვითარებს მსჯელობას: განვითარებულ ერებში ასეთ ადამიანებს განსაკუთრებულ პატივს სცემენ და ჩვენ კი ხალხისთვის გადაგებული დიდი მგოსანი უყურადღებოდ გვრჩებაო. გულდაწყვეტილი ი. გოგებაშვილი შემდგომ აკაკის პოეზიას ახასიათებს, როგორც ღვთაებრივ მოვლენას, ერის სულისა და მისწრაფებების გამომხატველს:

„აკაკი პატარა საქართველოა, — წერდა იაკობი, — მაგრამ ამ დიდებულს სახელს მარტო მას ვერ დავუსაკუთრებთ, რადგანაც, თვით აკაკის სასიხარულოდ და ჩვენდა სანუგეშოდ, პატარა საქართველონი სხვანიც გვყავს: რუსთაველი, ილია, ნ. ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა, აკაკიმ შექმნა თავისი საოცარი მთელი სკოლა. პოეტებისა. თითქმის ყველა ჩვენებურს მეორე ხარისხის პოეტს აზის ბეჭედი აკაკისა... ესენი ყველანი პატარა აკაკები არიან. ასეთი მოხიბლვა შეუძლიან მხოლოდ გენიალურს პოეტურ ნიჭსა... აკაკი განხორციელებული მამულიშვილობაა, რასაც უნდა სწერდეს აკაკი ლექსით თუ პროზით,

[1] ი. გოგებაშვილი, ნაციონალური საჩუქარი, თხზ. ტ. IV, თბ., 1955, გვ.34.

ყველაში გამოსვივის აპრიალებული სიყვარული სატრფო სამშობლოსი... ძლიერი სიყვარული სამშობლოსი ჰბადავს ძლიერს სიყვარულს კაცობრიობისას. მხოლოდ ტალანტები, გენიოსები — დიდი პატრიოტები, იმავე დროს დიდი მოყვარენიც იყვნენ კაცობრიობისა. ასეთია აკაკიც.“[1]

ამონაწერი ცოტა დიდი მოგვივიდა, რისთვისაც ბოდიშს ვიხდით მკითხველის წინაშე, მაგრამ მისი ასეთი სახით მოტანა აუცილებლად ჩავთვალეთ იმიტომ, რომ მასში დიდებულად ჩანს გოგებაშვილის შეხედულება აკაკის მხატვრულ სამყაროზე, მისი მოღვაწეობისადმი საზოგადოებრივ სარბიელზე. დახასიათებულია პოეტის შემოქმედების თავისებურება და მინიშნებულია მის მიერ შექმნილ ფასეულობათა ადგილზე ეროვნული კულტურის საგანძურში. ისე, როგორც ი.ჭავჭავაძემ თავის დროზე მისცა ჭეშმარიტად მართებული შეფასება ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებას, ასევე ი. გოგებაშვილმა აკ. წერეთელს მიუჩინა ადგილი ქართველ მწერალთა თანავარსკვლავედში, სადაც დიდმა პედაგოგმა მის გვერდით მოათავსა რუსთაველი, ბარათაშვილი, ი. ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა. სიმართლე უნდა ითქვას, აკ. წერეთლის შემოქმედების ასეთი ღრმა და ყოველმხრივი შეფასება პირველად მოგვცა პოეტის თანამოკალმემ და თანამებრძოლმა ი.გოგებაშვილმა.

მეტად საყურადღებოა ი.გოგებაშვილის აზრი იმის თაობაზე, რომ აკ. წერეთელს უფრო მეტის გაკეთება შეეძლო, რომ მას ეცხოვრა სამართლებრივ საზოგადოებაში, მაშინ მის ნიჭს მეტი გასაქანი ექნებოდა. პოეტი კი ცხოვრობდა, მოღვაწეობდა ისეთ სამყაროში, რომელიც ჩანასახშივე ახშობდა თავისუფალი აზრის ნებისმიერ გამოვლენას. უთუოდ საყურადღებო და სახელმძღვანელოა იაკობის სიტყვები:

„აკაკი რომ ნორმალურ პირობებში და ნორმალურ სკოლაში აღზრდილიყო, იგი მსოფლიო გენიოსების რიგში საპატიო ადგილს დაიჭერდა, როგორც დაიჭირა პატარა, მაგრამ დამოუკიდებელის, ნორვეგიის შვილმა იბსენმა... მაგრამ, საუბედუროდ, ის, რაც ჩვენმა ერმა მეთვრამეტე საუკუნის დამლევს სასურველ ნავსადგურად მიიჩნია, დახავსებული ჭაობი აღმოჩნდა, რომელშიაც ლამის ჩაიხრჩოს. სწორედ ამ ჭაობის ატმოსფერომ დაუშალა აკაკის და მის ტოლ ჩვენე-

---

[1] ი. გოგებაშვილი, იალბუზი ქართული პოეზიისა, თხზ. ტ. IV, თბ., 1955, გვ.226 — 227.

ბურ მგოსნებს, მსოფლიო გენიოსებად გამხდარიყვნენ.“[1]

1908 წელს გამოვიდა სალიტერატურო-მხატვრული ალმანახი „აკაკის დღე საქართველოში“, რომლის პირველ ნომერში ი. გოგებაშვილმა დაბეჭდა წერილი „საიუბილეო სალამი ძვირფასო მგოსანო და მამულიშვილო აკაკი!“ ეს გახლავთ უცნაური ჟანრის ქმნილება. იგი პუბლიცისტურიცაა და უაღრესად მხატვრულიც, პოეტურიც. ავტორი მდიდარი ფანტაზიის მოხმობით ცდილობს უჩვენოს, მგოსნის მიერ არჩეული გზა თუ რა მაცდუნებელ გზაჯვარედინზე გადიოდა. ახალგაზრდა აკაკის გამოეცხადებიან მომხიბლავი სირინოზები. ერთნი ჰპირდებიან გენერლობას, ჩინ-მედლებს, უზრუნველ სიბერეს, მეორენი — ოქრო-ვერცხლს, სხვები კიდევ სხვადასხვა ცხოვრებისეულ სატყუარას. ბოლოს ახალგაზრდა პოეტის წინაშე წარსდგება პატარა, გამხდარი, მწუხარი, ფერმიხდილი სირინოზი, რომელმაც ასე მიმართა:

„მე ვარ მოციქული შენი პატარა, დაჩაგრულის, გაღარიბებულის, უკიდურესად შევიწროვებულის სამშობლოსი. თუ შენს საოცარ ნიჭს შესწირავ შენს უბედურს სამშობლოს, გზა ცხოვრებისა შენისა ეკლით იქნება სავსე: შენ არ მოგაკლდება არც სიმშილი, არც წყურვილი, არც სიტიტელე და არც სხვა გვარი ტანჯვა-წვალება. მაგრამ სამაგიეროდ შენ დაიმსახურებ მთელის შენის ერის უმხურვალეს და ულრმეს სიყვარულსა, იმისთანა გულწრფელს სიყვარულს, რომელიც შეუძლია მხოლოდ დაჩაგრულის ერის გულსა.“ პოეტმა სწორედ ეს სირინოზი ჩაიკრა გულში და „ზეციდამც კურთხევა მოისმა“. იმ დღიდან მოყოლებული პოეტის გენიალური მუზა, როგორც მიუთითებს ი.გოგებაშვილი, „განუწყვეტლივ, შეუსვენებლივ ემსახურება მხოლოდ ერთად ერთს მაღალს დანიშნულებას: სამშობლოს აღდგენას, ამაღლებას, აყვავებას“. და ბოლოს იაკობი ასე მიმართავს თავის სულიერ მეგობარს:

„ეკლიან გზას არც ერთხელ არ შეუდრეკია თქვენი მამულიშვილობით აღსავსე გული“. ეს იყო აკაკის ღვაწლისა და მხატვრულ ფასეულობათა აღიარება. ამასთან ზემომოტანილი სიტყვები ი.გოგებაშვილის მიერ ახალგაზრდების გასაგონადაც იყო ნათქვამი, რათა მათ გზათა გასაყარზე სავალის არჩევისას არ დაეშვათ საბედისწერო შეცდომა და ტკბილსა და მაცდუნებელ სატყუარას ისინი არ აეცდინა

---

[1] ი. გოგებაშვილი, „იალბუზი ქართული პოეზიისა“, თხზ. ტ.IV, თბ., 1955.

მამულის სამსახურისაკენ მიმავალი ერთადერთი სწორი გზიდან.

ი. გოგებაშვილი დიდი ქველმოქმედი იყო. სხვათა შორის, მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობის ერთი საჩინო უბანი ქველმოქმედებაც გახლდათ. სასიქადულო მამულიშვილი გულწრფელად, უანგაროდ, ნივთიერად ეხმარებოდა სხვადასხვა ქალაქებში მოსწავლე ქართველ სტუდენტებს, ხელმოკლე მოსწავლეებსა და მწერლებს. ღარიბ, ნიჭიერ სტუდენტებს უნიშნავდა მუდმივ სტიპენდიებს, მატერიალურ შემწეობას აძლევდა ეგ. ნინოშვილს, თ. სახოკიას, აკ. წერეთელს და სხვა. იაკობის ახლობელი პროფესორი ფილიპე გოგიჩაიშვილი მოგვითხრობს: „თავისი შემოსავლის სულ ცოტა ნახევარს ი. გოგებაშვილი საქველმოქმედო საქმეებზე ხარჯავდა... იშვიათად გამოზრდილა იმ დროში საშუალო თუ უმაღლეს სასწავლებელში ხელმოკლე ქართველი, რომლისთვისაც ი. გოგებაშვილს აშკარად თუ ფარულად დახმარება არ მიეცეს“.[1] მსგავს ცნობებს გვაწვდიან იაკობის ახლობელი, ნიკო ცხვედაძის ასული ელენე გოგიჩაიშვილისა, საზოგადო მოღვაწე ალ. მიქაბერიძე და სხვ.

1912 წელს ჟურნალ „განათლებაში“ (№6) გამოქვეყნდა ი.გოგებაშვილის „ანდერძი“, რომლის ძალითაც ავტორი თავისი ქონების უმეტეს ნაწილს უტოვებდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. ამასთან, ამავე საზოგადოებას დააკისრა მთელი რიგი ვალდებულებანი ქონების დანარჩენი ნაწილის სხვადასხვა პირებსა და საზოგადოებებზე გადაცემის თაობაზე. სულ ჩამოთვლილია 10 პუნქტი. მე-8 პუნქტში ვკითხულობთ: საზოგადოება „ყოველწლიურად აძლევს აკაკი როსტომის ძე წერეთელს ას მანეთს, როგორც ჰონორარს იმ საბავშვო ლექსებისათვის, რომლებიც იბეჭდება „დედა-ენაში“ და რომლებიც ჩემის თხოვნით სპეციალურად დაწერილია ამ ჩემი გამოცემისათვის“.[2]

როგორც ვხედავთ, ი.გოგებაშვილის კეთილშობილება და გულწრფელობა აქაც გამოჩნდა, აქაც იჩინა თავი მისმა ერთგულებამ დიდი მგოსნისადმი, რომელიც იმ დროისათვის საგრძნობლად დავრდომილი იყო და, ადვილი წარმოსადგენია, გენიალური პოეტის გულს როგორ მიესალბუნებოდა მეგობრობის ასეთი რაინდული ნაბიჯი. ყველაზე აღსანიშნავი ის არის, რომ იაკობი სიკვდილის შემდეგაც „ფიქრობდა“

---

[1] კრებ. „იაკობ გოგებაშვილი“, ობ., 1940, გვ.274.

[2] ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ.IV, თბ., 1955, გვ.541.

თავის განუყრელ აკაკიზე.

ბედნიერები იყვნენ აკ.წერეთელი და ი.გოგებაშვილი, როგორც ბრძანებდა დიდი ილია, რომ სიცოცხლეშივე მოიმკეს თავიანთი შრომისა და გარჯის ნაყოფი; ნახეს, თუ როგორ აფასებდა და უყვარდა ხალხს მათი ქმნილებები, რომლებიც კიდევ დიდხანს გაუნათებენ გზას თაობებს თავისუფლებისა და სამართლიანობისათვის ბრძოლის სარბიელზე.

1990

გიორგი შარვაშიძის პატრიოტული ლირიკა

გიორგი მიხეილის ძე შარვაშიძე (ჩაჩბა) მრავალმხრივი შემოქმედი იყო. წერდა ლექსებს, პოემებს, პიესებს, პუბლიცისტურ სტატიებს, თეატრალურ რეცენზიებს, ეწეოდა მთარგმნელობით და საზოგადოებრივ საქმიანობას, გახლდათ საქართველოში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი წარმომადგენელი. მას ახლო მეგობრული და შემოქმედებითი ურთიერთობა აკავშირებდა გამოჩენილ ქართველ მწერლებთან და მოღვაწეებთან: ი.ჭავჭავაძესთან, აკ. წერეთელთან, ალ.ორბელიანთან, ს.მესხთან, კ.ლორთქიფანიძესთან, ნ.დადიანთან, ანტ.ფურცელაძესთან, მ.გურიელთან, ი. მეუნარგიასთან, თ. სახოკიასთან, შ. დადიანთან, ალ. ჭყონიასთან და სხვ. იგი მათთან ერთად იზიარებდა ქვეყნის ჭირ-ვარამს.

გ. შარვაშიძემ საკმაოდ მწყობრი ეროვნული კონცეფცია შეიმუშავა, რომელსაც საძირკვლად ჰქონდა მშობლიური ქვეყნის წარსული ცხოვრებისა და თანამედროვე ყოფის სულიერი და მატერიალური კულტურის საფუძვლიანი ცოდნა და ღრმა სიყვარული, ჰუმანიზმისა და დემოკრატიზმის პრინციპები. მისთვის უცხო იყო ეროვნული კარჩაკეტილობა და შეზღუდულობა: რაინდული ბუნების ადამიანი მთელი ცხოვრების მანძილზე ეთაყვანებოდა როგორც მშობლიურ აფხაზეთს, ისე დედასამშობლო სრულიად საქართველოს. სამართლიანად მიუთითებდა აკადემიკოსი ს. ჯანაშია: „გ. შარვაშიძე არასოდეს ყოფილა მოწყვეტილი „მშობლიურ ბუდეს“ „ქვეყანა მშობელი“ თავისი ადგილობრივი სპეციფიკურობით გ. შარვაშიძეს მართლაც ღრმა სიყვარულით უყვარდა“. უპრიანი იქნება აქვე დავიმოწმოთ ცნობილი მოაზროვნისა და მკვლევრის გ. ქიქოძის სიტყვები: „როგორც ნამდვილ აფხაზს შეეფერებოდა, გ. შარვაშიძეს ერთნაირი სიძლიერით უყვარდა ის დედაც, რომელმაც შობა და ის დედაც, რომელმაც თავისი რძით გამოკვება. მას მათთვის არ უღალატნია მათი სიღარიბისა და დამცირების დროს“.[1]

მამულის სიყვარული და წინაპართა ტრადიციების ერთგულება, სიცოცხლის ფესვის ძიება და სარწმუნოების განმტკიცება გ.შარვაშიძეს ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი და მთელ მის შემოქმედებასა და მოღვაწეობას მსჭვალავს.

---

[1] გ. ქ ი ქ ო ძ ე, მოგონებები... თბ., 1956, გვ.248.

თუ არ გულწრფელი სიყვარული და თავდადება მამულისათვის, უზადო ნიჭიერება, ბრწყინვალე განათლება, რაინდული სული, აფხაზური ტრადიციული ზრდილობა, ძნელი იყო იმ საერთო პატივისცემის მოპოვება, რაც მან დაიმსახურა მოწინავე ინტელიგენციაში. საინტერესოა მოვიგონოთ კონსტანტინე ერისთავისეული ხატოვანი პორტრეტი გ.შარვაშიძისა:

მისთვის მიყვარხარ უსაზღვროდ, ძმაო,
რომ შენი ქცევა რაინდულია,
რომ შენი გული, წმინდა და მტკიცე
კეთილის გრძნობით აღვსებულია!
რომ შენი ჯუა, გამოცდილება
შენში დაცული არის ღირსებით,
და შენი სული, დაუცემელი
არის ბრწყინვალე შენის არსებით...
თავაღერილი ამაყად დახვალ,
თავის უბედო მამულის ყმაო.
შენ გსურს სამშობლოს თავი შესწირო!
მისთვის მიყვარხარ უსაზღვროდ, ძმაო![1]

როდესაც ფიქრობ გ.შარვაშიძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე — მის ლექსებზე, დრამატულ ნაწარმოებებზე, პუბლიცისტიკასა და სტატიებზე, საერთოდ ღვაწლზე, მწერლის იმ დიდ ადამიანურ ტკივილზე, რომელიც გამოწვეული იყო სამშობლოს, ხალხის უნუგეშო მდგომარეობითა და სამომავლო გზების ძიებით, გაგონდება გასული საუკუნის ქართული მწერლობის საუკეთესო წარმომადგენლები.

შარვაშიძე შემართებული და უშიშარი იყო, როდესაც დაცვა სჭირდებოდა მამულს, მშობელ ხალხს, მის პატიოსნებასა და ღირსებას, როდესაც საქმე ეხებოდა ხალხის წინაშე მართლაც საღვთო ვალის აღსრულებას.

გ.შარვაშიძის ჩვენამდე მოღწეული ნაწარმოებები მცირედი ნაწილია იმ დიდი მემკვიდრეობისა, რომელიც დღესდღეობით დაკარგულად არის მიჩნეული, მაგრამ ის, რაც გადაურჩა ჟამთა სიმუხთლეს, მაინც სრულ წარმოდგენას გვაძლევს პოეტის მამულიშვილობის,

---

[1] „გიორგი შერვაშიძეს“, იხ. გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, მეორე გამოცემა, 1985 წ., გვ.227 — 228.

ნიჭის, შემოქმედების, კულტურის, სხვა ერების სულიერი სამყაროსადმი დამოკიდებულების შესახებ.

მართალია, გ.შარვაშიძე მრავალმხრივი შემოქმედი იყო, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ის უპირატესად პოეტია, ლირიკოსია. სწორედ ლირიკაში ჩანს ნათლად მისი პოეტურობა, ხატოვანი აზროვნება, ნათელხილვათა ხიბლი. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მისი ლირიკა სამი მიმართულებით განვითარდა: პატრიოტულ, სატრფიალო და სალაღობო ლირიკის სახით. ჩვენ შევეხებით მის პატრიოტულ ლირიკას.

როგორც მიუთითებდა ს.ჯანაშია, გ. შარვაშიძის ცხოვრებასა და შემოქმედებას ეპიგრაფად შეიძლება წაემძღვაროს მისი ერთი ლექსიდან შემდეგი სიტყვები: „უსამართლობის ცხოვრების ზღვაში შენ წილად გერგო მხოლოდ ტანჯვები“. მართლაც, პოეტის თავგადასავალი უსასრულო ტანჯვა იყო. ბავშვობიდან დაებედა მას დარდი და ფიქრი ჯვარცმულ სამშობლოზე. რუსეთის მეფის მთავრობამ თავის დროზე სახელგანთქმულ მეომარსა და პოლიტიკოსს მიხეილ შარვაშიძეს, პოეტის მამას, წაართვა (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით) აფხაზეთის სამთავრო ტახტი და გააძევა სამშობლოდან. თვითონ პოეტი მოაშორეს სანუკვარ მხარეს, სანატრელ აფხაზეთს და ყმაწვილკაცობიდან მოყოლებული მთელი ცხოვრების მანძილზე განიცდიდა დევნას. დამცირებას, შეურაცხყოფას. „როგორც ეტყობა, ამ ძალმომრეობამ ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა მასზე და ის სიკვდილამდე რუსეთის მეფის რეჟიმის შეურიგებელ მტრად დარჩა“ (გ. ჭიქოძე). მართალია, პოეტი გარეგნულად რაინდულად ინარჩუნებდა სიმშვიდეს, სულიერ წონასწორობას, ზრდილი აფხაზი არ იმჩნევდა დარდსა და კაეშანს, ასე ძალუმად რომ გამოვლინდა მის პოეტურ ბუნებაში. ის, რისი გაცხადებაც საჯაროდ არ შეიძლებოდა სხვადასხვა მიზეზების გამო, გამოხატულებას პოულობდა მხატვრულ ნაწარმოებებში, ეპისტოლურ მემკვიდრეობაში, განსაკუთრებით კი ლირიკაში. სწორედ მამულის სიყვარულის უნაპირო გრძნობამ ათქმევინა პოეტს:

ერთხელ ვიხილე ჩემს სამშობლოში
ტურფა და ნაზი ახალი მთვარე,
ჰაბუკი ვიყავ მეცა იმ დროში
და სასოებით მას თვალი ვარე.
ცხოვრების ღელვამ შორს გამიტაცა,

ბევრი ქვეყნები მიმოვიარე,
მაგრამ მახსოვდა მე სამშობლო ცა
და ზედ ის ტურფა, ახალი მთვარე.

აქ ხატოვნად, ნატიფი გრძნობით, ერთგვარი გულჩვილი მიამიტობითაც კი არის გადმოცემული ავტორის დამოკიდებულება სამშობლოსადმი, როგორც ვხედავთ, ამ სიყვარულს დაჰკრავს სევდიანი ელფერი.

ბრძენკაცის მიერაა ნათქვამი, რომ ლირიკა პოეტის სულის აღსარებაა. ეს ჭეშმარიტება დადასტურებას პოულობს გ. შარვაშიძის მემკვიდრეობაშიც. მისი ლირიკა უპირატესად ეროვნული გრძნობის გამომხატველია, მაგრამ ამავე დროს, ნაღვლიანიც, ნოსტალგია რომ გასდევს ნათელ ზოლად. დიდი აკაკისა არ იყოს, გ.შარვაშიძეს მამულის გრძნობის გარეშე არც უცხოვრია. სამშობლო იყო მისი დარდიცა და სიხარულიც. მან კარგად იცოდა ის ჭეშმარიტება, რომ არ არსებობს უფრო დიდი საპატიო საქმე, ვიდრე ერისა და მამულისათვის თავდადება; მშობლიური კულტურის სამსახური. მოსწრებულად თქვა კ.გამსახურდიამ, მწერლობა ლექსებისა და რომანების წერა რომ არ იყო მხოლოდ, მათ უკან უნდა იდგესო დიდი ბუნების მოქალაქე, ჰუმანისტი ადამიანი, ჭეშმარიტი მამულიშვილი. გ.შარვაშიძის პეიზაჟურ ლექსებშიც კი გამოჟონავს მამულის სიყვარული, როგორც სულის აღსარება. მაგალითისათვის ავიღოთ ლექსი „ჩემსა საღამოს, გლახსა საამოს“.

ცეცხლი ოდითგანვე მარტოსული ადამიანის განუყრელი „მეგობარი“ იყო. ცეცხლს უზიარებდა იგი გულის ნადებს, დარდსა და ვარამს, ფიქრებს, ოცნებას, მასში პოულობდა შვებას, ამიტომ ამბობს პოეტი:

დაღამების დროს გაჩუმებულად
ოთახში მარტო ჯდომა მიხარის,
დაღონებულსა დაღონებულად
მიყვარს ბუტბუტი ჩემის ბუხარის...
მაშინ ფიქრები შორს წამიღებენ,
სატრფო მხარეში მარონინებენ,
სარწმუნოებას კვლავ მიბრუნებენ,
ბედნიერ სიზმრებს მომაგონებენ.

მაგრამ, დასძენს პოეტი, „ამაო ოცნებას, ტკბილსა სიზმრებსა მწა-

რე სიცხადე მყის მაგდებინებს". იგი მალევე უბრუნდება მკაცრ სინამდვილეს და სინანულით დასძენს:

ახ! ნეტავ, ნეტავ, რად არ მაქს ფრთები,
ნამდვილ მივფრინდე, სადაც ფიქრით ვარ!

პოეტის ფრთაშესხმული ოცნება, რომ იგი ფიქრით მუდამ მამულთანაა და სხვა უფრო დიდი სადარდელი მას არ გააჩნია, განაპირობებს მთელ მის ლირიკას. პოეტი დარწმუნებულია, რომ „დრონი ვერ ამოთხრიან" მის „უწყალო დარდს" და განცდებს, რომლებიც „ერთობ მაგრად გულში სთესიან" („...ს")

პოეტი, მწერალი, საერთოდ შემოქმედი, უპირველეს ყოვლისა ჰუმანისტია. მისმა ნაწარმოებებმა ხელი უნდა შეუწყოს მკითხველის სულიერი სამყაროს ფორმირებას, მხატვრული გემოვნების, კულტურის ჩამოყალიბებასა და განვითარებას. გ. შარვაშიძე ლექსში „გასათხოვარს", ხატავს რა ახალგაზრდა, ლამაზი ქალის მიმზიდველ იერს, მშვენებას, ასეთი თხოვნით მიმართავს:

რომ გათხოვდები, დედა გახდები,
დაცემულს მამულს აჩუქე გმირი!
მაშინ კი სწორედ შემიყვარდები...
და მიძღვენ ცრემლი მახარობელად,
თუმცა ცოცხალი აღარ ვიქნები,
ბედნიერების გიცნობ მშობელად,
იქ ვიგრძნობ, იქაც გეთაყვანები!

მოტანილ სიტყვებში გამოკვეთილად ჩანს ავტორის ჰუმანისტური პოზიცია — მამულის სიყვარული, კეთილშობილება, დიდსულოვნება, კაცთმოყვარეობა.

გ.შარვაშიძეს, ისე, როგორც ყოველ ჭეშმარიტ შემოქმედს, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ლიტერატურისა და ხელოვნების დანიშნულების შესახებ გარკვეულად ჩამოყალიბებული კონცეფცია გააჩნია. მსოფლიო ლიტერატურის ისტორიას რომ გადავავლოთ თვალი, ასეთი ხასიათისა და შინაარსის ნაწარმოებებს მათი შემქმნელნი ასათაურებდნენ ხან „პოეტად", ხან კიდევ პოეზიის სიმბოლო-საკრავების სახელწოდებებით — „ჩანგი", „ბანდურა", "ჩონგური" და ა.შ. გ.შარვაშიძემ თავის საპროგრამო ლექსს რა უწოდა, არ ვიცით, რადგან, როგორც მიუთითებს ს.ჯანაშია, ნაწარმოებს აკლია ერთი

სტროფი დასაწყისში და სათაური. „ჩემი ჩანგი“ მას დაანათლა ს.ჯანაშიამ, გამომდინარე თვით ტექსტიდან. იმთავითვე უნდა ითქვას, რომ გ.შარვაშიძის ეს ქმნილება თავისი იდეური ჩანაფიქრით „ენათესავება“ ი.ჭავჭავაძისა და აკ.წერეთლის რიგ საპროგრამო ნაწარმოებს, რაც უნდა იქნეს გაგებული ამ დიდბუნებოვან მწერალთა სულიერი სიახლოვითა და მათი შემოქმედების ერთიანი მიზანდასახულობით.

პოეტი ამ ლექსში თავის ჩანგს შემთხვევით არ უწოდებს „საქვეყნოს“, ე.ი. სახალხოს, ერის ტკივილების გამომხატველს: „საერთოდ (ე.ი. ერთისათვის — ო.ჭ.) ხომ ვერ ჩამოვკრავ ჩემს საქვეყნო ჩანგის სიმებს“. აქ უთუოდ ღრმა აზრია ჩადებული და იგი მშობლიური ერის ტკივილების წიაღშია საძიებელი. ლექსში გამოხატულია პოეტის განცდები, ქვეყნის უკუღმართობით გამოწვეული დარდი და ვარამი. სწორედ ამ საქვეყნო ტკივილების მოშუშებას ავალებს პოეტი თავის ჩანგს:

მარა ჩემს ქნარს მას ვერ დავმღერ,
რაც მე კერძოდ შემეხება!
იმის სიმნი, იმის ჰანგი
ერთისთვის. არ დაიკვრება!
მარა როცა ჩემს ყურს ესმის
ჩაგრულ ხალხის მწუხარება,
მიწას ალბობს უმართლობით
დანაფენი მდუღარება,
როცა მესმის მისი კვნესა,
სულის მქენჯი, გულის მდაგი. —
მაშინ მხოლოდ, მხოლოდ მაშინ
დაიკვნესებს ჩემი ჩანგი!

ამ ლექსის იდეურ მრწამსსაც ქართველ სამოციანელებთან მივყავართ. „ჩემ ჩანგს“ მსოფლმხედველობრივი მსგავსება ეძებნება ი. ჭავჭავაძისა და აკ.წერეთლის ცნობილ ნაწარმოებებთან: „პოეტი“ და „ჩანგური“. მართლაც გ.შარვაშიძის აღნიშნული ლექსი როგორ მოგვაგონებს ი.ჭავჭავაძის დღეს ქრესტომათიულ ჰეშმარიტებად აღიარებულ სიტყვებს:

ერის წყლული მაჩნდეს წყლულად,
მეწოდეს მის ტანჯვით სული,
მის ბედით და უბედობით

დამედაგოს მტკიცე გული...

მაშინ ციდან ნაპერწკალი
თუ აღმიფეთქს გულში ცეცხლსა,
მაშინ ვიმღერ, მხოლოდ მაშინ
მოვსწშენდ ერსაც ტანჯვის ცრემლსა!

ასევე აკ.წერეთლის ცნობილ სტროფებს:

რომ დაჩაგრულს იმ სიმღერით
თვალთ ცრემლები ეშრობოდეს
და მჩაგვრელს კი გულში ძგერით
ისარივით ესობოდეს!...

მაშინ მხოლოდ ამ ჩემ ჩანგურს
აშორდება უქმად გდება,
და, ვინც გრძნობით დაუგდებს ყურს,
ვფიცავ, არც ის მოსტყუვდება.

როგორც ი.ჭავჭავაძე და აკ.წერეთელი, ისე გ.შარვაშიძე, მწერლობის, პოეზიის უპირველეს დანიშნულებას ხალხის სამსახურში ხედავდა. ეს იყო ის თვალსაზრისი, რომელიც საფუძვლად ედო თერგდალეულთა რეალისტურ კონცეფციას და საერთოდ კი მათ იდეოლოგიას.

გ.შარვაშიძის მოქალაქეობრივი პოზიციის ასევე ბრწყინვალე გამომხატველია უსათაურო ლექსი „ნეტამც ვინმემ...“ ნაწარმოები ალეგორიულია. მართალია, მასში არ არის დასახელებული არც სანუკვარი ქვეყანა, არც წინაპართა მიწა-წყალი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ნათლად ჩანს, რომ პოეტი ცოცხლივ ეწირება საოცნებო სამშობლოს, იგი მზად არის მისი დღეგრძელობისა და ბედნიერებისათვის აიტანოს ნებისმიერი ტანჯვა-წამება:

ნეტამც ვინმემ დამკლას დანით,
სისხლი ჩემი მოადინოს,
მკერდი ჩემი ტყის ნადირთა —
ვეფხვსა და ლომს ალოკინოს,
გული ჩემი ამოილოს,
ყვავს და ყორანს აწეწინოს, —

და რაც გრძნობა შოგ გამოჩნდეს,
იგი სხვებსაც აგრძნობინოს!

გ.შარვაშიძეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში საერთოდ ადამიანის, მოქალაქის და კერძოდ კი, მწერლის, მოღვაწის მთავარ მოვალეობად, ღირსებად მიაჩნდა მშობლიური ქვეყნის, ხალხის სამსახური, მამულისათვის თავდადება და თავგანწირვა, ასეთ უკვდავ პოეტად და მამულიშვილად მას აკ. წერეთელი მიაჩნდა, რაც აკაკისადმი მიძღვნილ გამოსათხოვარ ლექსში მკაფიოდ არის გამოხატული:

სულმნათო! არა, არ გეთხოვები,
შენისთანები არა კვდებიან,
სხეულით მხოლოდ შენ განისვენე,
ხოლო ზეციურ-უკვდავი ხმები
შენის ქნარისა ჩვენთან შთებიან!
და ეს ანდერძი აღმაფრთოვანი
შენის ერისგან დალოცვილია,
როგორც ფოლადში ოქროს ზარნიში,
ქართველთა გულში ჩაქედილია...
(„აკაკი“)

უნდა აღინიშნოს, რომ ეს ლექსი აკაკის გარდაცვალებასთან დაკავშირებით დაწერილ ლექსთა შორის ერთ-ერთი საუკეთესოა.

ადამიანი ბუნების უმაღლესი, ურთულესი და სასწაულებრივი ქმნილებაა. მისი ცნობიერი სამყარო ისეთი სიფრიფანა ბადე-ხლართისგან არის მოქსოვილი, რომ ყველას ხვედრი როდია ამ უცნაური ანბანის ამოკითხვა. აქ მეცნიერებასაც უჭირთ გაბედული სიტყვის თქმა და ხშირად მოიხმობენ მწერლებს, პოეტებს, რომლებსაც ნათელხილვის წყალობით ღმერთმა დააბედა ამ იდუმალების წვდომა. კიდევ უფრო რთული და სასწაულებით მოცულია პოეტის განცდათა და წარმოსახვათა საუფლო, მისი სულის შრეებში ჩაბუდებული ლექსი — ავტორის აღსარება. სიტყვაკაზმული მწერლობის ისტორიაში არაერთგზის დადასტურებულია ის ფაქტი, რომ ყოველ ჭეშმარიტ პოეტს გააჩნია ერთი ან ორი ისეთი ლექსი, რომელშიც კონდენსირებული და გაცხადებულია მისი ავტორის ყველაზე სანუკვარი, სუფთა აზრები და შეხედულებები, არაიშვიათად მოღვაწეობის მთელი კრედოც. გ.შარვაშიძისათვის ასეთი ნაწარმოებია „ვარადა“. შეიძლება მეტის თქმაც. იგი საერთოდ პატრიოტული ლირიკის

ბრწყინვალე ნიმუშია. თუნდაც მხოლოდ და მხოლოდ ეს ლექსი რომ დაეწერა პოეტს, ისიც განადიდებდა ავტორის სახელს, როგორც ჰეშმარიტი შემოქმედისა. ასე არ გაუთქვა სახელი „ადამიანმა“ მამია გურიელს და „ფაცხამ“ — —დუტუ მეგრელს? ვარადა ადიღურ-აფხაზური სიტყვაა და სიმღერას ნიშნავს. ზოგიერთ ქართულ (მეგრულ) ხალხურ სიმღერაში იგი რეფრენად იქცა.

„ვარადა“ პოეტის მოთქმაა, პოეტის გოდებაა, მისი დიდი კაეშნის გაცხადებაა; იგი მძიმე ტკივილების გამომხატველი საოხავია.

პოეტი კდემამოსილებით მიმართავს უზენაესს და თხოვს მას შეწყნარებას, რომ ბედავს მის წინაშე სანუკვარ მშობლიურ ენაზე წინაპართა სიმღერას:

განგებავ, ამას ნუ მიწყენ,
ვერ გადავგვარდე გვარადა,
ხანდისხან დავიღულუნო
მამაპაპური ვარადა.
იგი ღუღუნი-სიმღერა
არ არის გასახარადა,
ის არის მძიმე მოთხრობა
გულისა სატკივარადა.
ისა ჰგავს დედის საფლავზედ
ობლისა მოთქმას მწარადა,
კვნესის და კვნესის, ქვითინებს
მტირალის ჩვილის გვარადა.

მართალია, ეს ლექსი მოთქმაა, მაგრამ არა განწირული, ცხოვრებაზე ხელჩაქნეული ადამიანისა, არამედ ისეთი მოქალაქისა, პოეტისა, რომელსაც ჯერ კიდევ არ გადაუწურავს იმედი, სასო არ წაჰკვეთია და დაჯერებულია, რომ ბუნება, ღმერთი არ გაწირავენ ათასწლობით ნაგებ ეროვნულ შენობას და მის უშუალო გამოხატულებას — ენას, რომელზეც მოთქვამს პოეტი თავის გასაჭირს:

მიკვირს საწუთროს ვნებანი
ვის ჰფხერიან, ვის სახმარადა,
და მსგავსსა ბოროტებასა
ყურსა არ უგდებს ცა რადა!

და ბოლოს ისევ და ისევ მოწიწებით, მუდარით მიმართავს პოეტი ქვეყნის.გამრიგეს:

განგებავ, გვედრებ, ნუ მიწყენ,
თუ რომ შეგჩივი მარადა,
ხანდისხან დავიღუღუნო
ვაი და ვაი ვარადა!

„ვარადას“ მოტივი იგრძნობა გ.შარვაშიძის თითქმის ყველა ნაწარმოებში. ეს ბუნებრივიცაა, რადგან აქ გაცხადებული სატკივარი პოეტის მთელი შემოქმედების გამჭოლი აზრია. მის გვერდით უნდა დავაყენოთ მეორე ბრწყინვალე ლექსი „ფშაურ ხმაზედ“, რომელშიც იგივე საგოდებელია გამოხატული, ოღონდ ფშავის მაგალითზე. იგი თითქოს ვაჟა-ფშაველას შემოქმედების გამოხმაურებააო, თითქოს გამოძახილიაო პოეტის ისეთი ნაწარმოებებისა, როგორიცაა „ქეიფი“, „ჩივილი ხმლისა“, „ფშაველის სიმღერა“, „არწივი“, „გულო, არ გასტყდე!“ „კაი ყმა“ და სხვ.

პოეტი ერთგვარად ანუგეშებს ფშაველ ვაჟკაცს:

ვიცი ძმავ, ვიცი, რადა ხარ,
სევდით მოცული სახითა:
ვაჟკაც ვაგლახად დაბმულხარ,
ვითა კაკაბი მახითა;
ვერ გაგიშლია შორიშორ
მშვენივრად ფრთები მალია,
შემოგხვევია ცხოვრების
სულთა-მხუთავი გალია.

ხელფეხშეკრული ვაჟკაცი ლამის დარდმა გადაიყოლოს. თოფიარაღი დაჟანგულა, ცხენიც პატრონს ეძებს, მაგრამ სად არიან ვაჟკაცები? ისინი დაცემულან მამულისათვის ბრძოლაში, ხოლო „მათ ნაოხარსა, ტიალზედ, ზუზუნით დადის ჭარიჯ, ზედ მოსთქვამს, ზედან ღუღუნებს, ვითარ გლოვისა ზარია“. რა ქნას მარტოკა ობოლმა ფშაველმა, ლამის გაუსკდეს გული ჯავრისაგან. პოეტი ამშვიდებს მას:

მაგრამ არა, ძმავ, გახსოვდეს
ქრისტეს მცნება და ჯვარია. —
იგი გიშველის, განკურნავს,
რაც ოდენ სატკივარია.

როგორც ვხედავთ, პოეტი სასოწარკვეთილი როდია, მას სჯერა, მას სწამს, რომ განგება არ გასწირავს მორწმუნე ხალხსა და ქვეყანას. არ შეიძლება არ დაეთანხმო გ.ქიქოძის აზრს, რომ აქ „გადმოცემულია იდეური ტენდენცია, დამახასიათებელი მთელი მეცხრამეტე საუკუნის ქართული დემოკრატიული ლიტერატურისათვის“.[1]

გ.შარვაშიძის შემოქმედებაში საკმაოდ ვრცელი ადგილი უკავია სამშობლოს წარსული ცხოვრების ასახვას. ეს ნათელ გამოხატულებას პოულობს როგორც ლირიკასა და ეპიკურ ტილოებში, ისე პუბლიცისტურ მემკვიდრეობაში.

გ.შარვაშიძეს, როგორც მისი თანამედროვენი გადმოგვცემენ, არასოდეს მოუდრეკია ქედი უსამართლობისა და ძალმომრეობის წინაშე, თუმცა ეს სიამაყე და რაინდული შემართება ძვირად უჯდებოდა. მართალია, ის თვალს უსწორებდა როგორც წარსულს, ისე აწმყოს, მაგრამ გარდასულ დროთა მოგონებისას ყოველთვის ჩანს ცხოვრებისაგან განაწყენებული ადამიანის ტონი. ეს ადამიანური სისუსტე კი არ არის, არამედ ბუნებრივი განცდაა, გასაგები განწყობილებაა, გამოწვეული გარკვეული ისტორიული სიტუაციით, პოეტის სოციალური ცხოვრებით. ეს განწყობილება გადმოცემულია ორსტროფიან ლექსში „სიმღერა“:

არსაიდან არვის ველი,
სატრფომ გვერდი ამიარა.
დამრჩა მხოლოდ სევდა მწველი
და გულში კი მძიმე იარა.
ასეთია სოფლის ბრუნვა:
ზოგს ახარებს, ზოგს კი არა;
არას გვარგებს ბედზედ მდურვა,
თუკი ერთხელ ჩაიარა!

აქ ნათლად ჩანს სევდაც, ნაღველიც, წარსულის განცდაც, მაგრამ პოეტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ არ იგრძნობა გაბოროტება, გაუცხოება, რაც ასეთ ვითარებაში ჩავარდნილი ადამიანისათვის ხშირად დამახასიათებელია.

მამულისადმი, მისი წარსული კულტურისა და თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობისადმი პოეტის დამოკიდებულება კარგად არის წარმოდგენილი ლექსში „მამულს“. უკვე თვით სახელწოდება ნაწარმოებისა მიგვანიშნებს, რომ ასახვის ობიექტია

---

[1] გ. ქ ი ქ ო ძ ე. წერილები, ესეები, ნარკვევები, თბ., 1985, გვ.226.

სამშობლო, რომ ლექსი მიძღვნილია საოცნებო სამყაროსადმი. პოეტის ეს ქმნილება იწყება რიტორიკული მიმართვით და შემდეგ გულისტკივილით გამოხატულია მამულის წარსული სიდიადე და თანამედროვე დაკნინებული ყოფა:

იმ კარგის დროის, როს შენნი შვილნი
შენის შვილობით ამპარტავნებდნენ,
როს მათნი გმირულ მომართულ მშვილდნი
მტერს აწუხებდნენ, არ მოუშვებდნენ...

როს ათინელთა მეცნიერების
ლამპარი მაინც გაანათლებდა,
და საყვირთ ცემა ხშირის ლაშქრობის
გონების აზრსა არ აყრუებდა...

მაშინ მეცოცხლა, მაშინ მენახე,
სრულად ვიგრძნობდი ბედნიერებას
და ერთის ხმითა, ზღვა, მიწა, ტყე, ხე
ჩემთან იმღერდნენ განგების ქებას.

ეს იყო წარსულში და პოეტიც ნატრობს, ნეტამც მაშინ მეცოცხლა, მენახეო, მაგრამ წავიდა ის ბედნიერი დრო და დარჩა განუკურნებელი დარდი. რა მოიტანა აწმყომ? — სვამს პოეტი კითხვას და თვითონვე იძლევა პასუხს:

ეხლა რას ვხედავთ? დიდება ჰკუის
წერილმან ლტოლვებზედ დახურდულია,
აბჯარი მუხთლობს, გლახ ღონე ტყუის,
გზა იმედისაც ბნელით ხშულია.

ჩრდილოეთისა სასტიკი ჩრდილი,
ჰოი, მამულო, სინათლეს გისპობს,
მხოლოდ ელბუზი, ლაღად აყრდნილი,
მოხუცის თავით წუდიადსა აპობს.

და დარჩა წარსულიდან მხოლოდ „ზარი უბედობისა“ და „ცრემლნი გლოვისა“. მიუხედავად ამისა, პოეტს გულწრფელად, გატაცებით უყვარს თავისი მშობლიური ქვეყანა:

შენ იცნობ, ძმაო, ქვეყანას ერთსა,
სად მზე მარადჟამს ანათებს, ბრწყინავს,
სად მის სახელსა, როგორც რომ ღმერთსა,
ადიდებს ერი და მასზედ ფიცავს.

ამ ლამაზ, ღვთისნიერ სამოთხეში, ამჟამად, ამბობს პოეტი, გამეფებულაო ბოროტება, შუღლი, გაუტანლობა, მაბეზღარობა. აქ გასავალი არ აქვს სიმართლეს, ზეიმობსო სიყალბე და ორპირობა. პოეტი გრძნობს, რომ „სულით ბერდება“, „ჯანით სუსტდება“ და ეს იმის გამო, რომ მას „ეტლი ბედისა დამტერებია“, რადგან „გზა სიმხდალისა არ ყვარებია“. პოეტი „ძლიერ, მართალ და საკვირველ ბუნებას“ ჭირდავს, რომ „ამდენ სიკეთესთან ერთად უბედობასაც შობს“ („ოჰ ბუნებავ...“). რა მწარე სიმართლეა გადმოცემული სიტყვებში:

იქა მტყუნდება მხოლოდ მართალი,
რომელსაც თავი ძირს დაუხრია,
იქ ისმის ჟღერა ბორკილებისა,
იქ კვნესის სული, არ ყურობ განა?
ღირსია ძმაო შებრალებისა,
ის უბედური ჩემი ქვეყანა!
(„შენ იცნობ, ძმაო...“)

ანალოგიური მსოფლგაგება და სულისკვეთებაა ასახული გ. შარვაშიძის რუსულ ლექსებშიც. უსათაურო ლექსში „დიდი ხანია წარილტვნენ...“, რომელიც დაწერილია 1890 წელს, პოეტი უჩივის ცხოვრების წარმავლობას, უკუღმართობას, დაუნდობლობას და წუხს, რომ ყველაზე ნათელი და ხალისიანი დღეები დარჩა წარსულში, ხოლო ახლა კი მოსაწყენი ერთფეროვნება დაუფლებია მის სულს. ბწკარედ თარგმანში ეს ასე ჟღერს: „ამჟამად სულ სხვაა... ვცხოვრობ საწუთროში სექტემბრის მოღრუბლული სულით და დღის ბრწყინვალებასა და მთვარის ათინათში ვეძებ მხოლოდ მოსვენებასა და სიმყუდროვეს“.

წარსულისადმი დამოკიდებულება კარგად ჩანს ლექსში — „ღია ბარათი“. აქ გარდასულ ჟამთა სურათების ასახვისას ლამის სასოწარკვეთილებაში ვარდება პოეტი. იგი მოგვითხრობს: ირგვლივ იგრძნობა გაზაფხულის სუნთქვა, სიცოცხლე სისხლჭარბი ცხოვრებით მიედინება, ხარობს სამყარო, ისმის ჩიტების ჟრიამული, მაგრამ ჩემთვის ყოველივე ეს ამაოება და ფუჭია, რადგან წარსული სულს მიღრღნის და მოსვენებას არ მაძლევსო. თქვენ კი, მიმართავს იგი ადრესატს, ყოველივე ის, რაც წარსულში დარჩა, დაივიწყეთ, ტკივილები მოიშუშეთ

და ყოველ გაზაფხულს თქვენთვის მოაქვს სითბო და სიხარული.

წარსულზე დარდით დაზაფრული მარტოსულობა, ცხოვრების წარმავლობით გამოწვეული მწარე განცდები ასევე მტკივნეულად არის გადმოცემული უსათაურო ლექსში „ჯერ კიდევ სულით...“. ნაწარმოები, ერთი შეხედვით, სატრფიალო ხასიათისაა, მაგრამ ნამყოს მიმართ იმდენი სევდაა მასში ჩაქსოვილი, პოეტის მწარე ხვედრის მაჩვენებელი იმდენი განცდაა გაცხადებული, რომ იგი უფრო პატრიოტულ-პესიმისტური ლირიკის კუთვნილებად შეიძლება ჩაითვალოს. პოეტი დაუფარავად ამბობს: „წარსულის შხამით აღსავსე სულით კვლავაც მწამს, მიყვარს, და ვილოცები, სავალ გზას ვუმზერ იმედის თვალით! მე შენთან ერთად ვიდოდე მინდა... მაგრამ მეშინის!“ (ბწკარედი). ავტორი ერთგვარ პოლემიკას მართავს თავის ლირიკულ გმირთან და თუ იგი არ გაიზიარებს გაცხადებულ სიყვარულს, შეუშინდება სიძნელეებს, მაშინ მზად არის მარტომ დაძლიოს სავალი.

ლექსი, მართლაც დიდი ექსპრესიითაა დაწერილი და ერთ-ერთი საუკეთესოა პოეტის ქმნილებათა შორის.

ღრმა პესიმისტური განწყობით ხასიათდება ლექსი „კაეშანი“. ნაწარმოებში ვკითხულობთ: „ბოროტი, უტყვი დარდი, ვარამი აღარ მასვენებს, მიმღვრევს ცხოვრებას, სიზმრეულ წარსულს რომ აცოცხლებენ, სულში მხოლოდ-ღა კვნესას ბადებენ“ (ბწკარედი). პოეტს სურს მოიშოროს ეს კოშმარული ზმანება, მაგრამ ამისათვის არ ყოფნის არც ძალა და არც რწმენა და რომც მოხდეს სასწაული, სად ჰპოვოს თავშესაფარი? იქნებ ლოცვაში, ღვთისმოსაობაში? ამასობაში დრომ თავისი გააკეთა და სულიც დაობლდა. ასე მიუსაფარი პოეტი უცდის იმ ჟამს, როცა მოვა მსახვრალი სიკვდილი და მიუჩენს ადგილს წინაპართა საძვალეში.

პოეტის ეს განცდები ცხოვრებისეულია და ბუნებრივი. შეუძლებელია შემოქმედი შინაგანად აფორიაქებული იყოს და მისი პოეზია კი მოჩვენებით კმაყოფილებას გამოხატავდეს. სწორედ ასეთი პოეზია ბადებს სიყალბეს და შემდეგ კი უნდობლობას პოეტისადმი. ამის მაგალითები, სამწუხაროდ, უამრავია. გ.შარვაშიძე მისტირის წარსულს არა წარსულისათვის, არამედ წარმოაჩენს იმ ტკივილებს, რომლებიც მას დროთა მუხთალმა ცვალებადობამ მიაყენა და ცდილობს მათ მოსალბუნებას.

ნუ შეგვაშფოთებს პესიმიზმი და ცრემლით მოთქმა გ.შარვაშიძისა.იგი პროტესტის გამოხატულებაა. ცრემლი ოდითგანვე შვება

იყო მკვნესარე სულისათვის; ცრემლი ტანჯვით განაწამები პოეტის მოსაოხებელი საშუალებაა, დარდის ნაყურია, მწარე განცდათა რეალური სიცხადე. ბედნიერია ის, ვისაც შეუძლია თავისი კაეშანი ცრემლად დაწუროს, მაგრამ ეს ყველას როდი ძალუძს. ცრემლი დიდმა სულიერმა ტრაგედიამ, მოუშუშებელმა ტკივილებმა იცის. პოეტის მოთქმა ყოველთვის ცეცხლივით მწველია და დამდაგველი.

თეიმურაზ I, არჩილ II, დავით გურამიშვილი, რომანტიკოსები ჟამთა სიავისა და ეროვნული ტრაგედიების დროს, როცა ხმალი უძლური იყო და მტერს უნდა დამორჩილებოდნენ, ცრემლში ჰპოვებდნენ შვებას, ცრემლში ალბობდნენ მოზღვავებულ ვარამს და მით იშუშებდნენ სულიერ ტკივილებს.

დ.გურამიშვილმა ეს განწყობილება ასე გამოხატა:

მე ამად ვსტირი, არა გაქვს პირი,
შემაქენ ჭირი, საქმე საჭირი.
მე შენგნით მწირი, ვარ განაწირი,
რაზომცა ნათობ, სულ მუხანათობ.
ხარ საძაგელი, არად სარგელი,
დასაკარგველი, გარდასაგელი,
კარგს არას ველი, ცხვარსა მჭამ მგელი,
მიძმობ თუ მიდობ, მაინც არ მინდობ!

(„გოდება დავითისა, საწუთროს სოფლის გამო ტირილი“).

დაახლოებით მსგავს მოტივაციას უძებნის თავის ცხოვრებასა და წუთისოფლის რაობას ვახტანგ მეექვსეც:

დავემონე კაეშანსა, სევდა მომხვდა მისთვის წამლად,
მელნად ნაღველს მოვიხმარებ, აღმოვაწებ გულსა კალმად,
ლხინის ბალს მოსარწყავად ცრემლი მომდის გასალამად.

(„კაეშანი“).

ასევე ალ.ჭავჭავაძე ლექსში „ვისაც გსურთ“ მწარედ მოთქვამს „ურვისაგან შეპყრობილი“. როგორც ცნობილია, ზემოაღნიშნული პოეტების მოთქმა-გოდება, პესიმიზმი, ჩივილი, ცრემლიანი ცოდომადლი გამოწვეული იყო სამშობლოს საეალალო მდგომარეობით და პოეტების პირადი ცხოვრების უკუღმართობით.

ანალოგიური ტკივილიანი განცდით ხასიათდება გ.შარვაშიძის პატრიოტული ლირიკა. პოეტს მოთქმისა და გოდების საბაბს აძლევს მა-

მული დაკარგული, სამშობლო გაძარცული და მომავალი გაურკვეველი, მაგრამ იგი მომავალს მაინც იმედის თვალით შეჰყურებს და სჯერა, რომ ღმერთი არ გასწირავს მის წილხდომილ ქვეყანას.

გ.შარვაშიძის პატრიოტული ლირიკა ქართულ-აფხაზური კულტურის განუყოფელი ნაწილია. იგი ნასაზრდოებია იმავე სულისკვეთებით, ჰუმანიზმითა და განწყობილებით, რაც დამახასიათებელი იყო ალ.ჭავჭავაძის, ნ.ბარათაშვილის, ი.ჭავჭავაძის, ა.წერეთლის, ვაჟა-ფშაველას პოეტური სამყაროსათვის.

1988.

„არისტოკრატობა უველგან გამოჩნდება“

გრიგოლ რობაქიძემ დაგვიტოვა ძვირფასი სულიერი საგანძური მხატვრული, ფილოსოფიური, მეცნიერული, ლიტერატურულ-კრიტიკული, ეპისტოლური მემკვიდრეობის სახით. ეს უზარმაზარი მასალა დღეს გამომზეურებისა და შესწავლის პროცესშია.

ჩემს და მომდევნო თაობებს მხოლოდ დღეს მიეცათ საშუალება, სრულად გაეცნონ გრ.რობაქიძის შემოქმედებას, რომელშიც გაშუქებულია ქართველი კაცის ბედი და თავგადასავალი ამ რთულ სამყაროში, შესწავლილი და გაანალიზებულია ეროვნული მწერლობისა და აზროვნების ძირეული პრობლემები, მათი სათავეები და მიმართება მსოფლიო ლიტერატურასთან და მითოსთან. ამ ურთულესი საკითხებისადმი მხატვრული და მეცნიერული სიტყვით შეჭიდება შეეძლო მხოლოდ ისეთი თვითმყოფადი ნიჭის, კოლოსალური განათლებისა და ნათელი აზროვნების პიროვნებას, როგორიც გრიგოლ რობაქიძე იყო. „იგი სიცოცხლეშივე ლეგენდად იქცა“.[1]

გრიგოლ რობაქიძის შემოქმედების ევროპელი მკვლევარი რუდოლფ კარმანი, ეყრდნობა რა ლიტერატურისმცოდნე ფ. ჰოინჩის მოსაზრებას, წერს:

„რობაქიძე სულის არისტოკრატია, როგორც სულიერი წინამძღოლი თავისი ხალხისა. ის ფაქტიურად ხალხის მგოსანია, ისევე, როგორც ესქილე, სოფოკლე, პანდასი და ჰომეროსი ელადისათვის, დოსტოევსკი და ლესკოვი რუსეთისათვის, გოეთე, ჰორდერლინი და კლაისტი გერმანიისათვის, ხალხის მგოსანი, ამ სიტყვის უმაღლესი მნიშვნელობით“.[2]

რა გულწრფელი სიტყვებია, ცხოვრების უკუღმართობით ათეული წლობით მშობლიურ მიწას მოწყვეტილი და უცხოეთში გადახვეწილი სახელოვანი მამულიშვილის შემოქმედების რა ღირსეული დაფასებაა! მისანიშნებელია ისიც, რომ ამას წერს ჩვენი მწერლობის უცხოელი მკვლევარი. ჩინებულად არის ნათქვამი — „რობაქიძე სულის არისტოკრატია“. როდესაც გულდასმით ეცნობი რობაქიძის ნაწარმოებებს, კიდევ ერთხელ რწმუნდები რუდოლფ კარმანის მოსაზრების სისწორეში.

———————

[1] ვ. კ ი კ ნ ა ძ ე, „გრიგოლ რობაქიძის თეატრალური სამყარო“, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, №2, 1988, გვ.69.

[2] რ. კ ა რ მ ა ნ ი, რობაქიძე და მითის აღორძინება, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 15.IV. 1988, გვ.6.

გრიგოლ რობაქიძე, ახასიათებს რა ამა თუ იმ შემოქმედს, მოღვაწეს, მეცნიერს, თუ ძერწავს მხატვრულ სახეს, უპირველეს ყოვლისა, ეძებს ინდივიდის შინაგან, სულიერ თავისებურებას, ჯიშის, რასის, გენის (მისი საყვარელი თქმაა) ფენომენს, რომელიც ხშირად გარკვეული გარეგნული ეფექტითაც არის გამოვლენილი. მწერალი დაკვირვებული ფსიქოლოგის თვალთახედვით ცდილობს ჩააღწიოს ადამიანის აზროვნების ხვეულებში, ცნობიერისა და ქვეცნობიერის ლაბირინთებში ეძებოს სახის, ხასიათის, პორტრეტის მოტივაცია, ქმედების დინამიკა, ჩასწვდეს „სულიერ ნათებას“ (მისი თქმაა), ურომლისოდაც არ არსებობს შემოქმედებითი წვა. ამ დროს გრ. რობაქიძე არასდროს არ წვრილმანდება. იგი რაინდის შემართებით პოულობს გასაღებს იმ პრობლემისა, რომელსაც ეძიებს. შემოქმედის, მხატვრის მიერ ჩამოქნილ ხატში, მისი მართებული აზრით, „ჩამოსხმულია თვითონ შთაგონება“. ასე მოიქცა გრ. რობაქიძე ნ. ფიროსმანაშვილის მხატვრული ფენომენის გარკვევისას.

„ასეთია ფიროსმან: „ველური“ და ბავშვი. მის პრიმიტივში მოცემულია „უშუალობა“ თითქმის აბსოლუტური. ეს არ არის ფრაზა. ეს ონტოლოგიურ ფაქტად მეჩვენება. ფიროსმანი ქმნილი ნატეხია ბუნების. მასში, ასე ვთქვათ, ჩამოსხმულია თვითონ შთაგონება. იგი სხეულია უკანასკნელის. შთაგონებასა და მის სრულყოფას შორის მანძილი არ არის: ასე ძლიერია მხატვრის შთაგონებულობა. ფიროსმანის აკულტურობას და მის ტექნიკურ უხვრხულობას თითქმის ვეღარც ამჩნევ. ხედავ მხოლოდ რომელიღაც უმაღლეს სიმართლეს. ფიროსმანის ნახატები ბუნებრიობის ფაქტებია: წყაროს თვალი თუ ირმის ჩლიქი, ჰეშმარიტად: გენიალური ბარბაროსია იგი ბავშვის ქალწულური სულით“.[1]

სწორედ ამ „უმაღლესი სიმართლის“ ძიებაში ვლინდება გრ.რობაქიძის სულის არისტოკრატობა“, რადგან „უმაღლესი სიმართლე“ არის ის „ოქროს შუალედი“, რომლის გამოვლენას ვცდილობთ ყოველი ნაწარმოების ანალიზისას.

ქართული ლიტერატურისა და აზროვნებისათვის გრ.რობაქიძე მრავალმხრივ საყურადღებო შემოქმედია. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მოღვაწეობის ორი მხარე: მხატვრულ-თეორიული და პრაქ-

---

[1]. გრ. რობაქიძე. ნიკო ფიროსმანი, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, №8, 1988, გვ.61.

ტიკული. ჩვენ ის გვინდა ვთქვათ, რომ იგი იყო როგორც ბრწყინვალე შემოქმედი და თეორეტიკოსი, ისე ჩინებული პრაქტიკოსი მოღვაწე. სწორუპოვარი მჭევრმეტყველი, ესეისტი, მკვლევარი.

ახლა, როდესაც თანდათან ვეცნობით დიდი ხნით „მივიწყებულ“ მის შემოქმედებას, ვრწმუნდებით, რომ გრ.რობაქიძე „სიტყვის ჯადოქარია“ (რ. კარმანი). იგი ადვილად იმორჩილებს ფრაზას, მოხდენილად იოკებს სიტყვას და სანთელივით ჩამოქნის მას. მწერლის ხელში მშობლიური ენა საოცრად პლასტიკური და ხატოვანია, მდიდარია პოეტური საღებავებით. ის ხშირად მიმართავს ლექსიკის ძველ, ახალ და დიალექტურ ფორმებს, რაც თავისებურ ელფერს აძლევს მის შემოქმედებას, მისეულ სახეთა სამყაროს.

მწერალი თვითონაც გრძნობდა ამ თავის გრძნეულებას და ამიტომაც წერდა:

„სიტყვა არ არის უბრალო რამ, მხოლოდ მექანიკური იარაღი, არა. სიტყვა ფსიქიური ძალაა, შემოქმედის ენერგია, იგი ფიქრის სხეულია. კიდევ უფრო დიდი ენერგიაა ლექსი: ლექსს თავისი საკუთარი სიცოცხლე აქვს და მისთვის უნდა იყოს იგი სრული ინდივიდუალობა, უნაკლო უნდა იყოს“.

რა მოსწრებული თქმაა — „სიტყვა ფიქრის სხეულია“. ეს რობაქიძისეული ფრაზაა, მისი კუთვნილებაა. სიტყვაში განივთებულია ადამიანის ნააზრევი, ნაფიქრალი. როგორ მოგვაგონებს იგი ვაჟა-ფშაველას ასევე ხატოვან თქმას — „ნისლი ფიქრია მთებისა“. ორივე ეს ფრაზეოლოგიური შენაერთი ქართულ ხატოვან თქმათა ლექსიკონის უთუოდ დიდი შენაძენია.

გრიგოლ რობაქიძე როგორც საქართველოში ყოფნის დროს, ისე უცხოეთში, სამშობლოთი სულდგმულობდა, ის იყო მისი ოცნების, სიხარულისა და მწუხარების საგანი. დიდი შემოქმედი დაუცხრომელი ინტერესით ადევნებდა თვალ-ყურს საქართველოს ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური ცხოვრების, ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების, კულტურის განვითარებას, ინტელიგენციის საქმიანობას, მიმდინარე ლიტერატურულ პროცესს, საფუძვლიანად სწავლობდა მათ მიღწევებს, აკეთებდა სათანადო დასკვნებს, რომლებსაც დღესაც უდიდესი მეცნიერული ღირებულება აქვს. მოვიყვანთ რამდენიმე თვალსაჩინო მაგალითს:

78 წელს მიტანებული გრ. რობაქიძე ჟენევიდან 1962 წელს თავის დას სწერდა:

„ძვირფასო ლიდა! ჩემი წერილი — „ქართული გენია როკვით განფენილი“ — უკვე დაბეჭდილი იქნება ახლა (ცალკე, პარიზში). აქვე დაურიგდებათ ჩვენს მროკავებს, შენც გამოგიგზავნი.

ჭაბუკიანის როკვა მე მინახავს, მჯერა, რასაც მწერ მის შესახებ, ერთი რამ გავიწყდება მხოლოდ: ჭაბუკიანი — რამდენადაც ვიცი ჟურნალ-გაზეთებიდან — კლასიკურ ბალეტს ეკუთვნის. „ოტელოს“ სხვაც იცეკვებს, არაქართველი, არანაკლები ოსტატობით. ნინო რამიშვილის და ილიკო სუხიშვილის ბალეტი სხვაა: ბალეტი ჯიშის (ხაზგასმა მისია — ო. ჭ.) ქართული ჯიშის, არაქართველი ვერ იცეკვებს ისე, როგორც ამ ბალეტში ცეკვავენ...

ჩემს დიდ ბარათში ირაკლი აბაშიძისადმი, სხვათა შორის, დიდად ვაქებ მისი შაირი „ხმა კატამონთან“ (აგრეთვე შაირი კარლო კალაძისა, „ჩემო სიცოცხლე, ჩემო იმედო!“). ახლა წავიკითხე („მნათობი“, ენკენისთვე,1962) მისი შაირი „ხმა გალავნის ბჭესთან“... ეს შაირი ირ. აბაშიძისა სრულიად აქარწყლებს ჩვენში გავრცელებულ აზრს: თითქო შოთა განდგომოდეს ქრისტიანობას... შაირი ეს უთუოდ დააფიქრებს შალვა ნუცუბიძეს — უეჭვოდ დიდი ნიჭით დაჯილდოებულს, რომელიც სხვანაირად ხსნის, მცდარად ხსნის , მცდარად რუსთაველს (ამის შესახებ — ჩემს აღთქმულ წერილში შ.ნ.-ს „ქართული ფილოსოფიის ისტორიაზე“ ვრცლად მექნება სიტყვა)“.

დისადმი გაგზავნილი წერილის პოსტსკრიპტუმში აღნიშნულია: „ამ წლებში გამოვა (ერთს ჟურნალში) ჩემი დიდი ნარკვევი, პოეზიის სამთავროთაგან დიდად ცნობილ პოეტებსაც მოხვდებათ. რა ვქნა: პოეზიაც ჩემებურად მესმის“...[1]

კიდევ ერთი მაგალითი. გრ.რობაქიძე ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით 1961 წელს ჟენევიდან წერდა: „100 წლისთავზე ვაჟას დაბადებისა უთვალავი წერილი გამოუქვეყნებიათ, ყველა წავიკითხე“.[2]

სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს, ჩვენს ლიტერატურაში ერთგვარად მინავლდა სიტყვიერი ხატი, როგორც სიტყვის ხელოვნება. მას მეტოქეობა გაუწია შედარებით მშრალმა პუბლიცისტიკამ და ნარკვევმა. არა და იგი აუცილებელია მწერლობისათვის, ხატოვანი აზროვნებისათვის, ესეისტური ჟანრისათვის, როდესაც გადმოსაცემია პერსონაჟის, მეცნიერის, შემოქმედის, საზოგადო მოღვაწის კონკრეტული თა-

---

[1] გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 15.IV.1988, გვ.7.

[2] გრ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, ვაჟას ენგადი. „მნათობი“, №10, 1988, გვ.174.

ვისებურება, მისი სულიერი თუ ფიზიკური ნიშნები, განცდები, შეხედულებები, მრწამსი, გემოვნება, კულტურა მხატვრული ხატის ფორმით, როდესაც გასაანალიზებელია ლიტერატურის ცოცხალი, მიმდინარე პროცესი.

ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია შ. რუსთაველის, დ. გურამიშვილის, ი. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის, ალ. ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველას, ნ. ლორთქიფანიძის, კ. გამსახურდიას, გ. ტაბიძის და სხვა გამოჩენილ მწერალთა დამსახურება მშობლიური მწერლობის წინაშე. მათ მიერ შექმნილი სიტყვიერი პორტრეტები „ხელს უწყობს სინამდვილის აღქმას. პერსონაჟების გარეგნული და შინაგანი თვისებების წარმოსახვას“, მოვლენის, სიტუაციის შთამბეჭდავ წარმოჩენას.

გრიგოლ რობაქიძე ბრწყინვალე, პირდაპირ გასაოცარი პორტრეტისტი იყო. მის მხატვრულ ნაწარმოებებში, ესეებში, ჩანახატებში, ეპისტოლურ მემკვიდრეობაში ფოტოგრაფიის სიზუსტით ცოცხლდებიან შემოქმედის ნაწარმოებთა პერსონაჟები, თანამედროვე მწერლები, მხატვრები, მეცნიერები, საზოგადო მოღვაწეები, მათი ინდივიდუალური თვისებები, სულიერი განცდები, გარეგნული სილამაზე თუ შინაგანი სიმშვენიერე. მის მიერ ასეა შექმნილი ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ლადო გუდიაშვილის, დავით კაკაბაძის, მოსე თოიძის, იაკობ ნიკოლაძის, ნიკო ფიროსმანაშვილის, ვლადიმერ მესხიშვილის, ივანე ჯავახიშვილისა და სხვათა დასამახსოვრებელი სახეები, მხატვრული პორტრეტები.

გრიგოლ რობაქიძე ლიტერატურისა და ხელოვნების განმსაზღვრელ ფაქტორად თვლიდა „ეროვნულ ფსიქიკას“, „ჯიშის თავისებურებებს“. მისი გაგებით, სწორედ აქ ვლინდება მწერლის სტილი. მხატვრული ფენომენი, შემოქმედის კავშირი მითოსთან. ეს თავისებურება განაპირობებსო აგრეთვე მწერლის სულიერსა და ესთეტიკურ სამყაროს. ამასთან დაკავშირებით გრ.რობაქიძე სტატიაში „თეატრი, როგორც რიტმი“, წერდა:

„ყოველი რასა მომწყვდეულია განსაკუთრებულ ფსიქიკაში, რომელიც ძირეულად ანსხვავებს მას სხვა რასას. ჩეხოვის ჩრდილები და ნიუანსები შესაძლებელია მხოლოდ რუსეთში. ასევე ლევიტანის პეიზაჟი. „ღალატი“, რომელიც სასწაულს ახდენს ქართულ სცენაზე, ჩვეულებრივი წარმოდგენის სახეს მიიღებს გერმანიაში. „ღალატი“, სისხლი და ხორცი ქართული ტემპერამენტის, პათოსის და ფსიქიკის, ამიტომ ესთეტიური ხილვა აქ დადის ფიზიოლოგიამდე. ყოველ რა-

სას აქვს თავისი ჟესტი. შესაძლებელია იყოთ იტალიაში, არ გესმოდეთ ენა იტალიური, მაგრამ გაიგოთ იტალიელი, ვინაიდან შეიძლება „იხილოთ“ მისი სიტყვა, როგორც ჟესტი“,[1]

გრიგოლ რობაქიძის მიერ შექმნილი პორტრეტი, სურათი, პეიზაჟი ყოველთვის ეროვნული ფსიქოლოგიის საწყისებიდან, ეროვნული ბუნებიდან, ხასიათიდან მომდინარეობს. ესაა მისი საფუძველი. ამიტომ ისინი ყოველთვის სუფთაა, გამჭვირვალე, დამაჯერებელი, მიმზიდველი და ემოციური. რასაკვირველია, მწერლის მეთოდთან ერთად გადამწყვეტია სუბიექტური მომენტი — შემოქმედის ნიჭიერება. გრ.რობაქიძესთან არა მარტო ფრაზას, არამედ ყოველ სიტყვას თავისი მხატვრული თუ სოციალური ფუნქცია აკისრია. ავიღოთ მაგალითისათვის ქართული სიმღერა. აი, როგორ ახასიათებს მას დიდი ხელოვანი, როგორ დაუვიწყარ სურათს ქმნის:

„მღერიან „მრავალჟამიერს“ კახურს: რომელიც მოდის, როგორც ალაზნის ველი. ჯერ ნელი, მერე ახშირებული, მერე ამწვარი. შემდეგ ნაპირებგადალახული. ბოლოს: მოქნეული, როგორც სალტე. მღერიან „მრავალჟამიერს“ ქართლურს: რომელიც იღვრება, როგორც ქართლის ველი მდორე, ჯერ ისიც შენელებული, შემდეგ გაქანებული. შემდეგ ქედამოზნექილი... აქ არის ციხის დაცვა მეციხოვნეთა მიერ რომელთაც იციან განდობა და გატანა. გაუძლებს ციხე ყოველთვის შემოსეულებს?! და სიმღერას ბოლოში გაგუდული ბოღმა გადაჰკრავს ოდნავ“.[2]

აქ ავტორი გვახედებს ქართული სიმღერის სულში, გვატარებს მის ლაბირინთებში, მიგვანიშნებს მისი წარმოშობის სოციალურ და ეროვნულ საწყისებზე. ასევე „რასის ფსიქიკიდან“ გამომდინარე ბრწყინვალედ არის დახასიათებული, დახასიათებული კი არა, პირდაპირ პორტრეტია შექმნილი ქართული ცეკვისა, რომელიც ქართველი კაცის მიერ თავისი გულისნადების პლასტიკით გამოხატვაა.

1907 წელს თბილისში, თეატრის შენობაში, ივ.ჯავახიშვილს წაუკითხავს საჯარო ლექცია ქართველი ერის ისტორიის საკითხებზე, რომელსაც დასწრებია ილია ჭავჭავაძეც. ლექციას დიდი რეზონანსი გამოუწვევია, ალაპარაკებულა მთელი ქალაქი. ამ დროს გრ. რობაქიძე საზღვარგარეთაა. იქიდან დაბრუნებული ვალერიან გუნიას მონათხრობის საფუძველზე წერს სტატიას „ივანე ჯავახიშვილი“, სა-

---

[1] ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, №6, 1988, გვ.26.

[2] გაზ. „თბილისი“, 7.VII.88.

დაც ქმნის დიდი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ივ. ჯავახიშვილის განუმეორებელ სიტყვიერ პორტრეტს. აი, ისიც:

„მომხსენებელი ჯერ კიდევ ახალგაზრდაა, მაგრამ გონებით უკვე მოწიფული. სწორი, კეთილმოყვანილი სახე, მყუდრო ძლიერების მეტყველი. უბადლო შუბლი, გონიერების ნათელ სათავსად ნაკვეთი. გამოხედვა ღრმა: თითქო ჰინდური, რომელიც პირველივე ღიმილით ქართულ ხალას ხიბლად ეფრქვევა. დინჯი, აუჩქარებელი, — რადგან პასუხსაგებ საქმითაა დატვირთული. მორიდებული უფრო, ვიდრე უკარებელი. შინაგან შეკვრივული და არა გულჩათხრობილი — უდრეკი, ურყევი — რადგან მტკიცე და მყარი. მაგარი, ვითარც კუნძი და უღრუო, ვითარ ძელქვის ნამორი. თითქმის „ჯიუტი“: არ დამთმობი ერთხელ აღებული გეზისა“.[1]

ქართველი ხალხის უკვდავი შვილის რა ჩინებული „ხატია“, სრული, მომხიბლავი, რა მოხდენილად არის შერჩეული სიტყვები, წინადადებათა კონსტრუქციები, რა კარგად არის დანახული მომავალი სახელოვანი მეცნიერის (მაშინ ივ.ჯავახიშვილი გახლდათ 31 წლის ახალგაზრდა) როგორც ჰაბიტუსი, ისე სულიერი სამყარო.

გრიგოლ რობაქიძე თავისი წერის მანერით: განსაკუთრებული კონსტრუქციის მოსხლეტილი წინადადებებით, სიტყვათა თავისებური რიგითა და მაქსიმალური მომჭირნეობით, ლაპიდარული სტილით ქართველ მწერალთაგან მოგვაგონებს სულხან-საბა ორბელიანს. მართლაც, საოცარი მსგავსებაა, მაგრამ არც არაფერია საჩოთირო. ისევ ჯიშმა, ტრადიციამ, ლიტერატურულმა მემკვიდრეობამ შეგვახსენა თავი. ამის დასტურად გვინდა მოვიყვანოთ ცნობილი მოქანდაკის, იაკობ ნიკოლაძის გრ.რობაქიძისეული პორტრეტი:

„1902 წელი. ზაფხულის პირი. „სეირნობა“ ახალ კლუბის ბაღში (მაშინ სათავადაზნაურო). მრავალი გასართობები. ყურადღებას იქცევს ერთი კიოსკი: მეფისტოს თავია ჩამოსხმული კიოსკად. გვერდით ჭაბუკი სდგას: დაბალი ტანის, შავი თმა, ოდნავ ხუჭუჭი გიშერი, დიდრონი თვალები, პროფილი ძველი ასირიელის, სილუეტი მიმზიდველი ფრიად. ჭაბუკი იაკობ ნიკოლაძე და კიოსკი მისი ნამოქმედარი. ეს იყო ჩემი პირველი ნახვა ქართველი ქანდაკების.

გავიდა ხუთი წელი. პარიზში ვარ. ვხედავ ქართველებს. გავიცანი „ჟაკო“. წამსვე დავუახლოვდი“.[2]

---

[1] „მნათობი“, №10, 1987, გვ.166.

[2] გრ. რობაქიძე, მოქანდაკე ნიკოლაძე. ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, №18, 1988, გვ.62.

ახლა მოვიყვანოთ სულხან-საბა ორბელიანის „კეისრის სპასპეტი“:

„მე სპასპეტი კეისრისა ვიყავ. ლაშქარს გამგზავნა მეფემან. შევიბენით. ჩემს ჯარს დამარცხებოდა. მე მარტო გამოვიქეც. მოველ. მეფემან განრისხებულმან სასიკვდილოდ მიმცა. წავუველ კაცთა მათ. რბენაში ცხენი დამივარდა. უცხენო მაშვრალი შინ მიველ. ცოლი დუხჭირი, ყბედი და ავენა მყვა. მან ბევრი მაგინა, აღარც მუნ დავდეგ, აქ მოველ და აწ თუ უნაღვლო ვიყო, შენ გასინჯე!“

მართლაც საოცარი მსგავსებაა! ისევ გრ. რობაქიძის სიტყვით რომ ვთქვათ, ეს არის გენისა და ნიჭის გადაძახილი!

ცნობილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე გიორგი შარვაშიძე გასული საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისის საქართველოს ინტელიგენციის შუაგულში ტრიალებდა, იყო თავისი მშობლიური ხალხის სოციალური და ეროვნული ინტერესების დაუცხრომელი დამცველი.

არაერთმა ქართველმა მწერალმა და მეცნიერმა (აკ.წერეთელი, შ.დადიანი, ნ.თავდგირიძე, ს.ჯანაშია და სხვ.) დაგვიტოვა გ.შარვაშიძის სიტყვიერი მხატვრული პორტრეტი, მაგრამ ყველაზე სრულყოფილსა და ნათელს წარმოადგენს 1918 წელს გაზეთ „საქართველოში“ (№45) გამოქვეყნებული გრ.რობაქიძის ესსე გ.შარვაშიძეზე, ხელმოწერილი გივი გოლლენდის ფსევდონიმით.

გიორგი შარვაშიძეს, ამ მართლაც შუა საუკუნეების შემართების რაინდს, თავდადებულ მამულიშვილს, დახვეწილ ინტელიგენტს, პოლიგლოტს, იმ დროს უკვე ხანდაზმულს, მაგრამ ჯერ კიდევ სულიერად და ფიზიკურად ჯანმრთელს, სტატიის ავტორი გრ.რობაქიძე ასე აგვიწერს:

„სოხუმის ნაპირები... მთავარ ქუჩაზე მოდის ვინმე ცხენოსანი. უკან მცველი მოჰყვება. იგიც ცხენზე მჯდარი. ცხენოსანი ნამდვილი მხედარი, მოხდენილი ჯდომა, თითქოს მბრძანებელია მგრძნობიარე ცხოველის, მაგრამ მას თითქოს ძალას არც კი ატანს, მარჯვედ დაკავება სადავის... ყოველი, რაც რომ სამხედრო ჯიშს მემკვიდრეობით გადაუცია ადამიანისათვის. გამახსენდა არჩილ ჯორჯაძის სიტყვა: ქართველი ბელეტრისტისათვის ისიც არის საკმაო, რომ რომელიმე აფხაზის ცხენოსნობა აღწეროსო. გადმოხტა. გავიცანი: გიორგი შარვაშიძე, შვილი აფხაზეთის უკანასკნელი მთავრისა. რა შესანიშნავად ადგას ჩოხა! ტანი მაღლად არის აყვანილი სილაღით კიდევ. — თუმ-

ცა ეტყობა ექვს ათეულს გადასცილებია. ასეთი მოხდენილი ჩაცმულობა არავისზე მინახავს საქართველოში: აქ იყო ესთეტიკა ოსკარ უაილდის ყელსახვევისა: ქართული ყაიდა ჩაცმულობის სტილით ჩამოკვეთილი: სადა ძალზე და ამასთანავე რჩეული მეტად... რაოდენი სიმაღლე და რაოდენი თავაზი...

მეორე დღეს: სადილი ნ.თ.-სთან (ნიკო თავდგირიძესთან. სოხუმის ქალაქისთავი ო.ჭ.). გიორგი შარვაშიძეც იქ არის. ეხლა ევროპულად ჩაცმული სტილით: მარტო ყელსახვევი რად ღირს?! ნამდვილი ქართული სუფრა, ქართული სილამაზის ერთი საუკეთესო ხატება. სუფრული ბაასი. მთავრის შვილის სიტყვა მოხდენილია ფრიად. იცის ევროპული ენები: ფრანგული, ინგლისური, გერმანული, განსაკუთრებით ფრანგული. ზედმიწევნით იცის რუსული. იცის ძვირფასად ქართული, აფხაზური, მეგრული...

მესამე დღეს იმავე რესტორნის ფარდულში ვნახე. ხოლო ახლა უბრალო, მწვანე „ბლუზით", მაგრამ ესეც რომ უხდებოდა! არა, ნამდვილი არისტოკრატობა ყველგან გამოჩნდება."

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ის დიდი სითბო და პატივისცემა, რაც გამომჟღავნებულია გრ.რობაქიძის სიტყვებში. ეს დახასიათება პორტრეტი კი არა, მთელი რომანია, რომელშიც მიმზიდველი ფერებით გადმოცემულია გ.შარვაშიძის ფიზიკური, სულიერი, ინტელექტუალური თვისებები. რა სიდიადე, თავმდაბლობა, უბრალოება, რჩეულისათვის დამახასიათებელი თავმომწონეობა, კეთილშობილებასთან შეზავებული, მოჩანს ქართველი მწერლის მიერ შექმნილ ამ დიდებულ პორტრეტში. კითხულობ სტრიქონებს და თვალწინ წარმოგიდგება ხატება პოეტისა.

ჩვენ არ ვიცით, 72 წლის გ.შარვაშიძეზე თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა 34 წლის გრ.რობაქიძემ. არ ვიცით, რადგან გ.შარვაშიძის არქივი დაიღუპა, დაიწვა 1918 წელს, ხოლო გ.შარვაშიძის ცხოვრების ამსახველ დღესდღეობით ცნობილ მასალებში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი.

ჯერჯერობით არც ის არის ნათელი, შემდგომ როგორ გამოეხმაურა გრ.რობაქიძე გ.შარვაშიძის მოღვაწეობასა და შემოქმედებას. განსაკუთრებით 1946 წლის მომდევნო პერიოდში, როდესაც აკად.ს. ჯანაშიამ გამოსცა მწერლის ნაწარმოებები სათაურით — „ლირიკა, ეპოსი, დრამა".

ამას მომავალი ძიება გამოაჩენს.

1989

დიმიტრი გულია და ივანე ჯავახიშვილი

დიმიტრი გულიას ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ქართველ მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა შორის ბევრი ჰყავდა მეგობარი, თანამოაზრე და პატივისმცემელი, ბევრთან ჰქონდა საქმიანი, სამეცნიერო და ლიტერატურული ურთიერთობა.

აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელი განსაკუთრებული ყურადღებითა და სიყვარულით ეპყრობოდა დიდი ქართველი მეცნიერისა და პედაგოგის, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამაარსებლის ივანე ჯავახიშვილის ღვაწლსა და ამაგს მეცნიერების წინაშე, მის ჰუმანურობას, კოლოსალურ განათლებას, ინტელიგენტობას, მეცნიერულ კეთილსინდისიერებას, პრინციპულობას. ყოველივე ამ ადამიანურ სიკეთესა და ღირსებასთან ერთად დ. გულია ივ.ჯავახიშვილის სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში სამართლიანად ხედავდა ფანატიკურ სიყვარულს კავკასიის ხალხებისადმი და მათი ენებისადმი (კერძოდ მისი მშობლიური აფხაზი ხალხისადმი), ისტორიისადმი, სასიცოცხლო ინტერესებისადმი.

აფხაზი მწერალი და მეცნიერი გულდასმით სწავლობდა ივ.ჯავახიშვილის ფუნდამენტურ შრომებს საქართველოსა და საერთოდ კავკასიის ისტორიის შესახებ, სადაც ასევე ღრმად არის წარმოდგენილი და გაშუქებული აფხაზეთის წარსულის საკვანძო საკითხები და მათ მოხერხებულად იყენებდა თავის სამეცნიერო პრაქტიკაში.

ივანე ჯავახიშვილმა მშობლიური მზრუნველობა, დახმარება და თანადგომა გაუწია აფხაზ მოძმესა და კოლეგას სამეცნიერო-შემოქმედებით სარბიელზე როგორც თბილისის უნივერსიტეტში მუშაობის დროს, ისე შემდეგაც, მთელი ცხოვრების მანძილზე. ათეული წლის განმავლობაში ამ ორ ეროვნულ მოღვაწეს შორის დამყარდა ახლო მეგობრული, თბილი და ადამიანური ურთიერთობა.

დ.გულიას შემოქმედებისა და მოღვაწეობის გარკვეული პერიოდი დაკავშირებულია საქართველოს დედაქალაქთან, მის მოწინავე ინტელიგენციასთან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. ივ.ჯავახიშვილის მითითებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ 1924—1925 სასწავლო წელს დ.გულია მიიწვია პედაგოგიურ ფაკულტეტზე აფხაზური ენის კურსის წასაკითხად. უნივერსიტეტის არქივში, აღნიშნულ საკითხზე დაცულია მეტად საინტერესო საბუთები.

1924 წლის 27 მარტს თბილისის უნივერსიტეტის გამგეობის სხდომას (სამეცნიერო საბჭოს), რომელსაც ესწრებოდნენ რექტორი, ივ.ჯავახიშვილი (თავმჯდომარე), პრორექტორები — შ.ნუცუბიძე და ალ.ნათიშვილი, დეკანები — პ.მელიქიშვილი, კ.კეკელიძე, ალ. ალადაშვილი, ალ.დიდებულიძე, მე-16 პუნქტად განუხილავს საკითხი:

„პედაგოგიური ფაკულტეტის დადგენილება (ფაკულტეტის დეკანი იყო პროფ.კ.კეკელიძე — ო.ჯ.), მოწვეულ იქნეს აფხაზური ენის ლექტორის თანამდებობაზე მოვალეობის აღმასრულებლად გულია.“

დაუდგენიათ: „აღიძრას შუამდგომლობა თანამდებობის დამტკიცების შესახებ.“

უნივერსიტეტის საბჭომ ეს საკითხი დადებითად გადაჭრა და იმავე წლის 23 სექტემბრის სხდომაზე ხელმეორედ დაუბრუნდა მას, სადაც აღინიშნა დ.ი.გულიას ბინით უზრუნველყოფის აუცილებლობა. სხდომის ოქმში მესამე საკითხად განხილულია: „აფხაზური ენის ლექტორის გულიას ბინით და სამგზავრო თანხით უზრუნველყოფის საკითხი“. გამოტანილია შემდეგი დადგენილება: „(დ.გულიას) მიეცეს ბინად ერთი ოთახი ანასტასიას ქუჩაზე მდებარე აგრონომიულ ფაკულტეტის შენობაში და გაღებულ იქნას სამგზავროდ ასი მანეთი. გამოცდების ჰონორარისაგან გადარჩენილი თანხიდან.“

არქივში დაცულია უნივერსიტეტის პედაგოგიური პერსონალის სია 1925—1926 სასწავლო წლის დასაწყისში“, სადაც წარმოდგენილია პროფესორ-მასწავლებლების ანკეტური მონაცემებიც. კერძოდ დ.გულიაზე შემდეგი წერია: „თანამდებობა — ლექტორი, ეროვნება — აფხაზი, წლოვანება — 1874 წ. პედსტაჟი — —1910 წ. უნივერსიტეტში მოსვლის წელი — 1924, განათლება — შინაური, სამეცნიერო ხარისხი — არა აქვს, სპეციალობა — აფხაზური ენა, რა საგანს კითხულობს — აფხაზურ ენას, კიდევ სად მსახურობს და რა თანამდებობაზე — საისტ-ეთნოგრაფიულ საზ. აფხაზური განყ. მოსაწესრიგებლად.“

როგორც გადმოგვცა აკად. არნ. ჩიქობავამ, დ.გულია უნივერსიტეტში უშუალოდ ივ.ჯავახიშვილს მოუწვევია. აფხაზ მეცნიერს ჩაუტარებია რამდენიმე საცდელი ლექცია, რომელთაც დასწრებიან ივ.ჯავახიშვილი, ა.შანიძე, გ.ახვლედიანი, ს.ჯანაშია და არნ.ჩიქობავა. ქართველ მეცნიერებზე კარგი შთაბეჭდილება დაუტოვებია საცდელ ლექციებს. დ.გულიასათვის კონსულტაციების სახით დიდი დახმარე-

ბა გაუწევია აკად.ა.შანიძეს.

აკად. ალ.ბარამიძე მიუთითებს, რომ „გარდა სტუდენტებისა, აფხაზურის კურსს, მისგან (დ.გულიასგან — ო.ჯ.) ისმენდნენ ა.შანიძე, გიორგი ახვლედიანი, სიმონ ჯანაშია, არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია.“[1]

დ.გულიას შემდეგ უნივერსიტეტში აფხაზური ენის კურსს კითხულობდა აკად. ს.ჯანაშია.

ცნობილია, თბილისის უნივერსიტეტში კავკასიისმცოდნეობას სწორედ ივანე ჯავახიშვილმა დაუდო საფუძველი. მასვე განზრახული ჰქონდა პირველი შესაძლებლობისთანავე აფხაზური ენის კვალდაკვალ ფილოლოგიის ფაკულტეტზე შემოეღო ჩერქეზული და ყაბარდოული ენებისა და ეთნოგრაფიის კურსი. ამ საკითხთან დაკავშირებით ივ.ჯავახიშვილი თავის მოწაფეს, მაშინ ახალგაზრდა მეცნიერს ს.ჯანაშიას 1929 წლის აგვისტოში ბორჯომიდან შემდეგს სწერდა:

„ამ სამოსწავლო წლის განმავლობაში მინდა ფაკულტეტში წინადადება შევიტანო, რომ აფხაზურის გარდა ჩვენს ფაკულტეტზე ჩერქეზულისა და ყაბარდოულის ენისა და ეთნოგრაფიის კურსი შემოღებული ყოფილიყო. ეს საგანი შემდეგში თანდათანობით გაფართოვდება და აფხაზურ-ჩერქეზულ შედარებით გრამატიკად და ეთნოლოგიად იქცევა. ამით განხორციელებული იქნება იმ მიზნისა და მეცნიერული მოვალეობის ერთი ნაწილთაგანი, რომელიც ჩვენ უნივერსიტეტს დაარსებითგანვე დასახული აქვს, რომ კავკასიისმცოდნეობის მთავარ ცენტრად იქცეს. ამ საგნის გაძღოლა ბუნებრივად თქვენ უნდა მოგენდოთ.“[2]

თბილისის უნივერსიტეტში მუშაობის დროს დ.გულია უფრო ახლოს გაეცნო ქართულ და რუსულ ლიტერატურას, წყაროებს საქართველოსა და აფხაზეთის ისტორიის შესახებ. ღრმად დაეუფლა ენას, დაუახლოვდა გამოჩენილ მეცნიერებს, მოწინავე ინტელიგენციას, მწერლებს: ივ.ჯავახიშვილს, ა.შანიძეს, გ.ახვლედიანს, გ.ჩიტაიას, შ.ნუცუბიძეს, კ.კეკელიძეს, ს.ჯანაშიას, არნ.ჩიქობავას, ვ.თოფურიას, ალ.ბარამიძეს, მიხ.ჯავახიშვილს, გ.ტაბიძეს, შ.დადიანს, ი.გრიშაშვილს და სხვებს, რომლებთანაც ჰქონდა მეგობრული და საქმიანი ურთიერთობა.

---

[1] ალ. ბარამიძე. ახლო წარსულიდან, თბ., 1983, გვ.307.

[2] ჟურნ. „მნათობი“, №4, 1983, გვ.152 — 153.

აფხაზი მწერალი განსაკუთრებით მოუხიბლავს ივ.ჯავახიშვილს. ქართველი თანამოძმის გულისხმიერებასა და ამაგს დიდად აფასებდა დ.გულია და მასთან საუბარში გატარებულ სანუკვარ წამთა სიტკბოებას ყოველთვის თბილ, დაუვიწყარ მოგონებებში აქსოვდა.

ჩვენ ხელთ არის პროფ.ს.ჭილაიას მოგონებები დ.გულიას შესახებ. 1954 წელს 80 წლის პოეტს ქართველი მეცნიერისათვის, თავის სტუმრისათვის უამბნია: „ჰო, ბატონი ივანე დიდი კაცი იყო. სად არიან ახლა ასეთი ადამიანები? არა. ახლაც ბევრნი არიან კეთილი იმედის მომცემი, მაგრამ ბატონი ივანე მაინც სხვა იყო. ბატონი ივანე დიდი კაცი იყო. დიდი მეცნიერი და დიდი ქართველი.

თქვენ, ქართველები, ბედნიერი ხალხი ხართ, რუსთაველი, აკაკი, ილია, ვაჟა... მე დავუმატებდი ივანე ჯავახიშვილი, ამგვარ შვილთა მშობელი ერი უკვდავია, დიახ, უკვდავი.

თქვენ იცით, რა დიდი ქომაგი იყო ბატონი ივანე პატარა ერებისა, კერძოდ, ჩემი აფხაზეთისა? მე რომ თბილისის უნივერსიტეტში მიმიწვია და აფხაზური ენის ლექციების კურსი მომანდო, ამაშიაც იყო ეს პატივისცემა, მაგრამ უმთავრესი ის იყო, რომ ის მაქეზებდა, აფხაზური ლექსების წერასაც მირჩევდა და ამ ერის ისტორიის შესწავლასაც გადაუდებელ საქმედ თვლიდა.

თუ მწერალი ან მეცნიერი ნამდვილად დიდი პატრიოტია თავისი კულტურისა და თავისი ერისა, ის არ შეიძლება გულგრილი მაყურებელი იყოს სხვა ერის კულტურისა და ისტორიის მიმართ, ივანეს დიდად აინტერესებდა და სწავლობდა აფხაზეთის ისტორიას... არა, სულ სხვა კაცი იყო. ყველაზე სამწუხარო ისაა, რომ ის ადრე წავიდა ჩვენგან. უღვთო იყო მისი სიკვდილი.“[1]

დ.გულია მაღალ შეფასებას აძლევდა აგრეთვე ივ.ჯავახიშვილის მოწაფის, აკად. ს. ჯანაშიას დამსახურებას ქართველი და აფხაზი ხალხების ისტორიის შესწავლის საქმეში.

„დიდსა და კარგ საქმეს აკეთებდა ბატონი სიმონი, — ეკითხულობთ იმავე დოკუმენტში, — არა, სიმონი მე მარტო იმიტომ კი არ მიყვარდა, რომ ჩვენებურია, მამამისი ჩემი განუყრელი მეგობარი იყო და ჩვენ თვალწინ რომ გაიზარდა. მე ის დიდი ივანე ჯავახიშვილის მოწაფედ და საქმეთა დიდ გამგრძელებლად მიმაჩნია.“[2]

---

[1] ს. ჭ ი ლ ა ი ა, მოგონების ერთი ფურცელი. გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი“. №244. 1973.

[2] იქვე.

ივ.ჯავახიშვილსა და დ.გულიას შორის დამყარდა გულწრფელი, მე ვიტყოდი, რაინდულად უზადო, მეგობრული და საქმიანი დამოკიდებულება, დაფუძნებული ურთიერთპატივისცემასა და სიყვარულზე. ახლა, როდესაც გარკვეულმა პერიოდმა განვლო, ბევრი დოკუმენტი გამომზეურდა, უფრო თვალნათლივ ჩანს ამ ორი კეთილშობილი ადამიანის, ორი ერის სინდის-ნამუსის, საუკეთესო შვილების მეგობრობის ეროვნული და საზოგადოებრივი მნიშვნელობა. ისინი არასოდეს ივიწყებდნენ ერთმანეთს არც გასაჭირსა და არც ლხინში, იქნებოდა ეს პირადი ცხოვრებით, თუ სამეცნიერო და საზოგადოებრივი საზრუნავით გამოწვეული. ისინი ყოველ შესაძლებელ შემთხვევაში მოიკითხავდნენ ერთმანეთს და აღმოუჩენდნენ დახმარებას, თუ ამისი საჭიროება არსებობდა.

ამ საკითხს ნათელს ჰფენს ივანე ჯავახიშვილისა და სიმონ ჯანაშიას (მიმოწერა.) ივ.ჯავახიშვილი თავისი მოწაფის ს.ჯანაშიას ადრესატით გაგზავნილ წერილებში ხშირად იხსენიებს დ.გულიას, დაინტერესებულია მისი პირადი და ოჯახური ცხოვრებით, სამეცნიერო საქმიანობით.

მოვიტანთ ერთ მაგალითს:

1929 წელს ს.ჯანაშია თავის აღმზრდელს ივ. ჯავახიშვილს სწერს საქმიანი შინაარსის წერილს, რომელიც ასეთ პოსტსკრიპტუმით ბოლოვდება:

„მაპატიეთ კადნიერებისათვის, იქნებ შემთხვევით დ.გულიამ შემოიაროს. — მე სამწუხაროდ მისი მისამართი არა მაქვს, — მისი ვაჟის საქმე მე მგონი მოგვარებულია. ბ.გიორგი ელაპარაკა კანდელაკს და პირობა მიიღო, რომ მოაწყობენ.“[1]

საპასუხო ბარათში ივ.ჯავახიშვილი თავის მოწაფეს აღფრთოვანებით ატყობინებს:

„თქვენი დავალება ავასრულე და დ.გულიას სასიხარულო ამბავი ვაცნობე. ხვალ თბილისში მიდის და მე ვატან წერილს ნ.მუსხელიშვილთან.“[2]

ბუნებრივია, არც დ.გულია რჩებოდა ვალში თავის კეთილისმსურველს და ყოველთვის გულწრფელად მოიკითხავდა მეგობარს. თბილისიდან წამოსვლის შემდეგაც იგი დიდი გულისყურით ადევნებდა

---

[1] ივანე ჯავახიშვილისა და სიმონ ჯანაშიას მიმოწერიდან“. ლაშა ჯანაშიას პუბლიკაცია. ჟურნ. „მნათობი“, №4, 1983, გვ.152.

[2] იქვე, გვ.153.

თვალს უნივერსიტეტის ცხოვრებას, დაინტერესებული იყო მისი პროფესურის საქმიანობით და ყოველ შესაძლებელ შემთხვევაში, იქნებოდა ეს წერილობით თუ ზეპირსიტყვიერად, იღებდა ინფორმაციებს მისი სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ.

ჩვენ წინ დევს დ.გულიას სამი ბარათი, დაწერილი რუსულ ენაზე აკად. ს. ჯანაშიას მისამართით (ამ წერილების პირები გადმოგვცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ს. ჯორბენაძემ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.) სანამ ჩვენი გამოკვლევა იწერებოდა, ამ წერილთაგან ორი თავის ნაშრომში დაიმოწმა პროფ. ხ. ბლაებამ.[1] ერთი დათარიღებულია 1924, ხოლო დანარჩენი ორი 1926 წლით. ისინი ავსებენ, ნათელს ფენენ დ.გულიას ბიოგრაფიას, მის სამეცნიერო ინტერესებს, ქართველ მეცნიერებთან დამოკიდებულებას, განსაკუთრებით კი გამჟღავნებულია ის დიდი და ღრმა პატივისცემა, რასაც დ. გულია მთელი ცხოვრების მანძილზე ამჟღავნებდა ივ. ჯავახიშვილისადმი.

მოგვაქვს ამონაწერი ამ წერილებიდან:

Дорогой Симоника!

Я отзыва по истории Абхазии от Джавахишвили не получил... Желательно было иметь... Я мог в предисловии поместить, хотя бы он бы написан и не в мою пользу. После моего возвращения из Тифлиса на 6-8 день приехал сюда приглашенный Наркомпросом проф. Марр, которому на заседании Совнаркома было, между прочим, предложено дать отзыв (письменный) и о моем труде.

Я согласился, прочитал ему — и недавно, 10-12 дней тому назад, он прислал из Ленинграда письменный отзыв Наркомпросу Абхазии, копию его при этом посылаю тебе.

Симоника! Если тебе не обременительно, сообщи, что в университете делается — произошла ли там какая-нибудь перемена. Были слухи, что на место проф. Джавахишвили назначается ректором проф.Марр, затем слышно было, что не Марр, а Окуджава назначается и т. д.

Д.Гулия
1924 г. августа 28 дня
г. Сухуми

---

[1] იხ. მისი „მეგობრობის მატიანის ფურცლები“ (რუსულ ენაზე), თბ., 1983, გვ.114 — 115.

Дорогой Симоника!

Самое главное — во время моего отьезда из Тифлиса болел ректор И.А.Джавахишвили, если вам не трудно, сообщите о его здоровье и передайте мой искренний привет. Чудесный человек, — я его не забуду.

Всегда преданный Вам Д.Гулия
10 февраля 1926 г.

Дорогой Симон!

Давно я думал писать тебе письмо, но до сих пор не удалось почему-то. Теперь пишу и первым долгом желаю тебе доброго здоровья. Как идут твои дела? как прививается абхазский язык?

Привет глубокоуважаемому Ив.Джавахишвили, ректору университета, а также профессорам: Шанидзе, Ахвледиани (от Г. Ахвледиани недавно получил письмо, за что очень благодарен ему). Передайте также мой поклон Топурия, Чикобава, Горгадзе, М. Лабжаниа и другим.

Твой Д.Гулия
8 мая 1926 г.

დ.გულიას კარგი ამხანაგობა და მეცნიერული ურთიერთობა ჰქონდა გამოჩენილ სწავლულთან აკად. გ. ჩიტაიასთან. ბატონმა გიორგიმ დ. გულიასთან მისი დამოკიდებულების შესახებ შემდეგი გვიამბო:

„მე და ჩემს აწ განსვენებულ მეუღლეს, პროფესორ ვერა ბარდაველიძეს დიმიტრისთან კეთილი მეგობრობა გვაკავშირებდა, რომელიც განპირობებული იყო მეცნიერული ინტერესებით. ქართველ და აფხაზ ხალხებს შორის საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ნათესაობის, ძმობა-მეგობრობის, ურთიერთდამოკიდებულების ტრადიციებს გარდა გვაახლოვებდა ამ ორი ერის წარსული და თანამედროვე ყოფა, მათი ისტორია და ეთნოგრაფია, გარდასულ ჟამთა იმ საიდუმლოებათა ამოხსნა, რომლებიც ხალხურმა მეტყველებამ, ადათ-ჩვეულებებმა, საყოფაცხოვრებო კულტურის გადმონაშთებმა

შეგვინახეს. მე და დიმიტრი ერთმანეთს ვხვდებოდით თბილისსა და სოხუმში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასა და მის აფხაზეთის განყოფილებაში. ჩვენმა ურთიერთობამ განსაკუთრებით საქმიანი მეცნიერული ხასიათი მიიღო მას შემდეგ, რაც აფხაზეთის აკადემია, ნ. მარის მიერ ფუძედადებული, დაუქვემდებარდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას.

დ. გულიამ ჩინებულად იცოდა მშობლიური ენა, ფოლკლორი, ეთნოგრაფია. ამ საკითხებზე მას გამოქვეყნებული აქვს არა ერთი და ორი მეცნიერული ნაშრომი, ჩვენი დარგის მუშაკებისათვის მეტად საინტერესო. მათ შორის უნდა დავასახელოთ: „ნადირობის ღვთაება და მონადირეთა ენა აფხაზებში„ (1926) და „ვაცის კულტი აფხაზებში“ (1927,). ამ შრომებში ეთნოგრაფიისათვის დიდად ღირებული ფაქტებია შეგროვილი, შესწავლილი და გაშუქებული. აფხაზი სწავლულის გამოკვლევებს დღესაც არ დაუკარგავს მეცნიერული მნიშვნელობა. უფრო მეტიც, მათ ჩვენთვის, ეთნოგრაფებისათვის, აქვთ პირველწყაროს ღირებულება, რადგან დ.გულია უშუალოდ ცოცხალი სინამდვილიდან იღებდა საანალიზო მასალას და არა ჩანაწერებიდან.

მე და დიმიტრი, თუ შეიძლება ასე ითქვას, შეძლებისდაგვარად ვთანამშრომლობდით, ერთმანეთს ვუწევდით დახმარებას, ვაწვდიდით ცნობებს, ფაქტებს, მასალებს ჩვენი და კავკასიელი ხალხების ეთნოგრაფიიდან, აფხაზი კოლეგა არასოდეს იშურებდა ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას. მან თავისი რჩევით მე და ჩემს მეუღლეს გაგვიწვია კარგი დახმარება, როდესაც ვსწავლობდით ქართველი ხალხის ეთნოგრაფიის თავისებურებას სხვა კავკასიელ ხალხებთან, კერძოდ აფხაზებთან მიმართებაში. ჩვენ აფხაზთა ეთნოგრაფიის მასალები გამოყენებული გვაქვს დ.გულიასთან უშუალო კონტაქტების საფუძველზე. საილუსტრაციოდ მოვიტან რამდენიმე მაგალითს.

1933 წელს თბილისში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, მოეწყო ეთნოგრაფიული გამოფენა — „მონადირის საიდუმლო ენა“, სადაც წარმოდგენილი იყო ქართული (სვანური), აფხაზური და ოსური მასალა, აფხაზური განყოფილების ორგანიზაციაში ჩვენი უშუალო კონსულტანტი იყო დიმიტრი. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო ამ ღონისძიებაში და საქმიანი დახმარება გაგვიწია.

მე დიდხანს ვმუშაობდი მონოგრაფიაზე — „აფხაზური სახვნელი იარაღების წარმოშობა“, რომელიც დაიბეჭდა 1941 წელს. საკითხის შესწავლის პროცესში რჩევის მიზნით არაერთხელ მიმიმართავს დიმიტრისათვის, როგორც აფხაზური ეთნოგრაფიის დაკვირვებული

მკვლევრისათვის და მისგან ყოველთვის საქმიანი დახმარება მიმიღია. მაგონდება ერთი ასეთი დეტალი. არის ქართული თქმა, სახნისის წვერი შვიდ წელიწადში ერთხელ ოქროს წამოედებაო. ამ ხალხურ სიბრძნეს, ალეგორიულად გამოთქმულს, ფესვები უთუოდ მატერიალური ცხოვრების სიღრმეში აქვს გაშვებული. როგორც ცნობილია, ჩვენი წინაპარი მიწას ამუშავებდა სამ წელს ზედიზედ, ხოლო შემდეგ სამ წელს ასვენებდა. სწორედ მეშვიდე წელს მოუდიოდა დასვენებულ მიწას ხელახალი დამუშავება და სახნისის წვერის ოქროსთან დაკავშირება უშუალოდ უხვ მოსავალზე მიუთითებდა. მაინტერესებდა, ასეთი რამ, თუ არსებობდა აფხაზურ ფოლკლორში ან საერთოდ ხალხურ მეტყველებაში. ჩვენმა მეგობარმა, დიმიტრიმ აფხაზურში ამ ფაქტის არსებობა დამიდასტურა, რაც ქართველებისა და აფხაზების წინაპრების მიწათმოქმედების კულტურის ერთიანობაზე მიუთითებს.

როდესაც დიმიტრი წერდა ეთნოგრაფიულ წერილებს ან სტატიებს, პირველ რიგში მე მაცნობდა. ამრიგად, მისი არა ერთი და ორი გამოკვლევის პირველი შემფასებელი მე ვიყავი.

ზემოთ აღვნიშნე და ახლაც ვიმეორებ, დ.გულიას ეთნოგრაფიულ გამოკვლევებს მაშინ უდავოდ დიდი მეცნიერული ღირებულება ქონდა და დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა."[1]

დ.გულიას ახლო მეგობრული და სამეცნიერო ურთიერთობა ჰქონდა აკადემიკოს აკაკი შანიძესთან. ბატონმა აკაკიმ 1974 წელს აფხაზი პოეტის დაბადების 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით შემდეგი გვიამბო:

„დ. გულიას კარგად ვიცნობდი, ვმეგობრობდით. მქონდა მასთან მჭიდრო მეცნიერული კონტაქტები. ბ-ნ ივანე ჯავახიშვილის წინადადებით და ჩვენი კათედრის შუამდგომლობით იგი მოწვეულ იქნა უნივერსიტეტში ქართული ენის კათედრაზე პედაგოგიურ ფაკულტეტზე აფხაზური ენის კურსის წასაკითხავად. ეს იყო 1924-1925 სასწავლო წელს.

მახსოვს, მას ბინა მისცეს ანასტასიის ქუჩაზე კ.კეკელიძის მეზობლად. იქაც ვხვდებოდით ერთმანეთს.

მაგონდება ასეთი დეტალი. თუ მეხსიერება არ მღალატობს, მასთან იმხანად ორი შვილი — გოგონა და ბიჭუნა ცხოვრობდნენ. ერ-

---

[1] გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი", №36, 1974.

თხელ მე და დიმიტრი ჭუჩაში მივდიოდით და ვმუსაიფობდით. მის ბინასთან, ჭუჩაში, შვილებს რაღაც წრე დაეხაზათ და თამაშობდნენ. მამა რომ დაინახა, ქალიშვილი გამოექანა მისკენ, წრეს მარჯვედ გადაევლო და მოეხვია. დიმიტრიმ გაიცინა და თქვა: „ლოკო“, აფხაზ კაცს თავისი ეროვნული თავისებურება — სისხარტე — მოაგონა ალბათ შვილის სიცქვიტემ.

დ. გულია, მართალია, ჩემზე უფროსი იყო ასაკით, მაგრამ იგი მაშინ დამწყები ლექტორი გახლდათ და სჭირდებოდა დახმარება, რომ უნივერსიტეტის მუშაობის სპეციფიკაში გარკვეულიყო, შეედგინა პროგრამა, თავი მოეყარა ლიტერატურისათვის, მოეხდინა კლასიფიკაცია და ლექციები დაემუშავებინა. ბატონმა ივანემ დახმარება მე დამავალა. მეც მას ვუწევდი კონსულტაციებს, როგორც კათედრის გამგე და საქმეში გაწაფული ადამიანი არ ვიშურებდი ენერგიას, ცოდნას, გამოცდილებას დავხმარებოდი კოლეგას. მან კარგად იცოდა მშობლიური აფხაზური, ქართული და რუსული ენები. ჩვენი საუბარი და ურთიერთობა ქართველური ენებისა და მასთან აფხაზურის მიმართების ფარგლებში თავსდებოდა.

ჩვენი ურთიერთობა ცალმხრივი არასოდეს ყოფილა. მართალია, მან ბევრი რამ ისწავლა ჩემგან, მაგრამ არც ის რჩებოდა ვალში. მე მაშინ დავიწყე აფხაზური ენის შესწავლა და დიმიტრი იყო ამ ენის ჩემი მასწავლებელი და კარგი მასწავლებელიც. თუ აფხაზური ენის რამ ვიცი, თუ რამ ამ ენიდან ჩემს მეცნიერულ მუშაობაში გამოვიყენე, ეს დიმიტრი გულიას წყალობით. ვწუხვარ, ბოლომდე არ მეყო მოთმინება, უფრო მოუცლელობის გამო, რომ აფხაზური ენა ძირფესვიანად შემესწავლა, სადღაც მაქვს შემონახული ჩემი ძველი კონსპექტები აფხაზურ ენაში დიმიტრის ხელმძღვანელობით დამუშავებული, მაგრამ ახლა მისი მონახვა მიჭირს, ისე კი უთუოდ მაქვს დაცული ჩემს ძველ არქივში. დეტალები აღარ მახსოვს. აკი მოგახსენეთ, დროს თავისი მიაქვს-მეთქი. არც გუშინდელი ამბავია, ეს იყო ნახევარი საუკუნის წინ.

მაინც მინდა გავიხსენო ერთი ფაქტი. კარგად მახსოვს, იმ დროს დ.გულია პატეიპასთან და მგონი მარღანიასთან ერთად მუშაობდა სახარების აფხაზურ თარგმანზე. ხელნაწერი ჩემთან მოჰქონდა და ერთად ვაზუსტებდით ძნელად სათარგმნ ადგილებს.

ერთხელ დიმიტრიმ მითხრა, რომ აფხაზურად ვერა და ვერ ვთარგმნეო სახარებიდან ადგილი „ღმერთი სულია“. პირდაპირ რომ ვთარგმნე, ჩემს ენაზე გამოვიდა „ღმერთი მკვდარია“, „ღმერთი უსულოა“,

საქმე იმაშია, განაგრძო მან, აფხაზურად ღმერთი არის „ანცვა“, ხოლო სული „აფს“. ეს უკანასკნელი ომონიმია. ერთ შემთხვევაში ნიშნავს სულს, მეორე შემთხვევაში უსულოს, მკვდარს. ამიტომ ჩემს თარგმანში გამოდის ერთი გაგებით „ღმერთი უსულოა,“ ხოლო მეორე გაგებით „ღმერთი სულია“, ამის გამო ბევრი ვიცინეთ.

ჩვენ ერთ დიდ საქმეს — ეროვნული ცხოვრების აღორძინებას ვემსახურებოდით, რაც წარმოუდგენელია ურთიერთ თანამშრომლობისა და პატივისცემის გარეშე. მე და ჩემი კოლეგა დიმიტრი ერთმანეთს ვეხმარებოდით გულწრფელად, უანგაროდ, „ვით სჩვევიათ ჩვენსა ძველებს ძმობითა და სიყვარულით“...[1]

ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა, აღმზრდელმა და საზოგადო მოღვაწემ, აფხაზურ ენაში ფუნდამენტური სამეცნიერო შრომების ავტორმა აკადემიკოსმა ქეთევან ლომთათიძემ დ.გულიასთან თავისი შემოქმედებითი ურთიერთობის შესახებ მოგვითხრო.

„დ.გულიას თავისი ნაწერებით ადრეც ვიცნობდი, მაგრამ პირადად მას 1939 წელს გავეცანი თბილისში ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში, როცა ს.ჯანაშიას დავალებით დამეკისრა დ.გულიას მიერ აფხაზურად ნათარგმნი „ვეფხისტყაოსნის“ გაცნობა და დედანთან შედარება. გამაოცა დ.გულიას თავმდაბლურმა დამოკიდებულებამ ყოველი უმნიშვნელო შენიშვნის მიმართაც კი. „ვეფხისტყაოსნის“ აფხაზურად პირველადვე ლექსად თარგმნის მეტად რთული და დიდი საქმე (ისიც საკმაოდ მცირე დროის მონაკვეთში) დ.გულიამ ბრწყინვალედ შეასრულა. მას ცდა არ დაუკლია, აფხაზური ნათარგმნი ახლო ყოფილიყო დედანთან, შეენარჩუნებინა მისთვის დედნისეული საზომი. ამაში მას ხელს უწყობდა ორიგინალის ენაში კარგი განსწავლულობა.

დ.გულია თბილისში ხშირად იმყოფებოდა. იგი აღფრთოვანებული იყო იმ ყურადღებით, რასაც ქართველი მეცნიერები (ივ.ჯავახიშვილი, ს.ჯანაშია, ვ.თოფურია, არნ.ჩიქობავა და სხვა) იჩენდნენ მისი მშობლიური აფხაზური ენისა და ხალხის მიმართ.

როგორც კი სოხუმში მომიხდებოდა ყოფნა, შეუძლებელი იყო დ.გულიას თავის სტუმართმოყვარე ოჯახში არ მივეპატიჟნე. მეხსიერებიდან არ წაიშლება ის გატაცებული, დ.გულიასთვის დამახასიათებელი ეპიკური სტილით მონათხრობი თავისი ხალხის ზნე-ჩვეულებებზე, რომელთაც დ.გულია ასე კარგად იცნობდა.

---

[1] გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი“, 21.11.1974.

ჩემი წარმოდგენით მის პიროვნებაში განივთებული იყო აფხაზი ხალხის მთელი სულიერი სამყარო.“[1]

ასევე პროფესორმა ი.მეგრელიძემ, რომელიც ძალიან ახლოს იცნობდა დ.გულიას, თავის მოგონებებში აფხაზი პოეტის ჩინებული პორტრეტი მოგვცა:

„დ. გულია იყო ბრწყინვალე თანამოსაუბრე, მის მეტყველებას ამკობდა სხარტი მხატვრული გამოთქმები, ანდაზები, რაღაც საოცარი ზემოქმედების ძალა შესწევდა ამ კაცს, რაც მისდამი განსაკუთრებული მოკრძალებითა და პატივისცემით განგაწყობდათ.“[2]

დ. გულია დაძაბულად მუშაობდა აფხაზეთის ისტორიის საკითხებზე, 1925 წელს თბილისში გამოდის მისი „აფხაზეთის ისტორია“ (ტ.1). ეს წიგნი აფხაზი კაცისაგან მშობლიური ისტორიის საკითხებში გარკვევის პირველი ცდა იყო. ნაშრომი დღესაც იწვევს ინტერესს. მასში წარმოდგენილია მდიდარი ფაქტობრივი მასალა სხვადასხვა წყაროებიდან.

„აფხაზეთის ისტორიას“ მოჰყვა: „ნადირობის ღვთაება და მონადირეთა ენა აფხაზებში“ (1926 წ.), „ვაცის კულტი აფხაზებში“ (1927 წ.) „აფხაზური გრამატიკის მასალები“ (1927 წ.), „აფხაზური ენის ორთოგრაფია“ (1933 წ.), „ტერმინოლოგიური ლექსიკონი“ (1939 წ.).

დ.გულია სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ერთგული იყო თავისი საქმისა. ეს ღვაწლმოსილი მამულიშვილი 1960 წელს გარდაიცვალა ღრმად მოხუცი, 86 წლის ასაკში. მან ღირსეულად მოიხადა ვალი მშობლიური ხალხის წინაშე და ნათელმოსილი წავიდა ამ ქვეყნიდან, დატოვა რა წარუშლელი კვალი აფხაზურ სიტყვაკაზმულ მწერლობასა და კულტურაში. „ჩვენთვის განსაკუთრებით ფასეულია, რომ დიმიტრი გულია თავისი საკმაოდ ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში გულმხურვალედ ემსახურებოდა აფხაზთა და ქართველთა ისტორიული ძმობისა და მეგობრობის საშვილიშვილო საქმეს.“[3]

დ.გულიამ და ივ.ჯავახიშვილმა თავიანთი ერების სინდის-ნამუსი შეულახავად, სუფთად გამოატარეს ისტორიის ქარტეხილებში.

1986

---

[1] გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი“, 21.11.1974.

[2] ი. მ ე გ რ ე ლ ი ძ ე, დიმიტრი გულია (ზოგიერთი მოგონება), გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი“, 75.1974.

[3] ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ.VII, თბ., 1978, გვ.239 — 241.

ნათელმოსილი

(ფ. დგებუაძე-ფულარიას დაბადების 100 წლისთავის გამო)

ბუნების მშვენებას წარმოადგენს ადამიანი, ადამიანი თავისი სიხარულითა და ტკივილებით, მადლითა და უმადურობით, მთელი თავისი წინააღმდეგობრივი ცხოვრებით და რა დიდი მწუხარების მომგვრელია მისი წასვლა წუთისოფლიდან. მიდიან ახლობლები, მეგობრები, ღირსეული ადამიანები და ტოვებენ მოუშუშებელ ტკივილებს დროებით ამ ქვეყნად დარჩენილთა შორის და ასე გრძელდება მარადის.

მოსწრებულად თქვა ჩვენმა სახელოვანმა პოეტმა გრ.აბაშიძემ:

იქნება მიხვდნენ, რომ წახდა კვეხნა,
და აზრი არ აქვს სიკვდილთან ჰიდილს,
რადგან სულს არ ჰყავს მეუფე ქვეყნად
და მბრძანებელი არა ჰყავს სიკვდილს.

(„სფინქსი“).

თითქოს გუშინ იყო, ჩვენს შორის რომ დადიოდა სათნო, კეთილშობილი, ჰაღარამოსილი ქალბატონი ფუცუ და ამშვენებდა ჩვენს ცხოვრებას, ყოფას, კულტურას, ირგვლივ აფრქვევდა სიყვარულსა და კდემამოსილებას, ასე რომ სჭირია ადამიანს ნიადაგ და ასე რომ გვაკლია დღესაც.

ფუცუ დგებუაძე-ფულარიამ მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება, მხატვრული შემოქმედება და პედაგოგიური მოღვაწეობა ხალხის სამსახურს მოახმარა, სიცოცხლისა და სილამაზის დამკვიდრებას შეალია. მას სწამდა, სჯეროდა, რომ „მართლაც უსასრულოა ქვეყნად სიცოცხლე და სილამაზე“.

ქალს — სიცოცხლის საწყისს, აღმზრდელ დედასა და ერთგულ მეუღლეს, სათნოებისა და კდემამოსილების განსახიერებას ყველა ხალხის ისტორიაში უდიდესი დამსახურება ჰქონდა და ბუნებრივია, ჩვენთანაც, როგორც თავის დროზე დიდმა ილიამ მიუთითა, „ქართველებისათვის“ „დედა“ მარტო მშობელი არ არის, ქართველი ღვიძლს ენასაც „დედა-ენას“ ეძახის, უფროს ქალაქს „დედა-ქალაქს“, მკვიდრს და დიდ ბოძს სახლისას „დედა-ბოძს“... სამთა-

ვრო აზრს „დედა-აზრს“, გუთნის გამგებელ მამაკაცსაც კი „გუთნის დედას“, რამოდენად გამრავალგვარებულია, გაპატიოსნებული, გაძლიერებული, გაღონიერებული და თავმოსაწონებელი!.. სიდიდე, სიმაგრე და სიმკვრივეც კი — აღნიშნულია დედობით“.

ქართველი ქალები არა მარტო სამშობლოს უანგარო პატრიოტები, დედის უწმინდესი ლეჩაქის ერთგული ვაჟკაცების აღმზრდელები და თვითონაც ამორძალებივით იარაღით ხელში მამაპაპეული მიწა-წყლის, მშობლიური კერის დამცველები იყვნენ, არამედ სახელგანთქმულ მწერლებად, სახელმწიფო და საზოგადოებრივ მოღვაწეებად, სწავლულებად და ხელოვანებად გვევლინებოდნენ. დღესაც ფასდაუდებელია მათი წვლილი ხელოვნებისა და აზროვნების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში.

ფუცუ დგებუაძე-ფულარია მხარს უმშვენებს ჩინებულ მწერალ და მოღვაწე ქართველ ქალებს (რომელთა ნაამაგარს თვითონაც უძღვნა საინტერესო გამოკვლევა). მათ შორის უნდა დავასახელოთ: ნინო და ეკატერინე ჭავჭავაძეები, ანასტასია ერისთავ-ხოშტარია და ეკატერინე გაბაშვილი, ოლღა გურამიშვილი და ნინო ნაკაშიძე, დომინიკა ერისთავი (განდეგილი) და ნინო ყიფიანი, ანასტასია თუმანიშვილი და ნინო ბოცვაძე და ვინ მოთვლის მათ ნათელ, უკვდავ, მამულისათვის, ხალხისათვის დაფერფლილ სახელებს, ისინი გახლდნენ ევროპულად განათლებული, დიდი ეროვნული გრძნობით გამსჭვალული სულის მანდილოსნები, რომელთაც სამარადისო კვალი დატოვეს მშობლიური კულტურის საგანძურში.

უთუოდ რთული, წინააღმდეგობებით, ხიფათებით აღსავსე, თანაც რომანტიკული და საინტერესო იყო ის გზა, ცხოვრების ის წილხვედრი სარბიელი, რომელიც ქალბატონმა ფუცუმ განვლო.

მწერალი ქალი დაიბადა 1887 წლის 15 აგვისტოს ბაბუას — როსტომ ლორთქიფანიძის ოჯახში, სოფელ ჩუნეშში (წყალტუბოს რაიონი). როსტომი ცნობილი მწერლის ნიკო ლორთქიფანიძის მამის ახლო ნათესავი იყო.

ფუცუს მშობლები დავით და ქრისტინე დიდად განათლებული ადამიანები იყვნენ, ჰქონდათ მდიდარი ბიბლიოთეკა და შვილებსაც უნერგავდნენ წიგნისა და მამულის სიყვარულს. ქრისტინე თანამშრომლობდა პერიოდულ პრესაში (ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, გაზ. „ცნობის ფურცელი“). წერდა საინტერესო ლექსებს, განიცდიდა ილიასა და აკაკის პატრიოტული ლირიკის გავლენას.

ქრისტინე ამავე დროს ეწეოდა საზოგადოებრივ საქმიანობას,

მონაწილეობდა იმ კულტურულ ღონისძიებებში, რომლებსაც ატარებდნენ მოწინავე ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები. პოეტი ქალი ახლო მეგობრულ და შემოქმედებით ურთიერთობაში იყო ცნობილ მწერლებთან და მოღვაწეებთან: აკაკი წერეთელთან, გიორგი შარვაშიძესთან, დავით კლდიაშვილთან, ნიკო ლორთქიფანიძესთან. სწორედ ამ წრეში იზრდებოდა პატარა ფუცუ, ამ პოეტურმა გარემომ ალოლიავა მისი ოცნებები, აქ ყალიბდებოდა მისი შეხედულებები, მსოფლმხედველობა, კულტურა, გემოვნება, დამოკიდებულება მამულისა და წუთისოფლისადმი, ამ საკრებულომ შეაყვარა მას ლიტერატურა, მხატვრული სიტყვის თილისმური ძალა და მანვე განსაზღვრა მისი შემოქმედების შინაარსი და მიზანდასახულობა.

ფუცუ დგებუაძე-ფულარიამ პირველდაწყებითი განათლება მიიღო ოჯახში, დედის უშუალო ხელმძღვანელობით. მწერლის დედას საკუთარ სახლში გახსნილი ჰქონდა ერთგვარი „საოჯახო სკოლა“, სადაც თავს უყრიდა სოფლის გოგონებსა და ბიჭუნებს, მათ შორის საკუთარ შვილებსაც და ასწავლიდა წერა-კითხვას. ამ გარემოებამ მომავალი მწერალი დააახლოვა გლეხების ცხოვრებასთან, მათ ჭირ-ვარამთან, მწუხარებასა და სიხარულთან, რამაც შემდეგ დიდი როლი ითამაშა მისი შემოქმედების იდეურ მიმართულებასა და პედაგოგიურ მოღვაწეობაში.

1897 წელს, როდესაც ფუცუს შეუსრულდა 10 წელი, იგი გაამწესეს ქუთაისის წმინდა ნინოს ქალთა გიმნაზიაში, სადაც დაჰყო 9 წელიწადი.

1906 წელს ფუცუ დგებუაძე-ფულარია ამთავრებს ქუთაისის ქალთა გიმნაზიას და საცხოვრებლად გადმოდის აფხაზეთში. მუშაობას იწყებს სოფელ მერხეულში მასწავლებლად. 1907 წელს 20 წლის ასაკში თავის ბედს სამუდამოდ უკავშირებს ცნობილ მრეწველს დავით ბესარიონის ძე ფულარიას. ისინი მიემგზავრებიან ბაქოში და იქვე ქორწინდებიან.

ბაქოში ფუცუ აარსებს კერძო სკოლას მოზრდილთათვის საკუთარი ხარჯებით, სადაც სხვებთან ერთად თვითონაც ასწავლის რუსულ ენას.

როგორც აღვნიშნეთ, ფუცუ დგებუაძე-ფულარია პედაგოგიურ მოღვაწეობას იწყებს 1906 წლიდან და შემდეგ მთელი 37 წლის მანძილზე მას არ შეუწყვეტია ეს კეთილშობილური საქმიანობა. იგი ასწავლიდა სხვადასხვა ქალაქებში — თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, სენაკში. აქვე მინდა ხაზი გავუსვა კიდევ ერთ საინტერესო საქმია-

ნობას ამ კეთილშობილი ადამიანისა. მან ღარიბი მშრომელებისათვის დააარსა სხვადასხვა ტიპის სასწავლებლები საკუთარი სახსრებით. ბაქო უკვე ვახსენეთ. ამას გარდა სენაკში, სოფელ ხორშში, სოფელ ღანირში (სამტრედიის რაიონი).

ფუცუ დგებუაძე-ფულარიამ განვლო პედაგოგიური სარბიელის 37 წელი, მხცოვანმა ქალმა საუკუნის ერთ მესამედზე მეტი ახალგაზრდობის სწავლებისა და აღზრდის კეთილშობილურ საქმიანობას მოახმარა.

1957 წლის 23 სექტემბერს აფხაზეთის მწერალთა კავშირმა და სოხუმის საზოგადოებრიობამ მხცოვან მწერალ ქალს გადაუხადა დაბადების 70 და ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლის იუბილე. ფუცუ დგებუაძე-ფულარია დაკრძალულია ქ.სოხუმში აფხაზეთის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ფუცუ დგებუაძე-ფულარია სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა ჩვენი საუკუნის 10-იან წლებში. იმ ლიტერატურულმა ტრადიციამ, რომელიც მწერალი ქალის მშობლების ოჯახში იყო დამკვიდრებული და წინაპართა გენებმა 12 წლის გოგონას უკარნახეს კალამი ევარჯიშებინა ლექსების წერაში. მისი პირველი სინჯი, ჰაშნიკი იყო ბავშვური, მიამიტური, წამბაძველობითი ხასიათის, მაგრამ მათში მაინც ჩანდა პოეტური ნაპერწკალი, ის საფუძველი, რომელიც შემდეგ შეიძლება განვითარებულიყო. ისინი სტამბური წესით არ გამოუქვეყნებია ავტორს. შემონახული ჰქონდა ხელნაწერების სახით და არაერთხელ უჩვენებია ჩვენთვის, ამაყობდა კიდეც. ეს იყო ახალგაზრდული გატაცება. სულ მალე ფუცუ გადავიდა პროზაზე, სადაც უფრო ძლიერი და ფხიანი აღმოჩნდა მისი კალამი.

პირველი მისი ნაწარმოები „რამ დაღუპათ“ (საბავშვო მოთხრობა) დაიბეჭდა ჟურნალ „ნაკადულში“ 1907 წელს „ქალის“ ხელმოწერით. ამ პატარა მოთხრობის თემა აქტუალურია. მასში ჩანს, თუ რა აწუხებდა ახალგაზრდა მწერალს, რა მოვლენებზე ამახვილებდა ყურადღებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ვის ესარჩლებოდა, ვის მხარეზე იდგა. აქ არ არის ასახული ბედით კმაყოფილთა ცხოვრება, უზრუნველყოფილი ახალგაზრდობა. მართალია, თვით მწერალი ფეოდალური არისტოკრატიის წრიდან გამოვიდა, მაგრამ სულ სხვა მდინარებამ გაიტაცა მისი ოცნება, რამაც მთელ მის შემდგომ შემოქმედებას თავისი კვალი დააჩნია.

პირველი მოთხრობიდანვე გააკეთა მან თავისი სერიოზული განაცხადი, რომ მისი კალამი დაჩაგრული ადამიანის სამსახურში ჩად-

მწერლის გამომსახველობითი საშუალებების, სტილისა და მეთოდის, მსოფლმხედველობის, პოზიციის თავისებურება, პოეტურ ხილვათა სიღრმე და შესაძლებლობანი.

ამ სქელტანიანი რომანით მწერალმა მკითხველ საზოგადოებას თვალწინ გადაუშალა ჩვენი ისტორიისათვის ჯერ კიდევ კარგად შეუცნობი უბანი საქართველოს წარსულისა. ეს არის მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში დასავლეთ საქართველოს ცხოვრება — ფეოდალური აშლილობა და პარტიკულარიზმი, გლეხობის აუტანელი ცხოვრება, მისი ბრძოლა სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის. აქ ერთმანეთს ერწყმის ძველი და ახალი, მომავალი და წარმავალი, დღევანდელი და ხვალინდელი. ნაწარმოები მით უფრო საინტერესოა, რომ ავტორი თვით იყო ბევრი აღწერილი ამბის მომსწრე და მონაწილე, პირადად იცნობდა ნაწარმოების პერსონაჟების მრავალ პროტოტიპს, რაც დამაჯერებლობას მატებს ასახულ სიტუაციებსა და სურათებს, მხატვრულ სახეთა დინამიკას.

რომანი მკითხველმა იმთავითვე შეიყვარა, გაითავისა. იმ დროს ყველას „ოქროს ბეჭედი" და მისი სამყარო იზიდავდა. კითხულობდნენ ქალბატონ ფუცუს რომანს და ბიბლიოთეკებში თანდათან იცრიცებოდა ამ წიგნის ფურცლები, რაც გახლავთ მკითხველი საზოგადოების მიერ მწერლის შემოქმედებით დაინტერესების ყველაზე უტყუარი საბუთი.

თუ „ოქროს ბეჭედი" გვისურათებს ჩვენს წარსულ ცხოვრებას, სამაგიეროდ მისი მომდევნო რომანი „ტყვარჩელის ლამპიონები" ეხება ინდუსტრიულ ტყვარჩელს. ეს ნაწარმოები გახლავთ ტყვარჩელელი მემაღაროელების ცხოვრების ამსახველი ერთ-ერთი პირველი ვრცელი მხატვრული ტილო.

ნაწარმოების წიაღსვლებში მოხდენილადაა ჩართული აფხაზეთ-სამეგრელოს ისტორიული წარსულის მიმზიდველი სურათები.

დიდ ინტერესს იწვევს ფუცუ დგებუაძე-ფულარიას ნოველებისა და მოთხრობების კრებული „მოღვაწე ქალები რევოლუციამდელ საქართველოში", რომელიც აფხაზეთის სახელგამმა გამოსცა 1957 წელს. ეს წიგნი როგორც სიტყვაკაზმული მწერლობის, ისე ლიტერატურისმცოდნეობის ძვირფასი შენაძენია. ამ ორიგინალურ წიგნში, რომელშიც შედის ოცდაათამდე ქართველი მოღვაწე ქალის ცხოვრების ამსახველი ნოველები, მოთხრობები, მხატვრული ნარკვევები, გამოვლენილია საყურადღებო მასალები და მათი მხატვრული გან-

ზოგადების საფუძველზე გაშუქებულია წარჩინებულ ქალთა საქმიანობა, მათი წვლილი ეროვნული პოლიტიკის, კულტურისა და ლიტერატურის განვითარების საქმეში. ეს მოღვაწე ქალები გახლავთ: თამარ მეფე, ქეთევან დედოფალი, თინათინ გურიელი, თამარ ბაგრატიონი, ანუკი ბატონიშვილი, ქრისტინე მჭადიჯვრელი, მაია წუნეთელი, თინა წავკისელი, მადინა და სხვ.

ფუცუ დგებუაძე-ფულარია თავისი დიდი ცხოვრების გზაზე მრავლის მომსწრე და გამგონე გახლდათ და ეს ყოველივე განათლებულმა და ნიჭიერმა მამულიშვილმა აღბეჭდა მოგონებებშიც, რომლებიც ამშვენებს მდიდარ ქართულ მემუარულ მემკვიდრეობას.

მარიამ (ფუცუ) დგებუაძე-ფულარია ღვთით იყო მირონცხებული, როგორც მწერალი და მოქალაქე და დღესაც იგი ჩვენს შორისაა, სიკეთისა და სილამაზის მქადაგებელი.

1988

ზურაბ ანჩაბაძე

(შტრიხები ბიოგრაფიისათვის)

ზურაბ ანჩაბაძე დაიბადა ექიმების ოჯახში. სოხუმის აფხაზურ საშუალო სკოლაში სწავლის პერიოდშივე იჩინა თავი მისმა დიდმა ნიჭიერებამ, ნათელმა გონებამ, ბრწყინვალე მეხსიერებამ. მასწავლებლები მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. განსაკუთრებით იტაცებდა ისტორიული მეცნიერება. საშუალო სკოლის წარმატებით დამთავრებისთანავე შევიდა სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში. აქ გამოიკვეთა მისი მიდრეკილება კავკასიის ხელხთა ისტორიისადმი. მაშინ ინსტიტუტში ასწავლიდა აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია, რომელმაც იმთავითვე შენიშნა ახალგაზრდის ნიჭიერება და უმაღლესი სასწავლებლის წარჩინებით კურსდამთავრებულს რეკომენდაცია მისცა ივ.ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ასპირანტურაში შესასვლელად შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის სპეციალობით. მან 1948 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, 1960 წელს კი — სადოქტორო.

ზ.ანჩაბაძე, როგორც მეცნიერი, აღიზარდა და გამოიწრთო ქართული ისტორიოგრაფიის იმ სკოლაში, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა დიდმა მეცნიერმა ივანე ჯავახიშვილმა. უშუალოდ ივ. ჯავახიშვილის მოწაფეების აკადემიკოსების ს.ჯანაშიასა და ნ.ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით გადიოდა იგი წვრთნას და შემდეგ თვითონ ჩაუდგა სათავეში საქართველოს, აფხაზეთის, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ისტორიის მეცნიერულად შესწავლას და საყოველთაო აღიარება მოიპოვა, როგორც დიდმა მეცნიერმა, აღმზრდელმა, საზოგადო და პოლიტიკურმა მოღვაწემ. აღსანიშნავია, რომ მან ჩაუყარა საფუძველი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ისტორიის განყოფილებას, რომელსაც წლების მანძილზე თვითონ უძღვებოდა.

ზ.ანჩაბაძე 100-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორია, მათ შორის 8 მონოგრაფიისა. აღსანიშნავია მონოგრაფიები: „ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები“, „ნარკვევები შუა საუკუნეების აფხაზეთის ისტორიიდან“, „ძველი აფხაზეთის ისტორია და კულტურა“.

ზ.ანჩაბაძე იყო გულისხმიერი აღმზრდელი, მის ხელში გაიარა

წრთობა არაერთმა სწავლულმა, საზოგადო მოღვაწემ, პედაგოგმა, მისი უშუალო ხელმძღვანელობით მომზადდა 18 საკანდიდატო და 5 სადოქტორო დისერტაცია. მისი რედაქტორობით გამოვიდა 50 სამეცნიერო ნაშრომი, ხოლო 60-ჯერ იყო საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების ოპონენტი. იგი უანგაროდ უნაწილებდა ადამიანურ სითბოსა და სიყვარულს ყველას, ვისაც შველა და დახმარება, თანადგომა და ყურადღება სჭირდებოდა.

ჩემი ცხოვრების გზაზე, თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე, ბევრი ღვთით მომადლებული ნიჭიერი ადამიანი, უაღრესად განათლებული და ზრდილი, კულტურული და დაუნჯებული მამულიშვილი და მოქალაქე შემხვედრია. გავუოცებივარ მათ ინტელექტუალური დონის, გონის უცნაურ აღმატებულობას, მრავალმხრივ განსწავლულობას, ნათელ მეხსიერებას.

მათ შორის ჩემს განსაკუთრებულ აღტაცებას იწვევდა ორი ადამიანი, ორი სწავლული თავიანთი კოლოსალური განათლებითა და მეცნიერების მრავალი დარგის ბრწყინვალე ცოდნით, მშვენრმეტყველებით, კაცური კაცობითა და მოქალაქეობრივი შემართებით. ესენი გახლდათ — აკადემიკოსი შალვა ნუცუბიძე და აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ზურაბ ანჩაბაძე.

ხშირად მიფიქრია მათ შესახებ. ისინი რაღაცით გავდნენ ერთმანეთს და ეს „რაღაცა“ იყო ინტელექტუალური სრულყოფილება, საოცარი მეხსიერების გონიერი გამოყენება, მშვენრმეტყველება. როდესაც მათ მეცნიერულ პაექრობას ან საჯარო ლექციას ვუსმენდი, ყოველთვის მებადებოდა აზრი, რომ ასეთი უნდა იყოს ჰეშმარიტი მეცნიერი და ტრიბუნი, დამაჯერებელი, დასაბუთებული და ნათელი იყო მათი მსჯელობა, აზრი ამა თუ იმ საკითხზე; რკინისებური ლოგიკით, მირიადი ფაქტის მომარჯვებით ამტკიცებდნენ, ამკვიდრებდნენ თავიანთ შეხედულებას, დებულებას, მოსაზრებას, რა მიმზიდველი, მომხიბვლელი და გამჭვირვალე იყო მათი სათქმელის ენობრივი სამოსელი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზურაბ ანჩაბაძემ ბუნებით მომადლებულ ნიჭიერებასთან ერთად აღზრდის შესაშური სკოლა განვლო ოჯახში ღირსეული მშობლებისა და ნათესავების (რად ღირდა მარტო ბებიასთან — ცნობილ საზოგადო მოღვაწესთან მარიამ (მაშო) დადიანი-ანჩაბაძესთან და ბებიის ძმა შალვა დადიანთან სიახლოვე და ურთიერთობა) ზეგავლენით, ხოლო შემდეგ კი გამოჩენილ ისტორიკოსებთან განსწავლულობისა თუ დავაუკაცების პერიოდში.

ახალგაზრდა ზ.ანჩაბაძის უშუალო სამეცნიერო ხელმძღვანელი გახლდათ სახელგანთქმული მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია, რომელიც ცხოვრებაშივე ლეგენდად იყო ქცეული. მისი თანატოლი თუ უფროსი თაობის სწავლულებისაგან ხშირად გამიგონია, რომ იგი ასაკთან შედარებით გაცილებით განსწავლული, დინჯი, თავშეკავებული და სერიოზული პიროვნება იყო. ჩინებულად ჩანს მეცნიერის ეს თავისებურება მის შრომებსა და ეპისტოლურ მემკვიდრეობაში. ერთხელ საუბარში აკად.გ.ჩიტაიამ გვითხრა, სიმონს რჩევისათვის მიმართავდნენ როგორც მეგობრები, ისე უფროსი თაობის წარმომადგენლები (ასეთივენი იყვნენ ბატონ სიმონის მამა ნიკო და შვილი ლაშა).

ზუსტად არ მახსოვს, მგონი ეს იყო 1949 თუ 1950 წელს, ბატონი ზურაბი და მე თბილისში „დინამოს“ ცნობილ მეკარეს, აწ განსვენებულ ვ.მარღანიას, ოჩამჩირელ ჭაბუკს ვესტუმრეთ. მოვილხინეთ. საუბრის დროს ბატონ ზურაბს შევეკითხე: რა რჩევა-დარიგებას გაძლევდათ მეთქი ბატონი სიმონი ასპირანტებს?

მან რუსულად მიპასუხა:

— Он советовал: «Не брезгайте науками».

მაშინ მე, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, გაუწაფავ კაცს, ასეთი აზრი გადაჭარბებული მეჩვენა, ხოლო შემდეგ, როდესაც თვით ბატონ ზურაბს ვუკვირდებოდი, ვიხიბლებოდი მისი განსწავლულობით, ვრწმუნდებოდი, რომ ბატონი სიმონი მართალი იყო. ეს პრინციპი ყოფილა მთავარი მეცნიერებისათვის, ნიჭიერებასთან ერთად.

ღრმა და ფართო განსწავლულობასთან ერთად ბატონი ზურაბი პოლიგლოტი იყო, მრავალი ენა იცოდა ჩინებულად. მათ შორის: აფხაზური, ქართული, რუსული, ფრანგული, იტალიური, თურქული, მეგრული, შედარებითი გრამატიკა მრავალი ევროპული და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ენებისა. ის ხომ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ისტორიის უბადლო მცოდნე და აღიარებული სპეციალისტი იყო.

მისი ქართული კეთილხმოვანი და ხავერდოვანი გახლდათ, სასიამოვნოდ მოსასმენი. იგი დიდებულად ართმევდა თავს წინადადებათა რთულ კონსტრუქციებს. მას ჰქონდა ჩინებული საჯარო გამოსვლები რუსულ და ქართულ ენებზე. მაგონდება მრავალთა შორის ერთი მისი ბრწყინვალე საჯარო ლექცია სოხუმში. ეს იყო ამ ოციოდე წლის წინათ. მისი მოხსენების თემა გახლდათ XV — XVII ს. ს. აფხაზეთის ისტორიიდან ქართულ-აფხაზური ურთიერთობის საკითხი. ლექ-

ცია აფხაზურ თეატრში იყო დანიშნული. იმდენი ხალხი მოჯარდა, რომ ხელოვნების ამ ტაძარში ვერ დაეტია. -ყველანი ერთად გავეშურეთ საზაფხულო თეატრში, ფილარმონიის შენობისაკენ... იგი ღმერთკაცივით იდგა კათედრასთან და ოქროპირად იყო ქცეული. რისი კონსპექტი, რა ჩანაწერი?

იდგა კათედრასთან და წყაროსავით მოედინებოდა მისი მომხიბლავი და მომაჯადოებელი მეტყველება, რამდენი ფაქტი, არგუმენტაცია! ერთი სიტყვით, უსმენდი კაცი და ფიქრობდი, როგორ იტევს ამდენს ერთი ადამიანის მეხსიერება, უსმენდი და გეამაყებოდა კაცთა მოდგმის ასეთი სრულყოფილება.

კიდევ ერთი ფაქტი უნდა მოვიგონოთ: ბატონი ზურაბი და მე მიგვავლინეს გაგრაში ლექციების წასაკითხად. ჩვენი თემა ეხებოდა აფხაზი და ქართველი ხალხების მეგობრობასა და კულტურულ ურთიერთობას. ისტორიული ასპექტი ბატონ ზურაბს უნდა გაეშუქებინა, ხოლო კულტურული და ლიტერატურული ურთიერთობა მე მქონდა მინდობილი. პირველად, რა თქმა უნდა, ბატონი ზურაბი გამოვიდა და მონუსხა მსმენელი თავისი რკინისებური ლოგიკით და ხატოვანი მეტყველებით. მის შემდეგ მე ავითრიე წელი (ბატონი ზურაბის შემდეგ არა მარტო მე, არამედ, სიმართლე უნდა ითქვას, სხვასაც ბევრს უჭირდა გამოსვლა). როგორც იქნა, გავმართე ჩემი სათქმელი და როდესაც ვეხებოდი აკ.წერეთლისა და გ.შარვაშიძის ცნობილ პოეტურ პაექრობას, ლექსები მოვიტანე ზეპირად, ქართულად და შემდეგ შევეცადე პერიფრაზი გამეკეთებინა. დავიწყე თუ არა აუდიტორიისათვის შინაარსის თარგმნა, ბატონი ზურაბი წამომეშველა, ბოდიში მოიხადა და ორივე ლექსი ზეპირად თქვა, რუსულად თარგმნილი მის მიერ ყმაწვილკაცობის დროს. აუდიტორია ტაშით შეეგება ასეთ ექსპრომტს. მე მხოლოდ მაშინ გავიგე პირველად, რომ ბატონი ზურაბი ყმაწვილკაცობაში ლექსებს წერდა თურმე და სწორედ იმ დროს უთარგმნია აკაკისა და გიორგის ლექსებიც.

სოხუმში დაბრუნებისას მას ვთხოვე გადმოეცა ჩემთვის მისეული თარგმანები ამ ლექსებისა და მანაც წადილი შემისრულა. ახლა კი მკითხველს გვინდა შევთავაზოთ ზურაბისეული თარგმანები. ჯერ მოვიტანთ ორიგინალს და შემდეგ რუსულ თარგმანს. შესადარებლად მგონი ასე აჯობებს.

აკ.წერეთელი გ.შარვაშიძეს სწერდა:

შენი ტკბილი საუბარი
მიყვარს, როგორც ქებათ-ქება,
შენი ნახვა ნერვებ აშლილს
სამკურნალოდ შეერგება.
ეს შენც იცი, მაგრამ, ძმაო,
ცოტას მოიაფხაზურებ,
ახალ-ახალს რომ მონახავ,
ძველებს ალარც კი უყურებ.
ეს არ არის მოსაწონი,
გეფიცები ზენა-არსსა,
ნათქვამია: „ნუ დააგდებ
ძველს გზას და მეგობარსა“.
თათარხანი ჩამოსულა,
მაგრამ ჩემთვის სად მოიცლის,
დღე სძინავს და ღამე ლოთობს,
თამაშობს და ყანწებსა ცლის;
ჩემთვის სადღა დაურჩება
ან საღამო და ან დილა,
ესეც კია, მეგობრობა
სვანის არსად გაგონილა!

ზ. ანჩაბაძის თარგმანი

С тобою сладкую беседу
Я люблю, как восхваленье,
Тебя увидеть
для больного —
Что целебное леченье.
Ты сам об этом знаешь,
брат мой,
Но по-абхазски поступаешь:
Когда друзей находишь
новых,
видеть старых не желаешь.
Такое дело непохвально,
В чем всевышний бог —
порука,

Ведь сказано:
«Не покидайте
Старого пути и друга».
Вот, Татархан сюда приехал,
Но меня не вспоминает,
Он днями спит,
ночами кутит,
Играет, канцы осушает.
Где ж для меня
найдет он время
Вечером иль утром рано.
А впрочем, я нигде
не слышал
Что-нибудь о дружбе свана.

გ.შარვაშიძის პასუხი აკ.წერეთლისადმი:

შენი ტკბილი მგოსნის ენა
რა ხანია არ მსმენია.
ფუტკარმაცა იცის კბენა,
მაგრამ თაფლის გამჩენია.
რაც უნდ მითხრა, მეგობარო,
მე, შენს შაგირდს, მაძლევს
ლხენას,
რადგან ვიცი, უკეთ ხარო,
მადლსა ვწირავ ცას და ზენას.
მაგრამ შენსა მაღალ ნიჭსა
არ შეჰფერის უმართლობა,
მოჰყოლიხარ ცოტა ჰორსა,
მოგრევია იმერლობა.
სვანი ყანწით გადღეგრძელებს,
მე, აფხაზი, წრფელის გულით,
ვით ცოდნიათ ჩვენსა ძველებს
ძმობითა და სიყვარულით.

ზ.ანჩაბაძის თარგმანი:

Давно не слышал я
отрадный

Поэта дивный, сладкий
глас.
И пчелы жалят беспощадно,
Хотя и мед творят
для нас.
всему, что скажешь,
друг мой милый,
Я, твой питомец,
рад всегда,
Хвала зато небесной силе,
Что ты здоров,
как никогда.
Твой ум высокий,
просвещенный
Несправедливости не знал,
Но по-имерски традиционно
Ты что-то сплетням
верить стал.
Сван пьёт за Вас вино
из чаши,
А я, абхаз,
восславлю вновь
От всей души,
как предки наши
Девизом —
Братство и Любовь!

მოსაგონარს რა გამოლევს. ბატონ ზურაბ ანჩაბაძისთანა ადამიანები არ კვდებიან, რა ხელი აქვს მათთან დავიწყებას. და მართლაც, ბატონმა ზურაბ ანჩაბაძემ სამარადისო ცხოვრება დაიწყო იმ დღიდან, რა დღესაც თვალი წაუყუჩა მისთვის ესოდენ სათაყვანებელი სამყაროს სილამაზეს. დიახ, იმ საბედისწერო დღიდან ბატონი ზურაბი წილნაყარია უკვდავებასთან.

1985

გულთამხილველი

ნოდარ დუმბაძისათვის, როგორც ჰეშმარიტი მწერლისა და ნათელი მოაზროვნისათვის, მთავარი საფიცარი, როგორც გურია-სამეგრელოში იტყვიან, „ჯინჯი ხატი“ იყო — საქართველო, ქართველი კაცის ბედი ამ რთულ და უცნაურ მეოცე საუკუნეში. ერის წმიდათაწმიდა სამრეკლოდან ამცნო მან მთელ მსოფლიოს თავისი გულისნადები, რომ „სამშობლო ტაძარია სალოცავი და მუხლმოდრეკილი უნდა იდგე მის საკურთხეველთან“. ასეთივე ამაღლებული გრძნობით, მამულისადმი უსაზღვრო სიყვარულით არის გამთბარი ნ.დუმბაძის ყმაწვილკაცობაში დაწერილი ლექსი „დაილოცოს,“ რომელშიც სახელოვან წინაპართა ძახილი ისმის:

რამდენი მაქვს დასაწერი, სასიმღერო...
რა ჩააქრობს სიყვარულის ძლიერ კოცონს,
ჩემი დედა, ჩემი ტკბილი საქართველო
დაილოცოს!

მაგრამ შეცდომა იქნებოდა, უფრო მეტიც, მკრეხელობაც კი, რომ ნ.დუმბაძის შემოქმედებითი სამყარო მხოლოდ მამულისათვის განკუთვნილი განცდით შემოგვეფარგლა.

ნ.დუმბაძე იყო დიდი ჰუმანისტი ამ სიტყვის ყველაზე ფართო, ღრმა და შინაარსიანი გაგებით. იგი ზოგადსაკაცობრიო იდეებს ქადაგებდა თავისი მამულის სამრეკლოდან.

ნოდარ დუმბაძეს უყვარდა, სწამდა ადამიანი, იღვწოდა მისი ბედნიერებისათვის. დიდებულად ჟღერს მწერლის სიტყვები:

„ადამანის სული გაცილებით უფრო მძიმეა, ვიდრე სხეული, იმდენად მძიმე, რომ ერთ ადამიანს მისი ტარება არ შეუძლია, ამიტომ, ვიდრე ცოცხლები ვართ, ერთმანეთს ხელი უნდა შევაშველოთ და ვეცადოთ, როგორმე უკვდავყოთ ერთმანეთის სული: თქვენ ჩემი, მე სხვისი, სხვამ სხვისი და ასე დაუსაბამოდ, რამეთუ იმ სხვისი გარდაცვალების შემდეგ არ დავობლდეთ და მარტონი არ დავრჩეთ ამ ქვეყანაზე“ („მარადისობის კანონი“).

შესაძლებელია ნ.დუმბაძემდე ეს აზრი სხვა მწერალსაც ჰქონოდა ნათქვამი და მის შემდგომაც მომავალმა თაობებმა გაიმეორონ. ეს გამორიცხული არ არის. კ. გამსახურდია მიუთითებდა, ძნელია ახალი აზ-

რის თქმა, მაგრამ თუ შენ ძველს აზრს ახალი სამოსელი მოუნახე, მოარგე, იგი უკვე შენი კუთვნილებააო. დიახ, ზემოხსენებული აზრი მხატვრული სიტყვის ამ ოქროს სამოსელით ეკუთვნის ნოდარ დუმბაძეს.

ნოდარ დუმბაძე ნიადაგ წელგამართული და თავმოწონებული დადიოდა ამ კურთხეულ მიწაზე. მას თანაბარი ძალით, გრძნობითა და განცდით უყვარდა ყველა ჯილაგისა და მოდგმის, რასისა და რწმენის ადამიანი. მისთვის, დიდი ბუნების შემოქმედისათვის, უცხო იყო ეროვნული კარჩაკეტილობა და კუთხური შეზღუდულობა. ამაში გვარწმუნებენ ბრწყინვალე ნაწარმოებები: „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „მე ვხედავ მზეს“, „მზიანი ღამე“, „ნუ გეშინია დედა“, „თეთრი ბაირაღები“, „მარადისობის კანონი“, მოთხრობები, საბავშვო ლექსები, ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები, ესსეები, რომლებშიც მარადის ციალებს მზის სხივი და ათბობს ადამიანთა გულებს. ნოდარს წრფელი გრძნობით უყვარდა ქართველი, აფხაზი, რუსი, უკრაინელი, ებრაელი, სომეხი, ბერძენი და სხვა ხალხები. მიმზიდველი, ლამაზი, დასამახსოვრებელი სახეები შექმნა მან ამ ხალხთა სამყაროდან. მე რომ ბერძენი ვიყო, ვთარგმნიდი და ელინური კულტურის საგანძურში მოვათავსებდი ნ.დუმბაძის „ელადოსს“, სუფთა და ხალას ქმნილებას, ადამიანის სადიდებელ ჰიმნს, ბერძენი ბიჭის სიკეთის მაჩვენებელს.

სამამულო ომის დამთავრების შემდგომ პერიოდში ქართულ მწერლობაში მრავალი ნიჭიერი ახალგაზრდა მოვიდა. მათ ხალისი და სიცოცხლე შეიტანეს ლიტერატურულ სამყაროში და სათანადო კვალიც დააჩნიეს ჩვენს მხატვრულ აზროვნებას. დღეს სწორედ ამ თაობის წარმომადგენლები მესვეურობენ ლიტერატურულ პროცესს. ამ თაობის დიდი უმრავლესობა გახლდათ თბილისის უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორის ბატონ ნიკო კეცხოველის მიერ დაარსებული სტუდენტური ალმანახის „პირველი სხივის“ პირველი აღზრდილები, პირველი მერცხლები, ნოდარ დუმბაძის მეგობრები, თანამოაზრენი, და თანამოკალმენი, ამჟამად ცნობილი მწერლები როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის საზღვრებს გარეთაც: ანა კალანდაძე, გურამ ასათიანი, სარგის ცაიშვილი, ნაზი კილასონია, ედიშერ ყიფიანი, არჩილ სულაკაური, ჯანსუღ ჩარკვიანი, მუხრან მაჭავარიანი, ძმები თამაზ და ოთარ ჭილაძეები, რომან მიმინოშვილი, შოთა ნიშნიანიძე, თამაზ ჩხენკელი, რეზო თვარაძე, გურამ გვერდწითელი, გურამ ფანჯიკიძე,

ტარიელ ჭანტურია, რევაზ ინანიშვილი, ოთარ ჩხეიძე, გიგლა ხუხაშვილი, მაგალი თოდუა, რეზო ჭეიშვილი, გივი გეგეჭკორი, ზაურ ბოლქვაძე, კობა იმედაშვილი, ქართლოს კასრაძე, ემზარ კვიტაიშვილი და სხვ.

რა დიდებული პოეტური საკრებულოა, რა ნათელი გონებისა და და მრწამსის ელვარება. მსოფლიოს ნებისმიერი ერის, თუნდაც ყველაზე თავმოწონებულის, კულტურას დიახაც დაამშვენებდა მწერალთა და მეცნიერთა ეს ბრწყინვალე პლეადა.

იმ პერიოდში განსაკუთრებით გამოკვეთილად გამოჩნდა ორი ახალგაზრდა შემოქმედი თავიანთი ორიგინალური აზრებით, ცხოვრების თავისებური ხილვით. ეს ორი ახალგაზრდა გახლდათ ანა კალანდაძე და ნოდარ დუმბაძე. პირველმა დენთის სუნით გატენილ და დამძიმებულ პოეტურ განწყობილებაში შემოიტანა ქალის სინაზე და ვარდ-ყვავილების სურნელება (გ.ქიქოძე), ადამიანის სულს ხალისი და სიცოცხლით ტკბობა შემატა, ხოლო მეორემ — ნოდარ დუმბაძემ — უბრალო, მოკვდავი, ჭანჭიკელად წოდებული, უფლებააყრილი და აბუჩადაგდებული ადამიანის ცხოვრების რეალისტური ასახვა გაიხადა შემოქმედების მთავარ მიზნად. მან დიდი სიყვარული და ნდობა გამოუცხადა მას და ეს რწმენა სხვებსაც ჩაუნერგა. ნოდარ დუმბაძემ და მისი თაობის მწერლებმა ქართულ ლიტერატურას დაუბრუნეს დემოკრატიული ტენდენციები, ადამიანის სიყვარულის კონცეფცია, რომლებიც იმ დროისათვის მინავლებული იყო.

ნ.დუმბაძე რეალისტი მწერალია და როგორც ყოველი ჭეშმარიტი რეალისტი სინამდვილის ერთგული, მისი მკვლევარი, და თუ გნებავთ, განმჭიქებელიც. მწერლის პერსონაჟების უმეტეს ნაწილს პროტოტიპი გააჩნია. ისინი, მართალია, უშუალო ცხოვრებიდან არიან აღებული, მაგრამ ნატურის ფოტოასლებს არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენენ. პერსონაჟი უკვე ლიტერატურული პროდუქციაა, მწერლის ნათელხილვის ლაბორატორიაში შექმნილი, შემოქმედის ესთეტიკურ სამყაროში გამოშუშებული და გამობრძმედილი. ამდენად, ნაწარმოების გმირები იწყებენ ახალ ცხოვრებას არა მარტო მწერლის მიერ მინიჭებული სახელებითა და გვარებით, არამედ ადამიანთა შორის ურთიერთობის მწერლისეული გაგებით, შეხედულებით, მრწამსით, ავტორისეული მსოფლმხედველობით.

თვით მწერალი თავის შემოქმედებით მეთოდს, ასახვის პრინციპებს, ცხოვრებისეულისა და მწერლისეულის მიმართებას ასე გვი-

სურათებს:

„მწერალი ცხოვრებიდან, სინამდვილიდან იღებს მასალას. ამავე დროს თვითონ ავსებს, ამდიდრებს მას, ქმნის მხატვრულ სინამდვილეს: ჩემი გმირების უმრავლესობას ჰყავს თავისი პროტოტიპები, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, თითქოს ისინი ნატურის ასლი იყოს. ისინი ჰგვანან და კიდევაც არ ჰგვანან პირველ წყაროს. მწერლის ხელოვნებაც იმაშია, კონკრეტულიდან აღებულ ხასიათს რამდენად მისცემს ზოგად ტიპიურ ელფერს.“

მხატვრული გარდასახვის ურთულესი მომენტია პერსონაჟის ხასიათის, მისი სულის ჩამოყალიბების პროცესის ჩვენება, გამოაშკარავება იმ ჰიდილისა, ბრძოლისა წინააღმდეგობისა, რომელიც მიმდინარეობს, ერთი მხრით, თვითონ ადამიანში მის „ჰოსა“ და „არას“ შორის, ხოლო, მეორე მხრით, პიროვნებასა და საზოგადოებას შორის. „ჩემთვის მთავარია, — წერდა ნ.დუმბაძე, — ვუჩვენო ახალგაზრდა ადამიანის სულის მოძრაობა, გულის დუღილი სხვადასხვა ასაკში, სხვადასხვა გარემოში, წინააღმდეგობებსა და სიძნელეებთან ჰიდილში. იგი იბრძვის, მარცხდება, კვლავ ფეხზე წამოდგება, სულიერად განიწმინდება... და აჰა, შეაბიჯა ცხოვრებაშიც.“

ნ. დუმბაძის მიერ ასე „გამოწაფული“ პერსონაჟები დადიან უსასრულო დუნიაზე და ადამიანებს შორის სიკეთესა და ბედნიერებას, იმედსა და სიყვარულს ამკვიდრებენ.

ნ.დუმბაძემ და მისმა თანამოკალმეებმა მთელ საბჭოთა კავშირში თავიანთი თაობის მწერლებს შორის ერთ-ერთმა პირველებმა აიმაღლეს ხმა უსამართლობისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ ადამიანის უფლებების, ღირსების, სინდისისა და მრწამსის დასაცავად. ეს ახალი დემოკრატიული ნაკადი მეტნაკლები ოდენობით იგრძნობა ნ. დუმბაძის ყველა ნაწარმოებში, მაგრამ განსაკუთრებით გამოკვეთილად ჩანს „მზიან ღამეში“, „თეთრ ბაირაღებსა“ და „მარადისობის კანონში“.

ამ უვალი გზის გაწვალდვა მოქალაქეობრივი გამბედაობის, დიდი შთაგონების, ჰეშმარიტ ნათელხილვის გარეშე შეუძლებელი იყო. „ყველაზე დიდი ძღვენი, რაც ბუნებამ დაგვანათლა, — წერდა ნოდარი, — ესაა სიყვარულის ნიჭი. ამის გარეშე ძნელია ცხოვრება. ეს ნიჭი თუ ვერ იგრძენი, ისე წასვლა ცხოვრებიდან ცოდვაა“. ნ.დუმბაძის ეს ღვთითბოძებული ნიჭი და უნარი იმთავითვე შენიშნა როგორც სალიტერატურო კრიტიკამ, ისე მკითხველმა საზოგადოებამ. მწერალმა

საერთო აღიარება მოიმკა.

ამასთან დაკავშირებით კარგად თქვა სომეხმა მწერალმა ჰრანტ თამრაზიანმა:

„ნ.დუმბაძე გულწრფელად გიზიარებთ გულის ნადებს, რომ ადამიანობის უმაღლესი მოწოდებაა სიყვარულის ნიჭი, ღრმა, ორიგინალური სიმბოლოებით გინერგავთ საზიარო სიყვარულის ყოვლისშემძლეობას, ერთმანეთის ახლობლობის იდეალს... ხოლო გაუცხოება და მოძულეობა უდიდეს ტრაგედიებს იწვევს ადამიანთა ცხოვრებაში“.[1]

როგორც მწერლის უახლოესი ნათესავები და მეგობრები გადმოგვცემენ, მას ვერასოდეს შეატყობდით, რომ „ცხოვრებამ ბავშვობიდანვე არ დააკლო არარა სატკივარი“. მწერლის უმრწემესი ქალიშვილი, ქეთევანი იგონებს:

„სიკვდილის წინ სწორედ „ილიკო და ილარიონის“ რამდენიმე თავი წავუკითხე. ორივენი გულიანად ვიცინოდით, მერე უცებ გაჩუმდა, რომ შევხედე, ცრემლი შევნიშნე, თურმე ჩუმად ტიროდა. ასეთი იყო, არასოდეს დაიკვნესებდა.“[2]

მიუხედავად მწარე ცხოვრებისა, ნ.დუმბაძე არ გაბოროტებულა პირად ცხოვრებაში და არც მისი გმირები არიან ამ სენით შეპყრობილი.

როდესაც ეცნობი მწერლის ბიოგრაფიისა და შემოქმედების ამსახველ მასალებს, განსაკუთრებით კი ახლობელთა და მეგობართა მოგონებებს, რწმუნდები, რომ ნ.დუმბაძე, მიუხედავად თავსდამტყდარი უბედურებისა, სულიერად ძლიერი და გაუტეხელი პიროვნება იყო. ჩვენს ხელთ არის მწერლის ახლო მეგობრის პოეტ ჯანსუღ ჩარკვიანის მცირედი მოგონება. აი, რას ვკითხულობთ იქ:

„ჩვენ საგურამოში ვართ, ნოდარ დუმბაძის აგარაკზე, ბუხართან ვსხედვართ. ბუხრის კედელში ლამაზად და გამოკვეთილადაა ჩატანებული ბოლნისის ტუფისაგან გამოკვეთილი ჯვარი. უცებ ნოდარს ყურადღება ბუხრისაკენ გადააქვს და სევდით ამბობს: „მთელი ჩემი ცხოვრება გამოცდაში ვარ, სულ მცდის მამაზეციერი, ხან მშობლებს წამართმევს და მარტო დამტოვებს ბავშვს, უმწეოს, ხან შვილს წამართმევს და ხან ჯანმრთელობას, ხან დიდ ფათერაკს შემამთხვევს.“ მერე

---

[1] ჰ. თამრაზიანი, ნატკენი გულისა და მზენათელი სიზმრების წიგნი. „მნათობი“, №3, 1984, გვ.148.

[2] გაზ. „თბილისი“, 14.X.1988.

მრავალმნიშვნელოვნად იღიმება და ამბობს: „კი,სამაგიეროსაც მაძლევს, ხან რას და ხან რას, მაგრამ უსაზღვრო მწუხარების სამაგიერო არ არსებობს, არ მინდა, ბატონო, არაფერი, არ მინდა, ჩემთვის დამაყენოს“...

ნ.დუმბაძის ამ მწარე, ტკივილიან განცხადებას ჯ.ჩარკვიანი დასძენს: „ნოდარი მთელი ცხოვრება მარტოობას გაურბოდა, მარტოობის ეშინოდა, კიდეც იქნებ ამიტომ ნოდარ დუმბაძე მარტო არ მინახავს, არც მწერალთა კავშირში — თავის კაბინეტში, არც სახლში, არც აგარაკზე, არც ქუჩაში, არც მგზავრობაში... არა, არ იყო მისი ხალხთან ყოფნა გართობა, არ იყო მისი მეგობრებთან ყოფნა გართობა, სიმშვიდეს ეძებდა იგი, გულის კუნჭულში ჩამკვიდრებული მარტოობა სტანჯავდა“.[1]

მწერალი არ ეპუება ცხოვრების სიდუხჭირეს, იმ უბედურებათა მოჯარებას, რომლებიც თავს დააცხრა ბავშვობიდან მოყოლებული. იგი ყოველთვის პოულობდა შინაგან უდრეკ ძალას, რომ მათთვის წინააღმდეგობა გაეწია ყველაზე მძიმე წუთებშიც კი. როგორც ცნობილია, ნოდარს სიკვდილის წინ გიგა ლორთქიფანიძესთან და ვაჟა ყულუტთან ერთად უმღერია მისთვის სანუკვარი სიმღერები და ისინი მაგნიტურ ფირზეც კი ჩაუწერიათ. მართლაც, საოცარია ამ კაცის შემართება და ცხოვრებასთან პირისპირ თანადგომა.

გრ. რობაქიძე ამბობდა: „მტრის დასაძლევად ორი რამ არის საჭირო: თავდაჭერა და ირონია“.[2] ნ.დუმბაძემ ნიჭიერებისა და გამჭრიახობის ალღოს წყალობით სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე შეიცნო ცხოვრების ეს ფილოსოფია და იგი თავისი შემოქმედების მეთოდად აქცია.

ნ.დუმბაძემ ღვარძლიან სინამდვილეს დაუპირისპირა უებარი წამალი — სიცილი. აკი თვითონაც ამბობდა: „მე თავისუფლება მინდოდა და სიცილი ამიტომ ავირჩიე“. სამართლიანად წერს კრიტიკოსი კობა იმედაშვილი: „ნ.დუმბაძემ სიყვარულად და სიკეთედ გარდაქმნა სიძულვილი და ბოროტება“.

ასევე არ შეიძლება აქ არ მოვიტანო ნ.დუმბაძის დიდებული თაობის კიდევ ერთი ბრწყინვალე წარმომადგენლის, მისი ახლო მეგობ-

---

[1] ჯ. ჩარკვიანი, „დიდძალი ხალხი მისდევდა მას“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 21.X.1988.

[2] გრ. რობაქიძე, სტალინის ჰოროსკოპი, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 28.X.1988.

რის, განსვენებული გურამ ასათიანის სიტყვები: „სიცილი ადამიანის სიცოცხლისუნარიანობის უმთავრესი ნიშანთაგანია. ვიდრე ადამიანს მტერზე, მოყვარეზე, თავის თავზე, საერთოდ რამეზე გაცინება შეუძლია, ეს ნიშნავს, რომ მისი საქმე ჯერ კიდევ არ წამხდარა. ხალხი, რომელმაც ასეთი საღი, გადამდები სიცილის უნარი შეინარჩუნა, არ არის განწირული.

ეს უნდა თქმულიყო, ეს უთუოდ უნდა ეთქვა ვინმეს ჩვენს დროში — დიდი ზარისა და განსაცდელის, საუკუნის დიდ წარღვნათა შემდეგ. და ეს თქვა ნოდარ დუმბაძემ, ეს იყო მისი უპირველესი სათქმელი. ამის ასე თქმა სხვას არავის შეეძლო!“[1]

მაგონდება ერთი დეტალი ნ.დუმბაძის შემოქმედებითი ბიოგრაფიიდან.

ლენინგრადის სახელგანთქმული სახელმწიფო დრამატული თეატრი ემზადებოდა ლონდონში საგასტროლოდ წასასვლელად. მისი ხელმძღვანელი რეჟისორი გიორგი ტოვსტონოგოვი ამასთან დაკავშირებით პრესაში გამოვიდა და აღნიშნა: უნდა წაგველო ორი სპექტაკლი. ერთი იმთავითვე განისაზღვრა — თ.დოსტოევსკის „იდიოტი“. მე ვვარაუდობდი, თუ სპექტაკლმა წაიფორხილა, დოსტოევსკი გაგვიტანსო. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც დასმა მეორე სპექტაკლად დაასახელა ნ.დუმბაძის „ბებია“... გავიფიქრე, ჯერ ნ.დუმბაძეს ხეირიანად არც კი იცნობენ თავის ქვეყანაში. მისი ნაწარმოები აგებულია გურულ სხარტ მეტყველებასა და ქართულ იუმორზე. ჩვენ კი მოგვწონს, გვხიბლავს, მაგრამ გაგვიგებს კი მსოფლიოში თავისი მორიდებულობით განთქმული ინგლისელი მაყურებელი? დასმა თავისი გაიტანა. მეორედ მაშინ გავოცდი, — განაგრძობს გ.ტოვსტონოგოვი, — როდესაც ლონდონის მაყურებელი გულწრფელი ოვაციით შეეგება ამ სპექტაკლს. ეს იყო ჩვენი საერთო გამარჯვება და ნოდარის ნაწარმოების პირველი ფეხბედნიერი გასვლა საზღვარგარეთ.

გ.ტოვსტონოგოვი, თბილისში გაზრდილი და ქართულ მწერლობასა და თეატრზე შეყვარებული ხელოვანი, ნ.დუმბაძის ხალასი ნიჭისა და შემოქმედების დიდი დამფასებელი და პატივისმცემელია. ეს კარგად ჩანს მისი სიტყვებიდან:

„ნოდარ დუმბაძე ქართველია და საქართველოზე წერდა, წერდა მხოლოდ იმას, რაც კარგად იცოდა, მაგრამ მას კითხულობდნენ, კით-

[1] გაზ. „თბილისი“, 15.X.1988.

ხულობენ და კიდევ დიდხანს წაჩკითხავენ ყველა ეროვნების, ჩვენი პლანეტის ყველა ქვეყნისა და ქალაქის ადამიანები... ადამიანურობასა და სიკეთეს ასხივებს ყველაფერი, რაც თავის ცხოვრებაში გაუკეთებია კაცთათვის ნოდარ დუმბაძეს"[1]

სიკეთე. რამდენი მოაზროვნის, მწერლის, ხელოვანის, მეცნიერის, პოლიტიკური მოღვაწის... სიცოცხლე შეეწირა ამ ერთი, უწყინარი სიტყვის წიაღში დაბუდებულ მადლს, მაგიურ ძალას, თილისმას. სიკეთემ იმძლავრა ნ.დუმბაძის შემოქმედებაში, ამიტომ გახდა მწერალი ასე საფიცარი და სათაყვანებელი. მოსწრებულად არის ნათქვამი მწერალ ვახტანგ ჭელიძის სიტყვები:

„იმ პერსონაჟთა შორის, რომელთაც ნოდარ დუმბაძის შემოქმედებიდან ვიცნობთ, არის ერთი, შეიძლება მთავარი პერსონაჟი, რომელსაც მწერლის ყველა რომანსა და მოთხრობაში ვხვდებით, ეს არის სიკეთე, დიდი ადამიანური სიკეთე, რომლის ნოსტალგიას სულ უფრო და უფრო განიცდის ჩვენი ურბანისტული საუკუნე."[2]

ნ.დუმბაძე უამრავ წერილს იღებდა მადლიერი მკითხველებისაგან. როგორც მისი ქალიშვილი მიუთითებს, ეს ეპისტოლური მემკვიდრეობა რამდენიმე ტომს შეადგენსო. აქ არის წერილები ჩვენი პლანეტის უკიდეგანო რეგიონების მკვიდრთაგან. ერთ კუბელ ახალგაზრდა ქალს მწერლისთვის მოუწერია: „თქვენი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" რომ წავიკითხე, სწორედ მაშინ ტყუპები შემეძინა. და მათ პატივსაცემად ბიჭს ზურიკელო დავარქვი და გოგოს — ზურიკელაო,"[3]

და ახლა არა მარტო ჩვენთან, არამედ შორეულ კუნძულზე, ატლანტის ოკეანის გაღმა, დადიან ნ.დუმბაძის უკვდავი პერსონაჟის ზურიკელა ვაშალომიძის კუბელი სეხნიები ზურიკელო და ზურიკელა. სიმართლე უნდა ითქვას, ასეთი პოპულარობა ჩვენს მწერალთაგან იშვიათად თუ ვინმეს ღირსებია.

ნოდარ დუმბაძე უაღრესად კეთილი და კაცთმოყვარე მოქალაქე იყო. ამან განაპირობა როგორც მშობლიური ხალხისადმი, ისე სხვა ერებისადმი, ოჯახისადმი, მეგობრებისადმი, საერთოდ ადამიანებისადმი მისი დამოკიდებულების თავისებურება. ხშირად ამბობენ მის შესახებ, რომ მან სიძულვილი სიყვარულად აქციაო. ეს ჰეშმარიტებაა.

---

[1] გ. ტოვსტონოგოვი, გზას გაუნათებს ადამიანებს, გაზ. „კომუნისტი", 15.X.1985.

[2] ვ. ჭელიძე. მადლი სიკეთისა, გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 21.X.1988.

[3] ი. კუკავა, მეტი, ვიდრე მშობელი, გაზ. „თბილისი", 15.X.1988.

ნ. დუმბაძეს ერთხელ ჟურნალისტმა ასეთი კითხვა დაუსვა:

— რა თვისებები უნდა განავითაროს ადამიანმა უწინარეს ყოვლისა?

მწერალმა საკმაოდ ვრცელი პასუხი ასე დააბოლოვა:

— ადამიანები არ უნდა იკბინებოდნენ, არ უნდა აკვდინებდნენ ერთმანეთს.[1]

აქ კარგად არის გამოხატული ნოდარის კაცური-კაცობის არსი. გავადევნოთ გონების თვალი, რა კეთილი ადამიანებია მისი პერსონაჟები: ოლღა ბებია, ილიკო, ილარიონი, ზურიკელა, სოსოია, ჰაჩანა... რამდენ სიკეთეს ანიჭებენ ისინი ადამიანებს, იუმორის ძალისხმევით რა იოლად ძლევენ კარზე მომდგარ სიძნელეებს, ავბედითობის ჟამს როგორ კლდესავით უდგანან ერთმანეთს გვერდში. ნ. დუმბაძის სიტყვამ მოაჯადოვა მკითხველი, თავი შეაყვარა, აი, რას წერს ჩინგიზ აითმატოვი:

„...ჩაუქრობელია ნოდარის სიტყვა, სიტყვა, რომელიც განასახიერებს ჩვენს სულიერ გამოცდილებას, ჩვენს ჭირსა და ლხინს"[2].

ნოდარ დუმბაძე მადლიანი კაცი იყო. იცოდა მან სასწორზე შეგდებული ცოდო-მადლის ფასი, ცოდო-მადლისა, რომლის ფილოსოფიასაც ქართულ მწერლობაში საფუძველი დიდმა ილიამ, ილია მართალმა დაუდო და შემდგომ მწერალ ნოდარ დუმბაძის გენებში, მის მსოფლგაგებაში ჰპოვა საიმედო თავშესაფარიც და განვითარებაც.

ნ. დუმბაძის, ისე როგორც ყოველი ჭეშმარიტი შემოქმედის, მთავარი ღირსება მაინც ის არის, რომ მისი ნაწარმოებები ადამიანებს სულიერად აკეთილშობილებენ და ხვალინდელი დღის მტკიცე რწმენას უნერგავენ.

1988.

---

[1]. გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", 12.V.1983.

[2]. გაზ. „კომუნისტი", 20.IX.1984.

მსახიობი, რეჟისორი, მოღვაწე

შემოქმედის, საზოგადო მოღვაწის მიერ განვლილი გზა საყურადღებო და ფასეულია იმ თვალსაზრისით, თუ რა სიკეთე მოუტანა მან ხალხს, რა შემატა ერის სულიერ და მატერიალურ კულტურას, რითი არგო თანამემამულეებს ყოველდღიური ცხოვრების განვითარებაში. ხალხის სამსახურმა არ იცის დიდპატარაობა. ამ უბანზე ყველას — რიგითი ადამიანიდან დაწყებული ეროვნულ მწერლამდე — თავისი სანთელ-საკმეველი მიაქვს მამა-პაპათა საკურთხეველთან.

ასეთ შემოქმედად, რომელმაც თავისი კუთვნილი წვლილი შეიტანა ეროვნული კულტურის განვითარების საქმეში, წარმოგვიდგება საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ სახალხო არტისტი, სახალხო განათლების წარჩინებული ლეონ დიმიტრის ძე ჭედია, ამაგდარი შემოქმედი, დამსახურებული მამულიშვილი, დაფასებული კაცი.

ძნელია ლეო ჭედიაზე საუბარი, ძნელია იმიტომ, რომ იგი ხელოვნების სამი დიდი დარგის — თეატრის, მუსიკისა და ლიტერატურის მსახურია, გახლავთ დიდებული მსახიობი და რეჟისორი, მრავალი მხატვრული სცენური სახის შემქმნელი, ქართული თეატრის ერთ-ერთი საყურადღებო წარმომადგენელი ამ უკანასკნელი სამოცი წლის მანძილზე. მან, როგორც ხელოვანმა, თავისი წვლილი შეიტანა ხელოვნების ამ დარგის განვითარებაში. ლეო ჭედია არის მშვენიერი ვოკალისტი-მომღერალი და ლოტბარი. და კიდევ ერთი მხარე მისი მოღვაწეობისა, ეს არის ლიტერატურა. აქაც იგი შემოქმედია — პოეტი და მთარგმნელი, პროზაიკოსი და დრამატურგი, თეატრალური და ლიტერატურული კრიტიკოსი.

ლეონ დიმიტრის ძე ჭედია დაიბადა 1904 წელს წალენჯიხაში. მამამისი მთელ დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით კი სამეგრელოში, ცნობილი პიროვნება იყო. მას დამთავრებული ჰქონდა ყაზანის უნივერსიტეტი ფარმაციის მაგისტრის ხარისხით. ეს იმდროისათვის დიდი მოვლენა გახლდათ. მას წალენჯიხაში ჰქონდა აფთიაქი, მდიდარი ბიბლიოთეკა. მისი ოჯახი ერთგვარ ლიტერატურულ სალონს წარმოადგენდა. მამამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ შვილისათვის ჩაენერგა ერისა და სამშობლოს ერთგულება, შრომისა და წიგნის სიყვარული.

პოეტის დედა ეკატერინე ნაჭყებია სათნო და მუსიკალური ქალი

ყოფილა, რომელმაც პირმშოს მშობლიურ ნანასთან ერთად შეაყვარა მუსიკა.

წერა-კითხვა პატარა ლეომ მამისეულ ოჯახში ისწავლა. 8 წლისა იგი 1912 წელს მიაბარეს ქუთაისის ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიაში, სადაც დაჰყო 2 წელი.

ლეოს მამა ოცნებობდა შვილისათვის მიეცა უმაღლესი განათლება საფრანგეთში, სორბონის უნივერსიტეტში. ამ მიზნით იქ მოლაპარაკებას აწარმოებდა სასიქადულო მოქანდაკესთან იაკობ ნიკოლაძესთან,რომელიც მას ნათესავად ერგებოდა, მაგრამ მამის ეს სურვილი სხვადასხვა მიზეზების გამო განუხორციელებელი დარჩა. ლეო ახალგაზრდობაშივე ჩაიყოლია თავის მორევში თეატრალურმა და ლიტერატურულმა ცხოვრებამ და თავისი დინებით წაიყვანა.

1922 წელს 18 წლის ლ.ჭედია ისევ უბრუნდება ქუთაისს, სწავლას აგრძელებს გიმნაზიაში, ამავე დროს შედის ქუთაისის მუსიკალურ ტექნიკუმში ვოკალურ განყოფილებაზე ცნობილ პროფესორ მიხაილოვასთან. აქტიურად მონაწილეობს ქუთაისის ლიტერატურული ახალგაზრდობის ცხოვრებაში, ხშირად გამოდის საკუთარი ლექსებით. იგი კონსტანტინე ლორთქიფანიძესთან, გიორგი მდივანთან და ბენიტო ბუაჩიძესთან ერთად აარსებს ლიტერატურულ ჯგუფს. ერთ დროს ფიქრობდა, რომ მონახა თავისი ადგილი ცხოვრებაში და ეს არის პოეზია, მაგრამ არა.

ახალგაზრდა შემოქმედი ქუთაისიდან გადადის თბილისში ცნობილ იტალიელ მომღერალ ემილიო ვაგის სტუდიაში. ამავე დროს შედის დრამატულ სტუდიაშიც, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ დავით არსენაშვილი და დავით კობახიძე.

ლ.ჭედია საბოლოოდ ირჩევს დრამატულ ხელოვნებას, თეატრს და იქიდან მოყოლებული იგი თეატრის ერთგულია მთელი ცხოვრების მანძილზე.

1926 წლიდან იწყება ლ.ჭედიას დამოუკიდებელი თეატრალური ცხოვრება. სწორედ ამ წელს მას იწვევენ ზუგდიდში მუსიკალური აგიტთეატრის დირექტორად და რეჟისორად. ლ.ჭედიას დასმა უთუოდ დადებითი როლი ითამაშა სამეგრელოს, კერძოდ ზუგდიდის, თეატრალური და მუსიკალური კულტურის განვითარებაში.

მომდევნო წლებში ლ.ჭედია მუშაობს საქართველოს სხვადასხვა თეატრებში წამყვან მსახიობად. თბილისი, სიღნაღი, ჭიათურა, თელავი — აი, მისი თეატრალური სარბიელი. ყველგან იგი გატაცებით ებ-

მება საყვარელ საქმიანობაში. დიდ წარმატებებს აღწევს, მაყურებლისა და კრიტიკის მოწონებას იმსახურებს. მის არტისტულ ნიჭსა და გარდასახვის უნარზე ბევრს წერენ გაზეთები. მოვიტანთ ერთ მაგალითს. თელავის თეატრში უკრაინელი დრამატურგის ა.კორნეიჩუკის „პლატონ კრეჩეტში“ ლ.ჭედიამ განასახიერა პლატონ კრეჩეტის როლი. თეატრალური კრიტიკოსი ლ.ჭედიას ხელოვნების შესახებ წერდა:

„პლატონ კრეჩეტის როლს ასრულებს თელავისათვის უკვე კარგად ცნობილი მსახიობი ლეო ჭედია. ამ მსახიობმა მრავალ პიესაში უჩვენა თეატრის მაყურებელთ თავისი ნიჭი, მაგრამ ისე კარგად და და ისე ლამაზად შესრულება როლისა, როგორსაც იგი პლატონის სახით იძლევა, ჯერ არ ჰქონია. ლ.ჭედიამ ამ როლის შესრულებით მოიპოვა დიდი გამარჯვება. იგი, თამამად შეიძლება ითქვას, კრეჩეტში ზედმიწევნით კარგია და დამაჯერებელი.“

1936 წელს ლ. ჭედია სამუშაოდ გადადის სოხუმის სახელმწიფო თეატრში, სადაც საბოლოოდ დამკვიდრდა და მთელი მომდევნო ცხოვრება, შრომა და ჯაფა დაუკავშირა აფხაზეთს, აფხაზეთის საზოგადოებას. სოხუმის ქართული თეატრი ყველაზე სანუკვარი, ყველაზე ახლობელი, მშობლიური გახდა მისთვის.

ამ დროს სოხუმის თეატრში მუშაობდნენ ცნობილი ხელოვანები: ნინო ჩიხლაძე, თამარ ლოლაძე, თამარ ოქროპირიძე, ოლღა კანდელაკი, ვალიკო დოლიძე, მიხეილ გაგნიძე, დურსუნ გეგენავა და სხვ. თეატრს ხელმძღვანელი იყო რეჟისორი ვახტანგ გარიკი (ვაჩნაძე), რომელმაც დიდი როლი ითამაშა ქართული და აფხაზური თეატრალური კოლექტივების განვითარების, დაახლოების, მათ შორის შემოქმედებითი კონტაქტების განმტკიცების საქმეში.

ლ.ჭედიამ ამ თეატრალურ დასში იმთავითვე მოიპოვა კუთვნილი და წილხვედრი ადგილი. იგი შეიყვარა მაყურებელმა. სოხუმში მოსვლისთანავე მის მიერ შექმნილ სახეთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია: პლატონ კრეჩეტი (ა.კორნეიჩუკის „პლატონ კრეჩეტი“), დურმიშხანი (ს.მთვარაძის „სურამის ციხე“), ტიბალტი (შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“), მენგო (ლოპე-დე ვეგას „ცხვრის წყარო“), იაგორა (გ. მდივნის „სამშობლო“). თეატრალურმა საზოგადოებრიობამ და მაყურებელმა გულთბილად მიიღეს მსახიობის ხელოვნება, მისი ძალი თეატრალური კულტურა.

1938—1939 წლის სეზონისათვის სოხუმის თეატრის ქართული და-

სის სამხატვრო ხელმძღვანელად და მთავარ რეჟისორად მოწვეულ იქნა კ.მარჯანიშვილის მოწაფე, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ცნობილი რეჟისორი სერგო ჭელიძე, მის ხელში ქართული დასი მართლაც მომწიფდა, დავაჟკაცდა, საგრძნობლად ამაღლდა მსახიობთა ოსტატობა, ავტორიტეტი, გაფართოვდა რეპერტუარი და შესამჩნევად გადახალისდა წარსულ წლებთან შედარებით.

როგორც ავტობიოგრაფიაში მიუთითებს ლ.ჭედია, მისი — მსახიობისა და რეჟისორის — ნამდვილი ნათლობა სწორედ სერგო ჭელიძის ხელში, მისი უშუალო ხელმძღვანელობით მოხდა.

ლ. ჭედიას შემოქმედების დავაჟკაცების პერიოდის მხატვრული სახეებია: ურიელი (კ. გუცკოვის „ურიელ აკოსტა“), ოტელო (შექსპირის „ოტელო“), ფერდინანდი (შილერის „ვერაგობა და სიყვარული“), არსენა (შანშიაშვილის „არსენა“), ყვარყვარე (კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“), შადიმანი (შანშიაშვილის „უგვირგვინო მეფენი“) და სხვ.

აქ, როგორც ვხედავთ, მსოფლიო და ქართული კლასიკის დრამატურგიული ელიტაა წარმოდგენილი, რომლის სცენაზე ღირსეული ხორცშესხმა ისეთი მომთხოვნი აუდიტორიის წინაშე, როგორც სოხუმის მაყურებელია, მსახიობისაგან სრულყოფილ ოსტატობასა და მაღალ ნიჭიერებას მოითხოვდა.

თეატრალურმა საზოგადოებრიობამ, პრესამ, მაყურებელმა, მაღალი შეფასება მისცეს ლ.ჭედიას მიერ როლების შესრულებას, მისი გარდასახვის უნარს, მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს:

1937—1938 წლის სეზონში სოხუმის თეატრმა დადგა გ.მდივნის „სამშობლო“, სადაც მოხუცი იაგორას როლს ასრულებდა ლ.ჭედია. გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ მიმომხილველი მსახიობის ოსტატობისა და მის მიერ სახის გახსნის თაობაზე წერდა:

„მოხუც იაგორას როლში მსახიობი ქმნის საინტერესო და მრავალფეროვან სახეს. მაყურებლის წინაშე იშლება იაგორას რთული შინაგანი ბუნება. დინჯი, წყნარი, დარბაისელი — ის იმავე დროს გამსჭვალულია ახალგაზრდული სულისკვეთებით... მისი სასოწარკვეთილება ვაჟკაცურია და არა ისტერიული. მსახიობის ღირსებაა აგრეთვე თამაშში ზომიერების გრძნობის ბოლომდე შენარჩუნება. .. იაგორას როლი მსახიობ ლ.ჭედიას დიდი შემოქმედებითი მიღწევაა.“

სოხუმის ქართული თეატრის 1939—1940 წლის სეზონის ყველაზე თვალსაჩინო მოვლენა იყო „ოტელო“. ამ უკვდავ ტრაგედიაში, რომელიც სოხუმის ქართულ სცენაზე პირველად სწორედ ამ წელს და-

იდგა, ოტელოს როლის შესრულება რეჟისორმა ს.ჭელიძემ მიანდო ლ.ჭედიას. ეს იყო მსახიობის დიდი ხნის ოცნების რეალური ხორცშესხმა. სპექტაკლი ბრწყინვალე გამოდგა. იგი გარდა სოხუმისა და საერთოდ აფხაზეთისა, ნაჩვენები იქნა ზუგდიდში, ცხაკაიაში, აბაშაში, ვანში, წყალტუბოში, მახარაძეში, გეგეჭკორსა და ლანჩხუთში — თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოში.

მაყურებელმა გულთბილად მიიღო ხელოვნების ეს შესანიშნავი ნაწარმოები, ხოლო თეატრალურმა საზოგადოებრიობამ და კრიტიკამ საგანგებოდ აღნიშნეს ლ.ჭედიას მიერ როლის შესრულება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ოტელო“ სოხუმის ქართული თეატრის საუკეთესო სპექტაკლი იყო, რომელშიც ი.დონაური თამაშობდა დეზდემონას როლს, მ.გაგნიძე — იაგოს, თ.მაჭარაშვილი — ემილიას, გ.გაბუნია — როდრიგოს.

ლ. ჭედია ჩინებულად ასახიერებდა კომიკურ როლებს და დიდი წარმატებითაც. ასეთი იყო მისი ყვარყვარე თუთაბერი. ასევე წარმატებით გამოდიოდა იგი ოპერეტებში, რომლებიც იდგმებოდა სოხუმის სცენაზე. სოხუმელ მაყურებელს დღესაც ახსოვს მისი შესანიშნავი სულთანბეგი (ჰაჯიბეკოვის „არშინ მალ-ალან“).

როგორც სამართლიანად მიუთითებს ცნობილი აფხაზი რეჟისორი და მსახიობი, საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ სახალხო არტისტი ა.აგრბა, „ლ.ჭედიას მიერ შექმნილ როლებში ჰარმონიულად შერწყმულია დიდი აქტიორული ნიჭი და ლიტერატურული მხატვრული სახის სიღრმე.“

ხანგრძლივი თეატრალური მოღვაწეობის მანძილზე ლ.ჭედიას განსახიერებული აქვს 150-ზე მეტი როლი.

ლ.ჭედიამ ნიჭიერება და ოსტატობა გამოიჩინა, როგორც რეჟისორმა. მას დადგმული აქვს 40 პიესა. მისმა სპექტაკლებმა: „ხეები ზეზეურად კვდებიან“, „ეზოპე“, „ლამპარი“, „ნაცარქექია“, „მისი მეგობრები“, „მწერლის ჯადოქარი ქალი“, „ოტელო“, „38-ე პარალელის სამხრეთით“ მაყურებლის მოწონება დაიმსახურა და ფართო გამოხმაურება ჰპოვა პრესაში.

ლ.ჭედიას ინიციატივით სოხუმში (მუსიკალურ სასწავლებელთან) დაარსდა საოპერო დასი, რომელმაც მაყურებელს უჩვენა ოპერები: „დაისი“ და „ევგენი ონეგინი“, რასაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

ლ.ჭედია თავის დროს იყო საქართველოში საკმაოდ ცნობილი სპორტსმენი-ფეხბურთელი, ჩოგბურთელი, მთამსვლელი. ესეც ერთი

ლამაზი შტრიხია მისი შინაარსიანი ცხოვრებისა.

ლ.ჰედიას ბევრი რამ აქვს საამაყო და სასიქადულო. მან ცხოვრების დიდ გზაზე ნათელი კვალი დატოვა. მისთვის უკან მიხედვა და წარსულისადმი თვალის გასწორება უპრიანია. იქ დანერგილი მადლი ასხივოსნებს და შარავანდედით მოსავს მას. ეს უბერებელი ბერმუხა კვლავაც მყარად დგას მშობლიურ მიწაზე და სიკეთეს ემსახურება.

1985

P.S. ბატონი ლეო ჰედია გარდაიცვალა 1990 წელს, 86 წლის ასაკში. დაკრძალულია ზუგდიდში, ქალაქის პარკში.

„სიმართლის ნერგი იხარებს...“

(ქველმოქმედება საქართველოში)

საქართველოში ოდითგანვე საგანგებო ყურადღება ექცეოდა ადამიანისადმი თანადგომას, მოყვასისადმი გულისყურის გამოჩენას, დავრდომილთა, ღარიბთა და ქვრივ-ობოლთა დახმარებას, ერთი სიტყვით, მოწყალებასა და ქველმოქმედებას. ამას უპირველეს ყოვლისა, ქრისტიანული რელიგია და მწერლობა ქადაგებდა. ჩინებულადაა ნათქვამი „ვეფხისტყაოსანში“: „ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად, გული მისცეს გულისათვის, სიყვარული — გზად და ხიდად“, ან „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“.

ყველა იმ კეთილ, ადამიანურ თვისებას, რაც ზემოთ ჩამოვთვალეთ, აერთიანებდა ქველმოქმედება, რომელსაც ცხოვრებაში ფესვები ღრმად ჰქონდა გაშვებული. „ქველმა“ და „ქველმოქმედებამ“ ბუნებრივია, ძველ ქართულ ლექსიკაშიც სათანადო ასახვა პოვა. „ქველი“ ს.-ს. ორბელიანთან ასეა განმარტებული: „მოწყალე, გინა კეთილი“. „ქ ვ ე ლ ი ს მ ო ქ მ ე დ ი“ — მოწყალების მოქმედი. „ქ ვ ე ლ ი ს ს ა ქ მ ე“ — მოწყალების საქმე. ი.აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ ვკითხულობთ: „ქ ვ ე ლ ი — მამაცი, გულადი, მხნე, კეთილი“.

სიტყვა ქველი სხვადასხვა კონტექსტში განსხვავებულ ელფერს იღებდა. მაგალითად: „გ უ ლ ქ ვ ე ლ ე ბ ა — გულსავსება, გულკეთილება“. „ქ ვ ე ლ ი ს მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ა — მეოხება, კეთილის ქმნადობა, შეთხოვნა“. ამგვარად, ძველ ქართულში ქველობა ნიშნავდა სიკეთეს, ქველმოქმედება, მოწყალება საზოგადოებრივი საქმიანობის, მოღვაწეობის განმაპირობებელი იყო. მოყვრისადმი კეთილი დამოკიდებულების, საზოგადოებრივი მოღვაწეობის დონისა და ხარისხის განმსაზღვრელი ფაქტორიც კი ქველმოქმედება, მოწყალება იყო. ეს ბუნებრივიცაა, რადგან მოწყალების გაღება სიკეთის ქმნადობას ნიშნავდა. უფრო მეტიც, ქველმოქმედება ფეოდალურ ეტიკეტში შედიოდა, როგორც რაინდთა კორპუსის ეთიკის შემადგენელი ნაწილი. ამიტომ რაინდული ჟანრის ლიტერატურის მთავარი დადებითი პერსონაჟები იმდროინდელი სოციალური ცხოვრების ამ თავისებურების მატარებელნიც უნდა ყოფილიყვნენ, რისი ნიმუშებიც ასე უხვადაა წარმოჩენილი „ამირანდარეჯანიანში“, „ვისრამიანში“,

„ვეფხისტყაოსანში“. გავიხსენოთ მეფე-რაინდის პორტრეტი რუსთაველთან:

იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღმრთისაგან სვიანი,
მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი, ყმიანი,
მოსამართლე და მოწყალე, მორჩმული, განგებიანი,
თვით მეომარი უებრო, კვლა მოუბარი წყლიანი.

როგორც ვხედავთ, აქ ჩამოთვლილია რაინდი მეფის ღირსებანი და მათ შორის მითითებულია, რომ იგი იყო მოწყალე, ე.ი.ქველმოქმედი, უანგაროდ სიკეთის გამღები.

ქველობა, მოწყალების გაღება ადამიანის დიდ კეთილშობილურ თვისებად იყო მიჩნეული ხალხში. ისეთ მოქალაქეს, რომელსაც ეს თვისებები გააჩნდა, საგანგებო პატივს მიაგებდნენ და ხალხური პოეზიაც ქება-დიდებით მოიხსენიებდა. ჩვენი სასიქადულო პოეტი ვაჟა-ფშაველა ამაყობდა, რომ დედამისი, გაბიდოურის ქალი, ყოფილა „ბუნებით ფრიად ნიჭიერი, შესანიშნავი მეოჯახე და მოწყალე, გლახის გამკითხავი, მეზობლის დამხმარე; დედა-ჩემის ქველობა დღესაც სამაგალითოდ არის დარჩენილი“.[1]

მრავალჭირნახული ისტორიის მანძილზე საქართველოს ჰყავდა დიდებული ქველმოქმედი სახელმწიფო და სასულიერო მოღვაწეები, მწერლები და ხელოვანები, დიდვაჭრები და მეწარმეები, რომლებსაც საპატიო წვლილი შეჰქონდათ ქვეყნის სულიერი და მატერიალური კულტურის განვითარების საქმეში. უპირველესად დავასახელოთ მეფე ფარნავაზი, რომლის სახელთან არის დაკავშირებული ქართველ ტომთა გაერთიანება და ქართული ანბანის შექმნა. მშობლიურ ხალხს უდიდესი ამაგი დასდო მირიან მეფემ ქრისტიანული სარწმუნოების აღიარებითა და ხალხის ცხოვრებაში დამკვიდრებით. VIII — IX საუკუნეების ცნობილმა სასულიერო მოღვაწემ გრიგოლ ხანძთელმა ააღორძინა არაბების მიერ დარბეული და გაჩანაგებული ტაო-კლარჯეთი. ქართველი ხალხი არასოდეს დაივიწყებს ქველმოქმედებას ისეთი მოღვაწეებისა, როგორიც იყვნენ: ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები, გრიგოლ ბაკურიანისძე, პეტრიწონის მონასტრის დამაარსებელი, იოანე პეტრიწი — ფილოსოფოსი და გელათის აკადემიის რექ-

[1] ვაჟა-ფშაველა, ჩემი წუთისოფელი, იხ. თხზ. სრ. კრებული, ტ.5, თბ., 1961, გვ.434.

ტორი. დიდი მოღვაწენი და ქველმოქმედნი იყვნენ დავით აღმაშენებელი და თამარ-მეფე.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ მეფეთ-მეფე დავითი გამოირჩეოდა კაცთმოყვარეობით, ქვრივ-ობოლთა და გლახაკთა მფარველობით. მან „აღაშენა ქსენონი (დავრდომილთა თავშესაფარი, საავადმყოფო — ო.ჯ.). ადგილსა შემსგავსებულსა და შუენიერისა, რომელსა შინა შეკრიბნა ძმანი, თვითოსახითა სენითა განცდილნი და მოუმზადა ყოველი სახმარი მათი... თვით მივიდის და მოილხინის, მოიკითხნის... და განაგის ყოველი საქმე მათი დიდად შუენიერად და ღმრთის მსახურებით.“[1]

მოტანილ ციტატაში გამოკვეთილად ჩანს დავით აღმაშენებლის ქველმოქმედება, ჰუმანიზმი, კაცთმოყვარეობა.

ბასილი ეზოსმოძღვრის თხზულებაში „ცხოვრება მეფეთ-მეფის თამარისი“ თამარ-მეფის ადამიანურ ღირსებათა შორის საგანგებოდაა მინიშნებული ქველმოქმედებაზე. წყაროში ვკითხულობთ:

„თამარ უცხოსაცა ზედა და დავრდომილთა ლმობიერ იყო ტკივნეულობად და წყალობად... და უკეთუ მათგანი ვინმე იყვის უძლური, თვით მივალნ მოხილვად და ნუგეშინის ცემად და თვით განუმზადებნ ცხედარსა (საწოლსა — ო.ჯ.) და სარეცელსა (საგებელსა — ო.ჯ.), ხოლო გლახაკთათვის განეჩინნეს სარწმუნონი ზედამდგომელნი და ყოვლისა სამეფოსა მისისა შემოსავალნი, რაცა იყო შინათ და გარეთ, ყოვლისა ნაათალი გლახაკთა მიეცემოდა დაუკლებლად“.[2]

დიდი ქველმოქმედი გახლდათ ნიკიფორე ირბახი (ჩოლოყაშვილი), რომელმაც 1629 წელს იტალიელ სტეფანოზ პაოლინისთან თანაავტორობით შეადგინა ქართულ-იტალიური ლექსიკონი და რომში დაბეჭდა. მისივე დახმარებით რომშივე გამოქვეყნდა მაჯოს ქართული ენის გრამატიკა. ამ უანგარო მამულიშვილური საქმიანობით მან საფუძველი ჩაუყარა ქართულ პოლიგრაფიულ კულტურას და მშობლიური ხალხი საკაცობრიო ცივილიზაციას აზიარა.

უდიდესი მადლიერების გრძნობით არიან მოსახსენებელი სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონის ავტორი, მეფე-პოეტი არჩილ II, რომელმაც მოსკოვში, ემიგრაციაში ყოფნის დროს მისთვის მეტად მძიმე მატერიალურ პირობებში 1703 წელს დააარსა ქართული

---

[1] „ქართლის ცხოვრება“, ტ.1, 1955, გვ.331.

[2] „ქართლის ცხოვრება“, ტ.II, 1959, გვ.143.

სტამბა და გამოსცა ეროვნული წიგნები. მისმა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობამ შემდგომი განვითარება ჰპოვა ვახტანგ VI-ის საქველმოქმედო მოღვაწეობაში.

XIX — XX საუკუნეებში სამწერლო, სამეცნიერო, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ სარბიელზე გამოჩნდნენ ახალი იდეებით აღჭურვილი ქვეყნის ერთგული ადამიანები, რომლებმაც ცხოვრების მიზნად ხალხის სამსახური დაისახეს და მთელი თავიანთი ცოდნა და საკუთარი ნივთიერი სახსარი ერის გათვითცნობიერების, განათლებისა და პროგრესის საშვილიშვილო საქმეს მოახმარეს. ამ პერიოდში ქველმოქმედება ფაქტიურად ავსებდა იმ ნაკლს, რაც საზოგადოებას აკლდა სახელმწიფოსაგან.

XIX საუკუნეში ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის საუკეთესო წარმომადგენლების თაოსნობით ჩამოყალიბებულმა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა“. „თეატრალურმა“, „საისტორიო“, „წმინდა ნინოს“ საზოგადოებებმა ფასდაუდებელი როლი ითამაშეს ქართველი ხალხის კონსოლიდაციის, განათლებისა და ეროვნული თვითშეგნების ამაღლების საქმეში.

გასულ და მიმდინარე საუკუნეებში ბევრი გვყავდა საამაყო მამულიშვილი, რომლებიც ამავე დროს ეწეოდნენ საგანგებო ქველმოქმედებას. კერძოდ: თეიმურაზ ბაგრატიონი, სოლომონ დოდაშვილი, გიორგი ერისთავი, დიმიტრი ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, გაბრიელ ქიქოძე, სერგეი მესხი, დავით დადიანი, გიორგი ქართველიშვილი, ეკატერინე გაბაშვილი, სვიმონ კლდიაშვილი, ზაქარია ზუბალაშვილი (ექიმი), ივანე გომართელი (ექიმი), გიორგი ტარსაიძე (ექიმი ოფთალმოლოგი), რომანოზ, დავით, გიორგი, სტეფანე, მიხეილ, პეტრე, იაკობ ზუბალაშვილები (მრეწველები), დავით და ეკატერინე სარაჯიშვილები, მიტროფანე ლაღიძე, აკაკი ხოშტარია, ივანე ჯავახიშვილი, იოსებ ყიფშიძე, ამბროსი ხელაია, კალისტრატე ცინცაძე, იოსებ გრიშაშვილი, ლეო ქიაჩელი, არნოლდ ჩიქობავა, რევაზ თაბუკაშვილი და სხვ.

ქართველი ერის კულტურის განვითარების საქმეში თავიანთი ქველმოქმედებით დიდი წვლილი შეიტანეს უცხოეთში მცხოვრებმა და მოღვაწე მამულიშვილებმა: ექვთიმე თაყაიშვილმა, გრიგოლ რობაქიძემ, მიხეილ თამარაშვილმა, ზურაბ ავალიშვილმა, მიხაკო წერეთელმა, კალისტრატე და ნინო სალიებმა, გრიგოლ ფერაძემ, მიხეილ

თარხნიშვილმა, ვიქტორ ნოზაძემ, კიტა ჩხენკელმა, ივანე ქიქოძემ, თამარ და აკაკი პაპავებმა, კონსტანტინე მაღალაშვილმა, გივი კობახიძემ, ნათელა ჩაჩიბაიამ და სხვ.

გასული და მიმდინარე საუკუნეების მიჯნაზე აფხაზეთში მოღვაწე ქველმოქმედთა შორის უნდა დავასახელოთ: გაიანე, აღათი, ტერეზა, ალექსანდრა შარვაშიძეები, მარიამ დადიანი-ანჩაბაძისა, თედო სახოკია, ოლღა და ბესარიონ ჩიქოვანები, ნიკო და ელენე ჯანაშიები, ანთიმოზ ჯუღელი, ანა და მაშო თურქიები, ივანე და თეკლე გეგიები, კონსტანტინე მაჭავარიანი და სხვ.

ეს გახლავთ ძალიან ძუნწი სია იმ მოღვაწეებისა, რომლებიც მთელი ცხოვრების მანძილზე სიკეთეს ემსახურებოდნენ, თავიანთი ქველმოქმედებით თავგადადებულნი იყვნენ ეროვნული კულტურის ასაღორძინებლად.

პატარა წერილში ყველა ქველმოქმედის, ყველა სახელოვანი ადამიანის საქმიანობის აღნუსხვა შეუძლებელია. ეს არც წარმოადგენდა ჩვენს მიზანს. გვინდა შევეხოთ მხოლოდ ზოგიერთი მათგანის ამაგს მამულის წინაშე.

იაკობ გოგებაშვილი, გარდა იმ დიდი ეროვნულ-საზოგადოებრივი და პედაგოგიურ-სამეცნიერო მოღვაწეობისა, სწორუპოვარი ქველმოქმედი იყო. იგი არ იშურებდა არა მარტო ცოდნას, არამედ საკუთარ დანაზოგ სახსრებსაც კი სახალხო განათლების, ეროვნული კულტურისა და ლიტერატურის განვითარებისათვის. მას ნიჭიერი, მაგრამ ხელმოკლე მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის დაწესებული ჰქონდა სტიპენდიები, მატერიალურად ეხმარებოდა მწერლებს, საზოგადო მოღვაწეებს, პედაგოგებს, შორეულ ციმბირში გადასახლებულ ქართველ პოლიტიკურ პატიმრებს.

ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ ალ.მიქაბერიძემ აღნუსხა ის საქველმოქმედო საქმიანობა, რაც გაუწევია ი.გოგებაშვილს. მისი ცნობით ქართული პედაგოგიკის მამამთავარი „ქველმოქმედებას ისე ფრთხილად, ისე მორიდებულად, ისე გაუხმაურებლად ეწეოდა, რომ ახლობელმა მეგობრებმაც კი არ იცოდნენ, იაკობი ვის და როგორის სახით აწვდიდა ამა თუ იმ ნივთიერ დახმარებას.“[1]

ნიჭიერ სტუდენტთაგან ი. გოგებაშვილის სტიპენდიანტებს წარმოადგენდნენ: ბეშკენაძე (საზღვარგარეთ) და ი.მჭედლიშვილი

---

[1] ალ. მიქაბერიძე, მშობლიური ქვეყნის დიდი მოამაგე, „იაკობ გოგებაშვილი“, საიუბილეო კრებული, თბ., 1940, გვ.337.

(რუსეთში). ეს უკანასკნელი შემდგომ საკმაოდ ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე გახდა. ქართველ მწერალთაგან ი.გოგებაშვილი ფულად დახმარებას უწევდა ე.ნინოშვილს, თ.სახოკიას, აკ. წერეთელს.

როგორც ზემოთ მივუთითეთ, ი.გოგებაშვილი საიდუმლოდ ინახავდა თავისი დახმარების ადრესატებს. ამასთან დაკავშირებით იგივე ალ.მიქაბერიძე მოგვითხრობს: „ჩვენ დღესაც ვიცნობთ ი.გოგებაშვილის მიერ რეკომენდირებულ ქართველ სტიპენდიანტებს, რომლებიც სწავლის წარმატებით დამთავრების შემდეგ მშობლიურ მხარეს დაუბრუნდნენ და ჩვენს სინამდვილეში ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწევიან.“

ი.გოგებაშვილს თავისი ალალი შრომით საგრძნობი თანხა დაუგროვდა. ნაღდ ფულად მას დარჩენია 13 ათასი მანეთი. ამას გარდა სახელმძღვანელოებიდან ყოველწლიურად შემოუდიოდა 9 ათასი მანეთი. ეს მაშინ საკმაოდ დიდი ქონება გახლდათ. ანდერძის მიხედვით ი.გოგებაშვილს თავისი ნაამაგარი ასე გაუნაწილებია: სამი ათასი მანეთი საკუთარი საფლავისა და ძეგლისთვის, წიგნების, სახელმძღვანელოების ყოველწლიური შემოსავალი დაახლოებით 9000 მანეთის ოდენობით, 280 კვადრატული საჟენი (1000-ზე მეტი კვადრატული მეტრი) მიწა ვერაზე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას; ეკატერინე გაბაშვილის სახსრებით დაარსებულ ქალთა პროფესიონალურ სასწავლებელს — 120 მანეთი; „განათლების საზოგადოებას“ — 120 მან; ქართულ საბავშვო ბაღს — 120 მან. ჟურნალ „განათლებას“ — 300 მან. აკ.წერეთელს — 100—100 მანეთი ჰონორარად იმ ლექსებისათვის, რომლებიც მოთავსებული იყო მის მიერ შედგენილ სახელმძღვანელოებში, ანდერძში შედიოდა სტიპენდიები სახალხო მასწავლებლების, გლეხებისა და მუშების შვილებისათვის. ი.გოგებაშვილს თავისი ანდერძით უყურადღებოდ არ დაუტოვებია სტამბისა და წიგნის მაღაზიის მუშაკებიც კი.

ასეთია არასრული სია იმ საქველმოქმედო საქმიანობისა, რომელსაც უანგარო პედაგოგი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე ი. გოგებაშვილი ეწეოდა.

განათლებულმა და ქველმოქმედმა მოღვაწეებმა დავით და ეკატერინე სარაჯიშვილებმა დიდი ამაგი დასდეს მშობლიურ ერს გასული საუკუნის ბოლოსა და მიმდინარე საუკუნის დასაწყისში. ამ პერიოდში საქართველოში არ ყოფილა რაიმე საზოგა-

დებრივად მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომ მის განხორციელებაში ამ კეთილშობილ ადამიანებს არ მიეღოთ მონაწილეობა და არ გაეწიათ მატერიალური დახმარება. ეს ფრიად განსწავლული და კულტურული ოჯახი წარმოადგენდა ერთგვარ სალონს, ეროვნულ საკრებულოს, სადაც თავს იყრიდა მოწინავე ინტელიგენცია (ი.ჭავჭავაძე, აკ.წერეთელი, ი.გოგებაშვილი, ივ.მაჩაბელი, ნ.ცხვედაძე და სხვ.), იმართებოდა სჯა-ბაასი ქვეყნის ავ-კარგზე და წყდებოდა ერის ყველაზე საჭირბოროტო საკითხები.

სარაჯიშვილები ძირძველი თბილისელი დიდვაჭრები იყვნენ. მათი შთამომავალი დავით სარაჯიშვილი გახლდათ ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი გასული საუკუნის იმ სანაქებო ქართველი ინტელიგენციისა, რომელმაც განათლება მიიღო ევროპაში და შემდგომ მთელი თავისი ცოდნა მოახმარა ერის სამსახურს, ქველმოქმედების კეთილშობილურ საქმიანობას. დ.სარაჯიშვილი მატერიალურად ეხმარებოდა ხელმოკლე ინტელიგენციის წარმომადგენლებს, ღარიბ მოსწავლე ახალგაზრდობას (გიმნაზიელებს, სტუდენტებს), სასწავლო-სამეცნიერო და საზოგადოებრივ დაწესებულებებს. ამ მხრით მისი ამაგი მართლაც დაუფასებელია.

დ.სარაჯიშვილი თბილისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლობდა პეტერბურგის, მიუნხენის, ჰაიდელბერგის უნივერსიტეტებში. იყო ქიმიისა და ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი. ფართო განსწავლულობა და ევროპის ქვეყნებში მიღებული გამოცდილება დაუდო საფუძვლად თავის სამეცნიერო-პრაქტიკულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. მან ჩაუყარა საფუძველი ჩვენს ქვეყანაში მოწინავე ტექნოლოგიის საფუძველზე კონიაკის წარმოებას. ამ მიზნით 1888 წელს თბილისში ააგო კონიაკის ქარხანა, რომელიც მუშაობდა სამამულო ნედლეულზე. კონიაკთან ერთად დაიწყო ლიქიორისა და არაყის წარმოებაც. გამართა მრავალი ქარხანა და საწყობი თბილისში, მოსკოვში, პეტერბურგში, ერევანში, ბაქოში, ბესარაბიასა და სხვაგან. იმ პერიოდის მოწინავე მეცნიერებისა და ტექნოლოგიის მსოფლიო სტანდარტების პრინციპებზე გამართულმა წარმოებამ მალე კეთილი ნაყოფი გამოიღო და მის თაოსანს სახელი გაუთქვა რუსეთში, ევროპასა და მთელ მსოფლიოში, თან მისცა დიდი შემოსავალი. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო გამოფენებზე დ.სარაჯიშვილის ფირმის ნაწარმმა, უპირატესად კონიაკმა, სხვადასხვა დროს მიიღო

ოქროს 9, ვერცხლის 5 და მრავალი ბრინჯაოს მედლები:

ორიოდე სიტყვა დ.სარაჯიშვილის მეუღლის შესახებ. ეკატერინე ფორაქიშვილი იყო ფრიად განათლებული მანდილოსანი, მშობლიურის გარდა ზედმიწევნით მცოდნე რუსული, ინგლისური, ფრანგული, და გერმანული ენებისა. როგორც მისი ბიოგრაფები მიუთითებენ, იგი თავისი „პრაქტიკული საქმიანობით, გამჭრიახობით, საქმის უნარიანი მოვლით, ქველმოქმედებით, სამშობლო ქვეყნის განუსაზღვრელი და შეგნებული სიყვარულით არ ჩამოუვარდებოდა სახელგანთქმულ მეუღლეს“.[1]

დ.სარაჯიშვილის გარდაცვალების შემდეგ (1911) იმ უზარმაზარ წარმოებას ეკატერინე ჩაუდგა სათავეში და ჩინებულად გაართვა თავი.

დავით სარაჯიშვილის საქველმოქმედო საქმიანობის შესახებ ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში მითითებულია:

„სარაჯიშვილის სახელი დაკავშირებულია „ქართველი გლეხობის აღმდგენელი კომიტეტის“, სამუსიკო სასწავლებლის, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და ეროვნული წამოწყებების ჩამოყალიბებასა და შექმნასთან.“

დავით და ეკატერინე სარაჯიშვილების დიდ ეროვნულ საქველმოქმედო მოღვაწეობაზე მიგვანიშნებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მათი სტიპენდიანტები იყვნენ ქართველი ერის საამაყო შვილები: ვანო სარაჯიშვილი, დიმიტრი არაყიშვილი, ზაქარია ფალიაშვილი, მელიტონ ბალანჩივაძე, ია კარგარეთელი, მოსე თოიძე, კოტე ფოცხვერაშვილი, იაკობ ნიკოლაძე, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე და მრავალი სხვა. ეს ის თაობაა, რომლითაც იამაყებდა ნებისმიერი ერი, ეს ის თაობაა, რომელმაც ახალ სიმაღლეზე აიყვანა ქართული კულტურა და აზიარა იგი საკაცობრიო აზროვნებას.

ე.ფორაქიშვილი-სარაჯიშვილისა გარდაიცვალა 1918 წელს. ამ საოცრად კეთილმა და ქველმოქმედმა მოღვაწემ მთელი ქონება (დავითსა და ეკატერინეს შვილი არ ჰყავდათ) ქართველ ხალხს დაუტოვა ეროვნული კულტურისა და მეცნიერების განვითარებისათვის. მისი ანდერძი შედგება 17 პუნქტისაგან და ჩვენს თავს უფლებას მივცემთ, იგი აქვე მოვიტანოთ და მკითხველებს შევახსენოთ ამ უკეთილშობილესი ადამიანის სიკეთე. ანდერძის თანახმად ქონება შემდეგნაირად ნაწილდე-

---

[1] ვ. გოგუაძე, ეკატერინე ფორაქიშვილი. გაზ. „სახალხო განათლება“, 8.11.90.

ბოდა (მასალა მოტანილია ვ.გოგუაძის ზემოთ დასახელებული სტატიიდან):

„1.500 ათასი მანეთი — წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას (გარდა ამისა, ამ საზოგადოებას ეკატერინე ივანეს ასულმა დაუტოვა 90 ათასი მანეთის პროცენტიანი ქაღალდები); 2.200 ათასი მანეთი — ისტორიულ-ეთნოგრაფიულ საზოგადოებას; 3.150 ათასი მანეთი — ქუთაისის თეატრის ასაშენებლად; 4.25 ათასი მანეთი — ქუთაისის დრამატულ საზოგადოებას; 5.50 ათასი მანეთი — თბილისის პოლიტექნიკური ან სხვა უმაღლესი სასწავლებლის დასაარსებლად; 6.30 ათასი მანეთი — კავკავის (დღევანდელი ვლადიკავკაზი) ღარიბ-მოსწავლეთათვის (განურჩევლად ეროვნებისა) სწავლის ქირის გადასახდელად; 7.25 ათასი მანეთი — საქართველოს საეთნოგრაფიო საზოგადოებას წიგნების გამოსაცემად; 8.100 ათასი მანეთი — თბილისის ქართულ დრამატულ საზოგადოებას; 9.10 ათასი — სამიწათმოქმედო სახელოსნოს ახალშენთა და თავშესაფართა საზოგადოებას; 10.171 ათასი მანეთი — სარაჯიშვილის ფირმის მუშა-მოსამსახურეთათვის; 11.5 ათასი მანეთი — ქართული ფილარმონიის საზოგადოებისათვის; 12.20 ათასი მანეთი — ქართულ სიტყვაკაზმულ მწერალთა საზოგადოებას, ახალი ქართული ორიგინალური ბელეტრისტული ნაწერებისათვის პრემიის დასანიშნავად; 13.50 ათასი მანეთი — ავლაბარში საპროფესიო სკოლის დასაარსებლად და შესანახად; 14.10 ათასი მანეთი — მოსკოვის ქართულ საზოგადოებას; 15.10 ათასი მანეთი — დიდუბის ტაძარს; 16.5 ათასი მანეთი — რუსეთის მევენახეობისა და მეღვინეობის საზოგადოების სადგურს ოდესაში; 17.200 ათასი მანეთი — ქირურგიული საავადმყოფოს ასაშენებლად თბილისში.

დიდძალი თანხა გადაეცა აგრეთვე საქართველოს ტაძრებს, მონასტრებსა და ეკლესიებს.

ზემოაღნიშნულ სამ მილიონ მანეთს ემატებოდა კიდევ ქარხნებისა და სავაჭრო დაწესებულებათა ორ მილიონამდე ქონება, რომელთა ლიკვიდაციის შემდეგ, ანდერძის მიხედვით, მთელი თანხა უნდა გადასცემოდა წერა-კითხვის გამავრცელებელ, საისტორიო-საეთნოგრაფიო და თბილისის დრამატულ საზოგადოებებს.“

რა სილაღით, მოზომილად, ყაირათიანად, ქვეყნის საჭიროების მიხედვით არის განაწილებული ეს დიდი თანხა, რა უანგარო მოქალა-

ქეობრიობა და მამულის უნაპირო სიყვარულია გამოხატული მოტანილ დოკუმენტში. ამას გარდა, ვინ ჩამოთვლის, ამ სახელოვან მამულიშვილებს რამდენი ადამიანი დაუყენებიათ ფეხზე, რამდენისათვის გაუკვლევიათ გზა, შთაუნერგავთ ნუგეშის იმედი, რამდენი ეროვნული წამოწყებისათვის დაულოცნიათ სავალი? ამის წარმოდგენაც კი ძნელია. სიმართლე ითქვას, საქართველოს ასეთი გულუხვი ქველმოქმედი მოღვაწეები სხვა არავინ ჰყოლია.

ა. წერეთელმა გამოთხოვების ჟამს დავით სარაჯიშვილს ასეთი სიტყვებით მიმართა:

„მაშინ, როდესაც დიდი გვარის შვილები, რომელთაც დიდძალი მამულები, ჩვენი წინაპრების სისხლითა და ოფლით გაჟღენთილები, დარჩათ და ამ წმიდათა-წმიდას გულ-გრილად უგდებდნენ ხელში უცხოელებს, ეს განსვენებული თავისის ოფლითა და შრომით და ინტელიგენტურობის გამჭრიახობით მოპოვებულ ქონებასაც ქართველობას უნაწილებდა... ჩვენ რომ ვერ დაგივიწყოთ ის გასაკვირალი არ არის... მაგრამ არ დაგივიწყებს შენ ჩვენი შთამომავლობაც და ყოველ ეროვნულ საქმის დროს შენც, როგორც თანამოზიარე, ოცნებით გვერდით ეყოლები წარმოდგენილი.“ [1]

ეს გახლავთ დ.სარაჯიშვილის მოღვაწეობის, მისი ქველმოქმედების ჯეშმარიტად მამულიშვილური აღიარება.

დღეს ნათელი გახდა, რომ ქართველმა ემიგრანტმა მწერლებმა, მეცნიერებმა, მოღვაწეებმა უდიდესი წვლილი შეიტანეს ეროვნული კულტურის დაცვაში, განვითარებასა და პროპაგანდაში. მართალია, ცხოვრების უკუღმართობის გამო ისინი მოწყვეტილი იყვნენ მშობლიურ ფუძეს, მის სითბოსა და სიტკბოს, მაგრამ სამშობლოზე ფიქრი და ზრუნვა არასოდეს სტოვებდა მათ და მოწადინებული იყვნენ მამულისათვის რაიმე სიკეთე მოეტანათ. მშობლიური ქვეყნის საზღვრებს მიღმა მოღვაწე ქართველ სწავლულთა და ქველმოქმედთა შორის უნდა დავასახელოთ დიდი მეცნიერი და ეროვნული კულტურის ძეგლების თავდადებული დამცველი ე ქ ვ თ ი მ ე თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. როგორც სამართლიანად მიუთითებს ამ უკანასკნელის ნების აღმსრულებელი და ცხოვრების მემატიანე, პროფესორი ი. მეგრელიძე, ე. თაყაიშვილი „1921 წელს საფრანგეთში გატანილ ჩვენს ეროვნულ განძეულობას გაჰყვა მცველად და თან ახლდა ბათუმიდან მარსელამდე მთელ

---

[1] აკ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ., XIV, თბ., 1961, გვ.429.

თვიან წამების გზაზე. (11 მარტი — 10 აპრილი), შემდეგ იგი ამავე განძს 24 წლის განმავლობაში სასამართლოებშიც ბრძოლითაც კი იცავდა საფრანგეთში და ბოლოს უვნებლად დაუბრუნა სამშობლოს 1945 წელს.

ამიტომ უწოდეს მას „ოდისეაგადახდილი“ ეროვნული გმირი“.[1]

განუზომელია ე.თაყაიშვილის ღვაწლი და ამაგი ეროვნული მეცნიერებისა და კულტურის წინაშე. რაც კარგად არის გაშუქებული ქართულ ისტორიოგრაფიასა და ლიტერატურისმცოდნეობაში.

ე. თაყაიშვილის თანამებრძოლის, ცნობილი ჟურნალისტის, მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ს. ფირცხალავას ცნობით, „ე. თაყაიშვილს არ დაუტოვებია საქართველოს არც ერთი კუთხე მოუვლელი და გამოუკვლეველი. არ დარჩენია გაუსინჯავი და აუწერელი არც ერთი ეკლესია, ციხე. ნანგრევი, ნასახლარი. ყველგან პოულობდა რასმე ძვირფასს, ხელნაწერს. მხატვრულ ნივთს, ნახატს, მოქარგულ ქვას, სამკაულს. ავეჯს და სხვ. ყველაფერს აგროვებდა და უნახავდა ქართველ ერს. როგორც კი გაიგებდა, ამა და ამ კაცს რაიმე ხელნაწერი ან ისტორიული ნივთი აქვსო. მაშინვე მიეპრებოდა, მოსვენებას არ აძლევდა და ძალით თუ ნებით. უფასოდ თუ ფულის გადახდით მაინც ჩამოართმევდა.“[2]

ე. თაყაიშვილი ასე მონდომებით. ფანატიკური სიყვარულით დასტრიალებდა თავს ეროვნულ საუნჯეს. რომ იგი გადაერჩინა ჟამთა სიავისაგან და მომავალი თაობებისათვის შემოენახა.

საამაყო მამულიშვილმა ფაქტიურად საკუთარი სიცოცხლის საფასურად მშობელ ხალხს შეუნარჩუნა ის უნიკალური ეროვნული განძი, რომელიც 1921 წელს საქართველოდან იყო გატანილი. დღეს საყოველთაოდ აღიარებულია, რომ თუ არა ე. თაყაიშვილის თავგამოდება, შეიძლება ამ სახალხო საუნჯის დიდი ნაწილი (თუ მთლიანად არა), დაკარგულიყო. ხალხში ლეგენდად არის ქცეული ე.თაყაიშვილის თავგამოდება მამულისა და მშობლიური ხალხისადმი. აი ერთი მათგანი: როდესაც საქართველოს ეროვნული განძი 1945 წელს საფრანგეთიდან სამშობლოში მოჰქონდათ, როგორც კი თვითმფრინავმა სიმაღლე აიღო, შეუმჩნევიათ. რომ ბატონ ექვთიმეს ცრემლები წამოსვლია. თანამემამულე მგზავრებს უკითხავთ:

— ბატონო ექვთიმე, ალბათ პირველად მგზავრობთ თვითმფრი-

---

[1] ი. მ ე გ რ ე ლ ი ძ ე, მხოლოდ უნივერსიტეტში, გაზ. „თბილისი“, 29.1.89.

[2] ს. ფ ი რ ც ხ ა ლ ა ვ ა, მოგონებათა ფურცლები, თბ., 1988. გვ.43.

ნავით და იმიტომ აგიჩუყდათ გული? — ე. თაყაიშვილს უპასუხნია:

— მართალია, თვითმფრინავით პირველად ვმგზავრობ. მაგრამ ეს კი არ მაშინებს. მე ის მადარდებს და გულს მიკლავს. ავარია არ მოხდეს და ჩემს ქვეყანას ეს განძი არ დაეკარგოსო.

ამ ეპიზოდს კომენტარები არ სჭირდება.

ე.თაყაიშვილის სახელთან არის დაკავშირებული მრავალი ეროვნულ-კულტურული წამოწყება საქართველოში. კერძოდ: საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების (1907) დაარსება, რომლის თავმჯდომარე თვითვე გახლდათ. იგი იყო თბილისის უნივერსიტეტის გახსნის ერთ-ერთი ორგანიზატორთაგანი. ე.თაყაიშვილმა თავისი უნიკალური ბიბლიოთეკა უანდერძა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. როგორც გადმოგვცემს ი. მეგრელიძე. ეს ბიბლიოთეკა ძლივს ეტეოდა შვიდ შვედურ კარადაში.

ასე უანგაროდ უვლიდა და მფარველობდა თავისი ხალხის წარსულ და თანამედროვე ცხოვრებას. მის კულტურასა და სულიერ საგანძურს დიდი მამულიშვილი და მეცნიერი.

ცნობილი სწავლულები და საზოგადო მოღვაწეები პროფესორები ნინო და კალისტრატე სალიები ახალგაზრდობის დროს მოხვდნენ ევროპაში, იქ გაიცნეს ერთმანეთი, დაოჯახდნენ და მთელი ცხოვრება გაატარეს მამულზე ფიქრსა და ზრუნვაში, სამშობლოში დაბრუნების მოლოდინში. მათ 1948 წელს საკუთარი სახსრებით პარიზში დააარსეს ქართული ჟურნალი „ბედი ქართლისა". რომელიც 1957 წლიდან გადაიქეთდა ფრანგულენოვან დიდფორმატიან ჟურნალად „რევიუ დე ქართველოლოჟი" (ქართველოლოგიის ჟურნალი), რომელიც დამსახურებული პოპულარობით სარგებლობდა მთელი მსოფლიოს ქართველოლოგთა შორის. ჟურნალმა შეწყვიტა გამოსვლა 1984 წელს (1984 წელს კ. სალია შეუძლოდ გახდა. 2 წლის შემდეგ 1986 წელს, 27 ივლისს აღესრულა. ანდერძის თანახმად, მისი ნეშტი 1988 წელს. თებერვალში გადმოასვენეს თბილისში და მიაბარეს დიდუბის პანთეონის წმინდა მიწას). ამჟამად ჟურნალის ტრადიციებს აგრძელებენ მისი ახალი რედაქტორი. პარიზში მოღვაწე ქართველი პროფესორი გ.შარაშიძე და დომინიკ გოტიე ელიგულაშვილი. კალისტრატე და ნინო სალიების ხელმძღვანელობით გამოსულია „ბედი ქართლისას" 40 ნომერი (ქართულად და „რევიუ დე ქართველოლოჟის" 42 ნომერი ფრანგულად. სულ 82 წიგნი. ეს უდიდესი განძია ეროვნულ კულტურაში. ჟურნალმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქართვე-

ლოლოგიის (საერთოდ კავკასიოლოგიის) განვითარების საქმეში საზღვარგარეთ.

„ხაზგასმით უნდა ითქვას, — ვკითხულობთ „მაცნეში" — რომ ჟურნალის გამოცემასთან დაკავშირებულ მთელ უზარმაზარ საქმიანობას მხოლოდ ქ-ნი ნინო და ბ-ნი კალისტრატე ეწევიან. კერძოდ, ბ-ნი კალისტრატე აწარმოებს მიწერ-მოწერას ავტორებთან. აგროვებს მასალებს. ამზადებს მათ დასაბეჭდად, როგორც რედაქტორი. თვითონვე დააქვს მასალები სტამბაში (ჟურნალი იბეჭდება ლუვენში, ბელგიაში). აკეთებს კორექტურას და თვითონვე აგზავნის ასეულობით ნომერს ადრესატებთან. ჰეშმარიტად დიდად დასაფასებელი შრომაა. მით უმეტეს, თუ გვეცოდინება, რომ ბ-ნ კალეს გადატანილი აქვს გულის მძიმე დაავადება".[1]

მიუხედავად ამ მომქანცველი შრომისა, კ.სალია თვითვე აწარმოებდა სერიოზულ მეცნიერულ კვლევა-ძიებას. იგი ავტორია ათეულობით სამეცნიერო შრომისა. მათ შორის 550 გვერდიანი მონოგრაფიისა „ქართველი ერის ისტორია" ფრანგულ ენაზე.

კ. და ნ. სალიების ცხოვრებისა და შემოქმედების ცნობილი მკვლევარი პროფ. გ. შარაძე აღნიშნავს:

„კალისტრატე სალია სიცოცხლეშივე მოესწრო ქართველი ხალხის მადლიერების გრძნობის გამოხატვას. უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეს თანადგომითა და მხარდაჭერით გული გაუთბო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ. რომელმაც 1983 წელს იგი ერთხმად აირჩია საპატიო აკადემიკოსად".[2]

ეს იყო ალბათ მამულს მონატრებული დამაშვრალი კაცის ყველაზე დიდი სიხარული. ამას თვითვე აღნიშნავდა თავის წერილებში აკადემიის პრეზიდენტ აკადემიკოს ევგენი ხარაძისადმი:

„ჩემი სიცოცხლის მიმწუხრის ჟამს ეს აღმაფრთოვანებს იმისათვის, რომ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე განვაგრძო ათეული წლების წინათ საფრანგეთში ჩვენ მიერ დაწყებული საქმე".

გარდა იმ დიდი მეცნიერული შრომისა, რაც კ. და ნ. სალიებმა გასწიეს უცხოეთში ქართული კულტურის შესწავლისა და განვითარებისათვის, მათ მშობელ ქვეყანას მიაგეს აუნაზღაურებელი მატერიალური დახმარება. ნინო ქურციკაშვილი-სალიამ საქართველოს საჩუქ-

---

[1] „მაცნე", №3, 1981, გვ.171.

[2] გ. შ ა რ ა ძ ე, მეტს არც ითხოვდა, გაზ. „თბილისი", 5.III.88.

რად გადასცა პირადი ბიბლიოთეკა, რომელიც დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში, სადაც გახსნილია „ნინო სალიას ფონდი“. რომლის მეცნიერული ღირებულების შესახებ „საქინფორმის“ განცხადებაში ვკითხულობთ:

„ნინო სალიას ბიბლიოთეკა უნიკალურია. იგი დიდ ღირებულებას წარმოადგენს მეცნიერების მრავალ დარგში მომუშავე მეცნიერთათვის. მაგალითად, მის 1400 (ამჟამად ირიცხება 4000 ტომი — ო. ჭ.) წიგნს შორის არის გამოცემები, რომლებიც საფრანგეთში დიდიხანია ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენენ...

ბიბლიოთეკაში არის არქეოლოგიის, ნუმიზმატიკის, ხელოვნების ისტორიის, ფილოლოგიის დარგის წიგნები. აქ არის არისტოტელეს ნაწარმოებთა 22 ტომი, პლატონის— —27. ჰომეროსის — 8, პლუტარქეს — 10. ევრიპიდეს — 7, ქსენოფონტეს — 5, სტრაბონის — 6 ტომი... შუა საუკუნეებისა და ადრე ქრისტიანული ლიტერატურის განყოფილებაში წარმოდგენილია იოანე ოქროპირის 20 ტომი, გრიგოლ ნოსელის 8 ტომი და სხვ.

ფასდაუდებელ დახმარებას გაუწევს მეცნიერებას ისეთი გამოცემები, როგორიც არის „სირიის აღმოსავლეთი“ — 48 წიგნი, „ხელოვნება“ — 32 წიგნი, „რვეულები შუა საუკუნეების ცივილიზაციის შესახებ“ — 21 წიგნი, „არქეოლოგიური ჟურნალი“ — 25 წიგნი, „ლინგვისტიკისა და ლიტერატურის დარგის შრომები“ — 22 წიგნი, აგრეთვე ლათინური, ებრაული, ბერძნული ლექსიკონები, განმარტებითი, თეოლოგიისა და ეკლესიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ლიტერატურის ლექსიკონები. ენციკლოპედიური ლექსიკონები.“[1] ამასთან ისიც აღსანიშნავია, რომ სალიების დახმარებით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტმა მიიღო საფრანგეთის ნაციონალური ბიბლიოთეკისა და ვატიკანის არქივის ქართულ ხელნაწერთა მიკრო ფილმები[2].

ქალბატონმა ნინო სალიამ ინტერვიუში პროფ. გ.შარაძესთან, რომელიც გადმოიცა საქართველოს ტელევიზიით 1990 წლის 10 თებერვალს, განაცხადა „ჩვენი ცხოვრება იყო მიმართული საქართველოსაკენ, მე ჩემს განძს ვუტოვებ საქართველოს.“

ქართველი ხალხი არასოდეს დაივიწყებს მათ დამსახურებას სამშობლოს წინაშე.

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, 29.III.77.

[2] „მაცნე“. №3. 1981. გვ.172.

ემიგრანტ ქართველთა შორის დიდი მამულიშვილობით, საქველმოქმედო მოღვაწეობით გამოირჩეოდნენ **თამარი და აკაკი პაპავები** იქაც (გერმანია, საფრანგეთი, არგენტინა) ოდნავადაც არ შენელებულა მათი ფიქრი და ზრუნვა მამულზე, მის წარსულზე, თანამედროვეობასა და მომავალ ბედზე. უცხო ცის ქვეშ ისინი უფრო სამშობლოს ბედით იყვნენ დაინტერესებულნი. ვიდრე საკუთარი ცხოვრების კეთილმოწყობით; ყოველმხრივ ცდილობდნენ საქართველოს რამეში გამოდგომოდნენ, ქართული კულტურის სიძველეებს ეძებდნენ ევროპისა და ამერიკის ანტიკვარულ მაღაზიებსა თუ კერძო კოლექციონერების საცავებში. უკანასკნელი საარსებო საშუალების საფასურად იძენდნენ ქართულ ექსპონატებს და მამულს უნახავდნენ. რომ მომავალი თაობებისათვის შეენარჩუნებინათ მსოფლიოში მიმოფანტული ეროვნული საგანძურის ნიმუშები.

ამ დიდებული და კეთილშობილი ქართული ოჯახის ჰეშმარიტი მამულიშვილობის შესახებ ბოლო დროს არაერთი საინტერესო მასალა გამოქვეყნდა. აღსანიშნავია 1989 წლის 17 ივლისის გაზეთ „სამშობლოში" დაბეჭდილი ინფორმაცია, რომელიც ეკუთვნის მსახიობსა და მწერალს ელენე საყვარელიძეს, აქ ვკითხულობთ: 1937 წელს ბერლინში მცხოვრებმა ქართველმა მამულიშვილებმა შეიტყვეს, რომ ერთი კოლექციონერის ქვრივი ქართულ წარწეროვან საეკლესიო-სარიტუალო ფარდაგს ჰყიდდა. ეს ფარდაგი შეფასებული იყო 25 ათას დოლარად (!). პაპავებმა საქმის ვითარების გასაგებად მიმართეს საფრანგეთში მცხოვრებ თანამემამულეებს და მათ შორის ქართული სიძველეების ცნობილ მკვლევარს ე.თაყაიშვილს. დაზუსტდა: ანტიკვარული ნივთი აღმოჩნდა ქსნის ერისთავის მეუღლის ქეთევანის მიერ ვერცხლით და ოქროთი მოქარგული ფარდაგი, რომელზეც გამოსახული ყოფილა „ბიბლიური იესოს ნერგი-გენეალოგიური ხე", 1773 წელს ქეთევანის მიერ ბოძებული თბილისის სიონის ტაძრისათვის. დიდი ხნის მანძილზე ეს ისტორიული განძი დაკარგულად ითვლებოდა (ის ვიღაც გარეწარს მოუპარავს და ეტყობა. ევროპაში გაუყიდია)". დაყოვნების შემთხვევაში შეიძლება მართლაც სამუდამოდ დაკარგულიყო იგი ნამდვილი მეპატრონისათვის — ქართველი ხალხისათვის. მაგრამ 25 ათასი დოლარიც დიდი თანხა იყო, ქართველებისათვის ხელმიუწვდომელი. სწორედ აქ იჩინა თავი პაპავების მამულიშვილურმა გრძნობამ. როგორც მიუთითებს ე.საყვარელიძე. „თამარ და აკაკი პაპავებმა გაყიდეს ყველაფერი — სახლი. ავეჯი.პირადი

ნივთები და ვალებში ჩავარდნილებმა შეიძინეს ის ქსოვილი."

საოცარია, რა ძალას, მამულის სიყვარულის რა გრძნობას, თავდადებასა და უნარს უნდა ეკარნახებინა უცხო ქვეყანაში მცხოვრებ პაპავებისათვის თავიანთი კარმიდამო, სარჩო-საბადებელი გაეყიდათ, ვალიც აეღოთ, რომ დაღუპვას გადაერჩინათ ეროვნული განძი? ეს გმირობაა, ჰეშმარიტად უდიდესი მამულიშვილობა. მეტად საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ თამარ პაპავას გადმოცემით, გერმანიაში მათ ბინაზე ხშირად დადიოდნენ სამშობლოს მოწყვეტილი დიდი ქართველები: გრიგოლ რობაქიძე, მიხაკო წერეთელი, ვიქტორ ნოზაძე და სხვ. ისინი თურმე როგორც ეკლესიაში, ისე ლოცულობდნენ მათთვის ხატად ქცეული სიონის ფარდაგთან.

ამ განძმა პაპავების ოჯახთან ერთად დიდხანს იმოგზაურა ევროპასა და არგენტინაში და ბოლოს და ბოლოს სავანე დაიდო თავის პირველ სამყოფელში — სიონის ტაძარში.

თამარ და აკაკი პაპავებმა ასე გადაარჩინეს დაღუპვას ეროვნული განძი. კეთილი მამულიშვილების ძვირფას ტრადიციებს აგრძელებენ მათი ქალიშვილები — ტურფა და მზია პაპავები-ჭეიშვილები (ისინი გათხოვილი არიან მოგვარე ჭეიშვილებზე), რომლებიც არგენტინაში ცხოვრობენ და მჭიდრო კავშირი აქვთ სამშობლოსთან, ნათესავებთან და ხშირად ჩამოდიან სანუკვარ საქართველოში.

როდესაც ქველმოქმედ ქართველებზე ვწერთ, არ შეიძლება ორიოდე სიტყვა არ ითქვას ისეთ დიდ მოამაგეზე, როგორიც გახლდათ **ივანე ჭიქოძე**.

ი. ჭიქოძე არ კარგავდა იმედსა და სასოებას, რომ დაუბრუნდებოდა მშობელ ქვეყანას. სამწუხაროდ ეს სანუკვარი ოცნება მას საფლავში ჩაჰყვა. იგი გარდაიცვალა 1988 წელს გერმანიაში, მიუნხენში. ანდერძის თანახმად მისი ნეშტი 1990 წლის 16 იანვარს ჩამოასვენეს სამშობლოში და სამუდამო ბინა მიუჩინეს დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ი. ჭიქოძემ უცხოეთში საკუთარი სახსრებით დაიწყო ქართული საომარი იარაღის შეგროვება. იგი აუქციონებსა თუ ანტიკვარულ მაღაზიებში ყიდულობდა ექსპონატებს და სკრუპულოზური მონდომებით საკუთარ ბინაში მთელი მუზეუმი შექმნა. ამასთან ფეხით მოიარა ისტორიული საქართველოს ის ნაწილი (შავშეთი, კლარჯეთი, ერუშეთი, იმერხევი...), რომელიც დღეს თურქეთის სახელმწიფოს საზღვრებშია მოქცეული. დაათვალიერა ქართული ისტორიული

ძეგლები: ციხე-სიმაგრეები, ეკლესია-მონასტრები, ზღუდეები, ნაფუძარები და ეს უდიდესი მატერიალური კულტურის ფასეულობანი აღბეჭდა სლაიდებზე. თავისი უნიკალური მასალა ამ დიდმა მოღვაწემ უსასყიდლოდ გადასცა საქართველოს. სახელოვანი მამულიშვილის ცხოვრების ბოლო პერიოდი და მის მიერ სამშობლოსათვის განძის გადაცემა კინოფირზე აღბეჭდა ქართველმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ რევაზ თაბუკაშვილმა.

სახელოვან ქველმოქმედ წინაპართა საკრებულოს, რომლის შემადგენლობა უსასრულოდ მრავალრიცხოვანია, არ შეიძლება მოვწყვიტოთ **ივანე ჯავახიშვილის, იოსებ ყიფშიძისა და გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძის** სახელები. ბატონებმა ივ. ჯავახიშვილმა და ი. ყიფშიძემ იმ უდიდეს სიკეთესთან ერთად, რაც მათ მიერ უნივერსიტეტის დაარსებასა და მის შედეგებს მოჰყვა, თავიანთი უნიკალური ბიბლიოთეკები უსასყიდლოდ გადასცეს პირველ ქართულ უმაღლეს სასწავლებელს — თბილისის უნივერსიტეტს. ასევე კეთილშობილური ნაბიჯი გადადგა განათლებულმა იურისტმა, ი. ჭავჭავაძის ახლო მეგობარმა, ერთ დროს თბილისის გუბერნიის გენერალ-გუბერნატორმა გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძემ.

ცნობილმა მეცნიერმა, დამსახურებულმა ბიბლიოგრაფმა, აწ განსვენებულმა, სათნოებით აღსავსე ქალბატონმა თამარ მაჭავარიანმა (ჩვენი სასიქადულო პოეტის მუხრან მაჭავარიანის დედამ) 1970 წელს შემდეგი გვიამბო:

„შალვა ნუცუბიძისაგან მომისმენია (მხოლოდ ვერ გაიხსენა ზუსტი თარიღი): „როდესაც 1917 წელს უკვე საბოლოოდ მომწიფდა საქართველოში უნივერსიტეტის გახსნა, მე მიმავლინეს პეტერბურგში, სადაც მოსაგვარებელი მქონდა მთელი რიგი საკითხებისა. მათ შორის საქართველოში რკინიგზით უნდა გადმომეგზავნა ივანე ჯავახიშვილისა და იოსებ ყიფშიძის უმდიდრესი ბიბლიოთეკები, რომლებიც ამ კეთილშობილმა მოღვაწეებმა უსასყიდლოდ გადასცეს ჯერ კიდევ არ არსებულ თბილისის უნივერსიტეტს. პეტერბურგში დიდი არეულობა იყო. ამ მღელვარე ქალაქში ვნახე თბილისში გუბერნატორად ნამყოფი გიორგი შარვაშიძე, ახოვანი, ლამაზი და მოსული ჰაღარა კაცი. მისალმების შემდეგ მას გავაცანი ჩემი პეტერბურგში ყოფნის მიზანი. მასზე დიდი ზემოქმედება იქონია ცნობამ იმის შესახებ, რომ თბილისში უნდა დაარსდეს უნივერსიტეტი. გულიც კი აუჩუყდა. შემდეგ ჩვენდა მოულოდნელად შემოგვთავაზა თავისი უნიკალური ბიბ-

ლიოთეკა და გვითხრა: „ჩემგან უსასყიდლოდ ჰქონდეს თბილისის უნივერსიტეტს.“ ჩვენც, რასაკვირველია, მივიღეთ ეს ამანათი. სამივე წიგნსაცავი გამოვაგზავნე საქართველოში.

სამწუხაროდ, მოხდა ის, რისი წარმოდგენაც კი შეუძლებელია. იმ არეულობის დროს ის ვაგონი, რომელშიც ი.ჯავახიშვილის, ი. ყიფშიძის და გ.შარვაშიძის წიგნები იყო, გზაში დაიკარგა, დაიწვა. ასე დაიღუპა დიდი ეროვნული განძი.“

დღეს ქველმოქმედებამ მოიცვა საზოგადოებრივი ურთიერთობის ყველა სფერო და ცდილობს, გაათავისუფლოს ადამიანი წლების მანძილზე დამკვიდრებული თავისუფალი შემოქმედების შემბოჭავი არტახებისაგან. მან ნათელი კვალი უნდა დააჩნიოს ქვეყნის ეროვნული, ეკონომიკური, სოციალური და დემოგრაფიული პრობლემების მოწესრიგებას. შეიქმნა (ეს პროცესი გრძელდება) მრავალი საქველმოქმედო საზოგადოება, მატერიალური ხელშეწყობის სხვადასხვა ფონდები, ასოციაციები, სათათბიროები, რომელთა მთავარი მიზანია ეროვნული აღორძინება და კონსოლიდაცია, ბრძოლა ეკონომიკური და ეროვნული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად.

ქველმოქმედმა საზოგადოებებმა უკვე მოასწრეს ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება. ისინი ხალხში ნერგავენ ურთიერთნდობის, თანამშრომლობის, შემწყნარებლობის, თანადგომის პრინციპებს, დახმარებას უწევენ სტიქიით დაზარალებულთა ოჯახებს, მრავალშვილიან დედებს, ინვალიდებს, მარტოხელა და უმწეო ხანდაზმულ მოქალაქეებს, სასწავლო დაწესებულებებს. ამ კეთილშობილურ საქმეს ემსახურება აგრეთვე მოქალაქეთა პირადი შეწირულებანი, საგანგებოდ გამართული საქველმოქმედო საღამოები, კონცერტები, სპექტაკლები და სხვ. საზოგადოებების აქტიურობა ამტკიცებს ღრმა რწმენას ხვალინდელი დღისადმი, ნდობას ადამიანისადმი.

უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთში მამულიშვილურ ტრადიციებს აგრძელებენ და ბევრ სასიკეთო საქმეს აკეთებენ სხვადასხვა საქველმოქმედო საზოგადოებები და გაერთიანებები.

ჩვენ თანამედროვე საზოგადო მოღვაწეთაგან განსაკუთრებული მოწიწებით გვინდა მოვიხსენიოთ სასიქადულო მამულიშვილი, მწერალი და დიდი ქველმოქმედი, ბატონი **რევაზ თაბუკაშვილი** და სტატია პოეტ ტაბუ მებურიშვილის მისადმი მიძღვნილი ლექსით დავასრულოთ:

მოსაძიებლად მამულის განძის
მოვლე ცა — მყარი და თვით ჰადესიც...
იპოვნე ფასად ტიტანურ გარჯის
საუნჯე და გზა უდიადესი.

შენ რომ დიმიტრი გერქვას, მესამე
გეეყოლებოდი თავდადებული...
ძლივს გასაგონი შენი კვნესა-მე,
კვნესა-ღეთის ხელით ატატებული...

შენ სიცოცხლეშივ მამულად იქეც,
შენ სიცოცხლეშივ გასამშობლოდი.[1]

გვიმრავლოს მამულისათვის თავდადებული შვილები, რომლებიც როგორც არასდროს, ისე სჭირდება დღევანდელ საქართველოს!

1990

---

[1] „სიცოცხლეშივე“, (რ. თაბუკაშვილს), გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 16.11.1990.

ქართველი და ჩრდილოეთკავკასიელი ხალხების პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ურთიერთობა ნათელ ასახვას პოულობს მითოსში, ქართულ და უცხოურ საისტორიო წყაროებში, ფოლკლორში, სიტყვაკაზმულ მწერლობაში. უხსოვარი დროიდან ქართველი ხალხის ცნობიერებისა და მითოსის მიხედვით იმიერ და ამიერკავკასიელი ერები და ტომები ერთი გენეტიკური საწყისიდან მომდინარეობენ, საერთო ჰყავდათ შორეული წინაპარი და ამდენად ისინი ნათესავები არიან. XI საუკუნის ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა ლეონტი მროველმა თავის თხზულებაში „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ ეს თვალსაზრისი ასე გადმოსცა:

„პირველად ვახსენოთ ესე, რამეთუ სომეხთა და ქართველთა, რანთა და მოვაჟნელთა, ჰერთა და ლეკთა, მეგრელთა და კავკასიანთა — ამათ თვისთა ერთი იყო მამა, სახელით თარგამოს. ესე თარგამოს იყო ძე თარშისი, ძისწული იაფეთისი, ძისა ნოესი. და იყო ესე თარგამოს კაცი გმირი.“[1]

თარგამოსს ჰყოლია 8 შვილი, 8 ვაჟკაცი, რომელთაც რქმევიათ: ჰაოს, ქართლოს, ბარდოს, მოვაკან, ლეკ, ჰეროსს, კავკას, ეგროს. ამათგან შემდგომ წარმოშობილან კავკასიელი ხალხები. ლეონტი მროველთან „კავკასი“ კრებით სახელადაა წარმოდგენილი და მიუთითებს მრავალ კავკასიელ ერზე, ეროვნებასა და ტომზე.

როგორც ქართული მითოლოგია გვამცნობს, კავკასიელი ხალხები ერთი შთამომავლისაგან მომდინარეობენ. დღეისათვის რაც არ უნდა მითოსური, ფანტასტიკური, რეალობას მოწყვეტილი ჩანდეს ეს ჰიპოთეზა, იგი ეჭვმიუტანლად, უდავოდ მიუთითებს ორ გარემოებაზე, რომ დასაბამიდან კავკასიელი ხალხები ერთმანეთში ეძებდნენ ნათესაურ კავშირს, იმ გენეტიკურ უჯრედებს, რომლებიც მათ ერთმანეთთან შეაკავშირებდა ჰირსა და ლხინში. ეს იყო ხალხთა თანაცხოვრების, მეზობლობის, თანამშრომლობისა და კეთილი ურთიერთობის მარად რთული და თავსატეხი პრობლემის მოგვარების გონივრული გააზრება.

კავკასიელ ტომთაგან ქართველებისა და ჩეჩენ-ინგუშების (ქისტების) მეზობლურ, შემოქმედებით, ეკონომიკურ და სამხედრო-პოლი-

[1] „ქართლის ცხოვრება“, ტ.I, თბ., 1955, გვ.3.

ტიკურ ურთიერთობას ფესვები შორეულ წარსულში აქვს გადგმული, საუკუნეების მანძილზე ამ ხალხების მეცნიერობა და თანამშრომლობა არაერთგზის ყოფილა როგორც ისტორიის, ისე ხალხური შემოქმედებისა და ლიტერატურის ასახვისა და განსჯის საგანი.

ვახუშტი ბატონიშვილი ფუნდამენტურ შრომაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ მიუთითებს, რომ ჩეჩენ-ინგუშების ხალხთა (ჩეჩენი, ღლიღვი, ქისტი...) წინაპარი ძურძუკის ტომიაო: „ესე ხევნი (ქისტის, ღლიღვის, ჩეჩნის — ო. ჯ.). რომელი აღვსწერეთ, პირველ იყო ყოველთა სახელი ძურძუკეთი, ხოლო აწ ესრე განიყოფებიან“.[1]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში არის მითითებული, ძველ ქართულ წყაროებში ეთნონიმ „ქისტების“ ქვეშ, საკუთრივ ქისტებთან ერთად გულისხმობენ ინგუშებსაც. სხვათა შორის ასეა ეს გაგებული ალ.ყაზბეგის ნაწარმოებებშიც. ძველ ქართულ წყაროებში „ძურძუკეთის“ გარდა გვხვდება ტერმინები: „დურძუკეთი“, „ურძუკეთი“; არაიშვიათად „ქისტეთი“. ეს ხალხი საქართველოს კარის მეზობელი იყო, ჩრდილოეთიდან საზღვრავდა მას.

ლეონტი მროველი დურძუკებს ახასიათებს, როგორც ამაყ, მეომარ და წარჩინებულ ხალხს. მისი სიტყვით, „დურძუკ უწარჩინებულეს იყო შვილთა შორის კავკასიისათა“. მათი ქვეყანა მდებარეობდაო „ნაპრალსა შინა მთისასა“ და იწოდებოდაო დურძუკეთად.[2]

ვახუშტი ბატონიშვილიც ასევე მომხიბვლელი იერის ხალხად წარმოგვიდგენს ჩეჩენ-ინგუშთა წინაპრებს. „კაცნი და ქალნი არიან შუენიერნი, ჰაეროვანნი, შავ-თუალ-წარბნი, შავ-თმოსანნი, თეთრ-ყირმიზნი, წერწეტნი, გარნა უმეტეს ქალნი წერწეტნი, მკვირცხლად ფიცხელნი.[3] ამასთან მიუთითებს, მათში დამწერლობის უქონლობაზე, ცხოვრების რთულ პირობებში გამომუშავებულ მკაცრ ინსტინქტებზე. შემდეგ ქართველი გეოგრაფოსი აღნიშნავს: „მათ არ იციან კლვა და მესისხლობა ურთიერთთა, გარნა თუ შეიმთხუეს, მოხუცებულთა მათთა განბრჯობითა ზავ-ჰყოფენ და არიანცა უმეტეს პირწყლიანნი კაცით ქალამდე... უწყიან ქვითკირნი და მით აღიშენებენ სახლთა, კოშკთა და სიმაგრეთა.“[4] სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ცხოვრების წესის მიხედვით დურძუკები ახლოს დგანან მთიელ ქართველთა

---

[1] ქც, ტ.IV, თბ., 1973. გვ.653.
[2] ქც, ტ.I, 1955, გვ.12.
[3] ქც, ტ.IV, გვ.637.
[4] იქვე, გვ.653.

ტომებთან: მოხევეებთან, ფშავ-ხევსურებთან და სვანებთან.[1]

ცნობილია, ჩეჩნური და ინგუშური ენები მონათესავენი არიან და განეკუთვნებიან იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ნახურ (ვეინახურ) ჯგუფს. ნახური ენები აერთიანებს ჩეჩნურ, ინგუშურ და ბაცბურ ენებს, რომლებიც გავრცელებულია ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ-ში და საქართველოს რესპუბლიკის ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ალვანსა და პანკისის ხეობაში (ქსე). ქისტური ჩეჩნური ენის ერთ-ერთ დიალექტად არის მიჩნეული. ინგუშური ენის შესახებ ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში ვკითხულობთ: ინგუშები (საკუთარი სახელწოდება „ღალღა") ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ დასავლეთ ნაწილში, აგრეთვე კავკასიონის მთავარი ქედის ცენტრალური ნაწილის ხეობებში მცხოვრები ხალხი... ლაპარაკობენ ინგუშურ ენაზე... ენითა და კულტურით მონათესავე ჩეჩნებთან ერთად ჩეჩნეთ-ინგუშეთის მკვიდრ მოსახლეობას შეადგენენ. ეთნიკური სახელწოდება „ინგუში" მიუღია ადგილისაგან „ანგუში" ან „ინგუში".

ჩეჩნეთ-ინგუშეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის სპეციალისტები მიუთითებენ: „ჩეჩნეთ-ინგუშეთისა და საქართველოს ისტორიული ურთიერთკავშირისათვის დამახასიათებელია მიგრაციული პროცესები. სამთო გზებისა და ბილიკების მეშვეობით ადგილი ჰქონდა ვეინახთა ინტენსიურ გადასახლებას ხევში, ხევსურეთში, ფშავში, თუშეთში, თიანეთსა და პანკისის ხეობაში. ამასთან პანკისის ხეობაში მკვიდრადაა დასახლებული ვეინახთა გარკვეული ჯგუფი ქისტების სახელწოდებით."[2]

პანკისის ხეობაში დღეს ცხოვრობს 6000 ქისტი, რომელთაც მშობლიურთან ერთად ჩინებულად იციან ქართული ენა და სკოლაშიც ქართულ ენაზე სწავლობენ, მაგრამ ეს მათ ხელს არ უშლის, შეინარჩუნონ და განაგრძობინონ მშობლიური ენა და კულტურა, ტრადიციები და ადათ-წესები. პანკისელი ქისტები აქტიურ მონაწილეობას იღებენ საქართველოს ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ამ კუთხიდან გამოსულა არა ერთი და ორი მსოფლიოში ცნობილი სპორტსმენი, საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი. საქართველოში მცხოვრებ ქისტებს, საერთოდ ჩეჩენ-ინგუშთა წარმომადგენლებს, მეგობრული და

---

[1] ვ. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ცენტრალური კავკასიის მთიელების საოჯახო ყოფა, თბ., 1959, გვ.72 — 79.

[2] ტ. ც ო ლ ო ე ვ ი, ჩეჩნეთ-ინგუშეთისა და საქართველოს საზღვარი და მათი დამაკავშირებელი გზები. „ისტორიული წყაროთმცოდნეობითი ძიებანი", თბ., 1989, გვ.44.

ნათესაური ურთიერთობა აქვთ ქართველებთან.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ.ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი ეროვნებით ჩეჩენი (ქისტი) როსტომ ფარეულიძე ზემოთქმულთან დაკავშირებით წერს:

„ქისტები და ქართველები ოდითგანვე იყვნენ ერთმანეთის ჰირისა და ლხინის მოზიარენი. ქართული ისტორიოგრაფია ადასტურებს, რომ ქისტი (ჩეჩენი, ინგუში) ხალხი სისტემატურ მონაწილეობას იღებდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში. ფაქტია, მაგალითად, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმებში ქისტებიც იყვნენ. ცნობილია ზოგი მათგანის გვარი და სახელი...

1944 წლის თებერვალში ჩეჩენი და ინგუში ხალხების ბედი უკუღმა დატრიალდა. სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკის მკვიდრი მოსახლეობა გადასახლებულ იქნა შუა აზიისა და ყაზახეთის რესპუბლიკებში, ხოლო რესპუბლიკა — ლიკვიდირებული. ამ ბარბაროსულმა აქციამ მსხვერპლად შეიწირა ყოველი მესამე ჩეჩენი და ინგუში. (600 ათასი კაციდან განადგურდა 200 ათასი).

საქართველოში მცხოვრები ქისტების (ჩეჩნების, ინგუშების) ყოფნა-არყოფნის საკითხიც დადგა. საკმარისი იყო ერთი სიტყვაც კი, რომ იმავე გზაზე გაეყენებინათ უდანაშაულო ადამიანები. უბედურების თავიდან ასაცილებლად ქართველებმა შესაშური ჰუმანურობა გამოიჩინეს — დიდი რისკის ფასად ქისტების ისტორიული კავშირი ჩეჩნებთან და ინგუშებთან უარყვეს და მცირერიცხოვანი ქისტი მოსახლეობა უცილობელ დაღუპვას გადაარჩინეს.

პანკისელი ქისტები მადლიერების გრძნობით ლაპარაკობენ ქართველ ხალხზე, ამ გაჭირვების ჟამს მხარში რომ ამოუდგა და მფარველობა გაუწია ...

შეუძლებელია არ აღინიშნოს ის დიდი ამაგი ქართველთა რჩეული შვილებისა, როგორებიც იყვნენ აკადემიკოსები არნოლდ ჩიქობავა, სიმონ ჯანაშია, ვარლამ თოფურია — ეს მათი თავდადებული ღვაწლის შედეგია, რომ აღიკვეთა დაგეგმილი ბარბაროსული პოლიტიკური აქცია... ქართველებისა და ქისტების ნდობა ეჭვქვეშ არასოდეს დამდგარა და არც დადგება. ქისტები მუდამ ქართველებს დაუდგებიან მხარში. გჯეროდეთ, ქართველებო, ქისტები უღალატო ხალხია!“[1]

---

[1] გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1.IX.1989.

თბილისი თავისი სასწავლო-სამეცნიერო და კულტურული დაწესებულებებით ყოველთვის იყო კავკასიელ ხალხთა ენის, კულტურისა და ისტორიის მეცნიერული შესწავლის, ეროვნული კადრების მომზადების ერთ-ერთი ძლიერი კერა, განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს მეცნიერებათა აკადემია ისტორია-ეთნოგრაფიისა და ენათმეცნიერების ინსტიტუტებით, სამხატვრო აკადემია, თეატრალური ინსტიტუტი, ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტი, სადაც შეისწავლება კავკასიელ ხალხთა ენის, ისტორიისა და კულტურის კარდინალური პრობლემები, მაგრამ ეს უკვე ცალკე თემაა.

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, პირველი ქართველი მეფე, რომელმაც ჩრდილოეთ კავკასიელ მეზობლებთან — ძურძუკებთან დაამყარა კავშირი, იყო ფარნავაზი — გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე ქართლოსის დინასტიიდან, „ქართლოსის ნათესავთაგანი“. ფარნავაზი ცნობილი იყო „სიბრძნითა და სიქუელითა, სიმხნითა და სიმდიდრითა“. „მან განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული.“[1]

ფარნავაზი მეფობდა III საუკუნეში ჩვენს წელთ აღრიცხვამდე. ამ გამჭრიახმა მეფემ თავისი ბრძნული ეროვნული პოლიტიკის წყალობით გააერთიანა დაქუცმაცებული ქვეყანა და შექმნა ცენტრალიზებული სახელმწიფო, რომელსაც საფუძვლად დაედო ქართული ენა და ერთიანი ეროვნული კულტურა. მან, ისე, როგორც მისი ტახტის ღირსეულმა შორეულმა მემკვიდრემ დავით აღმაშენებელმა, მტკიცე მეგობრული და ნათესაური და აქედან გამომდინარე, მოქნილი პოლიტიკური ურთიერთობა დაამყარა ძლიერ კავკასიელ ტომებთან და პირველ რიგში ჩეჩენ-ინგუშთა ძლევამოსილ წინაპრებთან — ძურძუკებთან. ალბათ დიდი პოლიტიკური ჩანაფიქრი იყო, რომ ფარნავაზმა ცოლად შეირთო და საქართველოს დედოფლად დასვა ძურძუკთა ასული. ამით მან შემოიკედლა, დაიერთგულა ჩრდილოეთ კავკასიის ძლიერი ხალხი და ისინი თავისი ეროვნული პოლიტიკის განხორციელების უშუალო მონაწილე გახადა.

მის მემკვიდრე საურმაგს მძიმე პირობებში მოუხდა ქვეყნის გამგებლობა. ძლიერი მეფის ფარნავაზის გარდაცვალების შემდეგ თავი წამოჰყვეს პარტიკულარისტულმა ძალებმა. ერისთავებმა წინააღმდე-

---

[1] ქც. ტ.I. გვ.26.

გობა გაუწიეს ცენტრალიზებულ მმართველობას. ამ რთულ სიტუაციას ვახუშტი ბატონიშვილი ასე აღწერს: „მეფობა მისი არა სთნდათ ქართველთა, რათა არა მონონ მონათესავესავე თვისთა და ამისათვის შეიზრახნენ მოკლვად საურმაგისა.“[1]

საურმაგმა, გაიგო რა ასეთი ვერაგული განზრახვა, მიაშურა ჩრდილოეთ კავკასიას და თავი შეაფარა დედულეთს — ძურძუკეთს. ისევ დავიმოწმებთ ვახუშტი ბატონიშვილს: „მაშინ შემოიკრიბნა საურმაგ ძურძუკნი და ოვსნი, შთამოვიდა და დაიპყრა კუალად საქართველო... აღამაღლა დედულნი თვისანი და აზნაურნი ჰრომაელნი.“ (იქვე). მემატიანის ცნობით საურმაგმა ზოგი ძურძუკთაგანი დაასახლა კიდევაც საქართველოში, კერძოდ, სვანეთისა და სამეგრელოს რეგიონებში.

საურმაგის შემდეგ სამეფო ტახტზე ჩანს მისი სიძე მირვანი (საურმაგს ვაჟიშვილი არ ჰყავდა). ეტყობა, მან ვეღარ გამონახა საერთო ენა ძურძუკებთან და ეს უკანასკნელნი აუჯანყდნენ. მემატიანე მოგვითხრობს: „დაივიწყეს სიყვარული ფარნავაზისა ძურძუკთა“, თავს დაესხნენ აღმოსავლეთ საქართველოს, დაარბიეს კახეთი და ბაზალეთი. მირვანმა შეკრიბა ჯარი, გაილაშქრა ძურძუკეთზე და სამაგიერო მიუზღო.

არც ბაგრატიონთა დინასტიის მეფობის დროს იყვნენ უყურადღებოდ ძურძუკნი და სხვა კავკასიელი ტომები ქართველ მეფეთაგან. რამდენიმე მაგალითი: „გუარამ კურაპალატი (VIს.) ბიზანტიის კეისრის დავალებით გამოდის თურქ-სპარსელთა წინააღმდეგ და ქართველთა ჯარს აძლიერებს ოსთა, დიდოთა (ლეკთა). ძურძუკთა რჩეული მეომრებისაგან შემდგარი ლაშქრით. ვახუშტი ბატონიშვილთან ვკითხულობთ: „ხოლო გუარამ გამოიყვანნა ოვსნი, ძურძუკნი და დიდონი, წარუძღვა სპათა საქართველოსა“.[2] ასეთი ერთობლივი ლაშქრით, რომელიც გამსჭვალული იყო ურთიერთნდობითა და ერთგულებით, გუარამმა დაამარცხა საერთო მტერი.

დავით აღმაშენებლის დროს საერთოდ კავკასიელები და კერძოდ ჩეჩენ-ინგუშები არანაკლებ როლს თამაშობდნენ ქვეყნის ცხოვრებაში. ქართველებისა და ჩრდილოკავკასიელი ხალხების კავშირი კიდევ უფრო განმტკიცდა მას შემდეგ, რაც დავით აღმაშენებელმა საქართველოს დედოფლად დასვა ყივჩაყთა მეფის ათრაქა შარაღანის

[1] ქც. ტ.IV. გვ.58.

[2] იქვე. ტ.IV, გვ. 120.

ძის ასული გურანდუხტი, ამ ნათესაური კავშირის შედეგად საქართველოში ჩამოასახლა ორმოცი ათასი ყივჩაყთა ოჯახი და მათგან შექმნა რეგულარული არმია. შორსმჭვრეტელი მეფის ასეთმა პოლიტიკურმა ნაბიჯმა საგრძნობლად გააძლიერა სახელმწიფო, თუმცა, გულუბრყვილობა იქნებოდა, არ აღგვენიშნა ფეოდალური ურთიერთობისათვის დამახასიათებელი შიდა ომები, შუღლი საგვარეულოებს შორის, ურთიერთთავდასხმები და რბევები, რაც ასე დამაჯერებლადაა გაშუქებული ქართულ ისტორიულ წყაროებსა და სიტყვაკაზმულ მწერლობაში. მთავარი ის იყო, რომ დავით აღმაშენებლის ეპოქაში ხალხთა ურთიერთობის არსს და სამთავრობო პოლიტიკას განსაზღვრავდა ბრძენი მეფის კეთილი განწყობილება სხვადასხვა ერისა და რელიგიისადმი, ტოლერანტობა.

თამარ მეფის დროსაც ჩრდილოეთკავკასიელი ხალხები საქართველოს მიმართ ერთგულებას იჩენდნენ, რაც, ბუნებრივია. განპირობებული იყო როგორც თამარის მოქნილი პოლიტიკით, ისე ამ ხალხების სასიცოცხლო ინტერესებით. გაერთიანებული საქართველო მცირერიცხოვანი ერების მშვიდობიანი ცხოვრების უდიდესი გარანტი იყო.

რუსუდან მეფის დროს (XIII ს.), როდესაც საქართველოს ძლიერ გაუჭირდა გარეშე მტერთა შემოსევების გამო, ქართველმა მეომრებმა ძურძუკებისა და სხვა კავკასიელი ხალხების თანადგომით შეუტიეს მტერს, იცავდნენ რა საერთო საცხოვრისს — კავკასიას. ჟამთა აღმწერელი მოგვითხრობს: რა ესმა ხვარაზმელთა ლაშქრის მოახლოება, დედოფალმა რუსუდანმა „მოუწოდა ყოველთა სპათა თვისთა. იმერთა და ამერთა... ჰერ-კახთა, სომხითართა, ჯავახთა, მესხთა ტაოელთა, დადიანსა ცოტნეს, აფხაზთა, ჯიქთა და ყოველსა იმერსა სამეფოსა ... და განეხუნა კარნი დარიალისანი და გარდამოიყვანა ოსნი, დურძუკნი, ამათ თანა ყოველნი მთიულნი.“[1] მართალია, ეს ერთობლივი ლაშქარი დამარცხდა მტრის ურდოების წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ თუ არ ასეთი ურთიერთთანადგომა, ურთიერთდაცვა, ალბათ დღეს კავკასიელ ხალხთა სახსენებელიც კი არ იქნებოდა ქვეყანაზე, იმდენი უბედურება დატყდომია თავს ყველას ერთად და ცალ-ცალკე.

საქართველოს და საერთოდ, მთლიანად კავკასიის ისტორიის მომდევნო პერიოდები კიდევ უფრო მძიმე და აუტანელი აღმოჩნდა. მონგოლთა ხანების, თემურ-ლენგის, თურქეთის სულთანების, სპარ-

---

[1] „ქართლის ცხოვრება“, ტ.II, გვ.183.

სეთის შაჰების ურდოების შემოსევები გამანადგურებელი აღმოჩნდა „კავკასიელი ოჯახისათვის“. ეს იყო კავკასიელ ხალხთა ტრაგედია. ვინ არ ცდილა ეჯირითა ამ დალოცვილ მიწა-წყალზე და კავკასიელი ულამაზესი ახალგაზრდები მონებად გაეყიდა საერთაშორისო ბაზრებზე ონავარი სახელმწიფოების ლეგიონებისა და აღმოსავლეთის მბრძანებელთა ჰარამხანების დასაშენებლად. ამასთან ისიც ცნობილია, რომ ქართველების, აფხაზების, ჩერქეზების, ინგუშების, ჩეჩნების, ოსების, დაღესტნელი ხალხებისაგან მიტაცებული და ჯარისკაცებად გაყიდული ახალგაზრდები შემდგომ დიდ როლს თამაშობდნენ ახლო და შუა აღმოსავლეთის სახელმწიფოთა პოლიტიკურ ცხოვრებაში. კავკასიელ ხალხებს ზიარი ჰქონდათ არა მარტო სიხარულის განსაცდელი, არამედ მწუხარებაც და ცრემლიც, მოთქმაც და გოდებაც.

ცხოვრების უკუღმართობამ ერთმანეთს გადაკიდა მოძმე ტომები და ერები და სისხლის ღვარები დააყენა, უფრო მეტიც, არა თუ სხვადასხვა მოდგმისა და ჯილაგის ხალხები ერჩოდნენ ერთმანეთს, არამედ ავბედითობის გამო მოყვარე მოყვარეს, ნათესავი ნათესავს, ძმა ძმას არ ინდობდა, რაც დიდი ტკივილით აისახა დ.გურამიშვილის შეჰქმედებაში:

შეიქნა დიდი მტერობა, თქმა ერთმანეთის ძვირისა,
ამპარტავნობა და შური, ურცხვად გატეხა პირისა;
ავაზაკობა, ქურდობა, გზაზე დასხდომა მზირისა,
ტყეობა, მოკვლა, ტაცება ქვრივთა, ობოლთა მწირისა!

კავკასიელებს, ერთი დიდი ოჯახის წევრებს, ხან გარეშე მტერი ურღვევდა მყუდროებას, სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებდა ერთმანეთს მოძმე ერებს, ხან შინაური „მოყვარე“ არ იძლეოდა მშვიდობიანი ცხოვრების საშუალებას. ვერაგ მტერს საერთო საცხოვრისში ხშირად შეჰქონდა ეჭვი და უნდობლობა, შუღლი და მტრობა და ამით ცდილობდა ამაყი ხალხების დამორჩილებასა და დამონებას. მაგრამ ყოველივე ამას უპირისპირდებოდა მთიელთა დინჯი გონება, ფხიზელი აზრი, აწონილი სიტყვა. ადამიანთა და ხალხთა ურთიერთობა არასოდეს ყოფილა ერთფეროვანი, სწორხაზოვანი. იგი ოდითგანვე ხასიათდებოდა წინააღმდეგობებითა და მოსალოდნელი თუ მოულოდნელი ცხოვრებისეული გართულებებით, განპირობებული ეროვნული და სოციალური კოლიზიებით, მტრის მიერ ორგანიზებული ფარული თუ აშკარა პროვოკაციებით. და ასე საუკუნეების მანძილზე სიკვდილ-სიცოცხლის თხემზე გადიოდა კავკასიელთა

წუთისოფლის სავალი გზა.

ოდითგანვე ქართველი და ჩრდილოკავკასიელი ხალხების ურთიერთობაში დიდ როლს ასრულებდა ხალხური დიპლომატია, ზეპირსიტყვიერება და სიტყვაკაზმული მწერლობა. მრავალი სახელოვანი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის შემოქმედებაში აისახა ქართველი და ჩრდილოკავკასიელი ხალხების მეზობლობა, ურთიერთობა, თანამშრომლობა და ასევე მათ ურთიერთდამოკიდებულებაში არსებული წინააღმდეგობანი. მათ შორის გამოვყოფთ სამი უდიდესი წარმომადგენლის — ი.ჭავჭავაძის, ალ.ყაზბეგისა და ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას.

ი.ჭავჭავაძის, შემოქმედისა და მოღვაწის, მთელი ცხოვრების საზრუნავს, საფიქრალს წარმოადგენდა მშობლიური ხალხის კოლონიური. დამონებული მდგომარეობისაგან განთავისუფლება. ამ მიზნის მისაღწევად, მწერლის აზრით, ყოველი მამულიშვილის ზნეობრივი, პატრიოტული მოვალეობაა თავისი თუნდაც მცირედი წვლილის შეტანა საქართველოს ეროვნული გაერთიანებისათვის, ქვეყნის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის. ერის მოძღვარი ამიტომ მიმართავდა ხალხს:

„ყოველ ქართველს, საქართველოს ნაწილისას, — გურული იქნება. მეგრელი, იმერელი, კახელი თუ ქართლელი, — ჩვენის ერთიანობის ოჯახის კარი ღია აქვს, რომ ჩვენს საერთო ჭირსა და ლხინში ძმური მონაწილეობა მიიღოს. ეს არამც თუ უფლებაა თვითეულის ჩვენგანის, უუწმინდესი მოვალეობა, ძმობა და ერთობა ამაშია. ეგ ძმობა და ერთობა არის იგი კლდე, რომელზედაც უნდა აშენდეს დიდი სასახლე ჩვენის ცხოვრებისა.[1]

ი.ჭავჭავაძე ლაპარაკობდა ერის სახელით და მისი მოწოდება იყო ჰეშმარიტი მამულიშვილობის, მაღალი ზნეობის ღაღადისი.

ი.ჭავჭავაძე დიდი მონდომებით ადევნებდა თვალს მეზობელი კავკასიელი ხალხების ცხოვრებას, მათ პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობას. ამ მოვლენების გაშუქებას სათანადო ადგილს უთმობდა თავის პრესასა და მხატვრულ-პუბლიცისტურ ნაწარმოებებში. ცნობილია, გასული საუკუნის მეორე ნახევარში კავკასიის ხალხებს და მათ შორის ქართველებსაც დიდი უბედურება დაატყდათ თავს მკვიდრი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის თურქეთში იძულებითი გადასახლების — მაჰაჯირობის სახით. აქაც ქართველმა მამულიშვილმა თავისი უკვდავი სიტყვა თქვა და სცადა,

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ.IX, თბ., 1957, გვ.261 — 262.

ამ ისტორიული ტრაგედიის ობიექტური მიზეზები აეხსნა. მან ამ ბარბაროსულ აქციაში დაადანაშაულა მეფის რუსეთის მთავრობა, მისი უხეში დიდმპყრობელური ეროვნული პოლიტიკა, მიმართული ხალხების დამონების, ასიმილაციისა და მათი მიწების მითვისებისაკენ. ი.ჭავჭავაძის აზრით, ხალხისა და მთავრობის თანამშრომლობისა და გაგების საფუძველია მათი ურთიერთ პატივისცემა და სიყვარული. მართალს ბრძანებდა დიდი ილია: მთავრობა ხალხის ერთგულებასა და სიყვარულს მაშინ დაიმსახურებს, როდესაც იგი ხალხის ინტერესებს დაიცავს. ჭირსა და ლხინში გვერდით ამოუდგება მას. ხალხი ბრძენია და მას ვერავინ ვერ მოატყუებს ვერც გაქნილი პოლიტიკით, ვერც დაშაქრული სიტყვებით და ვერც ფარატინა ქაღალდზე აღბეჭდილი ხმაურიანი სამთავრობო კანონებით. ძალა აღმართს ხნავსო, ნათქვამია, მაგრამ ძალადობით ხალხთან ვერაფერს გააწყობ. ხალხი მაშინ იქნება მთავრობის ერთგული, როდესაც ირწმუნებს იგი სახელმწიფო ხელისუფლების კეთილ დამოკიდებულებას, მხარდაჭერას, ზრუნვას. „მარტო სიყვარულია, — წერდა ი.ჭავჭავაძე, — სათავედ ყოველივე იმისა, რაც კი შეადგენს სახელმწიფოს ძალასა და ღონეს იმიტომ, რომ მარტო სიყვარულით აღფრთოვანებული ხალხია საიმედო ყოველს განსაცდელში, რაც კი სახელმწიფოს ისტორიის გზაზედ შეემთხვევა ხოლმე, მარტო სიყვარულით გულგამთბარს ხალხს შეუძლიან სიცოცხლისა და ჭონების გაწირვა სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის. მარტო სიყვარულით გაძლიერებულის ხალხით შეიძლება იმისთანა სასწაულები მოახდინოს სახელმწიფომ, რომლის მაგალითები ბევრია ისტორიაში... საცა ეს სიყვარული არ არის, იქ სახელმწიფო ფუღუროა, ფუყეა, ერთი ლოთიანის ქარის შებერვა და იმისი გადამსხვრევა ერთია.“[1]

სხვათა შორის, ანალოგიურ აზრს გამოთქვამდნენ გრ.ორბელიანი, აკ.წერეთელი, ს.მესხი, გ.წერეთელი და სხვ. გრ.ორბელიანი, ეხებოდა რა მაჰაჯირობისა და კავკასიელ ხალხთა ხშირი აჯანყების მიზეზებს, მიუთითებდა: „თუ ჰსურთ (მთავრობის წარმომადგენლებს — ო. ჭ.) ხალხის უიარაღობა, შეიყვარონ ხალხი და ზრუნავდნენ მისთვის კეთილსა“.

ი.ჭავჭავაძის აზრით, მეფის მთავრობისა და ხალხის სასიცოცხლო ინტერესების დაშორიშორებამ გამოიწვია კავკასიელი ხალხების, მათ შორის ქართველებისაც, უდიდესი ტრაგედია — თურქეთში მასიური გადასახლება, რამაც ლამის კატასტროფამდე მიიყვანა მათი ბედი.

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ.V, თბ., 1955, გვ.34.

დამაიმედებელი ის არის, რომ იქაც, უცხოობაში, კავკასიელი ხალხები ერთად ცრიან, ერთად განიცდიან მწარე ხვედრს და საერთო ძალისხმევით იცავენ როგორც მშობლიურ ენებს, ისე ეთნოკულტურას, მონდომებით ცდილობენ თავი დააღწიონ ასიმილაციას. უცხოეთში მცხოვრებ კავკასიელებს ეროვნული თავისებურებების შენარჩუნების ინსტინქტი ძლიერად აქვთ განვითარებული. საოცარია, მაგრამ ასეთ საშუალებებსაც კი მიმართავენ: ვისაც სურს ეროვნული ტრადიციული ოჯახისა და მშობლიური ენის შენარჩუნება (ეს ეხებათ ქართველებს, აფხაზებს, ჩერქეზებს), მან მამისეულ ოჯახში არ უნდა მოიყვანოს უცხო წარმოშობის მეუღლე. ქართველებს, აფხაზებსა და ჩერქეზებს ერთმანეთთან შეუღლების უფლება აქვთ. ეს არ ემუქრება გადაშენებას. ამ პრინციპს იცავენ კომპაქტურად დასახლებულ ქართულ, აფხაზურ და ჩერქეზულ სოფლებში.

თურქეთში კავკასიელი და ქართველი ხალხების ცხოვრებასა და ურთიერთობაზე მოგვითხრობს აწ განსვენებული თურქოლოგი მეცნიერი ოთარ გიგინეიშვილი. იგი 1967 წელს იყო თურქეთში სპეციალური მეცნიერული მისიით, გაიცნო იქაური ქართველების, აფხაზების, ჩერქეზების ცხოვრება, მათი ურთიერთობა და თავისი დაკვირვებებისა და მეცნიერული ძიების შესახებ მკითხველებს ამცნო გაზეთ „კომუნისტის“ (1967 №57) საშუალებით, სადაც გამოაქვეყნა სტატია სათაურით„ჩვენებურები“. აქ მოტანილია მეტად საინტერესო მასალა ქართველ-აფხაზ-ჩერქეზთა ურთიერთობის შესახებ. ო.გიგინეიშვილს სტამბოლში შეხვედრია ვინმე ნური. გამოსაუბრების შემდეგ გარკვეულა, რომ ნური, რომელიც ადრე თურქი ეგონა ო.გიგინეიშვილს, წარმოშობით ყოფილა ქართველი, ბალიქესირიდან. მას იქ სკოლა დაუმთავრებია, ხოლო სტამბოლში — უნივერსიტეტი.

„ნურის, — მოგვითხრობს სტატიის ავტორი, — თავისი ქართული გვარი არ ახსოვს.არც მამამისს, არც პაპას აღარ ხსომებიათ. გადმოცემით იცის მხოლოდ, რომ ქართველია და საბუთად აქვს ის, რომ მისი დედაენა ქართულია. იცის ისიც, რომ მისი წინაპრები საქართველოდან ძალით გადმოუსახლებიათ და ახალ საცხოვრებელ ადგილად ბალიქესირის ვილაეთი მიუჩენიათ. წინაპრებიდან დარჩა ნურის ქართული ენა და ქართველობის გრძნობა. ნურის მშობლები ახლაც ბალიქესირთან სოფელში ცხოვრობენ, სოფელში ცხოვრობს მისი ოთხი ძმა“.

შემდეგ ასეთი დიალოგი გამართულა ნურისა და ქართველ მეც-

ნიერს შორის:

— ხშირად თუ ნახულობ მშობლებს, ნური?

— ხუთი წელია არ მინახავს.

— არ გენატრება მშობლები?

— მენატრება, მაგრამ სახლში აღარ მიმესვლება. სტამბოლში თურქი ქალი შევირთე. როდესაც ჩვენებური თურქ ქალს შეირთავს, ის სახლიდან უნდა წავიდეს. ოჯახში, სოფელში თურქის შეყვანა არ შეიძლება.

— მაშ, აქაური ქართველები უცხო ტომის ქალებს არ ირთავენ?

—რატომ არა, ირთავენ. ჩერქეზები, აფხაზები შეიძლება. თურქი არ შეიძლება. თურქი ქალი ოჯახს ათურქებს". ანალოგიური ვითარებაა აფხაზ და ჩერქეზ მოსახლეობას შორის.

რა ჰკუის სასწავლი და ბევრის მეტყველი ფაქტია. სამშობლოს თბილ კერას მოწყვეტილი ქართველები, ჩერქეზები და აფხაზები ასე ებრძოდნენ და ებრძვიან უცხო ტომთა მოძალებას, ასე ხელიხელჩაკიდებული იცავენ თავიანთ მშობლიურ ენასა და კულტურას.

ჩვენი ერების შვილებს აი რა მაღალ დონეზე აქვთ გააზრებული ურთიერთთანადგომის პრინციპი იქ. უცხოეთში.

ინტერესს არ იქნება მოკლებული, აქვე აღვნიშნოთ კიდევ ერთი ფაქტიც თურქეთში მცხოვრებ აფხაზ-ჩერქეზ-ქართველთა ურთიერთობიდან. 1895 წელს გაზეთ „კვალში" (№ 17) გამოქვეყნდა მეტად საინტერესო წერილი სათაურით „კავკასიური ანბანის შესახებ", რომლის ავტორი ამოფარებულია ფსევდონიმს „პეტრე-მარკოზ". ამ სტატია-გამოკვლევაში ვკითხულობთ:

„ქართული ენა ყველა კავკასიური ფესვების ენებში ერთადერთი ენაა, რომელსაც საკუთარი ანბანი და ლიტერატურა მოეპოვება. კავკასიის სხვადასხვა მთიელნი, რომლებთანაც ისტორიულ წარსულში რაიმე კავშირი ჰქონია ქართველობას, ამიტომ თვლიდნენ ქართულ ანბანს, ქართულ წერა-კითხვას თავისად...

ერთი აფხაზი თავადიშვილი, რომელიც ოსმალეთში იყო თავისი ძმის, ოსმალეთში მუჰაჯირად გარდახვეწილის, სანახავად, გვეუბნებოდა: სტამბულში, კავკასიის ყავახანაში შეიკრიბებიან ხოლმე ჩერქეზებიო (აქ ყველა კავკასიელს ჩერქეზებს ეძახიან თურმე) და ბევრ რამეებზე ოცნებობენო.. ერთხელ ოსმალოსა და ჩერქეზებს შორის ჩამოვარდა კამათობა და თითოეული თავის ეროვნების უპირატესობას ამტკიცებდა. ჩერქეზს, სხვათა შორის, ეთქვა: ჩვენ საკუთარი მიწა-წყლიდან გადმოხვეწილი ვართ, უცხო ქვეყანაში ვცხოვრობთ და

აქაც ასე მიგვყავს საქმე, აბა საკუთარ სამშობლოში რომ ვიყოთ, რაღა ვიქნებოდითო. ოსმალოს განეგრძო: თქვენ რაღა იყავით, როცა ანბანი არ გქონიათ, წერა-კითხვა არ იცოდითო? „ჩვენი საერთო ანბანი ქართული ანბანი იყოო“. — მიეგოთ თურმე ჩერქეზებს.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ი..ჭავჭავაძე მშობლიური ერის თავისუფლებას უკავშირებდა კავკასიის ხალხთა ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას. მას გარკვევით აქვს მითითებული, რომ საქართველო „კავკასიის სახლის“, კავკასიის ერთა ოჯახის შემადგენელი ნაწილია და მხოლოდ მათი კონსოლიდაციისა და ერთობლივი ბრძოლის საშუალებით შეიძლება მიღწეულ იქნეს ეროვნული დამოუკიდებლობა და თავისუფლება. კავკასიელი ერებისა და ხალხების გათიშვა და დაპირისპირება ოდითგანვე მათი მტრების ნაცადი ხერხი იყო, ამიტომ ი.ჭავჭავაძე ყურადღებას ამახვილებდა იმ საერთოზე, იმ გამაერთიანებელ ნიშან-სვეტებზე. რაც ამ ხალხების ეთნოკულტურასა და ენას გააჩნდა. ეს კი საწინდარიაო იმ სანუკვარი, საოცნებო მიზნის მისაღწევად, რასაც თავისუფლება ეწოდება.

კავკასიელი ხალხები, როგორც ზემოთ ითქვა, მიუხედავად მათი მძიმე ისტორიული წარსულისა, ყველაზე კრიტიკულ მომენტებში ერთმანეთის გვერდით იდგნენ და მოძალებულ მტერთა წინააღმდეგ ბრძოლაში საკუთარი სისხლით აპოხიერებდნენ მარჩენალ მიწას, ძველი ტრადიციების დავიწყება მომაკვდინებელია მოძმე ერებისათვის, ამიტომ ი.ჭავჭავაძე კავკასიელებს მოუწოდებდა ერთობისაკენ, ურთიერთგაგებისაკენ, შეთანხმებისაკენ.

ი.ჭავჭავაძის მხატვრულ ალღოსა და თვალთახედვასაც არ გამოპარვია ეს საკითხი, რასაც დიდმა შემოქმედმა უძღვნა ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოები — დრამატული პოემა „ქართვლის დედა“, რომელსაც ასეთი ქვეგანმარტება აქვს: „სცენა მომავალი ცხოვრებიდან“. ეს მინიშნება უთუოდ მწერლის პოლიტიკურ ორიენტაციაზე მიუთითებს, რაც გამოიხატება იმაში, რომ პოეტი კავკასიელ ხალხთა ხვალინდელ დღეს მათ კონსოლიდაციასა და თანამშრომლობაში, დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ერთობლივ ბრძოლაში ხედავდა.

„ქართვლის დედაში“ დაბეჩავებული სამშობლოს, საქართველოს პოეტურ ხატად, სიმბოლოდ მწერალს გამოყვანილი ჰყავს სნეული, ფიზიკურად დავრდომილი, სარეცელს მიჯაჭვული, მაგრამ სულიერად მხნე და გაუტეხელი დედა. იგი აღფრთოვანებულია ხალხის აზვირთებით მამულის, მთელი კავკასიის თავისუფლების მოპოვებისათვის

საბრძოლველად. დედა მზადაა ყველაფერი შესწიროს სამშობლოს თავისუფლებას, შესწიროს ერთადერთი ნუგეში, შვილი კიაზო, მკითხველს შევახსენებთ დედის შთამბეჭდავ სიტყვებს:

ჩემი მამული, საქართველო, დღეს მიცოცხლდება!
ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედობს,
კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდინა ერთს ფიქრსა ჰფიქრობს, —
და ეგ ფიქრია მთელ კავკასის თავისუფლება!..
დიდია ხალხი, როს ეს გრძნობა წინ წარუძღვება!
ერთი შვილი მყავს საყვარელი და სანატრელი,
იგია მარტო თავის დედის ნუგეშმცემელი,
იგია ჩემი სიცოცხლეი და სიხარული,
იმითი მიდგა უძლურს ტანში უძლური სული,
ჩემის სიბერის მისაყრდნობად ისღა მშთენია, —
მაგრამ, მამულო, წაიყვანე, დღეს ის შენია...

დედა ასეთ სულიერ განცდებში რომ არის, ოთახში შემოიჭრება ხალხის ამბოხებით აღფრთოვანებული შვილი და დედას მიმართავს:

მოვიდა ჩვენი სანატრელი, დედავ, ამბავი:
ჩვენი ქვეყანა, საქართველო, გაღვიძებულა,
მთელი კავკასი, მტერზედ რისხვით აღმომჭინავი,
ერთისა აზრით, ერთის გრძნობით აღელვებულა.
მომილოცნია!.. გაგვითენდა ძლივს ბნელი ღამე!..

დედის სევდიანმა განწყობილებამ შვილი გააოცა და მას წამოსცდა: „მაგრამ შენ სწუხარ, თითქოს ამ თქმით მე ვერ გაამე“, რაზედაც დედამ უპასუხა: „მე ვწუხვარ მასზედ, რომ ჩემს მამულს ამ ნეტარ დღესა მხოლოდღა ერთი შეაკვდება ჩემგან შობილი.“

პოეტის აზრით, ეს სურათი საქართველოს მომავლის ხატებაა და მისი განხორციელება, ე.ი. თავისუფლების მოპოვება, მხოლოდდამხოლოდ კავკასიელ ხალხთა ერთობლივი ძალისხმევით შეიძლება მოხდეს, იმ ხალხების ძალისხმევით, რომლებმაც ისტორიული საცხოვრისი ოდითგანვე კასპიისა და შავ ზღვებს შორის გადაშლილ მიწაზე დაივანეს. ი.ჭავჭავაძის თვალსაზრისი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ კავკასიელ ხალხებს იმ შემთხვევაში შეუძლიათ მოიპოვონ დამოუკიდებლობა და თავისუფლება, თუ ისინი გაერთიანდებიან

და ერთობლივი მონდომებით შეუტევენ ურჩხულს, რომელიც თითოეულ მათგანს და ყველას ერთად სულს უხუთავს და ეჭაჩება იმ უძირო მორევისაკენ, რომლის იქით უკვე „პატარა“ ხალხთა თავისუფლებაზე საუბარიც კი ზედმეტია.

დიდი ქართველი რეალისტი მწერალი და მთის ხალხების ეთნოკულტურის ბრწყინვალე მცოდნე **ალექსანდრე ყაზბეგი** არაერთგზის მიუთითებდა, რომ ქართველ და ჩრდილოკავკასიელ ხალხებს შორის იყო ძმობაც და მტრობაც, სიყვარულიც და სიძულვილიც, კეთილი მეზობლობაც და გაუცხოებაც, მაგრამ თანადგომა და ერთობლივი მოქმედება როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში, ისე საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში ყოველთვის დომინირებდა პატრიარქალურ-ფეოდალურ შუღლსა და რელიგიურ ფანატიზმზე. ალბათ ყველა მთიელის შეხედულება გამოხატა ალ.ყაზბეგმა ცნობილ სიტყვებში: „მოძმეთ მოღალატე სიცოცხლის ღირსი არ არის“.

ალ.ყაზბეგმა როგორც ეთნოგრაფიულ ნარკვევებში, ისე მხატვრულ ნაწარმოებებში („ნამწყემსარის მოგონებანი“, „ელგუჯა“, „მამის მკვლელი“, „ელისო“, „ელბერდ“, „ელეონორა“ და სხვ.) საკმაო სიცხადით და დიდი სიყვარულით ასახა ქართველებისა და ჩეჩენ-ინგუშების ურთიერთობა, შექმნა ჩეჩნების მეტად კოლორიტული მხატვრული სახეები (ელისო, ანზორ ჩერბიჟი, ასლან გირეი, ელბერდი). უფრო მეტიც, მას სურდა დაეწერა ვრცელი მოთხრობა (შეიძლება რომანიც) ჩეჩნების ცნობილი ნაიბის ასლან-გირეის ცხოვრების შესახებ. ეს ნაწარმოები მან კიდევაც დაიწყო, მაგრამ მხოლოდღა ერთი გვერდის დაწერა მოასწრო.

როგორც ისტორიოგრაფიაში არის მითითებული, ალ.ყაზბეგმა ძირითადად მართებულად შეაფასა ქართველ და ჩრდილოეთკავკასიელ მთიელთა ურთიერთობა გასულ საუკუნეში.[1] მწერალს მიაჩნდა, რომ XIX საუკუნეში ქართველებისა და ჩრდილოეთკავკასიელი ხალხების კეთილმეზობლურ ურთიერთობათა გამწვავება გამოწვეული იყო რუსეთის კოლონიური პოლიტიკის შედეგად. მეფის მთავრობა ხელოვნურად აღვივებდა შუღლსა და უნდობლობას მეზობელ ხალხებს შორის და ამდაგვარად დაპყრობილ ქვეყნებს იოლად მართავდა. ეს ძველი რომაული იმპერიული მეთოდი ამართლებდა თავის დანიშნულებას. ამასთან მეფის მთავრობამ შამილის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩააბა სამხედრო სამსახურში მყოფი ქართველი ფეოდალური

---

[1] ვ. ითონიშვილი, ქართული ეთნოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1989, გვ.127.

არისტოკრატიაც. ეს ფაქტი ალ. ყაზბეგისა და ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხების ზოგიერთი წარმომადგენლის მიერ იმ დროს გაგებული იქნა, როგორც მეზობლობისა და მეგობრობის ღალატი, რაც, ბუნებრივია, სიმართლეს არ შეესაბამებოდა, რადგან ფეოდალური საზოგადოების ერთი ნაწილის, სამხედრო მოხელეების ქმედება მიეწერებოდა მთელ ხალხს. ალ.ყაზბეგი ერთ-ერთ თავის ეთნოგრაფიულ ნარკვევში წერდა:

„უწინ ქისტები და ხევსურები ერთმანეთთან სრულის თანხმობით სცხოვრობდნენ, აძლევდნენ ერთმანეთს ქალებს და თუ მტრობა ჩამოუვარდებოდათ რაიმე ერთმანეთში, ეს მტრობა კერძო საქმე იყო — ორის პირისა ან ორის გვარეულობისა, ხალხი კი არამც თუ არ ერეოდა ჩხუბში, ყოველსავე ღონისძიებას ხმარობდა იმათ შესარიგებლად. ისეთი მტრობა ორის თემის მტრობად არ ჩაითვლება და, როგორც კერძო შემთხვევა, თვით ხევსურებს ერთმანეთშიაც მოუხდებათ ხოლმე.

დროებამ გაიარა, ხალხი და იმათი მდგომარეობა გამოიცვალა, გამოვიდა შამილი და იმის დროს სხვადასხვა რჯულისა და ქვეყნის ხალხი გამოეკიდნენ სხვადასხვა ინტერესებს და ამან წაჰკიდა, სამწუხაროდ, ხევსურები და ქისტები ერთმანეთს“.[1]

უნდა აღინიშნოს, რომ ხევსურებსა და ქისტებს შორის ურთიერთობა სიტუაციის მიხედვით იცვლებოდა, იგი ხან კეთილმეზობლური იყო და ხან კი დაძაბული, მაგრამ მათ შორის არასოდეს იდგა ეროვნული შელახულობის პრობლემა.

ჩეჩნების თურქეთში გადასახლების ტრაგიკულ თემას ეხება ალ. ყაზბეგის ბრწყინვალე მოთხრობა „ელისო“. ნაწარმოებიდან ვგებულობთ, რომ ჩეჩენი ხალხის საუკეთესო შვილები — დიდი და პატარა, მოხუცი და ახალგაზრდა „ბუნტარული სულის გამო“ მეფის მთავრობის სატრაპებმა თურქეთის გზას გაუყენეს. სინამდვილეში ფორმალურად მათ მისცეს წინადადება: გინდათ წადით და თუ გინდათ, დარჩითო, მაგრამ ნაწილმა ასეთ დარჩენას, უცხო მხარეში წასვლა ამჯობინა. შიმშილი, უიმედობა და შიში ხვალინდელი დღისადმი ზარავდა მათ შეგნებას. განსაკუთრებით მძიმე ასატანი გახდა სამშობლოსთან განშორება, მამაპაპეული მიწა-წყლის დატოვება. მწერალს ეს ამაზრზენი სურათი ასე აქვს აღწერილი:

„ჩეჩნელები მიახლოვდნენ ვლადიკავკაზს. გამწკრივებული ჭრიჭინა ურმები ზარმაცად მოგორავდნენ და გულს უწვრილებდნენ ადამიანს. ურმებს მოსდევდნენ ფეხშიშველა ბავშვები, რომელთათვისაც

---

[1] ალ. ყაზბეგი, თხზ. ტ.V. 1950. გვ.55.

სიცხეს და წვრილს ქვას, ქვიშაში არეულს, ყავარ-ყავარ დაეხეთქათ ტიტველა ხორცი, შიგ ჩაკვდომოდათ მტვერი და წაღმა-უკუღმა ლურჯად დაეხაზათ. ირგვლივ ისმოდა უსიტყვოდ, უსიტყვოდ სულის გმინვა და გოდება!..

ესენი გასცქეროდნენ თავიანთ მინდვრებს, თავიანთ მთებს, რომელნიც ღამის სივრცეში ცის კიდურზე იხატებოდნენ. აქედგან უგზავნიდნენ ჩუმს, სევდიან სალამს და დანარჩენი კი ისევ კვნესასა და ზუზუნში გამოითქმოდა...

ქარი ზუზუნით დაჰქროდა და უერთდებოდა ხალხის ზუზუნს; უნუგეშოდ დარჩენილს მშობელს გული ვეღარ მოებრუნებინა თავის პირმშოს დაკარგვით! ჯიდევ წუთი და ცა ტყვიისფრად მოიქცა! აშკარად გაავდრებას აპირებდა. ეტყობოდა, ბუნებაც შეირყა ამდენის საცოდაობით და იმ ადგილის ცას არ უნდოდა თავის ქვეყნის შვილებთან უცრემლოდ გამოსალმება".

მწერალი, როგორც ვნახეთ, გაბედულად, რისკის საფასურად აღწერს ჩეჩნების ტრაგედიას. მას გულთან ახლოს მიაქვს მათი საწუხარი და საგოდებელი. თან დღევანდელ ქართველ მკითხველს სიამაყის გრძნობა გეუფლება, რომ შენი ერის ღირსეული შვილი თავგამოდებით ექომაგებოდა ჩეჩნებს, კარის მეზობლებს და მათ ტრაგედიას არა მარტო თანაუგრძნობდა, არამედ ბოროტმოქმედთა წინააღმდეგ გამოდიოდა, პროტესტს აცხადებდა, ამ თავის პოზიციას, პოზიციას მწერლისა მთელ მსოფლიოს აცნობდა მხატვრული სიტყვის საშუალებით.

ალ.ყაზბეგის ასეთი თანადგომა ჩვენ მოგვაგონებს აფხაზი მაჰაჯირებისადმი, მათი ტრაგედიისადმი ქართველი მამულიშვილების: ი. ჭავჭავაძის, აკ.წერეთლის, ი.გოგებაშვილის, გ.წერეთლის, ს.მესხის, ი.მეუნარგიას და სხვათა დამოკიდებულებას. აფხაზი ხალხის ცხოვრების იმ დუხჭირ პერიოდს, მაჰაჯირობას, გაზეთ „დროების" ფურცლებზე სხვებთან ერთად გამოეხმაურა ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ი.მეუნარგია. იგი სტატიაში „ორ მიწას შუა", რომელშიც მოვლენის ცოცხალი ნაკვალევის მიხედვით აღწერილია გადასახლებულ აფხაზთა ტანჯვა-წამება, წერდა:

„თქვენ ის წარმოიდგინეთ ახლა, რანაირ მდგომარეობაში უნდა იყვეს ეს საწყალი აფხაზები, რომელნიც თევზსავით ჰყრიან ერთიმეორეზედ „აგიოს-პეტროსის" გემში, რომელთაც არც საჭმელი აქვთ, არც სასმელი, არც ტანისამოსი და, რაც ყველაზე უარესია — არც ხმელეთში გამოსვლის ნება!

რა უნდა ჰქნას კაცმა, სანამ უნდა ეწვალოს ზღვაში ეს უბედური ხალხი? ვინ უნდა იხსნას ის სიკვდილისაგან?

არც ჩვენს მმართველობას, არც ოსმალოს არ უნდათ შეუშვან ეს ხალხი თავიანთ სამფლობელოში!..[1]

საკითხი ნათელია. მეფის მთავრობა თანაბარი ძალითა და „სიყვარულით“ ერეკებოდა ყველა კავკასიელს მშობლიური მიწიდან. ასეთივე ხვედრი ერგოთ ქართველებსაც. (აჭარლებს, მესხებს).

ახლა დავუბრუნდეთ ისევ ალ.ყაზბეგს. ცნობილია, მწერლის მხატვრული ნაწარმოებები ისტორიული სიზუსტით გადმოსცემენ ფაქტებს და მკითხველს აძლევენ მოვლენებში გარკვევის საშუალებას.

„ელისოში“ აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მოთხრობის სიუჟეტი აგებულია ჩეჩენი ელისოსა და ქართველი (მოხევე) ვაჟიას სიყვარულზე. ამ ნაწარმოებს, რომელიც პირველად დაიბეჭდა 1882 წლის „ივერიაში“ (№10), ხელნაწერში ქვესათაურიც აქვს: „მოთხრობა ჩეჩენთ ცხოვრებიდან“. ელისოსა და ვაჟიას უერთმანეთოდ არ შეუძლიათ ცხოვრება, მაგრამ ამ ხალას ადამიანურ გრძნობას დაბრკოლებები ეღობება. პირველი — ელისომ და მისმა მამამ უნდა დატოვონ სამშობლო და მეორე — ელისოს მამას ანზორ ჩერბიჟს არ სურს ყავდეს ქრისტიანი სიძე. მართალია, ისინი ყველანი იღუპებიან, მაგრამ ეწირებიან თავისუფლებას.

„ელისო“ ალ.ყაზბეგს პიესადაც ჰქონდა გადაკეთებული და იდგმებოდა სცენაზე გასული საუკუნის 80-იან წლებში. ჩეჩენ ანზორ ჩერბიჟის როლს ასრულებდა თვით ავტორი.[2]

ჩეჩნების ცხოვრებიდან მეტად საინტერესო მოთხრობაა „ელბერდ“. შეუძლებელია მკითხველში თანაგრძნობა არ გამოიწვიოს ჩეჩნების — ელბერდისა და ენდის ოჯახურმა ტრაგედიამ. ელბერდსა და ენდის, ამ პატიოსან და დაუზარელ ახალგაზრდებს შეუყვარდებათ ერთმანეთი. უფროსების დასტურით შექმნიან თბილ და სტუმართმოყვარე ოჯახს, გაუჩნდებათ ვაჟიშვილი სულთი. თითქოს მათ ბედნიერებას არაფერი ეღობებოდა წინ. ეს ის პერიოდია, როდესაც მეფის მთავრობამ კავკასიაში მოიკიდა ფეხი და სოფლებში თავისი ეგზეკუციური ჯარები ჩააყენა. რუს ოფიცერს მოეწონება ენდი. ერთ დღეს იგი კარგად გამოთვრება, ქმარს აცემინებს ჯარისკაცებს და მის მეუღლეს ნამუსს ახდის. ბოროტებამ იმძლავრა და საწადელს მიაღწია. ამ არეულობაში ელბერდისა და ენდის პატარა ვაჟი დაიღუპა. ოჯახი გაჩანაგდა. ელბერდი დააპატიმრეს, როგორც კანონის ურჩი.

---

[1] „დროება“, №199, 1880.

[2] ი. გრიშაშვილი. ლიტერატურული ნარკვევები, თბ., 1952, გვ.307.

„რამდენიმე ხანს შემდეგ, — მოგვითხრობს მწერალი, — ელადი-კავკაზის ბაზარზედ ამართეს ძელი, რომელზედაც საქვეყნოდ ჩამოახრჩვეს ელბერდი, რათა ამ მაგალითს ხალხზედ გავლენა მოეხდინა და ვეღარავის გაებედა უფროსზედ შეიარაღებულის ხელის შეშვერა. უპატრონოდ დარჩენილი ენდი მოხუცებული, დავრდომილი ეხლაც აჩლიყში ცხოვრობს, დადის კარის-კარს და დასტირის თავის პატარა სულთის და საყვარელს ქმარს“.

ასეთია ის მწარე ხვედრი, რომელიც თავს დაატეხა ჩეჩნეთს კოლონიურმა პოლიტიკამ, ფეხქვეშ გაითელა მთიელის სინდის-ნამუსი და კაცური კაცობა.

„ელბერდში“ აღწერილი ამბავი ავტორს სინამდვილიდან აქვს აღებული, როდესაც იგი მეცხვარეობას ეწეოდა და, ხალხში გასული, აგროვებდა მასალებს თავისი ქმნილებებისათვის.ინტერესს არ იქნება მოკლებული ის ფაქტი, რომ ჩეჩენ ელბერდის ჩამოხრჩობის ამბავი მწრალს მოტანილი აქვს „მამის მკვლელში“. აი ისიც: „დაიჭირეს ჩეჩნელი, დაინიშნა გამოძიება და რამდენიმე დღის შემდეგ ჩამოახრჩვეს, როგორც მოღალატე, რომელმაც მოიწადინა აფიცრის სიკვდილი“. ამ ცნობას გაზეთ „დროებაში“ (სადაც 1882 წელს პირველად დაიბეჭდა „მამის მკვლელი“) აქვს შენიშვნა: „ამ შემთხვევის შესახებ მოთხრობას სახელად „ელბერდ“ „დროების“ მკითხველები შემდეგში წაიკითხავენ“. გაზეთმა გაამართლა დანაპირები და მომდევნო ნომრებში (250,252) გამოქვეყნდა მოთხრობა. ჩეჩენი ელბერდი კიდევ ერთხელ თბილად მოხსენიებულია ალ.ყაზბეგის ცნობილ წერილში მეცხვარე სიმონ ჩეკიაშვილისადმი, სადაც ვკითხულობთ:

„გახსოვს ჩეჩნელი ელბერდ, ჩვენი მასპინძელი, გახსოვს იმისი სახლობა, გახსოვს ყაზახების სტანიცები, ჩეჩენთ სოფლები, გროზნა, მინდორი, მთა, ტყე? გახსოვს რამდენ მშვენიერ სურათებად ეხატებოდა ჩვენს თვალებს და ისე აკვირვებდა ბუნების სიმდიდრე? მე ყველა ეს ისე ცხოველად მეხატება თვალწინ, ისე ცოცხლად მაგონდება, თითქოს გუშინ იყოს მომხდარი!

ნუ დაივიწყებ შენც, ნუ დაივიწყებ, რადგანაც ეს წუთები იყო წმინდა, პატიოსანი, რომელსაც კაცი, ისიც ზოგიერთი, ერთხელ შეხვდება თავის ცხოვრებაში და ეს სანატრელი წუთები აღარ განმეორდება.“

ალ. ყაზბეგმა თანაგრძნობით ასახა, როგორც თვითონ ამბობს, „მეზობელი ტომების“ ყოფა-ცხოვრება, მათი საფიქრალი და სადარდელი, ურთიერთობა ქართველებთან და მეფის კოლონიური პოლი-

ტიკის როლი სიამტკბილობით მცხოვრები ხალხების ურთიერთობის დაძაბვასა და გართულებაში, რამაც ლამის გადაშენებამდე მიიყვანა ისინი.

გენიალურმა მწერალმა **ვაჟა-ფშაველამ**, კავკასიელი მთიელების ყოფა-ცხოვრების, ისტორიის, კულტურის ბრწყინვალე მცოდნემ, უკვდავ ქმნილებებში: „სტუმარ-მასპინძელი“, „ალუდა ქეთელაური“ „ბახტრიონი“, „გველის მჭამელი“, „გიგი“ და სხვ., პუბლიცისტურ და ეთნოგრაფიულ წერილებში მიმზიდველად გვიჩვენა ქართველებისა (თუშ-ფშავ-ხევსურების) და ჩეჩენ-ინგუშების (ქისტების) სულიერი სამყაროც და ყოფითი კულტურაც, ურთიერთდამოკიდებულებაც და მეგობრობაც, შუღლიც და მტრობაც.

ისე როგორც ყოველი ჰეშმარიტი შემოქმედის, ვაჟა-ფშაველას მსოფლმხედველობის სასინჯ ქვას წარმოადგენს ადამიანი ყოველდღიური ტკივილითა და სიხარულით, წარსულითა და თანამედროვე ცხოვრებით, მომავალზე უსაზღვრო ოცნებით. მწერლის მხატვრული და პუბლიცისტური მემკვიდრეობა უპირველეს ყოვლისა, როგორც თვითონ მიუთითებდა, ემსახურება მშობლიურ ერს. მაგრამ იგი ამავე დროს საკაცობრიოცაა. ცხვრის ტყაპუჭში გახვეული მისი ნაწარმოებების პერსონაჟები, იქნებიან ისინი ქართველები თუ ქისტები, მაღალი ზნეობრივი და ჰუმანური პრინციპების მქონე ადამიანებია, რომელთაც უტეხი ნებისყოფა და რაინდული სული გააჩნიათ, თავდავიწყებამდე უყვართ თავიანთი სამშობლო და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იცავენ მას. ასევე პატივისცემით ეპყრობიან სხვათა ადამიანურ ღირსებებს და მამულიშვილობას. ამდენად ისინი ეროვნულთან ერთად ზოგადსაკაცობრიო თვისებების მატარებელნიც არიან.

მოვიხმობთ მწერლის სიტყვებს:

„ყოველი მამულიშვილი თავის სამშობლოს უნდა ემსახუროს მთელის თავის ძალ-ღონით, თანამედროვეთა სარგებლობაზე უნდა ფიქრობდეს და რამდენადაც გონივრული იქნება მისი შრომა, რამდენადაც სასარგებლო გამოდგება მშობელი ქვეყნისათვის მისი ღვაწლი, იმდენადვე სასარგებლო იქნება მთელი კაცობრიობისათვის... ყველა გენიოსი ნაციონალურმა ნიადაგმა აღზარდა, აღმოაცენა და განადიდა იქამდის, რომ სხვა ერებმაც კი მიიღეს ისინი საკუთარ შვილებად“.[1]

პოეტის აზრით, პატრიოტიზმი, მამულის სიყვარული, ადამიანს სიცოცხლესთან ერთად თან დაჰყვება, რადგან იგი გამოხატავს რო-

---

[1] ვაჟა-ფშაველა, ტ.V, თბ., 1961, გვ.213.

გორც პიროვნების, ისე ერის ინტერესებს, რაც ვლინდება დედა-ენის, ისტორიული წარსულის, მშობლიური მიწა-წყლის, ხალხის სიყვარულში, სხვა ერთა პატივისცემაში.

ასეთია მწერლის თვალთახედვა ეროვნულისა და ზოგადსაკაცობრიოს მიმართებაში. ამ იდეის ნათელსაყოფად მან ქართულთან ერთად მეზობელი ხალხების, კერძოდ, ჩეჩენ-ინგუშების (ქისტების) სამყაროსაც მოუხმო. მწერლის შემოქმედების ერთ-ერთი, მეტად საყურადღებო და ნიშანდობლივი თავისებურება ისიც არის, რომ მის ნაწარმოებებში თანაბარი მონდომებით და მიუკერძოებლად არის დახატული როგორც ქართველი პერსონაჟები (მინდია, ალუდა ქეთელაური, ზვიადაური და სხვ.), ისე მათი მოქიშპე სხვა ერის წარმომადგენელი გმირები (მუცალი, ჯოყოლა, აღაზა და სხვ.). ერთი მხრით, დიდი სიყვარულით არის წარმოჩენილი შეუპოვარი ვაჟკაცი ხევსური ქეთელაური და, მეორე მხრით, ქისტი მუცალი, ჰეშმარიტად რაინდული ბუნების ადამიანი, შეუდრეკელი ნებისყოფის ახალგაზრდა. ორთაბრძოლაში, რომელიც ასე მიმზიდველად აქვს დასურათხატებული პოეტს, მართალია, ხევსური ქეთელაური გამოდის გამარჯვებული, მაგრამ ვეფხვივით მოქნილი მუცალის სიკვდილმა სულით ხორცამდე შესძრა ქართველი ვაჟკაცი, დაუკარგა მოსვენება და საგონებელში ჩააგდო. მართლაც საოცრად არის ასხმული მთელი პოემა და განსაკუთრებით დაძაბულია ის ადგილი, სადაც მოცემულია დიალოგი ქეთელაურსა და მომაკვდავ მუცალს შორის:

— ეხლა შენ იყოს, სჯულ-ძაღლო,
ხელს არ ჩავარდეს სხვისასა.
სიტყვა გაუშრა პირზედა,
დაბლა გაერთხა მიწასა,
ალუდას თოფი არ უნდა,
ატირდა როგორც ქალიო;
არ აჰყრის იარაღებსა,
არ ეხარბება თვალიო.
თავით დაუდვა ხანჯარი
ზედ ეცრა სპილოს ძვალიო,
გულზედ ძიგლიგი დაადვა,
მკლავზედ ფრანგული ხმალიო.

არანაკლები სიმძლავრით გამოირჩევა ეპიზოდი, სადაც ალუდა არ ასრულებს მთაში გაბატონებულ ადათ-წესებს:

მარჯვენას არ სჭრის მუცალსა.
იტყოდა: „ცოდვა არიო“;
ვაჟკაცო, ჩემგან მოკლულო,
ღმერთმა გაცხონოს მკვდარიო,
მკლავზედაც გებას მარჯვენა,
შენზედ ალალი არიო,
შენ ხელ შენს გულზედ დამიწდეს,
ნუმც ხარობს ქავის კარიო,
კარგი გყოლია გამდელი,
ღმერთმ გიდღეგრძელოს გვარიო.

ალუდა იმდენად მოხიბლა ქისტი მუცალის ვაჟკაცობამ, შეუპოვრობამ, გამარჯვების წადილმა, რომ მისი ცხედარი შეიწყნარა და ადამიანური პატივი მიაგო მას. რამაც იგი დაუპირისპირა თემს. ალუდამ კარგად უწყოდა, რომ ხალხი არ აპატიებდა და სასტიკად დასჯიდა, მაგრამ იგი ამ ნაბიჯზედ შეგნებულად წავიდა. მან ხატობაზე მიიყვანა კურატი მის მიერ მოკლული „ურჯულოს“ სულის მოსახსენებლად.

— ეგ სამხვეწროა, ბერდიავ,
ძოღან მოკლული ქისტისა,
მუცალს ეტყოდნენ სახელად
გაუნათლავის შვილისა.
კარგადაც დამიწყალობნე.
გამომეტებავ მისთვინა.
როგორც უნდობლად მოკლულის
თავის ღამაზის ძმისთვინა.

ამ ნაბიჯმა გამოიწვია როგორც ხევისბერის, ისე ხალხის რისხვა. ალუდა მოკვეთეს, გააძევეს თემიდან.

ვაჟა-ფშაველას პერსონაჟების პიროვნული, ეროვნული და სოციალური ტრაგედია თვით ეპოქის უკუღმართობისაგან მომდინარეობს.

„ძველისძველი ცხოვრება, როგორც ვიცით, მუშტზე, ძალზე იყო დაფუძნებული. ერთი თემი მეორეს არბევდა, სდევნიდა. იმონებდა მხოლოდ იმიტომ, რომ ერეოდა. ვაჟკაცობას, გულადობასა და მკლავს დიდი სახელი, აბრუ და პატივისცემა ჰქონდა მაშინ. თემსაც ძვირად უღირდა ვაჟკაცი. გმირი ხდებოდა საგნად ლექსისა, ზეპირგადმოცე-

მისა. გმირის ამბით სულდგმულობდა ხალხი, იგი იყო იმისი ნუგეში. ხალხი მუდამ თვალყურს ადევნებდა გმირს, აკვირდებოდა, სწავლობდა იმის განსხვავებულს ზნეხასიათს, ფანტაზიითაც უმატებდა გმირს თავის გემოვნებისამებრ ზნეობრივსა და ფიზიკურ თვისებას, რათა უფრო მოსაწონი გაეხადა იგი ყოველმხრივ".[1]

მწერალმა ასეთ გმირს უწოდა „კაი ყმა", რომლის არსი ერთსახელა ლექსში გამოხატა: „კაი ყმა" არის ის,

ვინც მიეგების მტერს წინა,
წინ-წინ ვინც რისხვას ეტყოდეს,
სახე სისხლ-გადამდინარი
ტკივილს არ გამოიტყოდეს,
თავზარსა სცემდეს სიკვდილსა,
ზედ ქორებულად ფრინავდეს,
სიცხეში სიოდ დაჰბეროს;
დაათბოს, როცა ჰყინავდეს.
იქ იდგეს ხმალ ამოწვდილი,
საც ძალა აღმართს ჰკვალავდეს,
გაბეჩავებულს სიმართლეს
უსამართლობა სძალავდეს.

და ბოლოს დასძენს პოეტი:

აი, ვინაა კაი ყმა.
მოსაგონარი ქებითა!

სწორედ კაი ყმები იყვნენ ოდითგანვე კაცობრიობის მამოძრავებელი ძალები, ისინი ეურჩებოდნენ დრომოჭმულ კანონებს და საზოგადოებას ნათელი, დემოკრატიული ცხოვრებისაკენ მოუწოდებდნენ. ვაჟა-ფშაველას ერთგან აქვს ნათქვამი: კაი ყმა მტრისაცა მოსაწონიაო. „კაი ყმებია" ჯოყოლა ალხასტაისძე და მუცალი, ორივე ჩეჩენთა ჯილაგის მოდგმაა — ქისტებია, ალუდა ქეთელაური და ზვიადაური — ქართველები. მათ აკავშირებთ მაღალი ზნეობრივი იდეალები. სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ გამოითქვა აზრი, რომ ვაჟა-ფშაველას ჰუმანიზმი იმაშიც გამოიხატება, რომ იგი „კაი ყმაში" არ

[1] ვაჟა-ფშაველა, გმირის იდეალი ფშაური პოეზიის გამოხატულებით, თხზ. ტ. V, თბ., 1961, გვ. 72.

არჩევს „მტერსა“ და „მოყვარეს“, სხვადასხვა ერის წარმომადგენელ „კარგ ყმებს“ თანაბარი მონდომებითა და გულის სითბოთი ხატავს, რადგან „კაი ყმობა“ პირველ რიგში, სიკეთის ქმნადობაა.

ვაჟა-ფშაველამ არა მარტო ქართველი ქალების დაუვიწყარი სახეები შექმნა (სანათა, ლელა, მზია...), არამედ მათ გვერდით ამოუყენა ბრწყინვალე პოეტური ხატი ქისტი ქალისა აღაზას სახით. იგი მწერლის მადლიანი კალმით შექმნილი პერსონაჟია, რომლისთვისაც ვაჟა-ფშაველას პოეტურ გენიას დიდ სულიერ სიმშვენიერესთან ერთად ოჯახისა და მეგობრობის ერთგულების, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისა და სიყვარულის უმაღლესი ნიჭი უბოძებია. აღაზა ეროვნებით ჩეჩენია — ქისტთა ტომის წარმომადგენელი და ამდენად კონკრეტული ხალხის შვილი, მაგრამ თავისი მორალითა და სულიერი სამყაროთი, ადამიანური ტკივილებითა და განცდებით იგი გვევლინება ზოგადკავკასიურ და აქედან საკაცობრიო მხატვრულ სახედ.

ვაჟა-ფშაველას უცნაური იდუმალებით მოცულ მხატვრულ სამყაროში, სადაც არქაულისა და თანამედროვეობის წარმოდგენები, მითოსი და რეალობა ასე ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს, საპატიო მისია აკისრიათ ქისტი ხალხის ღირსეულ წარმომადგენლებსაც. ქართველებთან მათი ურთიერთობის ფონზე ვლინდება დიდი შემოქმედის მსოფლგაგება და ნათელხილვათა თავისებურება.

ქართველ და კავკასიელ ხალხთა ურთიერთობის თაობაზე სახელოვან წინაპართა თვალსაზრისი დღესაც საყურადღებო და ანგარიშგასაწევია. დადგა დრო, კავკასიამ, ეთნოკულტურის ამ საოცარმა სავანემ და განუმეორებელი ცივილიზაციის კერამ, თვითვე მიხედოს საკუთარ თავს, საკუთარ საზრუნავსა და სატკივარს და მომწიფებული ეროვნული, სოციალური და იდეოლოგიური პრობლემები თვითვე გადაჭრას მშობლიური ინტელიგენციის ერთობლივი ძალისხმევით სხვისი ჩარევისა და დიქტატის გარეშე. ამას მოითხოვს კავკასიის ყველა ერისა და ეროვნების სასიცოცხლო ინტერესები, ამას მოითხოვს მათი სამერმისო თვალსაზრისი. არ უნდა მიეცეს დავიწყებას წინაპრების ბრძნული შთაგონება:

წუთისოფელი ესეა,
ღამე დღეს უთენებია:
რაც მტრობას დაუქცევია,
სიყვარულს უშენებია.

1990

ჩაჩ-შარვაშიძეთა საგვარეულოს წარმოშობის საკითხისათვის

რამდენადაც ცნობილია, აფხაზეთში არსებობდა შემდეგი ფეოდალური საგვარეულოები: ჩაჩბა (შარვაშიძე), აჩბა (ანჩაბაძე), ძიაპშ-იფა ინალ-იფა, მარშანია (ამარშანი), ემუხვარი, ჩხოტუა, ჩაბალურხვა და ცანბა.

სამწუხაროდ, ამ საგვარეულოების წარმოშობა, მათი როლი აფხაზეთისა და საქართველოს (საერთოდ კავკასიის) პოლიტიკურ ცხოვრებაში ჯერ კიდევ კარგად არ არის შესწავლილი. მათ შესახებ არ მოგვეპოვება რამდენადმე მნიშვნელოვანი გამოკვლევები, მონოგრაფიები, ვრცელი ნარკვევები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მეცნიერთა მიერ (ნ.მარი, ივ.ჯავახიშვილი, დ.გულია, ს.ჯანაშია, ნ.ბერძენიშვილი, ზ.ანჩაბაძე და სხვ.) გაკვრით გამოთქმულ მოსაზრებებს. შედარებით მეტ-ნაკლები სისრულით გაშუქებულია შარვაშიძეთა (ჩაჩბა) საგვარეულოს წარმოშობის საკითხი, თუმცა აქაც აზრთა სხვადასხვაობას აქვს ადგილი და სწავლულები საერთო შეხედულებამდე არ მისულან.

ქართულმა და უცხოურმა საისტორიო წყაროებმა შემოგვინახა მეტად მწირი ცნობები ძლიერი, თავის დროს ცნობილი, ქვეყნისათვის თავდადებული ფეოდალური საგვარეულოების, ოჯახების და მათ შორის ჩაჩ-შარვაშიძეთა წარმოშობის შესახებ.

არსებობს გადმოცემა, რომ თითქოს ჩაჩ-შარვაშიძეთა საგვარეულოს დაწინაურება დაკავშირებული იყოს დავით აღმაშენებელთან XII ს. დასაწყისში.

შარვაშიძეთა ოჯახის ტრადიცია ამ საგვარეულოს წარმოშობას უკავშირებს შირვანის სახანოს (ჩრდილოეთ აზერბაიჯანი) მმართველი დინასტიის — შირვან-შაჰების გვარ-სახელს.

აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელი და ცნობილი მეცნიერი დ.გულია ემხრობოდა იმ აზრს, რომ შარვაშიძეები წარმოშობით შირვან-შაჰების შთამომავალნი იყვნენ.[1] მეცნიერთა გარკვეულმა ნაწილმა ეს შეხედულება გაიზიარა.

შარვაშიძეთა საგვარეულო ერთ-ერთი უძველესი სამთავრო საგვარეულოა და ბუნებრივია, მას ახასიათებს ყველა ის თვისება,რაც შუა საუკუნეების ძლიერი და გავლენიანი ფეოდალური ოჯახებისა-

---

1 დ. გ უ ლ ი ა. აფხაზეთის ისტორია, თხზ. ტ.6. სოხუმი, 1986, გვ.134 (რუსულ ენაზე).

თვის იყო ნიშანდობლივი.

ისტორიოგრაფიაში მითითებულია, რომ ფეოდალური საგვარეულოების უცხოური წარმოშობა და ასაკოვნობა შორი წარსულიდან მომდინარეობდა გვარის ძლიერების, მორჩმულობის, განათლებულობისა და კეთილშობილების დამადასტურებელ მოვლენად ითვლებოდა. ამის ნათელსაყოფად მრავალი ფაქტი მოიპოვება.

საქართველოს ისტორიის ცნობილი მკვლევარი პროფესორი შ. მესხია, ეხებოდა რა საქართველოში მხარგრძელთა საგვარეულოს წარმოშობას, წერდა:

„ფეოდალური ხანის ისტორიკოსები, რომელნიც მსხვილ საგვარეულოთა ისტორიას ეხებოდნენ, ყოველთვის ცდილობდნენ, ამა თუ იმ საგვარეულოს წინაპრები შორეულ ისტორიულ წარსულში და უცხო ქვეყნებში ეძებნათ. ასე იქმნებოდა თეორიები ბაგრატიონთა ებრაული წარმომავლობის თუ ორბელიანთა ჩინელებიდან მომდინარეობის შესახებ და სხვ. ყველაფერი ეს ამა თუ იმ საგვარეულოს სიძველისა და უცხოური წარმომავლობის დამტკიცების მიზნით კეთდებოდა“.[1]

ასევე შეიქმნა ეროვნული წარმოშობით ქურთი, მაგრამ თავიანთი მოღვაწეობით XII — XIII სს. ცნობილი ქართველი მხედართმთავრების — მხარგრძელების სპარსეთის მეფეებისა თუ ბაგრატიონთა საგვარეულოდან წარმოშობის თეორია.[2] მსგავსადვე იყო მიჩნეული, რომ წერეთლები — დაღესტნური[3], ციციშვილები — იტალიური[4], ფალავები — ჯიქური[5] წარმოშობის ფეოდალები იყვნენ.

ეტყობა, ანალოგიურად შეიქმნა შარვაშიძეთა შირვან-შაჰებისაგან წარმომავლობის თეორიაც, რომელიც საუკუნეების მანძილზე ივსებოდა, იხვეწებოდა, თაობიდან თაობას სიამაყით გადაეცემოდა და ბუნებრივია, წარმოადგენდა საგვარეულოს სიძველისა და სიძლიერის ერთ-ერთ დასაყრდენს. ეს გადმოცემა დავით აღმაშენებელთან არის დაკავშირებული, თითქოს ამ უძლეველმა მეფემ აფხაზეთი მისცა სა-

---

[1] შ. მ ე ს ხ ი ა, საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში, თბ., 1979, გვ.209 — 210.

[2] იქვე, გვ.123.

[3] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ.VIII, თბ., 1975, გვ.408 — 409.

[4] ზ. ვ. ა ნ ჩ ა ბ ა ძ ე. შუასაუკუნეების აფხაზეთის ისტორიიდან (VI—XVII სს.), სოხუმი, 1959, გვ. 191 (რუსულ ენაზე).

[5] კ. ბ ო რ ო ზ დ ი ნ ი, სამეგრელო და სვანეთი (მოგონებანი, თარგმ. თ. ს ა ხ ო კ ი ა ს მიერ), თბ., 1934, გვ.249.

მართავად შირვანელ მბრძანებელს.

როგორც ცნობილია, შარვაშიძეთა შესახებ პირველი წერილობითი ინფორმაცია მოცემულია თამარ-მეფის ანონიმი ისტორიკოსის თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, რომელიც, მეცნიერთა აზრით, უნდა იყოს დაწერილი XIII ს. პირველ მესამედში. ამ წყაროში მოთხრობილია თამარის მეფობის შესახებ და სწორედ აქ. სხვა ერისთავებთან ერთად, დასახელებულია ცხუმის ერისთავი ოთაღო შარვაშიძე. აი ის ცნობაც:

„ეს ერისთავნი მის (თამარ-მეფის — ო.ჯ.) ჟამისანი ესენი იყვნეს: ბარამ ვარდანის ძე — სუანთა ერისთავად, კახაბერ კახაბერის ძე — რაჭისა და თაკუერის ერისთავად და ოთაღო შარვაშიძის-ძე — ცხუმის ერისთავად“[1].

აქ, როგორც ვხედავთ, ცხუმის ერისთავად დასახელებულია ოთაღო შარვაშიძე, ხოლო ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით ოთაღო კი არ ჰქვია ამ ერისთავს, არამედ დაღათო. ვახუშტის ცნობილ თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ვკითხულობთ:

„და ერისთავნი ესენი: ბარამ ვარდანის ძე სუანთა, კახაბერ კახაბერის ძე — რაჭისა, დაღათო შარვაშის ძე — აფხაზთა“.[2]

„ქართლის ცხოვრებაში“ მოგვეპოვება მეორე ცნობაც, რომელიც გვაუწყებს, რომ XI ს. აფხაზეთის განმგებელი იყო ოთაღო ჰაჰასძე.[3]

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული ჰაჰასძე იდენტურია აფხაზეთში გვარ-სახელისა ჩაჩ-ბასი, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

აი, ეს ორიოდე მეტად მწირი, მაგრამ უძველესი ცნობა არსებობს ჩაჩ-შარვაშიძეების შესახებ, რომელთა წარმოშობის გარშემო დღესაც არ შენელებულა დავა და კამათი.

უთუოდ დიდი ყურადღების ღირსია ი.ჯავახიშვილის ვარაუდი, რომ უნდა არსებულიყო ტომი თუ თემი „შარო („შარა“)„შარუ„-ს სახელწოდებით. მეცნიერის შეხედულებით, მისი საცხოვრისი უნდა ყოფილიყო დასავლეთ საქართველოში („აფხაზთა სამეფოში“). ამის გამოძახილად მას მიაჩნდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში დამოწმებული შაროელი მეფე. შემდეგ სწავლული განაგრძობს, რომ ტომის თავდაპირველი წარმოშობა სარმატული უნდა ყოფილიყო. ამ ტომობრივ სახელთან ხომ არ არისო დაკავშირებული საქართველოსა

---

[1] „ქართლის ცხოვრება“. ტ.II, თბ., 1959, გვ.33 — 34.

[2] „ქართლის ცხოვრება“. ტ.IV. გვ.172.

[3] „ქართლის ცხოვრება“. ტ.I, გვ.299.

და ჩრდილოეთ კავკასიის ტოპონიმები: „შაროი“ (გეოგრაფიული სახელი ჩეჩნეთში), „შარო-არღუნ“ (მდინარე), „შარო-ხევი“ (ცახეთში), „შაორი“ (გეოგრაფიული სახელები მესხეთში, რაჭასა და იმერეთში), „შარა-წყალი“ (მდინარის სახელი გურიაში), „შარაულა“ — მდინარის სახელი რაჭაში[1].

ამას შეიძლება დავამატოთ შემდეგი ფაქტები: სამცხეში ვახუშტი ბატონიშვილს დამოწმებული აქვს „შ ა რ ვ ა შ ე თ ი ს მ თ ა“. ქართველი გეოგრაფოსი, როდესაც აღწერს „საჩინო ადგილებთა სამცხე-საათაბაგოსი“, მიუთითებს:

„და მზღვრის ამ სამცხეს: აღმოსავლეთით საზღვარი ქართლისა და მთანი კოდიანისა, შ ა რ ვ ა შ ე თ ი ს ა და საზღვარი ჯავახეთისა; სამხრით მთა ერუშეთისა და სამცხეს შორისი, მერმე არსიანის მთა, შავშეთსა და ყუელს შორისი“.[2] ეს მეტად საგულისხმო ფაქტია. მისანიშნებელია ის გარემოებაც, რომ საქართველოს იმავე რეგიონში არის შავშეთისა და ერუშეთის მთები და იმავე სახელწოდების მდინარეები. ყურადღებას იპყრობს ზემოაღნიშნული ქართული ტომების გვარსახელის მაწარმოებლები ერუ-ში, შავ-ში, აქ-„ში“ ისეთივე მაწარმოებელი ჩანს, როგორც „-ში“ გვარსახელში შარვა-ში-ძე. აგრეთვე სანიშნოა ფორმა შ ა რ ვ ა შ ე თ ი. აქ -„ეთ“ ცნობილი სუფიქსია, რომელიც დაერთვის შარვაში-ს და მიუთითებს შარვაშებით დასახლებულ მიწა-წყალზე ისევე. როგორც ერუშეთი და შავშეთი — ამ ტომებისა თუ საგვარეულოების საცხოვრისზე. შარვაშეთი, ერუშეთი, შავშეთი ანალოგიური წარმოებისა ჩანან. ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ მეცნიერებაში გამოთქმულია აზრი (აკად.ა. შანიძე), საქართველოს ეს რეგიონი მიჩნეულია მეგრელ-ჭანთა წინაპრების საცხოვრებელ ადგილად (სხვათა შორის ამ მხარის ტოპონიმი „არტანუჯი“ აკად.ა.შანიძის აზრით, ლაზური სიტყვაა და ნიშნავს „არტაანის ყურს“,[3] ამიტომ შავშეთისა და ერუშეთის გვერდით შარვაშეთის არსებობა შემთხვევითი არ უნდა იყოს. ორი ქართული ტომის (შავ-ში, ერუ-ში) გვერდით დასახელებულია მესამე სატომო თუ სათემო) სახელი შარვა-ში და იქიდან-ეთ სუფიქსით ნაწარმოები-შარვაშეთი. ხომ გვაქვს სხვა სატომო სახელებიდან მთების, მდინარეების სახელწოდებათა წარმოება. მაგალითად: დვალიდან — დუ-

---

[1] ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950, გვ.104 — 107.

[2] „ქართლის ცხოვრება“, ტ.IV, თბ., 1973, გვ.667 — 668.

[3] იქვე. გვ. 658, სქოლიო.

ვალთ გორა ქართლში.[1] ჰანიდან — ჰანეთის მთა, ჰანის წყალი, ეგრისიდან — ეგრისის მდინარე[2] და სხვ.

ეტყობა, ივ. ჯავახიშვილის ვარაუდი უსაფუძვლო არ არის.

აკად.ს.ჯანაშია თავის ცნობილ გამოკვლევაში „გიორგი შარვაშიძე", რომელიც წარუმძღვარა პოეტის ნაწარმოებთა პუბლიკაციას, საკმაოდ ვრცლად შეეხო ჩაჩ-შარვაშიძეთა საგვარეულოს წარმოშობას და გამოკვეთილად წარმოადგინა თავისი თვალსაზრისი:

„შარვაშიძეების გვარი ძალიან ძველია. მის წარმოშობასა და თვით გვარსახელს თქმულება შარვანშაჰებს უკავშირებს. როგორც არ უნდა იყოს, უკვე თამარ მეფის პირველი ისტორიკოსი იხსენიებს აფხაზეთის ერისთავს დოთაღო შარვაშიძეს, რუმის სულტანის ყიასდინის ჯარების მთავარსარდლადაც მონღოლთა წინააღმდეგ დასახელებულია „შარვაშიძე აფხაზი დარდინ" შემდეგ საუკუნეებშიც აფხაზეთის მთავრებად შარვაშიძეები არიან".[3]

ს.ჯანაშია არ იზიარებს აკად. ნ.მარის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ თითქოს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში" მოხსენიებული IX საუკუნის ხელმწიფის ბაგრატ შაროელის გვარსახელი „შაროელი" შეიძლება უდრიდეს შარვაშიძეს".[4]

ს.ჯანაშია გამოთქვამს მეტად საინტერესო მოსაზრებას გვარსახელ „შარვაშიძესა" და სამთავრო ტიტულ „შარვაშიძეს" ურთიერთმიმართების საკითხზე. მეცნიერის აზრით, გამორიცხული არ არის, რომ „მერმინდელი შარვაშიძეები გენეალოგიურად არ იყვნენ დაკავშირებულნი ამ გვარსახელის უძველეს მატარებლებთან. ფეოდალური ძალმომრეობის ხანაში რა გასაკვირი იქნებოდა, რომ მთავრის უფლება ერთი საგვარეულოდან მეორეში გადასულიყო თვით „შარვაშიძის" გვარსახელთან ერთად, რომელსაც ამ შემთხვევაში სამთავრო ტიტულის მნიშვნელობა ჰქონდა.[5]

ს.ჯანაშია იმოწმებს სამეგრელოს სამთავროს მაგალითს, სადაც გვარსახელი „დადიანი" ოდიშის მფლობელის წოდებად იქცა და სადაც დადიანობას სხვადასხვა დროს სხვადასხვა გვარი ითვისებდა.

---

[1] „ქართლის ცხოვრება", ტ.IV, გვ.371.

[2] იქვე. გვ.677, 778, 692.

[3] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, გიორგი შარვაშიძე. (კულტურულ-ისტორიული ნარკვევი). იხ. გ. შარვაშიძე. ლირიკა, ეპოსი, დრამა, სოხუმი, 1946. გვ.27.

[4] იქვე. გვ.27. სქოლიო.

[5] იქვე.

ცნობილია, უკანასკნელი დადიანები ჩიქოვანები იყვნენ.[1]

როგორც სამართლიანად მიუთითებდა მკვლევარი, საკითხის გაშუქებას ართულებს ის გარემოება, რომ „თვით აფხაზეთში ფორმა „შარვაშიძე“ სრულიად უცნობია: ადგილობრივ ეს საგვარეულო ჩაჩის// ჩაჩბა) სახელით არის ცნობილი და თუმცა აფხაზურს ძირების უაღრესი გაცვეთა სჩვევია, მაინც აფხაზური ფორმა ქართულს იმდენად არის დაშორებული, რომ შესაძლებელია ეს სახელები სხვადასხვა წარმოშობისაც იყოს.“[2]

შემდეგ ს.ჯანაშია ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ აფხაზური ფოლკლორი (გადმოცემები, ანდაზები, სალოცავები) იძლევა იმის საშუალებას, ვიფარაუდოთ, რომ „ჩაჩბებზე ადრე „შარვაშიძეობა“ ანჩაბაძეთა საგვარეულოს ხელში უნდა ყოფილიყო.[3]

ამ შეხედულების დასამტკიცებლად მას მოაქვს აფხაზური თქმულება, რომ „წინათ აფხაზეთში ანჩაბაძეთა (აჩბების) საგვარეულო პირველობდა“.[4] იმოწმებს დ.გულიასა და ს.ესაძის ცნობილ ნაშრომებს.[5] ასევე ეყრდნობა აფხაზურ ანდაზას: „ჯერ აჩბა სთქვი და შემდეგ ჩაჩბაო“.

აჩბებსა (ანჩაბაძეებსა) და ჩაჩბებს (შარვაშიძეებს) შორის შორეულ წარსულში მომხდარი რაღაც დიდი უსიამოვნების ანარეკლს პოულობს ს.ჯანაშია ჩრდილოეთ კავკასიელ ხალხთა გადმოცემებში. მოაქვს ასეთი საინტერესო მასალა:

1929 წ. გაზაფხულზე სოფელ ულაფში (ადიღეს ავტონომ. ოლქი) მცხოვრები აბაზებისაგან ჩვენ ჩავიწერეთ თქმულება, უკვე საკმაოდ დამახინჯებული, რომლის აზრი ასეთია: „აჩბები წაიკიდნენ და ჩაჩბები აიშალნენ“. ერთი რუსი გენერლის ცნობითაც, მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ბევრი თავადის სახლი იჩემებდა შარვაშიძეზე უფრო დიდ გვარიშვილობას“.[6] დამოწმებულია გ.ი. ფილიპსონის მოგონებანი.

როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, ს.ჯანაშია მაინც იმ აზრისკენ იხ-

---

[1] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 27.

[2] იქვე.

[3] იქვე. გვ.28.

[4] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, დამოწმებული ნაშრომი, გვ.28.

[5] Д. Гулиа, История Абхазии, тб., т.I, 1925, стр.208, 226. С. Э с а д з е, Историческая записка об управлении Кавказом, т.I, стр.99 — 100.

[6] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, დამოწმ. ნაშრომი, გვ.28.

რებოდა, რომ აფხაზეთის პირველი მთავრები უნდა ყოფილიყვნენ აჩბების (ანჩაბაძეების) საგვარეულოს წარმომადგენლები, ხოლო შემდეგ ეს უფლება მოიპოვესო ჩაჩ-ის საგვარეულოს წარმომადგენლებმა — ჩაჩბებმა, რაც შეეხება შარვაშიძეს — ეს საგვარეულო ს.ჯანაშიას მიხედვით მოსული ჩანს აფხაზეთში (ისე, როგორც დადიანი სამეგრელოში) და შემდეგ გაბატონებული, ბოლოს კი ეს გვარსახელი იქცა მმართველობის ტიტულადაც.

ერთგან ს.ჯანაშიას, როდესაც იგი ედავება ნ.მარს „შაროელი ხელმწიფის“ შესახებ, გაკვრით აქვს ნათქვამი:

„თვით ფორმა გვარისა (მეგრული — შარაშია) გარკვეულ კულტურულ გავლენას უჩვენებს, ისე როგორც სხვა აფხაზ. საგვარეულოს სახელები (ანჩაბაძე, მარშანია და სხვ.)[1]

მეტად საყურადღებო მოსაზრება გამოთქვა აკად. ნ.ბერძენიშვილმა ჩაჩბა-შარვაშიძის ეთნო-გენეზისის შესახებ. მეცნიერის აზრით, „ჩაჩი“ ცალკე ეთნიკური ერთეულია, კავკასიური ტომია, აფშილების მონათესავე, დაახლოებით ისეთივე დამოუკიდებლობით, როგორითაც სარგებლობდნენ აფშილები, ჰერები, წანარები.[2]

ნ.ბერძენიშვილი თავის ვრცელ ჩანაწერებსა და მეცნიერულ დაკვირვებებში არაერთგზის უბრუნდება ამ რთულ საკითხს და ყოველთვის კრიტიკულად უდგება როგორც თავის მიერ ადრე გამოთქმულ მოსაზრებებს, ისე სხვათა შეხედულებებს. მას თითქოს არ მიაჩნდა საეჭვოდ, „ჩაჩი“ აფხაზური ტომია აფშილების მეზობლად განლაგებული, მაგრამ მკვლევარში ყოველთვის ორჭოფობას ბადებდა ის გარემოება, რომ ჩაჩს თან ახლავს მეორე გვარსახელი შარვაშიძე, როგორ ავხსნათო ეს?

ფაქტთა და მოვლენათა ურთიერთ ლოგიკურ დამოკიდებულებაში განხილვასა და მკაცრი მსჯელობის საფუძველზე ნ.ბერძენიშვილი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ჩაჩი აფშილების ნათესავი და მეზობელი ტომია, ხოლო მათ ქვეყანას უწოდებს ჩაჩ-აფშილეთს.[3] ეს ტომი განლაგებულია ეგრების მეზობლად და ამიტომ ამ უკანასკნელთა დიდ გავლენას განიცდისო.[4]

---

[1] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს დამოწმ. ნაშრომი, გვ.27, სქოლიო, შენ.3.

[2] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი VIII, თბ., 1975, გვ.14, 573, 589, 608, 609.

[3] იქვე, გვ. 157.

[4] იქვე გვ. 589

სხვათა შორის, მან ამითი ახსნა ის გარემოებაც, რომ ცნობილი თურქი მოგზაური ევლია ჩელები ჩაჩებს მშობლიურთან ერთად აგრეთვე მეგრულად მოსაუბრე ტომებად თვლის.[1] ნ.ბერძენიშვილის შეხედულებით ეს უთუოდ გავლენის შედეგი უნდა ყოფილიყო. მეორე მხრით, ამ გვარს — ჩაჩ-შარვაშიძეს ე.ი. ჩაჩ „ქართველს", უწოდებენო, ეს აიხსნებაო ამ საგვარეულოს პოლიტიკური ორიენტაციით:

„თუ ევლია (ჩელები — ო.ჯ.) ჩაჩში მეგრულისგან განსხვავებულს, აფხაზურის მონათესავე ტომს ხედავს, აფხაზები ამ ტომს აფხაზებს არ ეძახიან, არამედ ჩაჩს და მეორეც, აფხაზები ჩაჩის ტომის შვილს, ყველაზედ განთქმულს — ჩაჩბას — თუ ერთის მხრით ჩაჩის შვილს (ჰაჭას ძეს) უწოდებენ, მეორეს მხრით ამ გვარს ჩაჩ-შარვაშიძეს „ქართველს" უწოდებენ. არაა საფიქრალი, რომ ეს „ქართველობა" იმ ნიადაგზე მოხდა, რომ შარვაშიძე ფეოდალი „ქართულ სამყაროს" ფეოდალი იყო (მაშინ ანჩაბაძეც და სხვებიც ქართველებად უნდა ეგულათ აფხაზებს), ასე რომ ჩაჩბას ქართველობა თითქო უფრო ეთნიკურ მომენტს გულისხმობს... მაგრამ „შარვაშიძე" ხომ ეგრისზე მიუთითებს, უკეთ იმ ტომზე, რომელიც მეგრულის დიალექტზე ქმნიდა თავის ონომასტიკონს... ასე, რომ ჩაჩ-შარვაშიძის ქართველობა უფრო ფეოდალური კულტურის ერთიანობის შედეგადაა მიღებული, როცა ეს კულტურა საყოველთაო გახდა კავკასიის უდიდეს ნაწილში და როცა, საფიქრებელია, ჩაჩ-შარვაშიძემ განსაკუთრებული ენერგია და უნარი გამოიჩინა და საქართველოს მეფეების („აფხაზთა მეფეების") პოლიტიკის დასაყრდენი გახდა შორეულ (პროვინციად ქცეულ) აფხაზეთში".[2]

ნ.ბერძენიშვილმა ჩაჩის ტომის საცხოვრის ადგილად მიიჩნია დღევანდელი ოჩამჩირის შემოგარენი, ე.ი. ისტორიული აფშილეთის გვერდით. მისი ვარაუდით, ჩაჩეთს დასავლეთით ემიჯნებოდა აფშილეთი, ხოლო აღმოსავლეთით — ლაზეთი და სვანეთი.[3] აღნიშნულის დასამტკიცებლად მან მოიშველია ტოპონიმიკა და დიდი დაკვირვების შედეგად გამოთქვა მეტად საინტერესო და საყურადღებო მოსაზრება:

„ამასთან კავშირში ფრიად საყურადღებო ჩანს საგეოგრაფიო

---

[1] ე ვ ლ ი ა ჩ ე ლ ე ბ ი, მოგზაურობის წიგნი, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ, ნაკვ. I, თბ., 1971, გვ. 100.

[2] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი VIII, თბ., 1975, გვ.608.

[3] იქვე გვ.157.

სახელი ოჩამჩირე... დღეს მას ორგვარი ახსნა მოეპოვება ამხ.ჯიქიასი და როგავასი. ამხ.როგავას ეტიმოლოგია იმ მხრით არის საყურადღებო, რომ ის ძველია და ზანური ენის საფუძველზე იხსნება... მაგრამ შეიძლება ოჩამჩირე ჩაჩ-საც დაუკავშირდეს და ზანური ენის ნიადაგზე აიხსნას: ოჩა(მ)ჩირე — ოჩა(ნ)ჩირე — ოჩაჩირე — ჩაჩირი (მაგრამ რა არის ეს რი? სიმრავლის აღმნიშვნელი?..)"[1]

ტოპონიმ ოჩამჩირეს ასეთი ახსნა სრულიად ახალია. ნ.ბერძენიშვილის მიხედვით, ოჩამჩირე შეიძლება ყოფილიყო ჩაჩთა ადგილსამყოფელი. ჩაჩის ტომის გავრცელებულობის დასადასტურებლად ნ.ბერძენიშვილს მოაქვს ონომასტიკური და ტოპონიმიკური მასალა, რომელიც ჩაჩ-ის საფუძველზე წარმოქმნილად მიაჩნია მეცნიერს. ასეთნი არიან ცნობილი გვარები: ჩაჩბა, ჩაჩავა, ჩაჩიბაია, ჩანჩიბაძე, ჩანჩაბერი, ჭაჭასძე, ჭანჭისძე. ტოპონიმები: ჭანჭათა, ჭაჭიეთი. აქედან გამომდინარე, ავტორი ასკვნის:

„ასე რომ ოთაღო ჭაჭასძე (XI ს.) შეიძლება მართლაც ჩაჩასძე ე.ი. ჩაჩბას სახენაცვალი იყოს. შეიძლება ეს მხედართმთავარი ყველაზე ადრინდელი მოწმობა იყოს აფხაზ „ჩაჩბასი".[2]

ნ.ბერძენიშვილის აზრით (ასეთივე შეხედულებისა იყო ს.ჯანაშიაც), ჩაჩბას საგვარეულო ერთ-ერთი უძველესი და უძლიერესი საგვარეულო იყო მთელს აფხაზეთში, რომლის გავრცელების გეოგრაფია აღმოსავლეთ საქართველოსაც სწვდებოდა ისევე, როგორც მეორე ცნობილი აფხაზური საგვარეულოსი აჩბებისა (ანჩაბაძეებისა). ამასთან დაკავშირებით ნ.ბერძენიშვილი მიუთითებდა:

„ჩაჩის გავრცელებულობისათვის საინტერესოა აგრეთვე ქართლის საგეოგრაფიო სახელი ჩაჩუბეთი (ჭანჭათისა და ჭაჭიეთის ანალოგიით). ხომ არ გვაქვს ჩვენ აქ კვალი ფეოდალური ხანის „კოლონიზაციისა", როცა, მეორე მხრით, აჩაბეთიც წარმოიშვა და სხვა და სხვა."[3]

ჩაჩის საგვარეულოს ასეთმა გავრცელებულობამ საფუძველი მისცა მეცნიერს გამოეთქვა მოსაზრება, რომ ჩაჩი იყო არა ტომის მეთაურის სახელი, არამედ ტომი, გარკვეული ეთნიკური ერთეული.[4]

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 609.

[2] იქვე, გვ.607.

[3] ნ. ბერძენიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ 608, იხ. ასევე, ს. ჯანაშია, ბარათაშვილთა გენეალოგიისათვის, შრომები, ტ.2, თბ., 1952, გვ.472.

[4] იქვე, გვ.609.

რაც შეეხება ამ საგვარეულოს მეორე გვარსახელს — შარვაშიძე, ამასთან დაკავშირებით ნ.ბერძენიშვილმა სრულიად გარკვევით მიუთითა: „შარვაშიძე, ეს გვარსახელი აშკარად მეგრული წარმოებისაა: შარვაში პლუს ქართული ძე“.[1]

მაგრამ, სამწუხაროდ, მეცნიერმა კონკრეტულად არ მიუთითა, თუ როდის, როგორ და რა პირობებში შეიძლება ყოფილიყო შესაძლებელი ჩაჩის ტომის მიერ ზანური ტომის გვარსახელების მიღება. ეს ხომ უმტკივნეულოდ არ მოხდებოდა და არც ნებაყოფლობით. ეს შეიძლება მომხდარიყო მხოლოდ ფეოდალური ძალდატანებით.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ზ. ანჩაბაძემ ნარკვევი უძღვნა ჩაჩ-შარვაშიძეთა ფეოდალური საგვარეულოს წარმოშობის საკითხს, რომელშიც ვრცლად მიმოხილულია ამ საკამათო პრობლემაზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურა, ხალხური გადმოცემები და მისი კრიტიკული ანალიზის საფუძველზე გამოთქმულია მეტად საყურადღებო მოსაზრებები.[2]

როგორც უკვე ვიცით, ქართულ წყაროებში ცხუმის ერისთავად შარვაშიძე მოხსენიებულია XIII ს. დასაწყისის წყაროში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“. ეს გახლავთ ოთაღო (დოთაღო) შარვაშის-ძე, თამარის თანამედროვე, მისი კარისკაცი, ცხუმის საერისთაოს გამგებელი. ამ ფაქტთან დაკავშირებით ზ.ანჩაბაძე აღნიშნავდა:

„ის გარემოება, რომ შარვაშიძეები XII ს. 80-იან წლებში უკვე დაწინაურებული არიან ასეთ უმაღლეს თანამდებობაზე,მიგვანიშნებს საქართველოს ფეოდალური სახელმწიფოს პოლიტიკურ სარბიელზე მათ საგრძნობლად ადრე გამოჩენაზე.“[3]

როგორც აქედან ჩანს, შუასაუკუნეების აფხაზეთის ისტორიის თვალსაჩინო მკვლევარმა ზ.ანჩაბაძემ დაუშვა, რომ რადგან XII ს. 80-იან წლებში შარვაშიძეები უკვე დაწინაურებული არიან ასეთ მაღალ თანამდებობაზე, არ შეიძლება ამ ფაქტს არ ჰქონოდა წინაპირობა. მართლაც, ძნელი წარმოსადგენია, ასეთ დიდ აღზევებას, როგორც ერისთავობა იყო, რაღაც სხვა, შედარებით დაბალ, სარბიელზე დამსახურება არ წამძღვარებოდა.

ზ. ანჩაბაძე არ გამორიცხავს ამ საგვარეულოს წარმოშობას შირ-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 607.

[2] ზ. ვ. ანჩაბაძის ზემოთ დასახელებული შრომა.

[3] იქვე, გვ.191.

ვან შაჰების დინასტიისაგან დავით აღმაშენებლის ცნობილ პოლიტიკასთან ერთად (რომ იგი ხშირად გადააადგილებდა ერისთავებს თანამდებობიდან თანამდებობაზე სამეფოს ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში) ზ. ანჩაბაძეს ამ თვალსაზრისის დამადასტურებლად მიაჩნია თვით გვარსახელის ეტიმოლოგია და შარვაშიძეთა წარმოშობის შესახებ საგვარეულოში დაცული გადმოცემა.[1]

სპეციალურ ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ „მატიანე ქართლისაში“ მოხსენიებული აფხაზეთის ერისთავ ოთაღო ჰაჭასძესა და შარვაშიძის აფხაზურ ფორმას — ჩაჩბას შორის არსებობს გენეტური კავშირი.[2] ამასთან დაკავშირებით ზ.ანჩაბაძემ ყურადღება გაამახვილა ერთ გარემოებაზე, რომელსაც პრინციპული მნიშვნელობა აქვს ამ საკითხის გაშუქებისათვის. როგორც ვიცით, „მატიანე ქართლისაში“ მოხსენიებულ აფხაზეთის ერისთავ ჰაჭასძეს სახელად ჰქვია ოთაღო და თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ — დასახელებულ ცხუმის ერისთავ შარვაშიძესაც ოთაღო (დოთაღოდ) ჰქვია. ზ.ანჩაბაძემ აქ დაინახა რაღაც კანონზომიერი დამოკიდებულება, დამახასიათებელი ფეოდალური საზოგადოების მაღალი ფენებისათვის და ჰაჭასძე (ჩაჩბა) — შარვაშიძეთა საგვარეულოს საიდუმლოს შემცველი.

ავტორი სრულიად კანონზომიერად სვამს კითხვას, ხომ არა გვაქვს აქ ისეთივე მოვლენა, როგორც ეს ახასიათებდათ სხვა ფეოდალურ ოჯახებს, როდესაც ისინი თაობიდან თაობას გადასცემდნენ საგვარეულოსათვის სათაყვანებელ საკუთარ სახელს. ასე მაგალითად, ბაგრატიონთა გვარში მეტად პოპულარული იყო სახელი გიორგი, კახეთის მმართველებში — კვირიკე, დადიანთა შორის — ლევანი, გურიელებში — მამია. ზ.ანჩაბაძის შეხედულებით, „შეიძლება დავუშვათ მოსაზრება, რომ შარვაშიძეთა გვარის წარმომადგენლებში სახელი ოთაღო ასევე ითვლებოდა „საგვარეულოდ“. გვართა სიახლოვესთან (ჰაჭასძე — ჩაჩბა) ერთად ეს გარემოება შეიძლება გამოდგეს იმის საფუძვლად, რომ არსებობდა კავშირი ოთაღო ჰაჭას-

---

[1] ზ. ანჩაბაძის დასახ. შრომა, გვ.192.

[2] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ.VIII, თბ., 1975, გვ.607. ეს თვალსაზრისი ნ. ბერძენიშვილმა ადრე გამოთქვა 1957 წელს „ლიტერატურულ გაზეთში“, (№6), რაც დამოწმებული აქვს ზ. ანჩაბაძეს.

სამწუხაროდ, ნ. ბერძენიშვილის საქართველოს ისტორიის საკითხების VIII ტ. გამოქვეყნდა 1975 წელს ზ. ანჩაბაძის განსახილავი წიგნის გამოცემიდან 16 წლის შემდეგ. ამიტომ ზ. ანჩაბაძე არ იცნობდა ნ. ბერძენიშვილის მოსაზრებას ჩაჩ-შარვაშიძეთა შესახებ და, ბუნებრივია, მათი ანალიზი არ შესულა მის დასახელებულ ნაშრომში.

ძესა და აფხაზეთის ფეოდალურ საგვარეულოს — შარვაშიძეს შორის".[1]

ისტორიკოსმა კ.კუდრიავცევმა გამოთქვა ვარაუდი ჩაჩბას ჯიქეთური გავლენიანი ფეოდალური საგვარეულო გეჩ-ისაგან წარმომავლობის შესახებ, მაგრამ მას ზ.ანჩაბაძემ სრულიად დამაჯერებლად გასცა პასუხი და მიუთითა, რომ ეს მოსაზრება შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ერთ-ერთ ჰიპოთეზად.[2]

ზ.ანჩაბაძემ ხელახლა წამოჭრა საკითხი აჩბასა (ანჩაბაძესა) და ჩაჩბას (შარვაშიძეს) გვარსახელების ნათესაური მიმართების შესახებ.[3]

იგი ამ შეხედულებას ამაგრებს საქართველოს ისტორიიდან მოტანილი მაგალითებით, როდესაც გვარი (მაგალითად დადიანი) გადადიოდა ტიტულში, ან ერისთავთ-ერისთავის ანალოგიით ხომ არ მივიღეთო აჩბასაგან (აჩ-ბა-ში „აჩ" ძირია, ხოლო „ბა" მაწარმოებელი, ისეთი დაახლოებით, როგორც ქართული „შვილი" ან „ძე") აჩ-აჩ-ბა (აფხაზურად ჩაჩბას ძველი ფორმაა აჩაჩბა). თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ, როგორც უკვე ითქვა, ერთი აფხაზური ანდაზა უძველეს დროში საზოგადოებრივ საქმიანობაში უპირატესობას ანიჭებდა აჩბას (ანჩაბაძეს) ჩაჩბასთან (შარვაშიძესთან) მიმართებაში. ამასთან ზ.ანჩაბაძე დასძენს:

„არ არის გამორიცხული, რომ ასეთივე ვითარება შესაძლოა შექმნილიყო სხვა გვარის (შეიძლება არააფხაზეთის) აფხაზეთის ახალი ერისთავის დაწინაურებისას."[4]

ბოლოს ზ.ანჩაბაძე თავის საკმაოდ ვრცელ მიმოხილვას ამთავრებს ლოგიკური დასკვნით, რომ საიდანაც არ უნდა ყოფილიყვნენ მოსული შარვაშიძეები, ამ თანამდებობაზე დამკვიდრებისთანავე ისინი ისევე ხდებოდნენ აფხაზ ფეოდალებად, როგორც ვარდანისძეები გახდნენ სვან და ბედიელები მეგრელ ფეოდალებად.[5]

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პროფ. მ.ანდრონიკაშვილმა გვარსახელ შარვაშიძის სრულიად ახალი ეტიმოლოგიური ახსნა შემოგვთავაზა. მას მიაჩნია, რომ ამ გვარის საფუძველია შარვაშ საკუთარი სახელი, რომელიც ირანული წარმოშობისაა და თავისთავად მომდინარეობს „სა-

---

[1] ზ. ანჩაბაძის დასახ. ნაშრომი, გვ.193 — 194.
[2] იქვე, გვ.194.
[3] იქვე.
[4] იქვე, გვ. 195.
[5] იქვე.

ვარსამ“ (შდრ. გვარი სავარსამიძე) საკუთარი სახელისაგანო, ხოლო შარვაშისაგან მივიღეთო გვარი შარვაშიძე.

„სახელი (სავარსამი — ო.ჯ.) კომპოზიტს წარმოადგენს და შედგენილია სიტყვისაგან Syāva —„შავი“ —aršan „მამრი“ „მამაცი“ (რომელიც იხმარება ცალკე საკუთარ სახელადაც) — ახ.სპ. Siawaxš ან Siyāvaxš აგრეთვე Siāvaš. ქართული სიაუში და შიოში... საშუალო და ახალი სპარსულიდან არის შეთვისებული, სომხურში დადასტურებულია ფორმით Savrš ან Svaš (შდრ. ქართ. შარვაშს შარვაშისაგან), შარვაშიძე“. — წერს მ.ანდრონიკაშვილი.[1]

როდესაც ჩაჩბა-შარვაშიძეების, ან როგორც ისტორიულ დოკუმენტებშია აღნიშნული ჩაჩ-შარვაშიძეთა ეტიმოლოგიას ან ეთნოგენეზისს ვარკვევთ, ერთი რამ იმთავითვე უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს ორი დიდი ფეოდალური საგვარეულოს მთლიანობასთან. ერთია ჩაჩბების, ხოლო მეორე — შარვაშიძეების. ერთი უთუოდ უკავშირდება აფხაზურს, ხოლო მეორე, როგორც მიუთითებდა ნ.ბერძენიშვილი, თავისი წარმოებით ქართულ სამყაროს.

პირველის (ჩაჩბას) საკითხი შედარებით იოლი გასარკვევია, რადგან ეჭვი არ არის, რომ იგი დაკავშირებულია ჩაჩ-ის ტომთან. აფხაზურმა (და საერთოდ კავკასიურმა) ონომასტიკონმა იცის არა ერთი და ორი მაგალითი იმისა, როდესაც გვარსახელს ტომის სახელწოდება უძევს საფუძვლად. მაგალითად, არსებობდა აფხაზურადიღური ტომი **საძი**, საიდანაც მიღებულია გვარი **საძ-ბა**, ჩერქეზულ ტომ **კიახ**-ისაგან — **კიახ-ბა**, **ზიხ**-ისაგან (აფხაზურად ნიშნავს ჩერქეზს) — **ზიხუ-ბა** — **ზუხ-ბა**, **აქირთ**-ისაგან (აფხაზ.ქართველი) — **ქირთბა**, **აქირთ-აა**, **გეჩ**-ისაგან — **გეჩ-ბა**, **ჯიქ**-ისაგან (მისი ადექვატია სანიგი, სანიკი, აქედან სანიკიძე) — **ჯიკირბა**, **ჭან**-ისაგან — **ჭანბა**, **აშვან**-ისაგან (აფხაზ.სვანი) — **აშვან**-ბა და ა.შ. ასევე, როგორც უბრალო ლოგიკა მიგვითითებს, **ჩაჩ**-ტომისაგან მივიღეთ **ჩაჩ-ბა** და იგი აღზევდა დიდ ფეოდალურ საგვარეულოდ.

მეტ აზრთა სხვადასხვაობას, დავასა და კამათს იწვევს გვარსახელი შარვაშიძე. აქ რამდენიმე შეხედულება დაუპირისპირდა ერთმანეთს.

1) შარვაშიძეები მომდინარეობენ შარვანშაჰის გვარსახელიდან.

---

[1] მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., 1966, გვ.35 — 36.

ეს ფეოდალური საგვარეულო გაჩნდა XII ს. დასაწყისში დავით აღმაშენებლის მეფობის დროს. ამ უკანასკნელმა შირვანის რომელიღაც მმართველი დანიშნა აფხაზეთის ერისთავად და აქედან დაიწყო ჩაჩ-შარვაშიძის საგვარეულო. ამ აზრს მხარს უჭერენ ცნობილი მეცნიერები: დ.გულია, ნაწილობრივ ს.ჯანაშია, ზ.ანჩაბაძე და სხვ.

2) შარვაშიძე თავისი წარმოებით ქართულია. შარვაში ზანური (მეგრულ-ლაზური) გვარსახელია, რომელსაც მიმატებული აქვს ქართული მაწარმოებელი ძე — შარვაში-ძე, მიეღეთ სრულიად ჩვეულებრივი ორმაგად წარმოებული გვარი. შემდეგ კი მოხდა ჩაჩებისა და შარვაშიძეების ამ ორი დიდი საგვარეულოს შერწყმა ერთ ძლევამოსილ სამთავრო თუ საერისთავო გვარად-ჩაჩ-შარვაშიძე (ნ. ბერძენიშვილი).

3) შარვაშიძე ეტიმოლოგიურად სპარსული წარმოშობის გვარსახელია (მ.ანდრონიკაშვილი).

დაბეჯითებით თქმა იმისა, რომ შარვაშიძეები მაინცდამაინც შირვანშაჰების შთამომავალნი არიან, შეუძლებელია, რადგან საამისო უთუოდ დამარწმუნებელი საბუთი არ არსებობს. მხოლოდ ხალხურ გადმოცემაზე დაყრდნობა ჯერ კიდევ არაფერს იძლევა. რაც შეეხება შარვაშიძეთა გვარის მსგავსებას შირვანშაჰების ონომასტიკონთან, არც ესაა მყარი არგუმენტი, რადგან ეს გვარი (შარვაშიძე) ასევითვე ეფექტით (და უფრო მეტი დამაჯერებლობით) შეიძლება დაეუკავშიროთ ზანურ (მეგრულ-ლაზურ) ენას, რაზედაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიუთითეს ჩვენმა მეცნიერებმა.

ასევე არ არის დამარწმუნებელი და საბუთიანი საგვარეულოს გადმოცემა, რომ შარვაშიძეები ნამდვილად შირვანშაჰებისაგან მომდინარეობენ. ისტორიოგრაფიაში ცნობილია, რომ ციციშვილები, მხარგრძელები, ორბელიანები, ბაგრატიონები თუ როგორი თავგამოდებით იცავდნენ თავიანთი საგვარეულოს უცხოური წარმოშობის თეორიას, რად ღირს ცნობილი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ალ. ორბელიანის გამოსვლა XIX ს. პრესაში იმის მტკიცებით, რომ ორბელიანები ჩინური წარმოშობის საგვარეულოს წარმოადგენენო. ორბელიანების აზრით, მათი გვარის ჩინური წარმომავლობის მაუწყებელია ჯამბაკური (ჯამბაკურ-ორბელიანი), რაც თითქოს ჭენ-ბაკურის სახენაცვალი იყო, ხოლო ჭენთა ქვეყანა ძველი ქართულით ჩინეთია, მაგრამ მეცნიერებაში ცნობილია, დადასტურებულია, რომ ორბელიანებს არაფერი ჰქონდათ საერთო ჩინელებთან, ისე, რო-

გორც მხარგრძელებს — სპარსელებთან და ბაგრატიონებს — ებრაელებთან. ამგვარად საგვარეულოს გადმოცემა თავისი წარმომავლობის შესახებ უტყუარ საბუთად ვერ გამოდგება.

თუ ჰაჰასძე და ჩაჩბა იდენტური გვარსახელებია (ეს კი საკმაოდ დამარწმუნებლად არის დასაბუთებული მეცნიერებაში: ს.ჯანაშია, ნ.ბერძენიშვილი), მაშინ შარვაშიძე აფხაზეთის ერისთავის თანამდებობაზე მოსული ჩანს არა უადრეს მე-12 საუკუნის 80-იანი წლებისა. თამარ მეფის სამეფო ტახტზე ასვლის შემდეგ, რადგან დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი არ იცნობს მას, მისთვის (ამ ისტორიკოსისათვის) ცნობილია მხოლოდ ჰაჰასძე ე.ი. ჩაჩბა. თქმულება შარვაშიძეთა წარმოშობის შესახებ კი გვეუბნება, რომ დავით აღმაშენებელმა შარვანშა აფხაზეთის მმართველად დანიშნაო.

გვარსახელი შარვაშისძე რომ შარვანშადან (შარვანშაჰიდან) მომდინარეობდეს, მაშინ სრულიად კანონზომიერი იქნებოდა გვქონოდა შ ა რ ვ ა ნ შ ა ს ძე და არა შ ა რ ვ ა შ ი ს ძ ე. საქართველოს ისტორიულ წყაროებში ყველგან შირვანის მფლობელნი იწოდებიან შარვანშა-დ ან შარვანშაჰებად. გამონაკლისს წარმოადგენს სამად სამი შემთხვევა. როდესაც შირვანის მფლობელნი იწოდებიან „შარვაშე“-დ.

დ ა ვ ი თ ა ღ მ ა შ ე ნ ე ბ ლ ი ს ი ს ტ ო რ ი კ ო ს ი წ ე რ ს:

„...მეორესა წელსა მოვიდა სულტანი შ ა რ ვ ა ნ ს, შეიპყრა შ ა რ ვ ა ნ შ ა, ა ი ღ ო შ ა მ ა ხ ი ა და მიგზავნა მოციქული მეფის წინაშე“..[1]

„ი ს ტ ო რ ი ა ნ ი და ა ზ მ ა ნ ი შ ა რ ა ვ ა ნ დ ე დ თ ა ნ შ ი“ ვკითხულობთ: ესე „შ ა რ ვ ა ნ შ ა შემოეხუეწა ოდესმე დაჭირებული დარუბანდელთა ხაზართაგან“,[2] „და მოვიდეს შ ა რ ვ ა ნ შ ა დიდითა ნიჭითა და ძღუენითა...“[3] „მოვიდა შ ა რ ვ ა ნ შ ა აღსართან“[4], „მაშინ მოვიდეს მადიდებელნი სპანი და სპასალარნი და სპასპეტი თვით შ ა რ ვ ა ნ შ ა“[5].

ასევე შარვანშას სწერს ბ ა ს ი ლ ი ე ზ ო ს მ ო ძ ღ ვ ა რ ი თავის თხზულებაში „ც ხ ო ვ რ ე ბ ა მ ე ფ ე თ - მ ე ფ ი ს ა თ ა მ ა რ ი ს ი“.

---

[1] „ქართლის ცხოვრება“, ტ.II, გვ.371.
[2] იქვე. გვ.17.
[3] იქვე. გვ.39.
[4] იქვე, გვ.44.
[5] იქვე. გვ.72.

„იყო ვინმე კაცი სპარსი, შარვანშეთ სიძე, სახელით მირმირან“.[1]

„ჟამთააღმწერელიც“ მიმართავს ტიტულატურა შარვანშას:

„....რამეთუ ვერცა შარვანშა წინააღუდგა და ვერცა დარუბანდელნი“.[2]

„ბერი ეგნატაშვილიც ახალი ქართლის ცხოვრებაში“, შირვანშას წერს:

„მოვიდა შირვანშა და შემოეყარა ჯარითა ლანგ-თემურს“.[3]

„ახალი ქართლის ცხოვრების“ მეორე ტექსტშიც შარვან-შაჰს ვკითხულობთ:

„მაშინ მოუწოდა შარვან-შაჰს ბანაკითურთ თვისით...“[4]

„შარვანშა-ს“ წერს ვახუშტი ბატონიშვილიც.[5]

თვით პროვინციას, სამთავროს, რომელსაც ეს მთავრები — შარვანშაჰები (შარვანშები) განაგებენ, ეწოდება შარვანი, ხოლო ამ კუთხის ბინადართ შარვანელი (შირვანელი)[6].

ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სულ, „ქართლის ცხოვრების“ სხვადასხვა ავტორთა თხზულებებში შარვაშე ფორმა გვხვდება მხოლოდ სამჯერ. აი, ისინიც:

„ოდესმე შარვაშეს ლომისა ბოკუერი გამოეგზავნა“.[7] შემდგომად ამისა დიდითა შემოხუეწითა სთხოვა შარვაშე...“[8] „იწყეს დარუბანდით აღმომართ, ქვეყანასა შარვაშისასა“. (ვარიანტები: „შარვანისასა, შარვაშსა“.[9]

ამ წყაროებში „შარვაშა“ ფორმა გვხვდება ერთხელ, ისიც ვარიანტში.

„შარვანშას“ ანალოგს წარმოადგენს „ხუარაზმშა“ („ხუარაზმელთა მეფე“) „ჟამთააღმწერელი“ მიუთითებს, ჯალალედინ სულთანმა ავაგ ათაბაგსა და სხვა წარჩინებულთ მიმართაო შემდეგი სიტყვე-

[1] „ქართლის ცხოვრება“, ტ. II. გვ. 127
[2] იქვე, გვ.165.
[3] იქვე, გვ.330.
[4] იქვე. გვ.457.
[5] „ქართლის ცხოვრება“, ტ.IV, გვ.161.
[6] „ქართლის ცხოვრება, ტ.I, გვ.339. ტ.II, გვ.329, 382, 451.
[7] „ქართლის ცხოვრება“, ტ.II, გვ.61-62.
[8] იქვე, გვ.166.
[9] იქვე, გვ.186.

ბით: „...მე ვარ მაღლისა და დიდისა ხელმწიფისა ხუარაზმშას ძე“...[1]

აქ საყურადღებოა ფორმა „ხუარაზმშას ძე“. ამის მსგავსად, ანალოგიით, ძველ წყაროებში თუნდაც ყველგან ყოფილიყო „შარვანშა“, უნდა გვქონოდა **„შარვაშას„-ძე** და არა **„შარვაშის-„“-ძე**. მსგავსადაა ნაწარმოები **აბაზა**-საგან **„აბაზას“-ძე, „აბაზას-ძენი.“**[2] **ქაჩიბა**-საგან **„ქაჩიბა-ძე“**,[3] საკუთარ სახელ **„უჩურა“**-საგან — **„უჩურასძე“**,[4] **„უჯიკა„**-საგან — **„უჯიკა-ს-ძე“**[5], **„სამებელა“**-საგან — **„სამებელა-ს-შვილი“**[6], **„ლურსა“**-საგან — **„ლურსა-ს-ძე“**[7], **„სამხარა-საგან“ — სამხარა-ს-ძე**[8] და არა **სამხარისძე ან ლურსა-საგან — ლურსისძე**, მაგრამ **„აბუსერი“-დან — აბუსერის-ძე**[9] და არა **აბუსერას-ძე**.

როგორც ვნახეთ, ძველ ქართულში სახელებისაგან გვარის წარმოებისას სიტყვათა ფუძეები ინარჩუნებენ თავიანთ პირველსახეს, ისინი არ განიცდიან ფონეტიკურ მოვლენებს — კუმშვასა და კვეცას. ეს გამოკვეთილად ჩანს, როგორც კანონი.

ყოველივე ამის შემდეგ ბუნებრივად იბადება კითხვა: რატომ, რა კანონზომიერების ძალით უნდა მიგვეღო **„შარვაშა“**-საგან **„შარვაში-ძე“** ან **„შარვანშა“**-საგან **„შარვაში-ს-ძე“**, რა პრინციპით მოხდა **„ნ“**-ს დაკარგვა ან **„ა“-ს** კვეცა? ეს გაუგებარია!

არ არის გამორიცხული, რომ შარვაშიძეც, ისე, როგორც ბაღვაში და მარუშიძე (ლაზური წარმოშობის იმერეთისა და ქართლის უძლიერესი ფეოდალები), ლაზური წარჩინებული საგვარეულოს წარმომადგენელი იყო თავდაპირველად. ეს მოსაზრება ახალი არ არის, მაგრამ იგი, ჩვენის აზრით, ყველაზე რეალური თვალთახედვაა შარვაშიძეთა წარმომავლობის გასარკვევად.

სწორი უნდა იყოს ის მოსაზრება, რომ შარვაშიძეობა ჩაჩ-ის (ჩაჩბას) ქართველობაზე კი არ მიუთითებს, არამედ იგი დამოუკიდებელი ზანური წარმოშობის გვარია და უნდა მიგვა-

---

[1] „ქართლის ცხოვრება“, ტ. II გვ. 173

[2] იქვე, გვ.305, 444.

[3] თ. ჟორდანია, ქრონიკები, წიგნი II, გვ.232.

[4] იქვე, გვ. 238.

[5] იქვე, გვ.148.

[6] იქვე, გვ.272.

[7] იქვე, გვ.334.

[8] იქვე, გვ.254.

[9] იქვე, გვ.123.

ნიშნებდეს ძლიერი ზანური საგვარეულოს (შარვაში) შემოჭრაზე მეზობელი ჩაჩის ტომში და იქ გაბატონებაზე. მაგრამ ამას მოჰყვა მისი ასიმილაცია, გაჩაჩება — შემდეგ გააფხაზება.

ქართულ წყაროებში ზანური (მეგრულ-ჭანური) წარმოშობის -ში სუფიქსიანი გვარსახელების ხელმეორადი ქართული წარმოება ხდება ამ გვარსახელზე ქართული მაწარმოებლის დართვის საშუალებით. მაგ., **მარუ-ში-ანი,**[1] **მარუ-ში-ს-ძე**[2], **გაბლა-ში-ს-ძე, ობე-ში-ს-ძე, კუტო-ში-ს-ძე, ლაკა-ში-ს-ძე (ლაკუა-ში-ს-ძე), ვანთა-ში-ს-ძე.**[3]

ასევე ორმაგი წარმოების შედეგადაა მიღებული დღეს ცნობილი გვარსახელები: **გურე-ში-ძე, დათე-ში-ძე, გეგე-ში-ძე, დურმი-ში-ძე, ღამბა-ში-ძე, ნაკა-ში-ძე, ჯანა-ში-ა, მორგო-ში-ა, გოთო-ში-ა, კა-ში-ა.** და სხვ.

ამავე წესით ნაწარმოებ გვარსახელად ჩანს **შ ა რ ვ ა - შ ი - ძ ე -ც** მისი მეგრული ფორმაა **შარაშია**, ისე, როგორც **ნაკა-ში-ძე — ნაკა-ში-ა.**

ამ გვარსახელებში-ში არის მაწარმოებელი, რომელიც კუთვნილებაზე მიუთითებს და ადექვატია ქართული **ის(სი) ფლექსიისა. გურეში ნიშნავს გურეს შვილს, შთამომავალს (ქართ. გურე-სი). დათე** საკუთარი სახელია, ხოლო მისი შთამომავალი იქნება დათე-ში და ა.შ. მომდევნოდ ამ გვარებს მიემატა გვარის ქართული მაწარმოებელი „ძე“ და მივიღეთ ზემოალნიშნული ფორმები. ასევე ზანური ონომასტიკონისაგან ორმაგი წარმოების საშუალებით არის მიღებული ცნობილი დასავლეთქართული გვარსახელები: **ღოღო-ბერი-ძე, ღუღა-ბერი-ძე, კახა-ბერი-ძე, შალამ-ბერი-ძე, ღვა-ბერი-ძე, გოგი-ბერი-ძე, გოგა-ბერი-ძე, კო-ბერი-ძე , მაცა-ბერი-ძე** და ა.შ.

ამ გვარებში „**ბერე**“ ლაზურად შვილის აღმნიშვნელია. ღოღობერიძე ქართულად იქნება ღოღოშვილი. ამ გვარსახელებშიც გვაქვს ორმაგი წარმოება ასევე, როგორც -ში სუფიქსიან გვარებში.

ამგვარადვე ჩანს ნაწარმოები **ბაღვა-ში, მარუ-ში-ძე, შარვა-ში -ძე.**[4] აქ ძნელია მეორე აზრის დაშვება.

---

[1] „ქართლის ცხოვრება“, ტ.II, გვ.33.

[2] „ქართლის ცხოვრება“, ტ.I, გვ.272.

[3] ტბეთის სულთა მატიანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თინა ენუქიძემ, თბ., 1977, გვ.76, 66, 126, 70, 68, 108.

[4] ამ საკითხზე იხ. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი, შრომები,

დავით აღმაშენებელს თუ შეეძლო შიდა და ქვემო ქართლში სამფლობელოები მიეცა აფხაზი ფეოდალებისათვის — აჩბებისა და ქაჩიბებისათვის და ქართლის ყველაზე მაღალი რანგის ფეოდალებად ექცია ისინი,[1] არ არის გამორიცხული, მას თუ მის მომდევნო მეფეებს მხარი დაეჭირათ ლაზი წარჩინებული საგვარეულოსათვის და იგი დაეწინაურებინათ ერთ-ერთ აფხაზურ ტომში, ისე, რომ ადგილობრივ მმართველ საგვარეულოს — ჩაჩბებს არ დაეკარგათ თავიანთი პრივილეგია.

დროული იქნება, აქვე აღვნიშნოთ ერთი გარემოებაც: ყველა მკვლევარი, რომელნიც კი შეხებიან „ჩაჩ-შარვაშიძეთა“ საკითხს უშუალოდ თუ შუალობით გამოთქვამს მოსაზრებას, რომ შარვაშიძე შემდგომ იქცაო აფხაზეთის მმართველობის ტიტულად, მაგრამ ამის ასე დაბეჯითებით აღიარების უფლებას, საფუძველს არ გვაძლევს ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა. ეს უკანასკნელი თავის თხზულების — საქართველოს გეოგრაფიის ერთ-ერთ ქვეთავში „მთავართა გვართათვის“ ჩამოთვლის საქართველოს მთავართა უძველეს გვარებს: ქობულისძე, დონაური, ბაღვაში, მარუშიძე, მხარგრძელი, კახაბერისძე, ორბელიანი, ქაჩიბაძე, ჯაყელი, ჯავახიშვილი და სხვ. რომელთა შორის მოხსენიებულია შარვაშისძე და შემდეგ დასძენს, რომ ასევე არიან გვარები, „რომელნი ერისთობით იწერვიან და გუარნი არა წარიწერებიან ცხადად საცნობელად.“[2]

როგორც აშკარად ჩანს, აქ მინიშნებაა იმ საგვარეულოებზე, რომლებიც შემდგომ სატიტულოდ იქცნენ. ამას მოსდევს მათი ჩამოთვლა: ქართლის ერისთავი გრიგოლ, სურამელი რატი და გრიგოლ კახეთს ხორნაბუჯის ერისთავი, რაჭის ერისთავი, „ხოლო იმერეთს ბედიელი, დადიანი და სხუანი, და არა გუარნი მათნი წარწერილნი. არამედ დადიანობა არა არს გუარი, გარნა წესი ხელობისა, არა იყო ესე ოდიშს, არამედ კარის მხარესა ზედა დადიანობდა, ხოლო შემდგომად მეფის

ტ.III, თბ., 1959, გვ.210 — 211. ჯ. ო ნ ი ა ნ ი, სვანური გვარის ეთნო-ლინგვისტური ანალიზისათვის. „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 2, 1979, გვ.84 და მომდევნ.

[1] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, ბარათაშვილთა გენეალოგიისათვის. შრომები, 2,თბ., 1952, გვ.478. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ.8, თბ., 1975, გვ.608, ი. მ ე გ რ ე ლ ი ძ ე, ლიახვის ხეობის წარწერები და სხვა სიძველეები. „მაცნე“, ტ.6, 1969, გვ.687. ნ. ა ნ დ ღ უ ლ ა ძ ე, თირის მონასტრის ხუროთმოძღვრული ანსამბლი, თბ., 1976, გვ.37 — 40. ო. ჰ უ რ ღ უ ლ ი ა, ქართული ფეოდალური საგვარეულოს — აფხაზი (აფხაზიშვილი) ისტორიისათვის, კრებ. „რიწა“, სოხუმი, 1978, გვ.168.

[2] „ქართლის ცხოვრება“, ტ.IV, გვ.28.

თამარისა იქმნა ოდიშს დადიანად, და იყვნენ ერისთავად, ვითარცა ცოტნე დადიანი, და არა გუარი მისი საჩინო არს. გარნა შემდგომნი დადიანნი ამ ცოტნესაგან ჩამომავლობენ, ვითარცა აღვსწერეთ".[1]

გამოდის, რომ შარვაშიძე არ შედის გვარსახელთა სატიტულო სიაში. მართალია, ასეთი სახის (სატიტულო) ყველა გვარი არა აქვს დასახელებული ვახუშტის, მაგრამ, ცხადია, შარვაშიძე გარკვევით იმ სიაშია, სადაც მოიხსენებიან ორბელიანები, ჭაჩიბაძეები, ვარდანისძეები, მარუშიძეები, ძაგანიძეები და ა.შ., ხოლო ეს საგვარეულოები არასოდეს ყოფილან სატიტულონი.

ამასთან, მხედველობაში ისიც არის მისაღები, რომ თამარის ისტორიკოსის თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი" უკვე მოცემულია ერისთავთა საგვარეულოების ისეთი კლასიფიკაცია, როგორსაც გვთავაზობს ვახუშტი XVIII ს. ე.ი. ტიტულად ქცეული ფეოდალური გვარები მხოლოდ სახელით და ტიტულით არიან წარმოდგენილი, ხოლო დანარჩენი ერისთავები თავიანთი გვარების მიხედვით. მოგვაქვს ეს ადგილი მთლიანად:

„და ერისთავნი მის ჟამისანი ესენი იყვნეს: ბარამ ვარდანის-ძე — **სუანთა** ერისთავი, კახაბერი კახაბერის-ძე — **რაჭისა** და **თაკუერის** ერისთავად, ოთაღო შარვაშის-ძე — **ცხუმის** ერისთავად, ამანელის-ძე — **არგუეთის** ერისთავად და **ოდიშის** ერისთავად ბედიანი. ლიხთამერით: **ქართლის** ერისთავად — რატი სურამელი, და **კახეთის** ერისთავად — ბაკურ-ყმა ძაგანის-ძე, და **ჰერეთის** ერისთავად — გრიგოლის-ძე, ასათ, რომელმაც მისტაცა მძლავრობით და მორევით საღირს კოლონკელის-ძესა და მცირედჟამს ქონებასა შინა იაჯა არიშიანის ადგილსა დაჯდომა სასთაულითა, და ხელთუდვა შვილსა მისსა გრიგოლს ჰერეთის ერისთაობა, და სამცხის ერისთავად და სპასალარად აჩინეს ბოცო ჯაყელი."[2]

როგორც ჩანს, აქ ოდიშის ერისთავად დასახელებულია ბედიანი (ვიცით რა გვარისა იყო?!), ქართლის ერისთავად რატი სურამელი (გვარი?!) ჰერეთის ერისთავად — გრიგოლის ძე ასათ(გვარი?!). ამ მიმართებაშიც შარვაშისძე არ გამოიყურება სატიტულო გვარსახელად. ასეთი რომ ყოფილიყო ეს გვარი, მაშინ იქნებოდა მითითებული იმდაგვარად,როგორც ეს ოდიშის ან სურამის ერისთავის მიმართ არის

---

[1] „ქართლის ცხოვრება", ტ. IV გვ. 28.

[2] „ქართლის ცხოვრება", ტ.II, გვ.33 — 34.

ნათქვამი, დაახლოებით ასე, **ოთაღო ცხუმელი** (თამარის ისტორიკოსთან) ან **ოთაღო აფხაზელი** ვახუშტი ბატონიშვილთან, ე.ი. გვარსახელის გარეშე.

ამრიგად, გამოდის, რომ შარვაშისძე არ ყოფილა „წესი ხელობისა“, ეტყობა, ეს გვარსახელი ჩვეულებრივი ფეოდალური ოჯახის გამომხატველია ისევე, როგორც გვარი ორბელიანებისა ან ბაღუაშებისა. ამ საკითხსაც, უთუოდ, გადასინჯვა დასჭირდება.

1979—1986.

„ხე“ ნაწილაკის ვარიანტები ქართველურ ენებში

როგორც ცნობილია, მეგრულს, ჭანურს და თანამედროვე ქართული ენის დიალექტებს — აჭარულს, გურულსა და ქვემოიმერულს დღესაც შემორჩა მდედრობითი სქესის მაწარმოებელი „ხე“, „ფხე“, „მხე“ ნაწილაკები. ძველ სვანურს უნდა ჰქონოდა ამავე დანიშნულების სუფიქსები: „ფხე“, და „ფხუ“.[1]

ამ გარემოებამ იმთავითვე მიიპყრო მეცნიერთა ყურადღება. საკითხის გაშუქებას ართულებს ის გარემოება, რომ, ჯერ ერთი, ძველ ქართულს (ისევე, როგორც ახალ ქართულს) არ ახასიათებს გრამატიკული სქესის კატეგორია (არნ.ჩიქობავა) და საიდან უნდა გამოჩენილიყო ქართველურ ენებსა და ზოგიერთ დიალექტში გრამატიკული სქესის მაწარმოებელი ფორმანტი. მეორეც, ზემოაღნიშნული ნაწილაკები, რომლებიც გრამატიკულ მაწარმოებლად მოჩანს, გარკვეული სახეცვლილებით შვილის (უმეტესად მდედრობითი სქესის) აღმნიშვნელად გვხვდება.

ამ საკითხს სხვადასხვა ასპექტით შეეხნენ მეცნიერები და რიგ შემთხვევაში ერთმანეთისაგან განსხვავებული შეხედულებები გამოთქვეს. ნ.მარს მიაჩნდა, რომ ქართველურ ენებში „ხე“, „ფხე“ ფორმანტის არსებობა აფხაზური ენის ზეგავლენით იყო გაპირობებული. იგი წერდა:

В ниже-имеретинском говоре встречаются слова хэ и фхэ в значении «девушки», «женщины», встречаются они и в мингрельском, но в них, очевидно, имеют место заимствования из абхазского ha и fha. Относится ли сюда др. г. ქჴევალი „рабыня»,ещё вопрос.»[2]

ანალოგიური შეხედულება გამოთქვა ს.ჯანაშიამაც, იგი წერდა: „ფხე არის პროტოტიპი თანამედროვე მეგრული ხე-სი, რომელიც

---

[1] Н. Я.с Марр, Орудовный и исходный падежи в кабардинском и абхазском, изобр. работы, т.II, М. — Л., 1936, გვ.239.

[2] Н. Я. Марр, О языке и истории абхазов, М. — Л., 1938, გვ.42. უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზურ „ფჲა“-სა და ქართულ „მხევალ“-ს შორის ურთიერთმიმართების საკითხს ადრეთვე ყურადღება მიაქცია პ. ჰარაიამ. იხ. მისი „Об отношении абхазского языка к яфетическим“, С-Петербург, 1912, გვ.35.

ქალის გვარსახელს აწარმოებს.“[1]

არნ.ჩიქობავა კი სწორედ „მხევალიდან“ ამოდის, როდესაც ეხება „ხე“ ფორმანტისა თუ ნაწილაკის წარმომავლობას, თუმცა მან ამ სიტყვის „ძირეული მასალის“ საკითხი ღიად დატოვა. მეცნიერი წერს: — „ძირეული ნაწილი ამ სიტყვისა (მჴევალი — ო. ჴ) უნდა გვქონდეს სამეგრელოში, ქვემო იმერეთსა და გურიაში, ქალის გვარში შენახული:

გურ. ლომთათი-ფხე-ქალი, ლომთათი-ძე — ვაჟი...

მეგრ. კუჭა-ხე -„-, კუჭაა — კუჭა — ვაჟი...

--„-- ჯინორი-ხე-„-, ჯინორია — ვაჟი...

მეგრული „ხე“ ფონეტიკურად გამარტივებული სახეა „ფხე“-სი, უკანასკნელი ქართულში დაცულ მხევ-ალ-ის პირველ ნაწილს ხვდება; დაკარგულია ოღონდ ბოლოკიდური-ვ და თავკიდურ მ-ს ენაცვლება -ფ. თუ ეს დაკავშირება (მხევ-ალ- ფხე/ხე) მართებულია, -ალ ქართულში ფუძის საწარმოებელ აფიქსად უნდა ვცნოთ და ეს მიუხედავად იმისა, ძირეული მასალა ქართველური ენების კუთვნილებაა თუ სხვა ენობრივი წრიდანაა შეთვისებული.[2]

„ხე“-ს შეეხო ი. ყიფშიძე თავის ცნობილ „მეგრული ენის გრამატიკაში“, სადაც ვკითხულობთ:

„ხე — дочь, женщина; прибавляется к концу фамильных названий; დადია — дадиа (мужчина), დადი-ხე дадихе (женщина), ზინწარე-ხე, ციკა-ხე и.др. (этим. слова см. Н.Я.Марр, Яфетическое происх. абх. терминов родства, И.А.Н., 1912,стр. 432)»[3]

როგორც ჩანს, ამ სიტყვის ეტიმოლოგიურ ახსნაში ი.ყიფშიძე ეთანხმებოდა ნ.მარის მოსაზრებას.

ი.მეშჩანინოვმა „ხე“, „ფხე“, „მხე“ დაუკავშირა ურარტულ ენას, რომელშიც „ხენე“ — „ხინი“ ნიშნავს „შვილს“.[4] მანვე მოგვიანებით გამოქვეყნებულ ფუნდამენტურ შრომაში ურარტული ენის გრამა-

---

[1] ს. ჯანაშია, ეგნატე ინგოროყვას გენეალოგიისათვის, შრომები, ტ.II, თბ., 1952, გვ.485.

[2] არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942, გვ.26.

[3] И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка, 1914, გვ. 400.

[4] И. И. Мещанинов, Грамматический строй урартского языка, ч.I, М. — Л., 1958, გვ.27, 39.

ტიკული წყობის შესახებ ყურადღება გაამახვილა ურარტულ წარწერებში „ხინე“ „ხი“, „ხი-ე“ „ხე“, სიტყვებზე, რომლებიც შვილზე მიუთითებენ, მას მოჰყავს ასეთი მაგალითი: Menua-hine“ — ნიშნავსო მენუას შვილს; „ხინეს“ შეკუმშული ფორმებიაო „ხი̣“, „ხიე“, და „ხე“.[1]

საანალიზო ნაწილაკის გავრცელება იმერულში დახასიათებულია შ. ძიძიგურის მოხსენებაში, რომელიც წაკითხულ იქნა 1929 წ. ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების საჯარო სხდომაზე (მოხსენების ტექსტი დაიბეჭდა 1938 წელს).[2]

განსახილავ საკითხს სპეციალური გამოკვლევა უძღვნა ი. მეგრელიძემ. მან 1938 წელს გამოქვეყნებულ შრომაში „Женские фамильные окончания в южнокавказских яфетических языках и фольклоре“. მიმოიხილა საკითხის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა, იბერიულ-კავკასიური ენობრივი მასალა და ფოლკლორული ნიმუშები.

ი.მეგრელიძე მიუთითებს, რომ მდედრობითი სქესის აღსანიშნავად „ხე“ ნაწილაკი გვხვდება მეგრულში, ქვემოიმერულსა და ნაწილობრივ სვანურში, ხოლო „ფხე“ ლაზურში, გურულსა და აჭარულში.იმერული უფრო ახლოს დგას მეგრულთან, ვიდრე ლაზურთან, ხოლო გურული ფორმა — ლაზურთან“.[3]

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ მოსაზრებათა კრიტიკული განხილვისა და გვარის აღმნიშვნელ სხვა ქართველური მაწარმოებლების — „ძე“, „შვილი“ „სქუა“ („სკუა“), „სკირი“ ანალიზის საფუძველზე ავტორი მიდის შემდეგ დასკვნამდე: „Как мы видим, все вышеприведенные фамильные окончания (იგულისხმება: „ძე“. „შვილი“. „სქუა“, „სკუა“, „სკირი“. — ო.ჭ.) означают «дитя», «сын» и большинство из них существуют как самостоятельные слова в том же значении. Очевидно и фде или де в этих же языках были когда-то самостоятельными словами»[4]

სამწუხაროდ, მეცნიერები არ ცდილან აღნიშნული „ხე“, „ფხე“

---

[1] И. И. Мещанинов, Язык ванской клинописи, Л., 1935, გვ.21.

[2] Ш. Дзидзигури, К характеристике нижнеимерского говора грузинского языка. Сборнік «Памяти Н. Я. Марра», М. — Л., 1938.

[3] И. В. Мегрелидзе, женские фамильные окончания в южнокавказских яфетических языках и фольклоре. Сборник «Памяти академика Н. Я. Марра, М. — Л., 1938, გვ.154; ასევე. И. В Мегрелидзе, Мегрельский и лазский слои в гурийском, М. — Л., 1938, გვ.133 — 138.

[4] იქვე.

კოლხურ (ზანურ) ენობრივ მასალაზე დაყრდნობით აეხსნათ.

„ხე„-ს მეგრულში გააჩნია არაერთი ფონეტიკურ-სემანტიკური შესატყვისობა: ხალა (შობა), ხელი (ნაშვი), ხანს (შობს), მახალი (მშობადი), ხაფილი (მოგებული), უხაფუ (უშვი), ოხაფუ (მოსაგები), ოხალირე (მოსაგებია), ნახა (ნაშობი), გეხუუ (შვა), ქოხუუ (შვა თურმე), გეუხანუ (მეძავი გახდა) და სხვ.

ამჟამად მეგრულ მეტყველებაში „ხალა“ („შობა“) და „ხელი“ (ნაშვი) უკავშირდება ცხოველთა სამყაროს.[1] მეგრელი ძროხის მიერ ხბოს მოგებას გამოხატავს ზემოალნიშნული სიტყვით, „ჩხოუქ გინი გეხუ“ (ძროხამ ხბო მოიგო (შვა) ან „ღეჯიქ თულეფი გეხუ“ (ღორმა გოჭები დაყარა (შვა). მეგრულად პირუტყვს, რომელმაც ეს-ეს არის უნდა მოიგოს, ეწოდება „მახალი“, ხოლო უკვე მოგებული (ნაშვი) იქნება „ხელი“.

წარსულში მეგრელი მეჯოგე გლეხი დიდმარხვის წინა დღეს მეცხოველეობის ღვთაება „ჟინი ანთარისადმი“ (საერთო ქართული „ანატორი“, აფხაზური „აითარ“)[2] ლოცვას (ოხვამურს) ასე აღავლენდა: — „ჟინი ანთარი, პატონი გომორძგვილი! ჩქიმი ორინჯი სი ამიშენი! ოშოშო გოშაბჭოფუნდეე დო მუთას მააკორდოდასჱნი, უხაფუ დო ხაფილც ვა იშებჩინენდე თეში“ (ზენაარო ანთარო, ბატონო გამარჯვებულო! ჩემი საქონელი შენ გამიმრავლე (ამიშენე)! ას-ასობით გამოვიჭერდე და არაფერი აკლდებოდეს, უშვსა და ნაშვს (ე.ი. დეკეულსა და ძროხას) ვერ ვარჩევდე (ერთმანეთისაგან)[3].

ძველად ისე, როგორც ქართული „შობა“, მეგრული „ხალა“-ც უნდა ყოფილიყო ცხოველთა და ადამიანთა სამყაროს საერთო კუთვნილება. შობასთან დაკავშირებით ივ.ჯავახიშვილი წერდა: „შობა მარტო ადამიანის დაბადების გამომხატველი სახელწმნა კი არ იყო, როგორც ჩვენ ახლა გვესმის, არამედ დედალი პირუტყვე-

---

[1] ი. ყიფშიძე, დასახ. ნაშრ., გვ.396.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ.1, თბ., 1951, გვ.83, მეტად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ძველ შუამდინარეთში, კერძოდ ასურეთში. არსებობდა ცეცხლის ღმერთი აწშარი, რომელსაც ჰქონია ოთხი თვალი და ოთხი ყური და ითვლებოდა მამულის მფარველად (იხ. К. П Матвеев, А. А. Сазонов, Когда заговорила клинопись. М., 1979, გვ.81). საინტერესოა რა მიმართება იყო „აწშარსა“ და ანთარ-აითარს შორის?

[3] ი. ყიფშიძე, დასახ. ნაშრ., გვ.186.

ბის მიერ მოგებასაც ამავე სიტყვითაც აღნიშნავდნენ ხოლმე."[1] (შემდეგ მოყვანილია სათანადო არგუმენტაცია).

საგულისხმოა ის გარემოება, რომ ძველ ქართულს „შობაჲს" გარდა გააჩნდა მეორე ფორმაც „აგებულ"-ის სახით, რაც დაბადებულს, შექმნილს, გაჩენილს ნიშნავდა. მისი საპირისპირო ფორმა იყო „აუგები", „აუგებელი" — შეუქმნელი, დაუბადებელი.[2] და განა დღეს იმავე ძირისაგან არა გვაქვს სიტყვები:„მოგება", „იგებს", „მოგებული", რაც მხოლოდ და მხოლოდ ცხოველთა სამყაროს განეკუთვნება (ძროხამ ხბო მოიგო)?

თანამედროვე მეგრულში არაიშვიათად „ხალა" (ხელი) სიტყვა ადამიანთა მიმართაც გამოიყენება. კახური ხალხური თქმის „შენი შემქმნელი მშობელის ჰირიმეს" შესატყვისი მეგრულსაც გააჩნია: „სქანი მახალ დო მაქიმინალს ქუგუალე" (შენს მშობელსა (!) და შემქმნელს (!) შემოვევლე".

„ხალა", „ხელი" ფორმა რომ ძველად ადამიანთა სამყაროსაც განეკუთვნებოდა. ეს მეგრულ ფოლკლორში კარგად არის შემორჩენილი.[3] ზღაპარში „ჰაბუშ არიკი" ვკითხულობთ: „ჰაბუკუს გჲნ ფერი კოჩი მურსია, მახალი შერცხვენილია"[4]. (ჰაბუკუს (რომ) ჰგავს, ისეთი კაცი მოდისო, მშობელ შერცხვენილიო.)

აქ „მახალი" მშობელი ქალის მიმართ არის ნათქვამი, ე.ი. განეკუთვნება ადამიანთა სამყაროს.

მეგრულში სემანტიკურად და ფონეტიკურად კიდევ ერთი სიტყვა უკავშირდება „ხე"-ს. ეს გახლავთ „უხენო". იგი ი.ყიფშიძეს ასე აქვს განმარტებული: „უხენო" беременная: — უხენობა беременность, отым. глагол, III пор. н. ვახუნენქ делаю беременной, аор. და ვაუხენი — — стр. з, II пор. и. ვიუხენებუქ или იუბბენებუქი, სიიუხენებუქ, аор. დე-ეუბბენი"[5].

ორსული ქალის აღსანიშნავად „უხენო" გვხვდება მეგრულ ტექს-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937, გვ.198.

[2] ა. ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა, თბ., 1980, ლექსიკონი, გვ.375, 376.

[3] სხვათა შორის, მეტად საინტერესო დამთხვევასთან გვაქვს საქმე, თუ მართლაც ეს დამთხვევაა ამ სიტყვისა იმავე მნიშვნელობის აღმნიშვნელ უაბარდოულ სიტყვასთან „ლ ხუ ან", რაც ნიშნავს დაბადებას, შობას (ითქმის როგორც ადამიანზე, ისე პირუტყვზე), ს. ჯანაშია, ექსპედიციის დღიური, შრომები, ტ.IV, თბ., 1968, გვ.19.

[4] მ. ხუბუა, მეგრული ტექსტები, თბ., 1937, გვ.241.

[5] ი. ყიფშიძე, დასახ. ნაშრ., გვ.333.

ტებშიც. მაგალითად: „მა სი ქოგიწინქ სქანი ცუდეში ამბეს: სქან ცუდეს სქანი ოსური უხენოთ დორხვადუ, ალუხე ქომოლ-სქუა“.[1] (მე შენ გეტყვი შენი სახლის ამბავს: შენს სახლში შენი ცოლი ფეხმძიმედ დაგხვდება, (საშოში) უზის ვაჟიშვილი).

აქ „უხენოს“ გარდა საინტერესოა ორსულობის აღმნიშვნელი მეორე სიტყვა „ალუხე“ (უზის). შინაარსეულად და ფონეტიკურად ისინი ტოლფარდებია.

ფრიად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ჰანურადაც „უხენოს“ სახენაცვალი „უხვენო“ ფორმა გვხვდება ორსული ქალის აღსანიშნავად. ირ. ასათიანის მიერ 1946 წელს სარფელებთან ჩაწერილ ერთ-ერთ ტექსტში ვკითხულობთ: „უხვენე ვორე, ქორბას ვორე, სოთი ვა იყონდათ!“[2] (ორსულად ვარ, ფეხმძიმედ ვარ, არსად არ დაყოვნდეთ).

„უხვენე“-ში „ვ“ განვითარებული ჩანს. თვით ლექსემა ისეთივე ფორმისაა, როგორც მეგრული „უხენე“.

მეგრულში „უხენოს“ პარალელურად არსებობს „უხინო“ ფორმაც[3]. წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯგალში არსებობს ასეთი თქმა: „ვამხე სქუა“, იტყვიან უგვანო შვილზე.[4]

ანგარიშგასაწევია ის გარემოება, რომ ბასკურად „ჰალა“ (შდრ. მეგრული „ხალა“ — შობა) ნიშნავს ქალს, ხოლო „ჰალაბა“ — ქალიშვილს. „ჰალა“ — ქალი, „ბა“ — საერთოდ შვილი (дитя[5]). ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს.

მეგრულად „ცორი“ ეწოდება ნეზვ ღორს, ე. ი. სემანტიკურად იგი მდედრობითი სქესის აღმნიშვნელი სიტყვაა. ქართული ენის ფერეიდნულ დიალექტში „ყორა“ ეწოდება ქალიშვილს. ფერეიდნული დიალექტის ერთ-ერთ ტექსტში ვკითხულობთ: „ბიჭი და ყორი (რო ქალს დავძახით!) წინასწარ მოიწონებენ ერთმანეთს“.[6] ასევე: „იქ ერთი

---

[1] მ. ხ უ ბ უ ა, მეგრული ტექსტები, თბ., 1937, გვ.212.

[2] ირ. ა ს ა თ ი ა ნ ი, ჰანური (ლაზური) ტექსტები (ხოფური კილოკავი), არნ. ჩიქობავას რედაქტორობით, თბ., 1974, გვ.164.

[3] ცნობა მოგვაწოდა დოცენტმა ა. გ ა დ ი ლ ი ა მ. იგი დაბადებული და გაზრდილია მარტვილის რაიონის სოფ. კირცხმი. მას ეს სიტყვა ბავშვობაში გაუგონია.

[4] ცნობა მოგვაწოდა დოცენტმა რ. ს ა ლ ი ა მ.

[5] ი. ზ ი ც ა რ ი ს ცნობა. „ხე“, „ფხე“-ს მიმართებას ბასკურთან პირველად ყურადღება მიაქცია ნ. მ ა რ მ ა და სათანადო გამოკვლევაც უძღვნა. იხ. მისი Избранные работы, М. — Л., 1935, გვ.467 — 468.

[6] ზ. შ ა რ ა შ ე ნ ი ძ ე, ფერეიდნელი „გურჯები“, თბ., 1979, გვ.176.

ბიჟი ერთ ყორს მაიწონებს"...[1]

„ყორ" (ცორ) სიტყვა ხომ არა გვაქვს „ცოროფაში" (სიყვარული)? მსგავსი ვითარება ხომ არ შეინიშნება მეგრულ „ხალასა" და ბასკურ „ჰალას" შორის. ეს სიტყვები ფონეტიკურად და სემანტიკურადაც (ორივე დაკავშირებულია მდედრობით სქესთან, ქალთან) ერთმანეთთან ახლოს დგას. ამ პოზიციას ერთგვარად თითქოს ამაგრებს ის გარემოებაც, რომ ენათა იბერიულ-კავკასიურ ოჯახში შემავალ აფხაზურ ენაშიც შობა აღინიშნება ფონეტიკურად „ხალა"-სთან ახლოს მდგომი და ხ ძირისაგან შედგენილი სიტყვით — „ახშარა", „ახჟარა".[2]

პ. ჰარაიას თავის ცნობილ გამოკვლევაში, უდარებს რა ერთმანეთს ამ ორ აფხაზურ და მეგრულ სიტყვას, დამატებით მოჰყავს აფხაზური ენის კიდევ ერთი დიალექტური ფორმა ა-ხუა-რა (იმოწმებს უსლარს). ამასთან იგი დასძენს: Черк. рождать, кажется, того же корня, напр. кабард. Тхон (თხონ. —ო.ჯ.) (იმოწმებს ლოპალინსკის) — родить.»[3]

ეს დამთხვევაც ბევრის მეტყველია. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ამ სიტყვებში იბერიულ-კავკასიური ენებისათვის საერთოა ძირი „ხ". მეგრულ-ჭანურ „ხე"- „მხე"-ს, აფხაზურ „ფჰა"-ს ფონეტიკურად და ნაწილობრივ შინაარსეულადაც მიესადაგება ადიღური „ხუ", რაც კაცს ნიშნავს.[4] ასევე აფხაზური „ახი" ნიშნავს თავს,[5] ხოლო ჩერქეზული ენის კიახურ დიალექტზე ჴიუა (საერთო-ადიღური „ყვას" სახენაცვალი) ნიშნავს შვილს[6]. ჩერქეზული ენის აბაძეხურ დიალექტზე ჴუა ნიშნავს ძეს, შვილს.[7] ანალოგიური მდგომარეობაა ყაბარდოულ-

---

[1] თ. უთურგაიძე, დ. ჩხუბიანაშვილი, ჯ. გიუნაშვილი, ფერეიდნული მეტყველების შესწავლისათვის. „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება", ტ.XXI, 1979, გვ.86.

[2] რუსულ-აფხაზური ლექსიკონი, სოხუმი, 1964. ხ. ბლაებას რედ., გვ.502.

[3] პ. ჰარაიას დასახ. ნაშრომი, გვ.40 — 41. ამ სიტყვების ეტიმოლოგიის ძიებისას პ. ჰარაიამ მოიტანა პარალელები ეგვიპტური ენიდანაც. მისი აზრით, ეგვიპტური სიტყვა „ხ" (აისი, ნათება, გამოსხივება) რაღაცნაირად მიესადაგება ქართულ-აფხაზურ სიტყვებს. ამ წიგნის რედაქტორმა ნ. მარმა ასეთ შორეულ პარალელებს უწოდა მიამიტური ძიება (იქვე, გვ.71, სქოლიო, შენიშვნა მე-2).

[4] Х. С. Бгажба, Этюды и исследования, Сухуми, 1974, გვ.156. ხ. ბლაება, ეყრდნობა გ. როგავას ცნობას, წყაროს არ ასახელებს.

[5] რუსულ-აფხაზური ლექსიკონი, სოხუმი, 1964, გვ.154.

[6] ს. ჯანაშია, ეგნატე ინგოროყვას გენეალოგიისათვის, შრომები, ტ.II, თბ., 1952, გვ.485.

[7] ს. ჯანაშია, შრომები, ტ.IV, თბ., 1968, გვ. 117.

სა და შაფსულურში, სადაც ყუა უდრის ძეს, შვილს.[1] ტაბასარანულ ენაში ცხოველთა სამყაროში მამრობითი სქესის აღსანიშნავად იხმარება სიტყვა „ხიბი“.[2]

„უხენო“ ზმნაა მესამე პირში (მა მიხენო, სი გიხენო, თის უხენო). იგი ნაწარმოებია „ხე(ნ)-ზის (ძვ. ქართული „ზინ“,[3] სიტყვისაგან). „ხენ“ სიტყვაში „ენ“ სუფიქსია, ხოლო ძირი „ხ“.

ახლა გასარკვევია, თუ რა მიმართებაშია ერთმანეთთან „ხელ“-ი (ნაშვი). მისი საწყისი ფორმა „ხალა“ (შობა) და „უხენო“?

„ხალა“-ში „ხ“ არის ძირი, „ალ“ — ფუძის მაწარმოებელი. არნ. ჩიქობავა, როდესაც ეხება მხევალ სიტყვას, აქ „ალ“-ს სწორედ ამ ნიშნით გამოყოფს.[4] „ხალა“-ში „ალ“ უდავოდ სუფიქსია, რადგან მისგან ნაწარმოებ მიმღეობაში „ხ-ელ-ი“ (ნაშვი) გამოიყოფა „ხ“ ძირი. ეგევე ძირი ჩანს „ხალა„-საგან ნაწარმოებ სიტყვებში: „მა-ხ-ალი (მშობადი), „უ-ხ-აფუ“ (უშვი), „ხ-ან-ს“ (შობს), „გე-ხ-უ“ (შვა).

„უხენო“-ში უ-ო მაწარმოებლებია. შდრ. „უ-ჩქუნ-ო“ (იცის), „უ-ყორს-ო“ (უყვარს), „უ-ღუნ-ო“ (აქვს) და სხვ. აფიქსების მოშორების შემდეგ დარჩა „ხენ“.

არნ.ჩიქობავამ ხენ/ხედ მეგრულ-ჭანური სიტყვის თანაფარდად ქართულში გამოყო „ს-ხ-ედ“. ჭანური „ხედ/ხუნ“ (ჯდომა), მეგრული „ხე(ნ)“, „ხოდ“, „ხუნ“ (ჯდომა) და ქართულ „სხედ“ სიტყვებში. მეცნიერის აზრით, „ძირეულია ხ-,-ედ/-უნ-სუფიქსებია. უკანასკნელი კაუზატივისაა. ქართულში ეს ძირი-ედ სუფიქსით მრავლობითში იხმარება, მას თან წინ -ს მიერთვის, ს-ხ-ენ ან ს-ხ-ენ-ედ... (სხენედ იგინი სენაკებს)“.[5] ზანური „ხ“ ძირის ქართულთან შესატყვისობის შესახებ სხვაგვარი ვარაუდი გამოთქვეს თ.გამყრელიძემ და გ.მაჭავარიანმა. მათი აზრით: „ზან. ხ- ძირი შესატყვისი უნდა იყოს ქართ. ჯედ-ფუძისა (მჯედ-არ-, სა-ჯედ-არ, რომელიც ჯ ძირსა და -ედ სუფიქსს უნდა შეიცავდეს (დამოწმებულია ვ.თოფურიას შრომა.— ო. ჯ.); შდრ. მეგრ. ხ-ე (ნ) „ზის“ — დო-ხო-დ-უ „დაჯდა“. ჭან. ხ-ე-ნ

---

[1] ს. ჯანაშია, შრომები, ტ.IV, თბ., 1968, გვ. 199 — 123.

[2] П. К. Уелар. Этимология Кавказа, Языкознание, VIII, Табасаранский язык, тб., 1979, გვ.115.

[3] არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942, გვ.105.

[4] იქვე. გვ. 26.

[5] არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938, გვ.422.

დო-ხედ-უ".[1]

ამ გარემოებას, კერძოდ, რა ძირი შეესაბამება ქართულში მეგრულ ხ-ს „ჯედ"-ის „ჯ" თუ „სხედ"-ის „სხ", ჩვენთვის არა აქვს პრინციპული მნიშვნელობა. მთავარი ის არის, რომ მეგრ-ჭან. ხენ/ხედ ფუძეს სემანტიკურად შეესაბამება სხდომაც და ჯდომაც (შდრ. „ალუხე" — უზის).

დადგენილი ფაქტია, რომ მეგრულში **ნ** ბოლოკიდურიანი აფიქსები **ნ**-ს ხშირად კარგავენ, რასაც თავის დროზე ყურადღება მიაქციეს ს.ჯანაშიამ, არნ.ჩიქობავამ და სხვებმა. ეს უკანასკნელი აღნიშნავს: „მეგრულში **ნ** ვერ ძლებს სიტყვის ბოლოს, ოღონდ სხვა ბგერით კი არ იცვლება, არამედ შეუნაცვლებლად იკარგვის... მა—მან „მე", ჩქი—ჩქინ- ჩქუნ „ჩვენ"...

მეგრულს ბოლოკიდური -ლ-ც ეკარგება: ხე-ხელ „ხელი", ჯა-ჯალ „ძელი", ჯიმა-ჯიმალ „ძმა" და სხვ.[2]

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არნ.ჩიქობავას შემდეგი დაკვირვება: „ყურადღებას იქცევს ის, რომ: 1. ზმნის ბოლოს -ნ ძველ ქართულში არ იკარგება (ზი-ნ, დგ-ან, ადიდე-ნ...),მეგრულში -ნ ზმნის ბოლოსაც უჩინარდება, რე(ნ), „არის", ხუ(ნ) „ზის", დგუ (ნ) „დგას".[3]

მაშასადამე, მეგრულში -ელ, -ენ, -ან სუფიქსებით დაბოლოებულ სახელებში, როგორც წესი, **ნ**, **ლ** უჩინარდებიან. ამის მაგალითები ზემოთ საკმაოდ იყო მოტანილი. სხვათა შორის, ეს თავისებურება შეიმჩნევა „ია" და „ა"-ზე დაბოლოებულ მეგრულ გვარებშიც (წულუკია-წულუკიანი, ბერია-ბერიანი, გოშუა-გოშუანი, მურღულია-მურღულიანი და სხვ.). ამ გარემოებაზე გარკვევით არის მითითებული სამეცნიერო ლიტერატურაში (ს. ჯანაშია, მ. ქალდანი). ამ ბოლო დროს აღნიშნულ საკითხზე საინტერესო გამოკვლევა გამოაქვეყნა ჯ.ონიანმა.[4]

---

[1] თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში. თბ., 1965, გვ.135. სქოლიო.

[2] არნ. ჩიქობავა. სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში. თბ., 1942. გვ.104 — 105.

სხვათა შორის, მეგრულში „ლ"-ს არამყარობას ყურადღება მიაქცია ალ. ცაგარელმა. მან მიუთითა ასეთ მაგალითებზე: ჩიი და ჩილი (ცოლი), კაათი და კალათი, ახაი და ახალი.

[3] არნ. ჩიქობავა. დასახ. ნაშრომი, გვ.105.

[4] ჯ. ონიანი, სვანური გვარის ეთნო-ლინგვისტური ანალიზისათვის, „მაცნე", ენისა და ლიტერატურის სერია, 1979, №2, გვ.84 და შემდეგ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მდედრობითი სქესის აღმნიშვნელი მეგრული ელემენტი „ხე" (დადი-ა — დადი-ხე...) მიღებულია „**ხელ**"-ისაგან „**ლ**"-ს მოკვეცით.

როგორც წარმოებით, ისე სემანტიკურად „ხელ"-ი იგივეა, რაც ქართული ნაშვი. შვილი. ისინი ნაზმნარი სახელებია. შინაარსითაც იდენტურნი.

მეგრულად გვარი „გუგუშვილი" შეიძლება გადმოიცეს რამდენიმე ვარიანტად: **გუგუ**-სკუა, გუგუ-**სკირი**, **გუგუ(ნ)ავა**, გუგუ-**ა** და გუგუ-**ხე**, პირველი ოთხი (სკუა, სკირი, ავა, ა) მიუთითებს ამ გვარის მამრობით წარმომადგენელზე, ხოლო „ხე" მიგვანიშნებს მდედრობითზე.[1]

როგორც ჩანს, ეს „ხე(ლ)" ისევე ძველია, როგორც სვანურში შემორჩენილი საერთო ქართული -ან სუფიქსი (ქალდ-**ან**-ი, გულედ-**ან**-ი, ხორგუ-**ან**-ი და სხვ.). მითითებულია, რომ ეს „-**ან**" ერთ დროს უნდა ყოფილიყო საერთო ქართული შვილის აღმნიშვნელი სიტყვა.[2]

მეგრულში გვარების ერთი წყების წარმოებისას „ან" მაწარმოებლისაგან დარჩა „ა" ფორმანტი, რომელიც ფიქსირებულია ა-სა და ია-ზე დაბოლოებულ მეგრულ გვარებში: ნაჭყები-ა, გობეჩი-ა, სტეფანი-ა, ხაზალი-ა ბები-ა და სხვ. მათი სვანური მოდელი, რომელიც დღეს მიჩნეულია უძველეს საერთო ქართულ ფორმად, რომლის საფუძველზე იწარმოებოდა მეგრული გვარების ერთი ნაწილიც. მიიღებდა ასეთ სახეს: ნაჭყები-**ან**-ი, გობეჩი-**ან**-ი, სტეფანი-**ან**-ი, ხაზალი-**ან**-ი, ბები-**ან**-ი.

ცნობილია, რომ გვარსახელთა წარმოშობა დაკავშირებულია ანთროპონიმებთან, ეპონიმებთან, ეთნონიმებთან, ტოპონიმებთან, ჰიდრონიმებთან და ა.შ. ძველ ქართულ წყაროებში, კერძოდ „ტბეთის სულთა მატიანეში", ფიქსირებულია ქართული გვარების ასეთი წარმოება: გორგას-ძე, ახალას-ძე, ბერას-ძე, გაბრიჩის-ძე, გივის-შვილი, თავდიდის-ძე, მგელას-ძე, როსტომის-ძე, დვალის-შვილი, ღაღანის-ძე და სხვ.[3]

ამ გვარების უმეტესობის ძირეული ნაწილი საკუთარი სახელებია: გორგა, ახალა, ბერა, გაბრიჩი, გივი, თავდიდი, მგელა, როსტომ,

---

[1] ანალოგიური მაგალითი მოჰყავს თითქმის ყველა მკვლევარს, რომლებიც კი ამ საკითხს შეეხებიან, ამიტომ მათ არ ვასახელებთ.

[2] ა. შ ა ნ ი ძ ე. ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, თბ., 1953, გვ.124. ჯ. ონიანი, დასახ. ნაშრომი, გვ.81.

[3] „ტბეთის სულთა მატიანე", ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებელი დაურთო თ. ე ნ უ ქ ი ძ ე მ, თბ., 1977, გვ.140 — 142.

ეთნონიმია დვალი და ა.შ. ეს გვარები ნათესაობითი ბრუნვით არის ნაწარმოები. ცნობილია, ეს ბრუნვა კუთვნილებას, წარმომავლობას გამოხატავს. დროთა ვითარებაში ნათესაობითი ბრუნვის ფლექსია შეიკუმშა და მივიღეთ გორგა-ძე, ახალა-ძე და ა.შ.

ამ პრინციპითაა ნაწარმოები სვანური გვარებიც, ს.ჯანაშიას კვალდაკვალ[1], ჯ.ონიანმა სვანური გვარის წარმოშობის ასეთი მოდელი შემოგვთავაზა:

„ავალ-ავალ-იშ-ან-ი (ქართული ავალ-ის-ან-ი) — ავალიანი, ონი-ონი-იშ-ან-ი (ქართული ონი-სან-ი)-ონი-ან-ი, ბერი — ბერ-იშ-ან-ი (ქართული ბერ-ის-ან-ი) — ბერი-ან-ი, დადი — დადი-იშ-ან-ი (ქართული დადი-ს-ან-ი) — დადი-ან-ი, გიგა — გიგა-იშ-ან-ი (ქართული გიგა-ს-ან-ი) — გიგა-ან-ი და ა. შ. თანხმოვნით დაბოლოებულ სახელებიდან მიღებულ გვარებში დაიკარგა ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი -**იშ** (ქართული -**ის**) ფორმიდან **შ** (ქართული -**ს**) **ა,ე,ი,ო,უ,** ხმოვნებით დაბოლოებულ სახელებიდან მომდინარე გვარებში კი **იშ, ეშ, აშ, ოშ,უშ** ფორმანტები."[2]

უცილობლად ანალოგიური წარმოშობისაა მეგრული გვარებიც: პაპა-ში-სკუა. „პაპა„ საკუთარი ან საზოგადო სახელია. „ში"—ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი, ხოლო „სკუა" — შვილი, მაშასადამე, პაპაშისკუა იქნება პაპასშვილი. მეგრულში, ისე. როგორც სვანურსა და ქართულში (ნიკოლას-ძე — ნიკოლაძე). „ჩავარდა" ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი და მივიღეთ პაპასკუა. ასევეა ნაწარმოები კვეკვე(ში)სკუა, კვეკვე(ში)სკირი, გეგე(ში)ჭკორი (გეგე მეგრულად წმინდა გიორგის სახელია. ხოლო ჭკორი — ყმა. გეგეჭკორი კი წმინდა გიორგის ყმა). ყურა(ში)სკუა და სხვ.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ჭანური გვარები იწარმოება შვილის აღმნიშვნელი სიტყვის (სკიი — სკირი) დართვის გარეშე მხოლოდ ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის მეშვეობით, მაგალითად: დადალი-ში (ქართ.დადალი-სი), ხაჯალი-ში (ხაჯალი-სი), კურთხალი-ში (კურთხა-ლი-სი), ბექირი-ში (ბექირ-ისი), სოფი-ში (სოფი-სი) და ა.შ.

ძველ მეგრულსაც უნდა ჰქონოდა გვარის მაწარმოებლად საერთო ქართული ფორმანტი **ან** სვანურის მსგავსად (ეს გააჩნდა საერთო

---

[1] ს. ჯანაშია, თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი, შრომები, ტ.III, თბ., 1959, გვ.211.

[2] ჯ. ონიანი. დასახ. ნაშრომი, გვ.82.

ქართულსაც. რაც ა.შანიძის დაკვირვებით, ნათლად ჩანს აღმოსავლურ ქართულ გვარებში: ციცი-ან-თი, ოძელა-ან-ნ-ი და ა. შ.)[1], მაგრამ ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნული იმ თავისებური წესის მიხედვით, რომ **-ენ** და **-ელ** სუფიქსები მეგრულში, როგორც წესი, კარგავენ **ნ** და **ლ** თანხმოვნებს, მეგრულმა **-ან** სუფიქსიდან **ნ** დაკარგა და მივიღეთ არა გადელიანი, არამედ გადელია, არა ანთელაანი, არამედ ანთელა(ვ)ა და ა.შ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გვარის მაწარმოებელი ზანური ფორმანტები: -სკირი, -სკუა, -სქილი. -ჭკორი. -უა, -ა, -ავა აღნიშნავენ მამრობითი სქესის შთამომავლობას. გვაქვს ამჟამად, და მით უმეტეს უნდა გვქონოდა ძველადაც. გვარში მდედრობითი სქესის აღმნიშვნელი ფორმანტი ხე(ლ)[2] იგი თავდაპირველად ასეთი ფორმით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი: კვეკვე-ში-ხელ-ი. (შდრ.კვეკვე-ში-სკუა)-კვეკვე-ს ნაშვი (ასული), ხოლო დროთა ვითარებაში მომხდარი ცვლილებით მივიღეთ: კვეკვე-(ში)-ხე(ლ), ე. ი. კვეკვე-ხე, რაც ნიშნავს კვეკვეს ქალიშვილს, კვეკვესკირების ოჯახის ასულს. ანალოგიურად უნდა იყოს ნაწარმოები. პაპა(ში)-ხე(ლ). ჩხოლარი -(ში)-ხე(ლ), ცა-(ში)-ხე(ლ) და ა. შ.

იმავე კანონზომიერების ძალით, რითაც მეგრულში საერთო-ქართულ -ან სუფიქსს, გვარის მაწარმოებელს (თავის დროზე, როგორც მიუთითებს აკად.ა.შანიძე, შვილის აღმნიშვნელს), ჩამოსცილდა ნ (ცხომარი-ა (ნ). ასევე დადი-ხე-ში ხელ-ს ჩამოსცილდა ლ და მივიღეთ ხე დამოუკიდებელი ფორმანტი, გვარში მდედრობითი სქესის წარმომადგენლის აღმნიშვნელი.

ამ „ხე(ლ)"-ით ნაწარმოებ მეგრულ გვარებს ანალოგი გააჩნდა ძველ ქართულშიც „სახლის-ნაშჯს" ფორმით. ჩვენ ზემოთ გავარკვიეთ, რომ მეგრ. „ხელ"-ს შეესაბამება ქართული „ნაშჯ", რომელიც ძველ ქართულში ასევე იყო გვარის მაწარმოებელი. ამის თაობაზე ივ. ჯავახიშვილი წერდა: „ნაშჯ რთულ სიტყვაშია დაცული. ს. ორბელიანს თავის ლექსიკონში შეტანილი აქვს სახლის-ნაშჯ, რომლის შესახებაც ნათქვამი აქვს: „სახლის ნაშჯ, სახლის ნაშობი ვისიცა. მჰევალის ბუში, ორივე ერთი მგონია" (საბას დამოწმებული აქვს „და-

---

[1] ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ.124.

[2] ასეთი ვარაუდი გამოთქვა ი. მ ე გ რ ე ლ ი ძ ე მ ჯერ კიდევ 1938 წელს, მაგრამ ამისი დასამტკიცებელი არგუმენტები არ მოჰყავს (იხ. И. В. М е г р е л и д з е, Лазский и мегрельский слои гурийском, М. — Л., 1938. გვ.137 — 138).

ბადება")[1].

ივ.ჯავახიშვილის მითითებით, ძველ ქართულში გვხვდება „სახლის-წულნი" ფორმაც. როგორც ცნობილია, ძველ ქართულში „წული" ნიშნავდა საერთოდ შვილს კი არა, არამედ უშუალოდ ვაჟიშვილს, რაც დამოწმებულია წყაროებში.

„ქართლის ცხოვრებაში" ვკითხულობთ: „ვითარცა იტყვის ესაია: აღაღე და წარწყმიდე ყოველი **წული** მათი."[2]

„ქართლის ცხოვრების" დართულ ლექსიკონში ვკითხულობთ: წული-ვაჟიშვილი.

ს.-ს. ორბელიანიც წულს განმარტავს ვაჟად: „წული ვაჟი (34.24დაბად.)[3] „**დისწული** დის ვაჟი".[4] „**საწულო** მამაკაცის ასონი".[5]

მეტად საინტერესოა ის გარემოება, რომ ილ. აბულაძეს წულის (ვაჟის) გვერდით ფიქსირებული აქვს „**წულებრივიც**", რაც ნიშნავს მამრს, მისი საპირისპირო ფორმა ყოფილა **მდედრი**.[6]

XIV — XV სს. ქრონიკაში „ძეგლი ერისთავთა" ვკითხულობთ: „მაშინ ევედრებოდა ღმერთსა (ქსნის ერისთავი იოანე — ო. ჯ.) ყოვლით ერთურთ მოცემად შვილისა და შეისმინა ღმერთმან ვედრება მათისა და მიეცათ მათ ყრმა **წული**".[7]

აქ რომ **წული** ვაჟიშვილზე მიუთითებს, ეს ძეგლის მომდევნო სტრიქონებიდან ჩანს. ამ ერისთავის მეუღლემ მეორედ შობა ქალიშვილი. ამის გამო დოკუმენტში მითითებულია: „მუცლად იღო კვალად და შუა **ქალი**."[8] მაშასადამე. **ქალი** უდრის ასულს, ხოლო წული — ძეს. ვაჟიშვილს.

ამრიგად, ძველ ქართულს ჰქონდა საგანგებოდ ვაჟის აღმნიშვნელი სიტყვა — **წული**. ძმისწული ნიშნავდა ძმის არა საერთოდ შვილს, არამედ ვაჟიშვილს, რომლის საპირისპირო ცნებას გამოხატავდა **ასუ-**

---

[1] ივ. ჯავახიშვილი. ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937. გვ.199.

[2] „ქართლის ცხოვრება", ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ.1. თბ., 1955, გვ.164.

[3] ს.-ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი. პროფ. ი. ყიფშიძის და პროფ. ა. შანიძის რედაქციით. თბ., 1928. გვ.441.

[4] იქვე, გვ.100.

[5] იქვე, გვ.306.

[6] ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ.552.

[7] თ. ქორდანია. ქრონიკები. ტ. 2. გვ.12.

[8] იქვე.

ლი. საბასთან ეს ასეა განმარტებული: „ასული შვილი ქალი.“[1]

ამრიგად, ქართულს ძველად ჰქონია სათანადო ტერმინები: **წული** -ვაჟი, **ნაშჯ** — შვილი საერთოდ, შვილი ორივე სქესის აღსანიშნავად, და **ასული** — ქალიშვილი.

წულის ეტიმოლოგიაზე ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ ასულს ქართული წარმოშობის სიტყვად არ თვლიან სპეციალისტები, იგი მიაჩნიათ ოსური ენობრივი სამყაროს კუთვნილებად.[2]

სიტყვათწარმოების ერთი, ჩვენთვის მეტად საყურადღებო, წესი არსებობს ზემოიმერულ კილოკავში.

შ.ძიძიგური თავის გამოკვლევაში, რომელიც ეძღვნება თერჯოლურ მეტყველებას, აღნიშნავს: „თუ ქალია გვარის წარმომადგენელი, სათანადო გვარის სახელი გაფორმებულია **ოურ** (დისიმილაციით **ოულ**) სუფიქსით: ჩუბინოური — ჩუბინიძის ქალი. ჰანკვეტოური — ჰანკვეტაძის ქალი, მაკაროული-მაკარაძის ქალი, რობაქოული-რობაქიძის ქალი. ნეფსოური — ნეფსაძის ქალი... ამგვარი წარმოება შემჩნეულია ზემო რაჭულშიც. ეს იგივე მოვლენაა, როგორიც დადასტურებულია გ უ რ უ ლ - ქ ვ ე მ ო ი მ ე რ უ ლ შ ი , ფ ხ ე / ხ ე - ს დართვით რომ გადმოიცემა.“ ავტორი დასძენს, რომ „სათანადო სუფიქსაცია ახასიათებს ისეთ გვარებს, რომელთა წარმომადგენლები წოდებრივად გლეხურ ფენას განეკუთვნებოდნენ. აზნაურთა თუ თავადთა გვარებს ეს სუფიქსი არ მოუდიოდა. მაგალითად, ამბობენ: მაჭავარიანის ქალი (და არა მაჭავარიანოული), ჩხეიძის ქალი, ერისთავის ქალი და მისთ“.[3]

ახლა ვნახოთ, როგორი ვითარებაა მეგრულში:

მეგრულში სქუა (სკუა) ნიშნავს საერთოდ შვილს განურჩევლად სქესისა. ისე, როგორც ქართულში შვილი. ეს ჩანს ფორმებიდან: ქომოლისქუა (ქომოლი — ვაჟი, კაცი, სქუა — შვილი, ე. ი. ვაჟი-შვილი) და ცირასქუა, ოსურსქუა, (ცირა — გოგო, ქალიშვილი, ოსური — ქალი) — ქალიშვილი.

სქუა(/სკუა) ადეკვატურია ქართული შვილისა, მათ ძირიც საერთო აქვთ (სქ//შვ)[4].

---

[1] ს.-ს. ორბელიანი, ლექსიკონი, გვ. 21.

[2] გ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან. თბ., 1966. გვ.110.

[3] შ. ძიძიგური, ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბ., 1954, გვ.163.

[4] არნ. ჩიქობავა, ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938. გვ.21.

ი. ყიფშიძეს დამოწმებული აქვს ასეთი საინტერესო ფორმა: „ხენწიფეში სქუა-ბოშიქ უწუუ“...[1] აქ სქუა-ბოში (შვილი-ვაჟი, ე. ი. ბიჭი, ვაჟიშვილი).

მეგრულში სქუას საერთოდ შვილის აღმნიშვნელი სიტყვის გარდა მიმოქცევაში იყო **სკი** და **ხე** გრამატიკული საშუალებები სქესის გასარჩევად. **სკი**-მამრობითი სქესის აღმნიშვნელი, ხოლო **ხე**-მდედრობითისა.

ილორის ეკლესიაში სალოცავად მისული ქალები წმინდა გიორგის ვაჟის(!) ყოლას თურმე ასე შესთხოვდნენ: „ჩქიმი **სკი** დო კვეთი ვაშაყოთა, ჩქიმი ორდალო ქუმაჩუქია“.[2] (ჩემი ძე და წილი არ მოსპო. ჩემს გასაზრდელად მაჩუქეო).

აქ სკი უშუალოდ ძე-ზე. ვაჟიშვილზე მიუთითებს. ზემოთ მოყვანილ სალოცავში ქალები წმინდა გიორგის სწორედ ვაჟის ყოლას შესთხოვდნენ და არა საერთოდ შვილისა.[3]

ანალოგიური ვითარება იყო წაჩხურის (მარტვილის რ-ნი) მ თ ა ვ ა რ ა ნ გ ე ლ ო ზ ი ს ეკლესიაში. აქ ესვენა წაჩხურის მთავარანგელოზის ხატი, რომელსაც უწოდებდნენ „მოსკე წაჩხურს“, ე. ი. ვაჟების მომცემს. სალოცავად აქ ის ქალები მოდიოდნენ, რომლებიც უშუალოდ ვაჟის შეძენის მოსურნენი იყვნენ. წაჩხურობას (იგი იმართებოდა ნაადგომევის პირველ ხუთშაბათს) ვაჟის მოსურნე ცოლ-ქმარი მიდიოდა ეკლესიაში და თან მიჰქონდათ: „თავიანთი სიგრძის სანთელი, ვერცხლის ძაფი, სანთელ-საკმეველი, ფული და აკვნის გამოსახულება. აქ ხატის წინ მათ დააჩოქებდა მნათე, დაამწყალობებდა და ხატს შესთხოვდა, მიეცა მათთვის შვილი, სახელდობრ ვაჟი.“[4]

ანგარიშგასაწევი ფაქტია, მაშასადამე, წულის მეგრული თანატოლია **სკი**- ვაჟი.

ლაზურად **სკი** ვაჟს ეწოდება. „სკიი ჩქიმი“ (ჩემო ბიჭო, ვაჟო). მაგრამ ლაზურად „ჩემო შვილო“ იქნება „ბეე (ბერე) ჩქიმი“. „სკიი ჩქიმის“ ეტყვიან მხოლოდ ვაჟიშვილს.

ძველ ქართულ გვარებს, როგორც დღეს მითითებულია სამეცნიერო ლიტერატურაში, უნდა ჰქონოდა მდედრობითი სქესის

---

[1] ი. ყ ი ფ შ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ.64.

[2] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ.351.

[3] იქვე.

[4] იქვე, გვ. 365 — 366.

გამომხატველი ფორმანტები, სუფიქსები. აი, რა საინტერესო დაკვირვებას გვაწვდის „ტბეთის სულთა მატიანის“ გამომცემელი თ. ენუქიძე: „ტბეთის სულთა მატიანის“ მიხედვით „ქალისა და მამაკაცის გვარები თავისი წარმოებით განსხვავდება ერთმანეთისაგან: ნაწილაკები **ძე**, **შვილი** და უმეტესი გამონაკლისით, **ეთ**-ი აწარმოებს მამაკაცის გვარებს, ურ და ულ აწარმოებენ მხოლოდ ქალის სახელებსა და გვარებს. **ფხე** კი მხოლოდ ქალის გვარებს. აქვე გვაქვს იშვიათი შემთხვევა. როცა **ფხე**-ზე დაბოლოებულ გვარებს ემატება **შვილი**-ც და ვიღებთ ორი ფორმანტით წარმოებულ გვარს. ესენია: ნიკოლა-ფხე-შვილი გოგა, ნიკოლა-ფხე-შვილი ცისკარა, ნიკოლა-ფხე-შვილი ლაზარე.“[1]

აქ საყურადღებოა რამდენიმე გარემოება: 1. ძველ ქართულს, ყოველ შემთხვევაში, ამ ძეგლის მიხედვით მაინც, ჰქონდა საშუალება, გარკვეული გრამატიკული ფორმებით განსხვავებულად გადმოეცა მამაკაცისა და დედაკაცის გვარები. 2. ძველ ქართულ წყაროებში გვხვდება ფორმანტად „**ფხე**“ მაწარმოებელი (ასეთია „ტბეთის სულთა მატიანეში“ **შერაფხე** ცხორება). 3. საინტერესო მოვლენაა, რომ გვაქვს გვარის ორმაგი წარმოება — ნიკოლა-ფხე-შვილი და ამ სახით მხოლოდ მამრობითი სქესის წარმომადგენელი იგულისხმება.

ფხე ნაწილაკი გვარის მდედრობითი სქესის წარმომადგენლის აღმნიშვნელად ძველ ქართულ ძეგლებში საკმაოდ ხშირად გვხვდება. აკად. ე. თაყაიშვილმა პარხლის ტაძრის (X ს.) ერთ-ერთ წარწერაში (მე-8 თაღისა) ამოიკითხა გვარი შემწირველისა „**შანიფხე**“. ამის თაობაზე მეცნიერი მიუთითებდა: „В слове «Шанипхе» обращает на себя внимание чано-мегрельское окончание «пхе» (дочь, женщина), которое прибавляется к концу фамильных названий для обозначения лиц женского пола (დამოწმებულია პროფ. ი. მეგრელიძის გამოკვლევა — ო. ჯ.) Мужское окончание этой фамилии будет «дзе», т. е. получается «Шанидзе» — фамилия, которая сохранилась и поныне в Грузии».[2]

მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა ის, რომ სვანეთის სულთა მატიანეებშიც გვხვდება „ფხე“ და „ფხუ“ ნაწილაკები გვარის მდედრობითი სქესის წარმომადგენლის აღმნიშვნელად. ხომ. არ მიუთითებს ეს იმ გარემოებაზე, რომ სვანებში ისინი ისევე იყო ხმარებაში,

---

[1] ტბეთის სულთა მატიანე...“ გვ.39 — 40.

[2] Е. Такаишвили, Археологическая экспедиция 1917-го года в южные провинции Грузии, СПБ., 1925 გვ. 97.

როგორც მეგრულ-ჭანურში. იმერულსა და გურულში?

პ.ინგოროყვას მიერ 1941 წელს გამოქვეყნებულ XIII ს. მეორე ნახევრის ისტორიულ ძეგლში „მატიანე სუანეთის კრებისა“ მოხსენიებული არიან ..ფხე“-ზე დამთავრებული სვანური გვარები, რომლებიც მიუთითებენ მხოლოდ და მხოლოდ მდედრობით სქესზე. ასეთებია: გურსაფხე. ბეუთმანიფხე. ათარფიხე, გოგორელიფხე, მიქელიფხე. რუმფოხე. უჩინარიფხე.[1]

ასევე „სვანეთის საეკლესიო კრებათა მეორე მატიანეში“ (XVII–XVIII სს.). მოხსენიებულ გვარებში არაერთგზის გვხვდება „ფხე“ და ..ფხუ“ მდედრობითი სქესის აღმნიშვნელად: მაგ., „სულსა მის მეუღლეს მანანურ რეჩეგიფხეს შეუნდოს ღმერთმან“.[2]

ამის წინ კი ვკითხულობთ: „სულსა თათარსაუს რუჩეგიანსა შეუნდოს ღმერთმან“.[3] მაშასადამე, მამრობითი სქესის წარმომადგენლის გვარია ..რუჩეგიანი“. ხოლო მისი მეუღლე იწოდება „რუჩეგიფხე“-დ. აქ ..ფხე“ ეჰვს გარეშეა. ის მეგრულ-ჭანური ფორმანტია, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი. მოვიყვანთ კიდევ მაგალითებს: ..სულსა მის მეუღლეს ელდარფხუს **ჩარკუფხეს** შეუნდვენ ღმერთმან.“[4] ..სულსა მის მეუღლესა კაკუს დიდებულს **დადიშქელაფხეს** შეუნდვენ ღმერთმან“.[5] ასევე გვხვდება გვარები: **გოშოანიფხე**“// გოშოანი)[6], **„შუფხე“** (შუანი)[7], **„დევრიფხე“**(?)[8], „სვილიფხე“ (სვიფლიანი)[9] და სხვ.

..ფხუ“-ზე დაბოლოებული გვარების მაგალითებია: „სულსა მის მეუღლის იმახათს **გელუაფხუს** შეუნდოს ღმერთმან“.[10] „სულსა ანას

---

[1] პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, მატიანე სუანეთის კრებისა, თბ., 1941.

[2] გ. გ ა ს ვ ი ა ნ ი, სვანეთის საეკლესიო კრებათა მეორე მატიანე, იხ. „მაცნე“. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1972, №2, გვ. 115.

[3] იქვე.

[4] იქვე, გვ.116.

[5] იქვე, გვ. 118.

[6] იქვე. გვ. 122.

[7] იქვე.

[8] იქვე. გვ. 123.

[9] იქვე.

[10] იქვე. გვ. 115.

მანაფხუს შეუნდოს ღმერთმან."[1] „სულსა დიდხას **მილდაფხუს** შეუნდოს ღმერთმან"[2] **მილდაფხუ** — მილდიანი და სხვ.

მაშასადამე. „ფხე". „ფხუ" ამ დოკუმენტში მაწარმოებელ ელემენტებად მოჩანს.

„ფხე" და „ფხუ" დაბოლოების შესახებ ამ ძეგლის გამომცემელი გ.გასვიანი შემდეგს წერს: „ფხუ-ფხე" დაბოლოება მდედრობითი სქესის გამომხატველია და ასულს უდრის. მაგალითად: გელუაფხუ (გელოვანი). რუჩეგიფხე (რუჩეგიანი) და სხვ.[3]

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ამ ძეგლში მდედრობითი სქესის აღმნიშვნელად „ფხე" და „ფხუ" დაბოლოებები ყოველთვის არ გამოიყენება. არის შემთხვევები. როდესაც ცოლის გვარი გადმოცემულია სალიტერატურო ენის ჩვეულებრივი საშუალებებით. მაგალითად: „სულსა სულკურთხეულსა სორთმან დადიშქელიანისა შეუნდოს ღმერთმან და მის მეუღლეს ელდარუფხს დევდარიანის ქალსა. შეუნდოს ღმერთმან..."[4]

როგორც ვხედავთ. აქ პირდაპირ. ყოველგვარი ნიშნის გარეშე. არის მითითებული დევდარიანის მეუღლეზე — „დევდარიანის ქალსა". ასევე: „სულსა ციოყს დადიშქელიანსა შეუნდვენ ღმერთმან. სულსა მეუღლესა მისსა აბლას იოსელიანს შეუნდვენ ღმერთმან."[5] „სულსა მის მეუღლე მარინაი რუჩაგიანსა შეუნდვენ ღმერთმან".[6] აქაც სიტყვა „მეუღლით" არის გამოხატული მდედრობითი სქესი.

როგორც ჩანს სვანურში. მეგრულ-ჭანურის მსგავსად. უნდა ყოფილიყო გარკვეული მაჩვენებელი. ნიშანი გრამატიკული მდედრობითი სქესის გადმოსაცემად. ეს იყო „ფხე" და მისი ვარიაცია „ფხუ". დღეს სვანურ ცოცხალ მეტყველებაში „ფხე" და „ფხუ" გვარდაბოლებანი არ იხმარება.

როდესაც „ფხე"-სა და „ფხუ"-ზე დაბოლოებული გვარები გვხვდება დასავლეთ საქართველოს ბარის რეგიონში. იქ დასაშვებია. კაცმა იფიქროს, რომ ზოგიერთი გვარი. ამ ფორმით ნაწარმოები. მართლაც. შემოსულიყო ქართულ სამყაროში აფხაზურიდან. ეს გამორიც-

---

[1] გ. გ ა ს ვ ი ა ნ ი. სვანეთის საეკლესიო კრებათა მეორე მატიანე. იხ. „მაცნე", ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის მეორე სერია, 1972. №2. გვ. 115.

[2] იქვე. გვ.16.

[3] იქვე. გვ. 115. სქოლიო.

[4] იქვე. გვ. 118.

[5] იქვე.

[6] იქვე.

ხული არ არის. ამის მაგალითები საკმაოდ მოიპოვება ქართულ დოკუმენტებში. მაგალითად, თ.ჟორდანია, როდესაც ეხება გელათის დიდ ხუცურ ხელნაწერს „იოსიპოსი" წიგნი ჰურიისა", მიუთითებს, რომ აქ ჩვენ ვხვდებითო აფხაზური წარმოშობის გვარებს: „მებუნიფხე" და „ბობოყვაფხე"-ს.[1]

ეს გამორიცხული არ არის, თუმცა აქ დასახელებულ გვართა შორის პირველი უთუოდ მებონიას (მეგრული გვარის) მდედრობითი წარმოებაა.. დღესაც მეგრულ მეტყველებაში, როგორც ზემოთ დავინახეთ, მებონიათა გვარის მამრობითი სქესის წარმომადგენელი იწოდება მებონია-დ. ხოლო მდედრობითისა — მებონი-ფხე-დ. (აქ „ფ" უთუოდ შემდეგ გაჩენილი ელემენტია). რაც შეეხება ბობოყვაფხეს, ის მართლაც ადიღური წარმოშობის გვარია, — ბობოყვა და შეიძლება აქ ფხე კიდევაც იყოს აფხაზური ფორმანტის **ფხა**-ს ვარიაციული სახესხვაობა და კიდევაც არა. რატომაა გამორიცხული, რომ ბობოყვაფხე ისევე არის ნაწარმოები, როგორც მაგალითად თარბა(მამრ.) და თარბაფხე (მდედრ). საქმის ვითარებაში ჩაუხედავმა მკითხველმა შეიძლება ვერ შეამჩნიოს ერთი თავისებურება. რაც ამ გვარის ამგვარ წარმოებასთან არის დაკავშირებული.

როდესაც გვარების აფხაზურ გრამატიკულ წარმოებასთან გვაქვს საქმე. ფუძეს აკლდება ერთი გვარ-სქესის მაწარმოებელი და ემატება მეორე. მაგ.. ზვანბა მიუთითებს გვარის მამრობით წარმომადგენელზე. რასაც გვანიშნებს „ბა" სუფიქსი, ხოლო ამ გვარის მდედრობითი წარმომადგენელი იქნება ზვანფჰა. „ფჰა" არის სწორედ მანიშნებელი იმისა, რომ ამ გვარის ამ ფორმით მატარებელი ქალია.

ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს მეგრულში. მაგ., ქარჩაა. აქ იგულისხმება მამრობითი სქესის წარმომადგენელი, რასაც გვანიშნებს -ა(ნ) სუფიქსი. ამ გვარის მდედრობითი სქესის წარმომადგენელი იწოდება ასე: ქარჩა-ხე, ამის ანალოგიით: გოგია — გოგიხე, მალაზონია — მალაზონ(ი)ხე და სხვ.

მაგრამ უცხო ენობრივი სამყაროდან შემოსულ გვარებს მეგრულში შენარჩუნებული აქვს გვარის მამრობითობის მაჩვენებელი და მას ემატება მდედრობითობის მაჩვენებელი „ხე". მაგ. არძინბა გვარიდან მდედრობითი სქესი იწარმოება ასე: არძინბა-ხე, თარბადან — თარბახე, მაშასადამე, არძინ-ხე კი არა. არამედ გვარის სრულ მამრობით ფორმას (არძინბა) ემატება მდედრობითი სქესის მაწარმოებელი („ხე" /„ფხე"). ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს ქართულიდან შემოსულ გვარებთანაც: ჰავჰავაძე — ჰავჰავაძეხე. წერეთელი — წერეთელ(ი)-

[1] თ. ჟორდანია. ქრონიკები. ტ. II, გვ. 436.

ხე. იაშვილი — იაშვილ(ი)ხე და ა.შ.

ეს ერთხელ კიდევ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ძველ ქართულ ტექსტებში შესული, ერთი შეხედვით, აფხაზურ-ადიღური გვარები, „ხე", „ფხე" დაბოლოებით ნაწარმოებნი (ბობოყვაფხე, ნიკოლაფხეშვილი, და სხვ.), სინამდვილეში ზანური წარმოების გვარებია. ამასთან, როგორც ზემოთ დავინახეთ, დაბოლოებები — „ხე", „ფხე", „მხე", „ფხუ" ძველი ზანური გრამატიკული მაწარმოებლებია, ისევე, როგორც ძველ ქართულში — ასული, შვილი, ნაშვი.

ეს ერთხელ კიდევ დასტურდება დასავლეთ საქართველოს ყველაზე მაღალმთიანი რეგიონის — სვანეთის „სულთა მატიანეებში" დაცული ფაქტებით, რომელთა მიხედვით სვანური გვარის წარმოებას ვხვდებით „ფხე" და „ფხუ" ფორმანტებით (გოშოანი — გოშოანი-ფხე, შუანი — შუფხე და სხვ).

ეს უკვე დამაფიქრებელია და, ჩვენის აზრით, მიუთითებს ამ გარკვეული გრამატიკული ნიშნების ცხოვრებისეულობაზე, მათ პრაქტიკულ დანიშნულებაზე, ცოცხალ მეტყველებაში გავრცელებულობაზე. სვანურ მეტყველებაში რომ არ ყოფილიყო გავრცელებული „ფხე" („ფხუ") მაწარმოებელი, მას ხუცესი თუ სხვა რომელიმე მსახური თვითნებურად ვერ შეიტანდა საეკლესიო დოკუმენტში. ცნობილია, ამ საბუთებს — სულთა მატიანეებს საკრალური მნიშვნელობა ჰქონდა და ხალხი მათ უმწიკვლოდ ინახავდა და ეპყრობოდა. ეჭვს გარეშეა, რომ წერილობით დოკუმენტში იგი შევიდა ხალხის სამეტყველო ენიდან და დროთა ვითარებაში ქართულმა დახვეწილმა სალიტერატურო ენამ ხმარებიდან გააძევა.

„ფხე"-სა და „მხე"-ში ფ და მ მერე გაჩენილია. ძირეული მაინც ხე ჩანს. ლაზურს (ჭანურს) საერთოდ ახასიათებს სიტყვაში მ-ს ჩართვა ქართულისა და მეგრულისაგან განსხვავებით. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს: ლაზ. მ-თხა, მეგრ.-თხა. ქართ-თხა.ლაზ. — მ-ზესქუ. მეგრ. — ზესქვი. ქართ.—შაშვი. ლაზ.—მ-დღუა, მეგრ. —დღა, ქართ.—დღე. ლაზ. მ-გველი, მეგრ. — გველი, ქართ. გველი. მ-ს პარალელურად გვხვდება ფ ბგერაც. მაგალითად. წისქვილის დოლაბი ჭანურად იქნება — მ-სქიბუ. მეგრ.—სქიბუ, ქართ.—შიბ-ი აქვს შეხამებული ამ ფორმასთან არნ. ჩიქობავას.[1] მსქიბუს პარალელურად აქვს სქიბუ ფორმაც. ანალოგიურია მ-შქერი (ქართ. შქერი).და ფ-შქერი. მ-სკვერი და

[1] არნ. ჩიქობავა. ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938. გვ. 153.

ფ-სკვერი (ირემი),[1] გვაქვს შემთხვევები, როდესაც უშუალოდ „ფ“ არის დამახასიათებელი ჰანურისთვის. მაგ., ლაზ.-ფ-ხუჯი, მეგრ. ხუჯი, ქართ.-მხარი. გარდა ამისა, თვით მეგრულში „ფ“ ხშირადაა განვითარებული, შემდეგ გაჩენილ სიტყვაში. მაგ., უშვილო იქნება — უ-სქ-ე, „თენეფი რდეს უსქე“[2]. (ესენი იყვნენ უძირო (უშვილო), მაგრამ მის პარალელურად გვაქვს უფსკე ფორმაც: „ჟირი ხენწიფე ცოფე, ჟირხოლო უსქე, სქუა ვაჟუნან ეფერი“.[3] (ორი ხელმწიფე ყოფილა, ორივე უძირო (უშვილო), შვილი რომ ჰყავთ, ისეთი).

აქ, როგორც ვხედავთ, „ფ“ ერთგან (უფხვე) განვითარებულა.

შეიძლება დავასკვნათ: „ხე“, „ფხე“, „ფხუ“, „მხე“ მაწარმოებლები „ხე“ გრამატიკული ნიშნის ვარიაციული სახესხვაობებია.

თვით „ხე“ დაბოლოება შეკვეცილი ფორმაა „ხელ“-ისა. რომელიც ზანური (კოლხური სიტყვაა და ნიშნავს — ნაშვს, ნაშობს, შვილს (შობილს). მისი საწყისი ფორმაა „ხალა“. რომელიც როგორც სემანტიკურად, ისე ფონეტიკურად ემსგავსება აფხაზურ ადეკვატს „ა-ხჲ-რა“. ისინი ერთმანეთთან სესხების წესით კი არ არის დაკავშირებული, არამედ საერთო ენობრივი ნათესაური ურთიერთობით. მათ გააჩნიათ საერთო ძირი „ხ“. გავიხსენოთ სიტყვა „გული“: როგორც ცნობილია, „გ“ძირი „გულ“ სიტყვისა საერთოა. ზიარია იბერიულ-კავკასიური ენობრივი სამყაროსათვის.[4]

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ „ხე“, „ფხე“, „ფხუ“, „მხე“ კოლხური (ზანური) წარმოშობისაა. რომელთაც გააჩნიათ პარალელები მონათესავე კავკასიურ ენებში. გამორიცხული არ არის მათი კავშირი ურარტუს გარდასულ ჟამთა ენობრივ სამყაროსთან.

1983

---

[1] არნ. ჩიქობავა, ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი. თბ., 1938. გვ. 153.

[2] მ. ხუბუა, მეგრული ტექსტები. თბ., 1937. გვ. 58.

[3] იქვე. გვ. 249.

[4] არნ. ჩიქობავა, ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი. გვ. 56-66.

აბრსკილის ეტიმოლოგიური გაგებისათვის

ფოლკლორი და მითოლოგია უხსოვარი დროიდან დიდ როლს თამაშობდა ხალხთა სულიერ ცხოვრებაში. სწორედ მასში იყო რაფინირებული საზოგადოებრივი მრწამსი და კულტურა, ზნეობრივი და ინტელექტუალური იდეალები, სულიერი და ფიზიკური აღზრდის პრინციპები.

ისე, როგორც მსოფლიოს ყველა ხალხი, აფხაზი ხალხიც, სანამ თავის ეროვნულ სიტყვაკაზმულ მწერლობას შექმნიდა, სულიერ ცხოვრებაში ძირითადად საზრდოობდა იმ იდეებით, რომლებიც საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა ხალხის ცხოვრებაში და დასრულებულ სახეს იღებდა ზეპირსიტყვიერებაში.

სამწუხაროდ, ეროვნული ძნელბედობის მიზეზებით მხოლოდ გასული საუკუნის 60-იანი წლების დამდეგიდან დაიწყო აფხაზი ხალხის ამ მდიდარი მემკვიდრეობის (ხალხური შემოქმედების) შესწავლა. ამ კეთილშობილურ საქმეში ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს როგორც თვით აფხაზმა სწავლულებმა, ისე ქართველმა და რუსმა მეცნიერებმა, საზოგადო მოღვაწეებმა, მწერლებმა, პირველ რიგში უნდა დავასახელოთ: ს.ზვანბა, ვ.გარცკია, დ.გულია. პ.უსლარი, ი. ბარტოლომეი, ა. იოაკიმოვი, ი. ლიხაჩოვი, ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, ხოლო შემდეგი თაობის მეცნიერთაგან საგანგებო ყურადღების ღირსნი არიან: ს.ჯანაშია, გ.ჩურსინი, ქ.ლომთათიძე. შ.ინალ-იფა, ხ.ბღაჟბა, ბ.შინკუბა, მ.ტრაფში, შ.სალაყაია. ს.ზუხბა და სხვ.

1976 წელს გამომცემლობა „ალაშარამ“ რუსულ ენაზე გამოსცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ლ.ხ.აკაბას საყურადღებო გამოკვლევა — „აფხაზთა მითოლოგიიდან“, რომელიც აფხაზი ხალხის მდიდარი მითოლოგიისა და ზეპირსიტყვიერების მეცნიერული შესწავლის საქმეში უთუოდ წინ გადადგმული ნაბიჯია.

გამოკვლევის მიზნისა და დანიშნულების შესახებ ავტორი შესავალშივე გვაუწყებს: „წინამდებარე შრომის მიზანია, გამოავლინოს აფხაზთა თქმულებების, კერძოდ, აფხაზური მითოლოგიის ყველაზე ნათელი სახეების ნართებისა და აბრსკილის შესახებ არსებული თქმულებების უძველესი შრეები“(გვ.3).

სარეცენზიო ნაშრომის ავტორი ამჟღავნებს საკვლევი მასალის.

აფხაზი და მისი მონათესავე და მეზობელი ხალხების ფოლკლორის, მითოლოგიის საკმაოდ საფუძვლიან ცოდნას და სათანადოდ იყენებს მას აფხაზური ხალხური შემოქმედების ისეთი უნიკალური ძეგლების გაშუქებისას, როგორიცაა ეპოსი ნართებისა და აბრსკილის შესახებ.

ნართების ეპოსი, როგორც ცნობილია, საერთოა მრავალი კავკასიელი ხალხისათვის. მათ შორის, თავიანთი ვარიანტები (ძირითადი სიუჟეტური ქსოვილის შენარჩუნებით) მოეპოვებათ აფხაზებს, ოსებს, უაბარდოელებს, ადიღებს და სხვ. ასევე ნართების ეპოსის გამოძახილი აშკარად ჩანს ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში (აკად. შ.ძიძიგური, პროფ. მიხ.ჩიქოვანი.).

სარეცენზიო ნაშრომის ქვაკუთხედია იმის ძიება, თუ რა კავშირი არსებობს ნართებსა და აბრსკილის შესახებ არსებულ თქმულებებსა და აფხაზურ მითოლოგიას, აფხაზურ წარმართულ პანთეონს შორის. ამ საკითხის დასმა და ორიგინალური გადაწყვეტის ცდა არის ის სიახლე, რომელიც საგანგებო ინტერესს იწვევს ამ გამოკვლევისადმი.

ნაშრომში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ნართების ეპოსის ცენტრალური გმირი ქალის — ნართების დედის სათანეი გუაშას სახეს და მის გამოძახილს აფხაზი ხალხის მითოლოგიაში. ეყრდნობა რა ცნობილი ნართოლოგების მოსაზრებებს და კრიტიკულად იხილავს რა მათ შეხედულებებს, ავტორი მიდის იმ დასკვნამდე, რომ სათანეი გუაშა (ზოგ ჩანაწერში წოდებულია „გუნდად", „აგუნდად") ნართების ეპოსის ცენტრალური სახე და აფხაზი და სხვა კავკასიელი ხალხების ნაყოფიერებისა და მეფუტკრეობის ღვთაება ანანა გუნდა იდენტური უნდა იყვნენ. ამდენად, ავტორის აზრით, ეს ფოლკლორული სახე ღვთაებრივი წარმოშობისა ჩანს.

ნართების ეპოსში ასეთი რეფრენია: — „უა, რარირა, რახაირა, რეიმარა, რეიმარა", „უა, რარირა, რაიდა, რაშა."

ეს მისამღერი გვხვდება ბევრ აფხაზურ სიმღერაში, რაც, მეცნიერის აზრით, საკულტო დანიშნულებისა უნდა იყოს, რადგანაც დაკავშირებულია მზის კულტთან, ხოლო იმდენად, რამდენადაც ეს სიტყვები შეიცავენ „რას", ხომ არ არისო ეს მინიშნება მზეზე „რა" ხომ ძველ სამყაროში (ეგვიპტე) მზის ღვთაება იყო. ნ.მარისა და ივ.ჯავახიშვილის კვალდაკვალ, ლ.აკაბას ვარაუდითაც ეს ძირი „რა" უნდა გვქონდეს სიტყვაში „ამრა" (მზე).

ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს ზოგიერთ სხვა სიტყვასთან

დაკავშირებით. ამ ბოლო დრომდე ქართველთათვის უცნობი იყო სიტყვები: „ყირა“, „არალე“, „შარშან“ და ა.შ. მხოლოდ ურარტულთან შეპირისპირებით გაირკვა, რომ ამ უკანასკნელ ენაზე „ყირა“ მიწას ნიშნავს, „შალი“ — წელს, „ალალი“ — მოსავლის ღვთაებას. აქედან მისამღერი „არალე, ჰარი არალე“ ძველი საკულტო სიმღერის შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს (ალ.სვანიძე, გ.მელიქიშვილი). ასევე „ოდოია“, „ვოისო“ და სხვანი საკულტო სიმღერის კომპოზიტებად მოჩანან.

მეტად საინტერესოდ და ანგარიშგასაწევად მსჯელობს წიგნის ავტორი „უარადას“, „უერედის“, „ურიდედეს“ ეტიმოლოგიის შესახებ.

ნაშრომში მოცემულია სიტყვა „ნართის“ (აფხაზურად „ნართაა“) ახლებური ეტიმოლოგიური გაგება აფხაზური ენობრივი სამყაროს საფუძველზე.

ცნობილია, ნართების შესახებ მრავალი საინტერესო მოსაზრება არსებობს. პროფ. ვ.აბაევი იძლევა ამ სიტყვის ასეთ ეტიმოლოგიურ ახსნას: „ნარ-თა“. სიტყვის პირველი ნაწილი (ის არის ძირიც) მიუთითებს საკუთარ ან სატომო სახელზე, ხოლო მეორე ნაწილი „თა“ სუფიქსია, მანიშნებელი საგვარეულო წარმომავლობისა. „ნართა“ მიუთითებსო ნარის შთამომავალზე ისე, როგორც ბორათა — ბორის შთამომავალზე და სხვ.

ა. გადაგატლმა აღნიშნული სიტყვა ახსნა ადიღური ენის საფუძველზე. ადიღურად ნართი იქნება „ნერტე“ და ნიშნავსო „თვალის საჩუქარს“.

ორიგინალური მოსაზრება ეკუთვნის პროფ. ინალ-იფას, რომელმაც დაინახა სამი კომპონენტი ამ სიტყვაში და საბოლოოდ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „ნართაა“ არისო „დედის ოჯახი“.

სარეცენზიო წიგნის ავტორი სრულიად განსხვავებულ და ახლებურ ახსნას გვთავაზობს სახელისა „ნართაა“. მისი აზრით, რაც მეტად პირობითი ჩანს, „ნართაა“ შეიძლება გაგებულ იქნეს. როგორც „მომცემი სიუხვისა (სიმდიდრისა, წარმატებისა)“. ამასთან იგი „ნარ“-ს ეტიმოლოგიურად უკავშირებს „ამრა“-ს(?), რაც აფხაზურად ნიშნავს მზეს, „თა“-ს კი მიიჩნევს აფხაზური ზმნის „ათარა“-ს (მიცემა) ნაწილად. ამრიგად, ლ.აკაბას შეხედულებით: „ნართაა“ არის მჩუქებელი სიუხვისა, სიმდიდრისა, წარმატებისა“(გვ.48).

საბოლოოდ, სარეცენზიო წიგნის ავტორი მიდის იმ დასკვნამდე. რომ „ნართაა“ არის აფხაზური წარმართული ღვთაება მონადირეობისა.

დიდ ინტერესს იწვევს ის განყოფილება, რომელიც ეხება აბრსკილს — აფხაზურ ამირანს, პრომეთეს. აბრსკილ-პრომეთეს თემა მეცნიერებას დიდი ხანია აინტერესებს. ამ პრობლემის შესახებ ბევრია დაწერილი, მაგრამ მათი მიმოხილვა წიგნის ავტორის მიზანს არ წარმოადგენდა. მისი მისწრაფება იყო აბრსკილის შესახებ არსებული თქმულების უძველესი საწყისების ძებნა და ამ სიტყვის ეტიმოლოგიის გარკვევა.

აქ ავტორი მიმოიხილავს ზოგიერთ სპეციალურ ნაშრომს აბრსკილის შესახებ, შემდეგ მოცემულია როგორც აბრსკილის ახლებური ეტიმოლოგიური ახსნა, ისე მისი (აბრსკილის) აფხაზურ წარმართულ მითოლოგიურ სამყაროსთან დაკავშირების ცდა.

ნაშრომში მოტანილია სხვა მეცნიერებათა მიერ შემოთავაზებული აბრსკილის ეტიმოლოგიური ძიების რამდენიმე მაგალითი. ნ.მარის მიხედვით, აბრსკილი ორი სიტყვისაგან შედგება. „ბერ" და „სკილისაგან". პირველი ნიშნავს „მზეს". „ცას". ხოლო მეორე „სკირი" — მეგრულ-ჭანურად „შვილს". ამრიგად, „აბრსკილი" ნიშნავსო „მზის შვილს".

ისტორიკოს გ.წულაიას მიხედვით, „აბრ" სკვითურად ნიშნავს „ცას", (არაიშვიათად მზესაც), ხოლო მეორე კომპონენტი „სკირ" ზანურად უდრის შვილს. საბოლოოდ აბრსკილი ნიშნავსო „ცის შვილს".

ნართების ეპოსის მკვლევარ შ.სალაყაიას მიაჩნია, რომ აბრსკილი შედგება ორი კომპონენტისაგან: „აბრ" ადიღურად ნიშნავს „ქვას". ხოლო „სკილი" — მეგრულ-ჭანური სიტყვააო — „შვილი". ამ მოსაზრების მიხედვით „აბრსკილი" ნიშნავს "„ქვის შვილს". ამ მეცნიერის აზრით, ნართების ეპოსის ერთ-ერთი პერსონაჟის საკუთარი სახელი სასრიყვა და აბრსკილი სემანტიკურად, შინაარსეულად ერთი და იგივეა. „სას" ყაბარდოულის ერთ-ერთ დიალექტზე ნიშნავსო „ქვამარილს". მაშასადამე, სასრიყვაც „ქვის შვილიაო". შემდეგ გ.სალაყაია ანვითარებს ასეთ შეხედულებას, რომ „სას" (ქვამარილი) ცნობილი იყო აფხაზურადაც. შეიძლება თავდაპირველად „აბრ" -ის ნაცვლად იყოო-„სასრ" და შემდეგ შეიცვალაო.

როგორც მიუთითებს ლ.აკაბა, ეს სქემა მიუღებელია, რადგან ავტორი დაუსაბუთებელი დებულებებით მსჯელობსო, მაგრამ ერთი რამ ცხადია, რომ სასრიყვა და აბრსკილი ერთნაირი ბუნების მითოლოგიური გმირებიაო.

სარეცენზიო წიგნის ავტორი აბრსკილს აღიარებს ელვის, ცეცხლის განსახიერებად. თუ ეს სწორია, განაგრძობს იგი, მაშინ ეს უნდა

ჩანდეს ამ მითოლოგიური გმირის სახელშიც, ე.ი. ეს სახელი ეტიმოლოგიურად ცეცხლთან უნდა იყოს დაკავშირებული და აი, აქედან გამომდინარე, ავტორი იძლევა აბრსკილის რადიკალურად განსხვავებულ ეტიმოლოგიურ ახსნას, ცოტა არ იყოს საჩოთიროს. ჩვენ გვეჩვენება, რომ ავტორი საკითხის ძიებას იწყებს წინასწარ შემუშავებული მოდელის მიხედვით. ამ ბოლო დროს,ეს ტენდენცია, სამწუხაროდ შეიმჩნევა ზოგიერთი სხვა მკვლევრის მეთოდშიც, რასაც ხშირად მივუყავართ კურიოზულ შემთხვევამდე.

რადგანაც ავტორს მიაჩნია აბრსკილი ცეცხლის, ელვის განსახიერებად, ამიტომ მის სახელში უთუოდ ეძებს ცეცხლის ელემენტებს. ასეთმა „ლოგიკამ" მას სიტყვა „აბრსკილი" დაანაწევრებინა სამ კომპონენტად: აბრ-ს-კილ.

„აბრ" მას მიაჩნია მრავალი აფხაზური სიტყვის კომპონენტად, შემადგენელ ნაწილად, ფუძედ, ძირად. ზმნა „აბრუ" აფხაზურად ნიშნავსო ზევიდან ჩამოვარდნას სპირალისებურად, ბრუნვით. ამავე ძირისაგან არისო ნაწარმოები სიტყვა დ-ბრი-ტ — -„ძირითადი გზიდან გადახვევა." აქვე დასძენს ავტორი:

«Несомненно, в глаголе (а) бр-ра мы имеем древнейшее слово, имевшее много значений. Одно из них «Летать». В форме **А П Р**--ра это слово сохранилось и в современном абхазском языке (стр. 69).

სიტყვა „აბრსკილის" მეორე კომპონენტად მას მიაჩნია „ს", რომელიც არის თურმე მერმინდელი ვარიანტი ბგერისა „ც", რაც თავის მხრივ ყოფილა ნაშთი „ამცა"-სი, ცეცხლისა, რომ ადრე შეიძლება ყოფილიყო „ც"-„ს" ნაცვლად, ამას ადასტურებსო ერთ-ერთ ვარიანტში შემორჩენილი ბგერა „ც". ასეთად მას მიაჩნია „აბრცკილი", მეტი რომ არა ვთქვათ, მიამიტური ლოგიკაა.

ავტორი აცხადებს, რომ ერთ-ერთ ჩანაწერ ვარიანტში არისო ნახმარი „აბრცკილი", მაგრამ რა საბუთი გაგვაჩნია, რომ ეს სწორი ვარიანტია? ასე თუ მივუდგებით, მაშინ ყოველი სიტყვა შეიძლება დაიშალოს ნებისმიერად და მასზე აიგოს ახალ-ახალი „თეორიები". საინტერესოა, რატომ აბრცკილზე შეჩერდა ავტორი და არა „აბულსკირზე" (ა.იოაკიმოვი). ან „აბლასკირზე" (ი.ლიხაჩოვი)? იმიტომ, რომ ეს წინასწარ შერჩეულ მოდელს არ მიესადაგებოდა.

დარჩა მესამე კომპონენტი „კილ". ეს არისო აფხაზური გვარის მაწარმოებელი, რომელიც ქართული „შვილის" თანატოლიაო, დაახლოებით ისეთივე. როგორიც „კუა" ან „ბა". აი მისი სიტყვები:

Что касается окончания к и л, то, по всей вероятности, он имеет такое же значение, что расмотренный выше патрономический формант к у а. На это указывает, например, тот факт, что при помощи окончания к и л оформляются некоторые абхазские фамилии. Такова, в частности, фамилиа Т а р к и л. Более распространенной формой этого же по сушеству фамильного наименования, но в другом оформлении, является фамилия «Т а р б а» (стр. 69-70).

ავტორს მიაჩნია, რომ „კილ“ არის გვარის მაწარმოებელი უძველესი აფხაზური ფორმანტი ისევე, როგორც „კუა“ ან „ბა“.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ „კუა“ არ არის აფხაზურ ენაში პატრონიმიკური ფორმანტი. ავტორს ადიღურ-ჩერქეზული ფორმანტი „ყვა“ (შვილი) რუსულად გადააქვს „კუა“-დ. რაც არ არის სწორი. მას სურს ამდაგვარად ფონეტიკურად მიუსადაგოს ერთმანეთს „კილ“ და „კუა“ (სინამდვილეში „ყვა“).

ამრიგად, ავტორის აზრით, აბრსკილი შედგება სამი კომპონენტისაგან, ესენია: „აბრ“ — ჩამოვარდნა, ფრენა, „ს“ — (იგივე ც) — ნაწილი ცეცხლისა (ამცასი) და „კილ“ — ძველ აფხაზური შვილი(?!). — საბოლოოდ აბრსკილი ასე უნდა გავიგოთ — მფრინავი ცეცხლის ე. ი. ელვის შვილი.

ჩვენ გვეჩვენება, რომ ავტორის მტკიცება საბუთიანობას მოკლებულია, უმეტესად იგი ემყარება თვითნებურ მცდარ მოსაზრებებს, „დაუსაბუთებელ დებულებებს“.

„კილ“-ის გაიგივება აფხაზური გვარის მაწარმოებელ ფორმა „ბა“-სთან ან „ფა“-სთან ხელოვნურია, არ მტკიცდება, არ საბუთდება. ამასთან „კილ“ გვხვდება ერთადერთ აფხაზურ გვარში თარკილ და თან ჯერჯერობით არავის დაუდგენია ამ გვარის ეტიმოლოგია.

რა საფუძველი გვაქვს უარვყოთ, რომ „კილ“ არის შემადგენელი ნაწილაკი „სკილ“-ისა, რაც მეგრულ-ლაზურად შვილს ნიშნავს. ჩვენ გვეჩვენება, რომ ალბათ, ადრინდელი სახე თარკილისა (თუ მართლაც აქ „კილ“ მაწარმოებელია) იქნებოდა თარსკილი. ეს უფრო დასაშვებია. ვიდრე ის ვარაუდი, რომ აფხაზური გვარები ადრე „კილ“ ფორმანტით იწარმოებოდნენო (გვ.70), ხოლო მერმინდელი, უფრო გვიანდელი მაწარმოებელი აფხაზური გვარებისა — „ფა“ ან — „ბა“ არისო (იქვე).

სავარაუდებელია ისიც, თარკილი ხომ არ არის თარბას („თარ“

— აქ უდავოდ მინიშნებაა საგვარეულოზე, მაგრამ თუ რას ნიშნავს იგი, ჯერ არავის დაუდგენია, ხოლო „ბა“ გვარის მაწარმოებელია ზანური სახენაცვალი ე.ი. აფხაზური „ბა“ ხომ არ არის შეცვლილი „სკილ“-ით?

გვაქვს კი ასეთი, ან ამის მსგავსი სხვა შემთხვევები ქართულ-აფხაზურ ურთიერთობაში, როდესაც ერთი სახელი ან ცნების აღმნიშვნელი სიტყვა მეორეში გადასულიყო სახეშეცვლილად? რამდენიც გნებავთ!

წარმართული და ქრისტიანობის პერიოდის ქართულ-აფხაზური კულტურული ურთიერთობა ამის ნათელყოფაა. ეს საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ შესწავლილი და გაშუქებულია. ამ გარემოებაზე გარკვევით მიუთითებენ ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, ნ. ჯანაშია, პ. ჭარაია, ს. ჯანაშია, გ. ჩურსინი, ე. ბარდაველიძე, ზ. ანჩაბაძე, ქ. ლომთათიძე და სხვ., რომელთაც თავიანთ შრომებში მოაქვთ ქართულ-აფხაზური პარალელები. ისინი უფრო შორსაც იხედებიან. არ ივიწყებენ მეზობელ ერთა ცხოვრების, წარმართული პანთეონის თავისებურებებს.

საქმეში ჩახედულ მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ აკად. ივ.ჯავახიშვილი, ასეთი დიდი პატრიოტი თავისი ქვეყნისა, ჰეშმარიტების ძიებისას არ მოერიდა და გამოთქვა ვარაუდი, რომ ქართული ამირანი, სომხური მჰერი, აფხაზური აბრსკილი და არამხუტუ (მეგრელიზებული აფხაზურიდან) ხომ არ არისო დაკავშირებული მითრას (ძველ სპარსული ღვთაება მზისა) კულტთან.[1]

ამავე დროს ხომ გაჭრილი ვაშლის ნახევრებივით გვანან ერთმანეთს ქართული ამირანისა და აფხაზური აბრსკილის შესახებ არსებული თქმულებები, მითები.

ზემოთ ჩვენ ვთქვით, რომ ბევრია თანმხვედრი სიტყვა და წარმართული ღვთაება ქართულსა და აფხაზურში, ბევრიც დღეს ძნელად დასადგენია, მაგრამ ერთმანეთის გავლენით შექმნილი. აი რამდენიმე მაგალითი:

თანამედროვე აფხაზისათვის გაუგებარია და საერთოდ, აფხაზურ ენაზე ვერ აიხსნება აფხაზური წარმართული თუ ქრისტიანიზებული სალოცავის სახელწოდება „ხეჩხვამა“. ამ კომპოზიტის მეორე ნაწილი „ხვამა“ გასაგებია. იგი მეგრული სიტყვაა და ნიშ-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტ. 1, 1951. გვ. 159.

ნავს ლოცვას, უფრო ზუსტად ოხვას. (ივ.ჯავახიშვილი). აქედან „ოხვამე“ (სალოცავი), რომელიც დამკვიდრდა აფხაზურშიც. მაგრამ პირველი კომპონენტი „ხეჩ“ გაუგებარია აფხაზურისა და თანამედროვე ქართულისათვისაც (მეგრულისთვისაც). ნ. ჯანაშიამ კი თავის დროზე დაადგინა, რომ „ხეჩხუამა“ არის იგივე „ღეჯ ხვამა“ (ღორის სალოცავი), რომელიც სრულდებოდა კალანდობისას.[1]

აღდგომის კვირის ხუთშაბათს აბჟუელ აფხაზებს მიჰქონდათ შესაწირავი წაჩხურისათვის, „მარდიანისათვის“ და „თარგიალაზისათვის“. ახლა აფხაზისათვის გაურკვეველია, თუ რა არის „წაჩხური“, „მარდიანი“ და მით უმეტეს გაოცდება, თუ გაიგო, რომ „თარგიალაზი“ ყოფილა ქართული მთავარანგელოზი.[2]

აფხაზური „არუპაპ“ არის ქართული ზღაპრების პერსონაჟის „როკაპის“, „რუკაპის“ აფხაზური სახენაცვალი.[3]

ან. დღეს როგორ იფიქრებს კაცი, რომ აფხაზური „ჩაჩხადილ“ მეგრული „ცაშხა დიდისაგან“ (დიდი ხუთშაბათი) არის ნაწარმოები.[4] ხომ შეიძლება. გაუგებრობის ნიადაგზე ვინმემ „ჩაჩხადილ“ ასე დაშალოს: „ჩაჩ“ სატომო სახელი ჩაჩებისა (შარვაშიძეების), „ხ“ მიიჩნიოს ნარჩენად აფხაზური სიტყვისა „ახ“ (თავი), ხოლო „დილ“ ნაშთად ადგილისა (აფხაზურადაც ადგილია) და მივიღებთ: ჩაჩის ტომის თავი (ე. ი. ძირეული) ადგილი!

აგრეთვე რამდენია აფხაზური გვარი გადაქართულებული ისე, რომ ძნელია დღეს დაადგინო მისი პირვანდელი სახე და პირიქით, ქართული გვარი აფხაზურში გადასული. აკად. ს. ჯანაშიამ გაარკვია, რომ ქართული ფეოდალური საგვარეულო მაჩაბელი მომდინარეობს უძველესი წარსულის მქონე აფხაზური გვარიდან აჩბა (ანჩაბაძე)[5].

ასეთი ექსკურსი იმიტომ დაგვჭირდა, რომ გამოგვეთქვა ვარაუდი: „კილ“ სუფიქსი აფხაზური ენისათვის ხელოვნურად ხომ არ

---

[1] ნ. ჯანაშია. სტატიები აფხაზეთის ეთნოგრაფიიდან (რუსულ ენაზე). სოხუმი, 1960, გვ.16.

[2] იქვე, გვ. 12.

[3] იქვე, გვ. 13.

[4] იქვე, გვ. 16, იხ. აგრეთვე ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, ტ. I. 1951 გვ. 139.

[5] ს. ჯანაშია. ბარათაშვილთა გენეალოგიისათვის. შრომები, ტ. XI. 1952. გვ. 478.

არის მოგონილი და იგი ხომ არ წარმოადგენს ზანურ „სკილს“ (შვილს)?

ამავე „კილ“-თან დაკავშირებით სხვა სახელებიც გვაქვს ქართულსა და აფხაზურში. არის ასეთი აფხაზური გვარი „კილბა“, მეგრული — „კილანავა“, „კილასონია“, „კილაბერია“, ქართული „კილაძე“. რატომღაც სარეცენზიო წიგნის ავტორს ჰგონია, რომ „კილე“ უცნობი სიტყვაა მეგრულისათვის (გვ.70). ეს არ არის სწორი. „კილე“ — მკლავი, ხელი, „ბორკი“ — ფეხი, „ბორკილ“-ი — „ფეხთ შესაკრავი (საბა), „კილეში“ — ძველი რიტუალი. ცხედრის დაკრძალვის მესამე დღეს სახსნილოს. ხორცის ჭამა დასავლეთ საქართველოში (განსაკუთრებით სამეგრელოში). რაც შინაარსეულად ნიშნავს ჰირისუფლისათვის შეზღუდული მდგომარეობის (მეტაფორულად „შეკრული ხელების“) შემსუბუქებას (ქართულად — „ხელის გახსნა“).

ასე რომ „კილ“ ვერ არის ახსნილი წიგნის ავტორის მიერ და მისი („კილ“-ის) იმდაგვარი ინტერპრეტაცია, როგორც ეს სარეცენზიო ნაშრომშია, საჩოთიროა. აქ უფრო ღრმა მეცნიერული ძიება იყო საჭირო. ამისათვის მასალები არსებობს.

რაც შეეხება „თარ“-ის (თარკილიდან) იგი დღეს აფხაზური საგვარეულო ძირია გვარის თარ-ბა, მაგრამ ძველად რას ნიშნავდა იგი. ან საიდან მოდის. არავის ურკვევია,არავის დაუდგენია, ავტორს მიაჩნია, რომ თარკილში იგივე თარ არის ადექვატი თარბას თარ-ისა. მაგრამ როგორ მოვიქცეთ. რომ „თარ“ გვხვდება სხვა სახელებშიც როგორც ქართულში. ისე არაქართულშიც. მაგალითად: „თარხან“ თურქულ-მონღოლური სახელია. რაც ნიშნავს თავისუფალს.[1]

ეს სიტყვა ორი კომპონენტისაგან შედგება: „თარ“ და „ხან“. თან თარ — ძირეულია, რა არის თარ?

სიტყვა „თარ“, „თარა“ ძველ ქართულშიაც გვხვდება. თარ ძირიანი საკუთარი სახელებია: თარალე, თარაში, თარამი, თარაფონი, თარხუნი, თარხუჯი.[2]

ძირეულ სიტყვა „თარ“-ის მნიშვნელობის კვლევისას არ შეიძლება ყურადღების გარეშე დავტოვოთ მეცნიერებაში უკვე გამოთქმული მოსაზრებები. აკად.ივ.ჯავახიშვილმა გაარკვია, რომ სიტყვები თახა. ტარკუნ, თარხონ, თარხუჯ. რომლებიც ძველ ქართულსა და მის

---

[1] ზ. ჭ ე მ ბ უ რ ი ძ ე. „რა გქვია შენ“ თბ., 1971. გვ. 75.

[2] ალ. ღ ლ ო ნ ტ ი. ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1967. გვ. 83.

მონათესავე სამყაროში გვხვდება, წარმოშობით ღვთაებრივია — ომიანობის ღვთაების სახელებიაო. მისი ვარაუდით ეს სახელები უკავშირდებიან ხეთელების ომიანობის ღვთაებას „ტარკუნს“ ან „ტარხონს“, რომელსაც წელზე ხმალი ჰქონდა შემორტყმული და ხელში ელვა-მეხის ემბლემა ეკავა.

ძველ ქართულ წყაროებში საკუთარი სახელი თარხუჯი პირველად გვხვდება 853 წელს ატენის სიონის წარწერაში, სადაც მოხსენიებულია კახაის ძე თარხუჯი, ხოლო იმავე ტაძრის 1060 — 1065 წწ. წარწერაში დასახელებულია ატენის ციხისთავის მამა თარხონი[1].

მეტად საყურადღებო ცნობაა. თარხუჯი და თარხონი კომპოზიტები ხომ არ არის. ასე მოჩანან. თუ ასეა, მაშინ ძირეული სიტყვაა თარ. რა მიმართება აქვს მას აფხაზურ საგვარეულო თარ-თან (თარ-ბა)?

თარხუნ. თარხუნია მამაკაცის სახელად ცნობილია აფხაზეთსა და სამეგრელოში, ასევე ისიც ყურადსაღებია, რომ მეგრულად თარ-ი რჩეულთა შორის რჩეულია.

შეიძლება თარკილი ნაწარმოები იყოს ტარკუნ-ისაგან. ესეც გამორიცხული არ არის, ამას შესწავლა უნდა.

ასე, რომ „თარკილში“ „თარ“ ძირეულია და „კილ“ კი შეიძლება ჩავთვალოთ აფხაზური გვარების უძველეს მაწარმოებელ ფორმანტადო — ასეთი ახსნა დამაჯერებელი არ არის. სარეცენზიო წიგნის ავტორის ვარაუდი დაუსაბუთებელია და, რაც მთავარია, გამოტანილია ნაჩქარევი დასკვნები.

ჩვენ სამართლიანად მიგვაჩნია აბრსკილის ტრადიციული გაგება: აბრ-სკილ, რომ „სკილ“ მეგრულ-ჭანური, ანუ ზანური სიტყვაა, ეს ფაქტია. ამას ვერ აქარწყლებს სარეცენზიო წიგნის ავტორის მიერ შემოთავაზებული ეტიმოლოგიური ძიება.

ახლა გადავიდეთ სიტყვა აბრსკილის პირველ კომპონენტზე „აბრ“, მასთან დაკავშირებული მოსაზრება ზოგიერთი მეცნიერისა უკვე აღვნიშნეთ. ზემოთ მოვიტანეთ სარეცენზიო წიგნის ავტორის შეხედულებაც. იგი მას უკავშირებს აფხაზურ სიტყვას „დიბრიტს“ — გზიდან გადახვევას, მოძრაობას გარკვეული მიმართულებით.

აბრსკილთან დაკავშირებით ერთი გარემოება იპყრობს საგანგებო ყურადღებას, რომელიც ჯერ არ გამხდარა სათანადო მსჯელობის საგანი, მაგრამ მას, ჩვენი აზრით, უდავოდ დიდი (და შეიძლება გადამწყვეტიც) მნიშვნელობა აქვს ამ მითოლოგიური გმირის სახის

[1] ივ. ჯავახიშვილი. ქართული ერის ისტორია. ტ. I. 1951. გვ. 136 — 137.

გარკვევისა და მისი ეტიმოლოგიური ახსნისათვის. ეს გახლავთ აბრსკილის იარაღი. ზოგ ვარიანტში მას იარაღად გამოყენებული აქვს „ალაბაშა“ — წაწვეტებული რკინისბოლოიანი ჯოხი, ხოლო ზოგში კი „აბრზალი“. ჩვენი პატივცემული ავტორის აზრით, „აბრზალი“ უფრო ადრინდელი იარაღი უნდა იყოს გმირისა. ეს აზრი დავას არ უნდა იწვევდეს.

„აბრზალი“ არის რკინის შუბი, რომელსაც აქვს ორკაპი წვერი, რომლითაც თავზარს სცემს აბრსკილი თავის მტრებს. სარეცენზიო წიგნის ავტორს მიაჩნია, რომ აბრზალში არის ფიქსირებული „აბრ“ კომპონენტი აბრსკილისა. აი, მისი სიტყვები:

„На возможную связь образа Абрскила с двулезвийным копьем а б р з а л указывает общая основа а б р в обоих наименованиях. Кроме того, на это указывает наличие представлений об А б р з и л е в Абжуйской Абхазии, там же, где бытуют сказания, об Абрескиле, в то время как в Бзыбской Абхазии, где эти сказания неизвестны, нет и представлений об а б р з а л е. Вместо них там имеют хождение верования о пулях АФИ (афири).

როგორც აქედან ჩანს, აბჟუის აფხაზეთში. სადაც არსებობს თქმულება აბრსკილის შესახებ, იქ ამ გმირის იარაღია აბრზალი — ორკაპა შუბი თუ ისარი, ხოლო ბზიფის აფხაზეთში (გუდაუთის რაიონი), სადაც ეს თქმულებები უცნობია,ელვა-ჭექა-ქუხილის ღვთაება არის აფი (ძველი ქართული წარმართული ღვთაება ვობი არის მისი თანაფარდი) და მისი იარაღია ქვის ტყვიები და არა აბრზალი.

აქვე საყურადღებოა ავტორის შემდეგი სიტყვები:

«Вопрос о природе и происхождении образа Абрскила становится еще более ясным при сравнении его с образом древнегреческого Зевса, с которым, как известно, связывался двойной топор или секира под названием Л а б р и с (ხაზგასმა ავტორისაა—ო.ჭ.) Сравнение верований, связанных с абрзалом и представлений древних греков о лабрисе указывает на их идентичность. (გვ. 72—73)

იქვე ავტორი სქოლიოში მიუთითებს:

Языковедам следует обратить внимание на наличие в слове Л а б р и с элемента а б р, было бы интересно их мнение о значении и происхождении этого элемента» (გვ.73. ხაზგასმა ავტორისაა — ო.ჭ.).

ახლა კი გავარკვიოთ, რას წარმოადგენს „აბრზალი“, საიდან გაჩნდა აფხაზურ ენაში, რა შინაარსია მასში და რა მიმართებაშია იგი, ერთი მხრით, აბრსკილთან, კერძოდ „აბრთან“ და მეორე მხრით, ბერძნულ „ლაბრისთან“ (ზევსის ორპირა ნაჯახთან)?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სიტყვა აბრზალი აფხაზურ ენაში შესულია მეგრული ენიდან. მეგრულად მას ეწოდება **ბორზალი**. იგი არის წმინდა გიორგის იარაღი — ორკაპა შუბი (ი.ყიფშიძე). ჰექა-ქუხილის დროს წმინდა გიორგი თავის მსხვერპლს ურტყამს ბორზალს (ბორზალი ქიგიაშქუა). მეგრული ბორზალი თავის მხრივ ნაწარმოებია ქართული **ბოძალისაგან**, რომელსაც გააჩნია **ბორძალი** ფორმაც (იხ.საბა), ხოლო „**ბოძალი**“ ნაწარმოებია სიტყვა **ბოძ**-ისაგან — ალ სუფიქსის მეშვეობით. როგორც ვთქვით, ქართულ ენას გააჩნია ისართა მრავალსახეობა. აი ისინიც სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით:

„ისარი ზოგადი სახელი არს ყოველთა ისართაი, ხოლო განიყოფებიან სხუა და სხუად სახელებითა, ფრთე დაბალი და პირ წურილი, რომელსა

ყივჩაყნი და თურქნი იქონებენ, არს **საყალნო**.

ზომიერი ისარი, ფრთე მობრტყე და პირმობრტყე არს **სარჩა**.

მისგან უგრძესი, პირდიდი და ფრთემაღალი არს **ქეიბური**.

ისარი სარჩის მსგავსი და პირგანპებული, მომცრო არს **ქიბორჯი**.

ისარი ქეიბურის მსგავსი, პირ დიდი და განპებული არს **ბოძალი**.

ისარი სარჩის ტოლი, სამ ფრთოსანი, უპირო, წვერმრგუალი, არს **ყოდალი**.

ყოდლისა უგრძესი, წუერმწუტი, ჯვარედად ჩხირდასმული არს **ლრჯა**.

ფრთე მაღალი, გრძელი, გრკალ შემობმული არს **სეფქა**.

უფრო უპირო ისარი არს **გეზი**.

სამალი არს ღარი რკინისა სატყორცნელი და ისარი მტკაველზედ მეტი მის ღარით სასროლი.

სხუანი რამ ისარნი არიან, რომელსამე ბორძლად უწოდებენ და სხუასა სხუასა.“

ისართა ამ სიმრავლიდან ჩვენთვის საყურადღებოა ორი სახეობა — **ბოძალი** და **ბორძალი**. წარმოების მიხედვით ისინი ზუსტად იდენტურნი არიან, მხოლოდ ბორძალში **რ** განვითარებულია. ესეც ნაწარმოებია **ბოძ** სიტყვისაგან -ალ სუფიქსის საშუალებით, ხოლო მისგან

მიღებულია მეგრული **ბორზალი**. აფხაზური **ა-ბ(ო)რზალ** მეგრული ბორზალის სახენაცვალია. აქ ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს. აბრზალში **ა** აფხაზური პრეფიქსია და **ბ(ო)რზალ** სიტყვაში კი **ო ჩავარდნილია და მივიღეთ აბრზალ.**

ასე, რომ აბრსკილის აბრ-ს სრულიად არაფერი აქვს საერთო ბერძნულ ლაბრისთან და აფხაზურ **აბირასთან**. ეს გაუგებრობაზეა აგებული.

აბრსკილის იარაღია აბრზალი. ამასთან სარეცენზიო წიგნის ავტორი მიუთითებს:

На возможную связь образа Абрскила с двулезвийным копьем а б р з а л указывает общая основа а б р в обоих наименованиях(გვ.72).

თუ ეს მოსაზრება სწორია, ე.ი. თუ მართლაც რაიმე კავშირი არსებობს აბრზალისა და აბრსკილის კომპონენტ აბრ-ს შორის (როგორც ზემოთ ვნახეთ, მათ შორის უნდა იყოს მტკიცე კავშირი), მაშინ ამ სიტყვის — აბრსკილის ეტიმოლოგია შეიძლება გაიხსნას მხოლოდ აბრზალთან მიმართებაში. აბრსკილი ხომ არ არის შვილი აბრზალისა?

ჩვენ გვეჩვენება, რომ აბრსკილში **აბრ** აბრზალის ნაშთია, ხოლო **სკილ** არის ცნობილი ზანური სიტყვა და უდრის შვილს. როგორც ეს აქამდე იყო ცნობილი.

კიდევ ვიმეორებთ, თუ ზემოაღნიშნული მოსაზრება სწორია, მაშინ აბრსკილი გამოდის არა ცის შვილად, არამედ აბრზალის, ე. ი. მეხის (აქედან ელვის) შვილად. აბრზალი (ბორზალი) წმინდა გიორგის ის იარაღია, რომელიც დედამიწას მეხად ევლინებოდა, წმინდა გიორგი კი ჰექა-ქუხილის ღვთაება იყო.

ისიც საყურადღებო დეტალია, რომ **აფის** აბრზალი კი არა აქვს იარაღად, არამედ — ქვის ტყვიები. ეს ფაქტი ხომ არ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ აბჟუის აფხაზეთს (ოჩამჩირის რაიონი) უფრო მყარი კონტაქტები ჰქონდა ქართულ სამყაროსთან, ქართულ წარმართულ პანთეონთან და ამიტომაც აქ მეტად იგრძნობოდა ქართულ-აფხაზური კულტურული ურთიერთობის კვალი?

1977

ენა ერის არსებობის პირველი და აუცილებელი პირობაა. იგი ერის მაცოცხლებელი წყაროა. მისგან იწყება ერის როგორც აღზევება, ისე დაცემა, დაკნინება. ენაში აირეკლება მისი მატარებელი ხალხის ფსიქოლოგია, კულტურა, ზნე-ჩვეულებები, საერთოდ ისტორია. სამართლიანად წერდა აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა: „ეროვნული ენა არის ეროვნული კულტურის ფორმა; კულტურას ენის გარდა სხვა ფორმებიც მოეპოვება (მხატვრობა, ხუროთმოძღვრება...), მაგრამ ენა არის კულტურის ძირითადი ფორმა, ამიტომ ბუნებრივი და კანონზომიერია, თუ ენის საკითხი აინტერესებს ყველას, ვისთვისაც ერის კულტურის საკითხი ძვირფასია.“

მსოფლიოს ყოველი ენის დაცვა, მოვლა და პატრონობა ერის მესვეურებთან ერთად კაცობრიობის საუკეთესო შვილებისა და სათანადო საერთაშორისო ორგანიზაციების ჰუმანური მოვალეობაცაა. ამ უცნაურად განათლებულ საუკუნეში, როდესაც აღრიცხვაზეა აყვანილი ყოველი გარეული ფრინველისა და ქვეწარმავლის რიცხოვნობა და კანონით გათვალისწინებულია მათი მფარველობა, როდესაც არსებობს მაწანწალა ძაღლების დაცვის კომიტეტებიც კი, დისონანსად ჟღერს მსოფლიოს ამა თუ იმ რეგიონში ენებისა და ერების გადაშენების აღმაშფოთებელი ფაქტები. ეს ერთის შეხედვით დაუჯერებელი ამბავი მართლაც ძნელი წარმოსადგენია. მაგრამ ამის მაგალითები მხოლოდ შორეულ წარსულში კი არა, ჩვენს საუკუნეშიც, დღესაც გვხვდება. ორიოდე ნიმუში: კავკასიურ ენათაგან მიმდინარე საუკუნის დასაწყისში გადაშენდა მსოფლიოს ერთ-ერთი ულამაზესი ხალხის, უბიხების ენა და ბუნებრივია, თვით უბიხებიც. ცეცხლის მიწაზე (სამხრეთ ამერიკის უკიდურესი დასახლებული პუნქტი) 1985 წლამდე ცხოვრობდა უშუაე-ს ტომი, სულ 6 000 კაცი. ევროპელმა კოლონიზატორებმა იმდენად შეავიწროვეს ისინი, რომ მათი უკანასკნელი წარმომადგენელი, რაფაელა იშტონი მიიცვალა 1985 წელს. მას გარდაცვალების წინ უთქვამს:

„ჩემი მშობლიური ენა ძალიან ლამაზია, მაგრამ, საუბედუროდ, კაცი არ არის, რომ დაველაპარაკოო“.[1]

თუმცა რაღა შორს წავიდეთ და ოკეანისგაღმელი ფაქტები მოვიხმოთ, ეს პროცესი, სამწუხაროდ და საყალალოდ, საბჭოთა კავშირშიც

---

[1] „ვოკრუგ სვეტა“. №5. 1988. გვ. 2-6.

მიმდინარეობს. აი ფაქტიც:

მოსკოვში 1989 წლის იანვარში ჩატარდა სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმი დღის წესრიგით: „მიწა, ეკოლოგია, გარდაქმნა“. მოხსენებით გამოვიდა მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი იური ჩერნიჩენკო, რომელიც სხვა პრობლემებთან ერთად შეეხო საბჭოთა კავშირში შემავალი მცირერიცხოვანი ეროვნებების საკითხს. მან მოიტანა საგანგაშო ფაქტები, ზოგიერთი „პატარა ეროვნების“ გადაშენების მაუწყებელი. ჩერნიჩენკომ აღნიშნა:

„სსრ კავშირის ტერიტორიის ნახევარი არის სამკვიდრო 160 ათასი მაცხოვრებლისა, რომლებიც გაერთიანებული არიან „ჩრდილოეთის ხალხების“ ცნებაში, თუმცა მათი „მცირე“ სამშობლოები გადაჭიმულია კოლის ნახევარკუნძულიდან ამურის ქვემო წელამდე. ჩვენ დიდხანს ვტრაბახობდით მათ ყოფით ცხოვრებაში მომხდარი რევოლუციებით, ხოლო ჯერ კიდევ ენგელსი აფრთხილებდა „როსიელებს“, რომ ხალხები, რომლებმაც მოახდინეს რევოლუციები, ყოველთვის მეორე დღეს რწმუნდებოდნენ, რომ მიღწეულია სრულიად არა ის, რაც უნდოდათო. ჩრდილოელებს (ლაპარაკია სსრკ-ის ჩრდილოეთში მცხოვრებ მცირერიცხოვან ერებზე — ო.ჭ.), მართალია, აქვთ რადიოწერტები, დომინო, ყავთ მწერლები, მაგრამ უკვე აღარა აქვთ არც საძოვრები, არც სანადირო სავარგულები, არც ზღვის ბინადარი ნადირი... მათ, მეირმეებსა და მონადირეებს, 50-იან წლებში დევნიდნენ ატომის აფეთქებები არქტიკაში, 60-იან წლებში ნავთობდაზვერვა და გაზის ანთებული ჩირაღდნები, 70-იან წლებში მილების გაყვანა საძოვრებში. ნავთობისგან მიღებული ასობით მილიარდი დოლარისაგან მკვიდრ მოსახლეობას კაპიკიც არ რჩებოდა. ჟურნალი „კომუნისტი“ წერს ჩრდილოეთის ხალხების ლუმპენიზაციის, ალკოჰოლიზმის შესახებ, იმის შესახებ, რომ 26 ეროვნებიდან 7 გადაშენების პირამდეაო მისული.“[1]

ვინ არიან ეს ჩრდილოეთის ხალხები? ესენი არიან: ნენები, ევენკები, ხანტები, ჩუქჩები, კორიაკები, დოლგანები, ნივხები, ესკიმოსები, ალეუტები და სხვ. სწორედ ეს პატარა ერები უდიდესი საფრთხის, კატასტროფის წინაშე დგანან.

ამაზე მეტი ტრაგედია ხალხისა და ამაზე უფრო მძიმე დანაშაული, ჩადენილი სახელმწიფოს მიერ, წარმოუდგენელია. დედის ტკბილ რძესთან ერთად შეთვისებული და შესისხლხორცებული რომელი

---

[1] „ლიტერატურნაია გაზეტა“, 25. I. 1989.

მშობლიური ენა არ არის ლამაზი და მიმზიდველი?

რა იოლი სათქმელია თურმე, „ენა მოკვდა“, „ერი გადაშენდა“. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ამ ლამაზი ცის ქვეშ მსგავსი უბედურება არ უნდა ხდებოდეს, არ უნდა უკარგავდნენ ადამიანს თავის მშობლიურ, ყველაზე ტკბილსა და სანუკვარ ენას, არ უნდა სტოვებდეს ადამიანი წინაპართა თავშესაფარს! ამიტომ გვმოძღვრავენ ჰკვიანი ადამიანები: ენა ერის წმიდათაწმინდა ნაწილია და მას მეტად სათუთი მოვლა და პატრონობა სჭირდებაო. დიდი ილია ჭავჭავაძის თქმით: „ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს.“[1]

ჩვენი ერის მეორე დიდი მესაიდუმლე აკ.წერეთელი გვაფრთხილებდა: „ენა, როგორც ნაგრძნობ-ნაფიქრალის გამომხატველი იარაღი, ადამიანის განვითარებას თან მიჰყვება და მიტომაც თანდათან ივსება და მდიდრდება, ახალი ძველს არა ჰგავს და დღევანდელობისაგან მომავალი უნდა განსხვავდებოდეს, უნდა გაიზარდოს, მაგრამ ამ ზრდასაც თავისი კანონები აქვს. იმ კანონების გადახვევა ჟინითა და ხმის უმეტესობით არ შეიძლება.“[2]

ხალხი არის ამ დაუწერელი კანონების შემქმნელი და ზეპირი და სიტყვაკაზმული მწერლობის საშუალებით ცხოვრებაში დამამკვიდრებელი. „მწერალს აქვს უფლება, თქვას ისრე, — წერდა ი.ჭავჭავაძე, როგორც მოსწონს, როგორც ეხერხება, კრიტიკოსსა — შენიშნოს და ხალხსა — მიიღოს მწერლის ნათქვამი: მხოლოდ ეს უფლება ხალხს ეკუთვნის.“[3]

ცხოვრების უსასრულო განვითარების გზაზე ყოველი ახალი ეპოქა პრეტენზიულ მოთხოვნებს უყენებს ენას, აიძულებს მას, ან ეროვნულ საგანძურში გამონახოს დროის მოთხოვნების საფუძველზე წარმოშობილი ახალი ცნებების გამომხატველი სიტყვები ან ისესხოს ისინი იმ ენიდან, რომელმაც „თავს მოახვია“ ეს საზრუნავი.

მართლაც, რამდენი სიტყვაა, რომელთა დამკვიდრებას ცდილობდნენ მწერლები და პუბლიცისტები გასული საუკუნის დასასრულისა და მიმდინარე საუკუნის დასაწყისის ქართულ მწერლობასა და ჟურნალისტიკაში. მაგალითად, „ცილინდრის“ (თავსაბურავის) ნაცვლად — „კოთხო“, „ვაგონის“ ნაცვლად — „რონოდა“ (რონინებს ოდა), „პალტო“ — „გვაბანაკი“, „სამოვარი“ — თვითმადუ-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. III, თბ., 1953. გვ. 27.
[2] აკ. წერეთელი, თხზ. ტ. XIV, თბ., 1961, გვ. 392.
[3] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. III, გვ. 49.

ღარი“, „კალოში“ — „სატუცავი“ და სხვ., მაგრამ ხალხმა ისინი არ მიიღო, არ შეისისხლხორცა, არ დაამკვიდრა. ხალხმა ქართულ უხეირო ადექვატს ამჯობინა უცხოური სიტყვა, მაგალითად „ცილინდრი“. უპირატესწილად პირიქით ხდებოდა, ეს იყო და არის ძირითადი ტენდენცია, ეროვნული ენა ახალი ცნების შესაფერის ფორმებს ეძებდა და ეძებს მშობლიურ საგანძურში. ასე მაგალითად, არ მიიღო ქართულმა ენამ ინგლისური სიტყვა „ბასკეტბოლი“ (რუსულმა შეისისხლხორცა), მის ადექვატად შექმნა კომპოზიტი „კალათბურთი“ („ცხენბურთის“ ანალოგიით). ასევე „ვოლეიბოლის“ ნაცვლად — „ფრენბურთი“, „ტენისის“ შესატყვისად — „ჩოგბურთი“ და ა.შ.

ხალხმა (სალიტერატურო ქართულმა) მიიღო და დაამკვიდრა ეს სიტყვები, რომლებიც მიესადაგებოდა მშობლიური ენის შინაგან კანონზომიერებას.

გვაქვს შემთხვევები, როცა ქართული სიტყვა სხვა ენების ლექსიკურ ფონდში პოულობს ახალ „სავანეს“, „სამოსახლოს“ და ამდიდრებს მას. არის ვარაუდი, რომ გრძნეულ და მკურნალ კოლხ მედეასაგან არის ნაწარმოები სიტყვა „მედიცინა“, მეგრულ-ლაზურ „მინთასაგან“ (ქართული „პიტნა“) არის მიღებული „მენთოლი“. რუსულ ენაში დამკვიდრდნენ ქართული სიტყვები: „საცივი“, „საცებელი“, „ჩაჩა“ (არყის გაგებით), „ხაჩაპური“, „სულუგუნი“, „კრიმანჩული“ და სხვ.[1]

როგორც სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში არის მითითებული, დღეისათვის ქართული ენიდან რუსულ ენის ლექსიკაში რამდენიმე ასეული სიტყვაა შესული და დამკვიდრებული. ასეთი მოვლენები, ურთიერთნასესხობა, ენათა არსებობის გარდაუვალი პროცესია.

დღევანდელ მსოფლიოში რამდენიმე ათასი ცოცხალი ენაა და მათ შორის ერთ-ერთი უძველესი — ქართულია. გასული საუკუნის ცნობილი რუსი ენათმეცნიერი პეტრე უსლარი მიუთითებდა, რომ ქართული ენა მსოფლიოს ერთ-ერთი დახვეწილი ენააო. ამ გარემოებას, პირველ ყოვლისა, ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ სახელოვან წინაპრებს, რომლებიც ასე მონდომებით ზრუნავდნენ მშობლიური ენის დაცვაზე, მის სიწმინდეზე, სრულყოფასა და განვითარებაზე, ამას ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ ჩვენს უმდიდრეს, საკაცობრიო მნიშვნელობის სასულიერო, საერო და საისტორიო მწერლობას.

არსებობისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლასა და მშვიდობიანი აღმშენებლობის ხანგრძლივი საუკუნეების მანძილზე ქართულ-

---

[1] Г. Г. Голетиани, Грузинская лексика в русском языке, Тб., 1972.

მა ენამ დიდი მეტამორფოზა განიცადა. ეს პირველ რიგში შეეხება მის ლექსიკურ მარაგს. რადგან სიტყვაა ენის ყველაზე მგრძნობიარე უჯრედი, სწორედ მის შრეებში ამოიკითხება წარსულში ქვეყნის თავზე მორიალე შავი ღრუბლების აუბედითობა და მოკრიალებული ცის სილაჟვარდის ათინათი.

გრ. რობაქიძის ბრწყინვალე ხატოვან თქმაში „სიტყვა ფიქრის სხეულია" (რომელიც ამ სტატიის სათაურად გამოვიყენეთ) ზუსტად არის გამოხატული სიტყვის ფუნქცია ენობრივ ქსოვილში. სწორედ სიტყვის გირლიანდებისაგან იწნება ადამიანთა სულიერი საგანძურის ყველაზე რთული ფენომენი — აზრი. ამიტომაც არის სიტყვა ფიქრის განსხეულება.

ისე, როგორც მსოფლიოს ყველა ცივილიზებულმა ენამ, ქართულმა ენამაც უცხოური ენებიდან მრავალი სიტყვა შეიძინა, შეისისხლხორცა, გაითავისა და ეროვნულ განძად აქცია. ურთიერთ ნასესხობათა გარეშე ენების არსებობა შეუძლებელია. დროთა ვითარებაში იცხრილება, ივსება და ვითარდება ენის ლექსიკური მარაგი. ჯერ კიდევ რომაელი მწერალი და ესთეტიკოსი ჰორაციუსი მიუთითებდა: „ვით ტყე მოისხამს წელთა სრბოლაში ნორჩ ფოთლებს ძველთა ცვენის შემდეგ, ისე ენა შეიმოსება ხოლმე ახლადშობილი და ღონიერი სიტყვებით, როს მოძველებულთ გაუდის ყავლი" („პოეტური ხელოვნებისათვის", მე-60 კარედი). ამრიგად, საუკუნეების მანძილზე ქართულში ნება-ნება შემოიჭრნენ სიტყვები შუმერული, ფინიკიური, ეგვიპტური, არაბული, ებრაული, ბერძნული, სპარსული, რუსული, თურქული და სხვ. ენებიდან. სიტყვასაც თავისი თავგადასავალი გააჩნია, რომელიც არაიშვიათად გვატარებს ცხოვრების რთულ ლაბირინთებში და შორეულ წარსულში გვამოგზაურებს.

ამ წერილში ჩვენ გვინდა შევეხოთ ორ სიტყვას: ესენია: „შაირი" და „შაყირი". შევეცდებით ავხსნათ მათი ეტიმოლოგია და სემანტიკური ფუნქცია.

სიტყვა **„შაირი** ქართულ ენაში ალბათ საბოლოოდ დამკვიდრდა „ვეფხისტყაოსნის" მეშვეობით. იგი პოემაში დამოწმებულია ხუთჯერ. ის ადგილები საქვეყნოდ ცნობილია და ამიტომ აქ არ მოვიხმობთ.

წარმოშობით შაირი არაბული სიტყვაა „ში'რ" და ნიშნავს ლექსს (ქებულ), ხოლო „ლიტერატურისმცოდნეობის ძირითად ცნებებში" დაფიქსირებულია „შაჰირ" ფორმ Ჰავე მნიშვნელობით. შაირი თავდაპირველი გაგებით უპირატესად სახოტბო ლექსს აღნიშნავდა. ეს ტერმინი არაბული ენიდან საქართველოს გარდა სხვა ქვეყნებშიც

გავრცელდა და ყველგან, სადაც იგი დამკვიდრდა, დაკავშირებულია ლექსთან, პოეზიასთან, მხატვრულ. ლიტერატურასთან.

როგორც სპეციალისტები მიუთითებენ, შაირის, როგორც ლექსის სახეობის, საწყისები უნდა ვეძებოთ ხალხურ პოეზიაში. ამის თაობაზე აი რას წერს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ს. ცაიშვილი: „ლექსის ეს საზომი (შაირი — რ. ჭ.)... ქართულ მწერლობაში X საუკუნიდან მაინც ლიტერატურული ფაქტია (ფილიპეს საგალობელი). ქართულ ხალხურ პოეზიაში მისი გაბატონებული მდგომარეობა იმაზე მიუთითებს, რომ ლექსის ეს სახეობა უძველეს ეპოქაში უნდა წარმოშობილიყო (სარიტუალო პოეზიურ ტექსტებში ჩანს მისი არსებობის კვალი)„[1]

ხოლო პროფესორი ა.გაწერელია, ქართული ვერსიფიკაციის ცნობილი მკვლევარი, მიუთითებს: „რუსთაველი ქართული ენისა და მეტყველების წიაღში აღმოცენებულ საზომს მიმართავდა... რუსთაველს რომ წინაპრები ჰყავდა ვერსიფიკაციაში, ეს ძველადაც კარგად იცოდნენ. ამ მხრივ დამახასიათებელია არჩილ მეფის რუსთაველისა და თეიმურაზის გაბაასება.“[2]

ქართულ ენაში „შაირს“ საკმაოდ მრავალი ნიუანსი გააჩნია:

1. შაირობა, რუსთაველის გაგებით, სიბრძნის დარგია, ხოლო ვინც ამ დარგს ემსახურებოდა, სიბრძნისმეტყველად იწოდებოდა. ძველ სამყაროში პოეზია, ლიტერატურა ფილოსოფიის დარგად ითვლებოდა. როდესაც რუსთაველი ამბობს, შაირობა სიბრძნის დარგიაო, აქ შაირობაში იგულისხმება საერთოდ პოეზია (ლიტერატურა, მწერლობა). ასეა ეს არისტოტელესთანაც. არისტოტელე პოეზიას აიგივებს მწერლობასთან („პოეტიკა“; პარაგრაფი 9).

ამრიგად, შაირობა, რუსთაველის გაგებით, არის პოეზია, მწერლობა. ამიტომ არის, რომ პოეტი შაირობასთან დაკავშირებით მიმართავს პოეზიის (მწერლობის) ესთეტიკური, სოციალური და შემეცნებითი დანიშნულების განმარტებას.

2. რუსთაველთან შაირობისაგან ნაწარმოებია „მოშაირე“, რაც მელექსეს, პოეტს ნიშნავს (თვით პოეტიც ხომ უცხოური — ბერძნული წარმოშობისაა და ნიშნავს მთხზველს, შემოქმედს. სანამ სიტყვა პოეტი დამკვიდრდებოდა, ძველ საქართველოში მის ნაცვლად იხმარებოდა ტერმინი „სიტყვისმოქმედი“ (ილ.აბულაძე, ძვ.ქართ. ლექსიკო-

---

[1] ს. ცაიშვილი, ძველი ქართული მწერლობა, ტ. II, თბ.,1985, გვ. 346.

[2] ა. გაწერელია, რჩეული ნაწერები, ტ. III (2), თბ., 1981, გვ. 56.

ნი), ანალოგიით გვქონდა: „სიტყვისმეცნიერი — მჰეერმეტყველი, რიტორი; „სიტყვა-მოყვარე“ — ფილოლოგი და სხვა. შაირობა — პოეზიას, ხოლო მოშაირე — პოეტს.

3. ჭართულ ვერსიფიკაციაში შაირი ქართული კლასიკური ლექსის ზომაა — 16 მარცვლოვანი ლექსი, რომლის ყოველი ტაეპი იყოფა 8-8 მარცვლიან მუხლებად. ამ სახეს ლექსისა რუსთველურიც ეწოდება.

4. მეოთხე გაგებით, „შაირი“ — სახელდახელოდ თქმული, გამკილავი შინაარსის, ჩვეულებრივ, ოთხტაეპიანი ლექსი“ (ქეგლ). იგი დაახლოებით ისეთივე შინაარსით ხასიათდებოდა, როგორც აღმოსავლეთ საქართველოში „ქაფია“.

5. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში შაირად იწოდება „ლექსი ოთხმუხლედი“, ე.ი. ოთხტაეპიანი ლექსი. ასევეა იგი გააზრებული მამუკა ბარათაშვილთანაც.

სხვათა შორის, გრ. რობაქიძე და ცნობილი მეცნიერი კ.სალია ლექსის ნაცვლად ხმარობდნენ სიტყვა „შაირს“.

6. შაირი და შაირობა ქართულში გადატანითი მნიშვნელობითაც იხმარება. ეს გაგება ჩაქსოვილია ასეთ თქმებში: „რა შაირებს მელაპარაკებიო“, ანალოგიურია — „რა ლათაიებს მეუბნებიო“ — რას მიედ-მოედებიო.

სხვათა შორის, სიტყვა შაირი არაბულიდან გადავიდა ინდურ ენაშიც, სადაც ლექსის ზეიმს, ლექსის დღესასწაულს აღნიშნავს. პოეტთა შეჯიბრებას,ასპარეზობას ინდურად ეწოდება „მუშაირა“.

60-იანი წლების დასაწყისში ინდოეთში, დელიში, ჩატარდა აზიის ქვეყნების მწერალთა საერთაშორისო კონფერენცია, სადაც მონაწილეობდა ირაკლი აბაშიძეც. ასე დაიბადა მოგზაურული ჟანრის ნაწარმოები „ინდოეთის გზებზე“.[1] ბევრ მომხიბლელ ამბავთან ერთად ი.აბაშიძემ შთამომავლობას დაუტოვა ინდოეთის კიდევ ერთი უცნაური კავშირი საქართველოსთან სიტყვა „შაირთან“ მიმართებაში. ი. აბაშიძის თქმით, ინდოეთში „მუშაირა პოეტების შეჯიბრებაა, პოეტების ჰიდილი... მუშაირა აღმოსავლური პოეტური მატჩის საინტერესო ფორმაა“. პოეზიის რომელიმე მეცენატი თავობს მის ორგანიზაციას და შემოსავალი ხელმოკლე მწერლების ფონდში გადაირიცხება. იგი უპირატესად იმართება ღია ცის ქვეშ რომელიმე პარკში ან საკონცერტო დარბაზის ეზოში. მონაწილეთა მიერ იკვრება წრე, რომ-

---

[1] აბაშიძე, თხზ. ორ ტომად, ტ. II, თბ., 1977. გვ.363 — 424.

ლის შუაგულში გამოდის უხამლო პოეტი (ე.ი. წმინდაა ის ადგილი) და ამბობს ლექსს. თუ იგი მოეწონათ, ყველანი ერთხმად დაიწყებენ ძახილს — „ვაჰ, ვაჰ, ვაჰ!“ ეს თურმე პოეტის აღიარების უმაღლესი გამოხატულებაა. ვინც ასეთ მოწონებას ვერ დაიმსახურებს, იგი ითვლება ხელმოცარულად, დამარცხებულად, რაც, რასაკვირველია, პოეტთათვის მომაკვდინებელია. ასეთი მკაცრი სასჯელის გამოტანის შემდეგ ხელმოცარული პოეტები კვლავ ვერ ბედავენ ამ წრეში შესვლას.

ინდოელებს სტუმარ მწერალთა პატივსაცემად გაუმართავთ „მუშაირა“. ამ პოეტურ მეჯლისში მონაწილეობა მიუღიათ კ.სიმონოვსა და ი.აბაშიძეს. მათ დიდი მოწონება დაუმსახურებიათ. ი.აბაშიძე მოგვითხრობს:

„ასეთი ხომ არ იყო რუსთაველის დროს ჩვენი პოეტების შეჯიბრებაც? ალბათ, ასეთი იყო. მერე პოეტური შერკინების ეს აღმოსავლური ფორმა, ეს ბედნიერ დღეთა დიდებული გასართობი, ბუნებრივია, დაიკარგა, დავიწყებას მიეცა ჩვენს ცრემლიან საუკუნეებში, თემურისა და ჯალალედინის შემოსევიდან, ვიდრე აღა მაჰმად-ხანის ულმობელ ხანძრამდე. გურამიშვილი ხომ ამბობს: „ჯავახიშვილს გამალექსეს“.[1]

აქვე გვინდა მკითხველს შევახსენოთ ერთი საინტერესო დეტალი. 1966 წელს თბილისში ჩატარდა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის აღსანიშნავი იუბილე. პოეზიის ეს ჰეშმარიტად მსოფლიო ფორუმი მიჰყავდა ი.აბაშიძეს. მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ინდოეთის ლიტერატურული სამყაროს წარმომადგენელი პოეტი ქალი. მან ბრწყინვალე სიტყვა წარმოსთქვა. სანამ დარბაზი მოახდენდა რეაქციას, ი. აბაშიძე ზეზე წამოიჭრა და ასე მიმართა სტუმარს: „ვაჰ, ვაჰ, ვაჰ!“ დამსწრე საზოგადოება გაოგნდა. მაგრამ თავმჯდომარემ განმარტა ინდური მუშაირას თავისებურება, რომ ასეთი შეძახილი პოეტის დაფასების ყველაზე მაღალი ფორმაა. იგრიალა ტაშმა.

ასეთია თავგადასავალი „შაირი“ სიტყვისა, რომელიც პოეზიის წმინდა სახელთან არის დაკავშირებული.

სულ სხვა სემანტიკური მნიშვნელობისაა სიტყვა „შ ა ყ ი რ ი“. რომელიც ეჭვს გარეშეა, შაირისაგან მომდინარეობს და ნიშნავს უხეშ გაჭილიკებას, ყოველგვარ მორიდებულობას მოკლებულს. დღეს იგი ქართული სალიტერატურო ენის ჟარგონია.

---

[1] ა ბ ა შ ი ძ ე. ხჩ. ტ. II. 1977. გვ.387.

ზრდილი და თავმომწონე ადამიანი. რა ასაკისაც არ უნდა იყოს იგი. როგორ იკადრებს წარმოთქვას „რას მაშაყირებო“ ან როგორ მისცემს ვინმეს უფლებას, რომ ამ სიტყვით მიმართონ მას.

სამწუხაროდ, სიტყვა „შაყირი“ თავის ნაირსახეობებში („ვშაყირობ“, „გავაშაყირე“, „მაშაყირებ“. „შაყირზე ვიყავით“...) ხშირად გაისმის ახალგაზრდობის მეტყველებაში.

1989

მიწის ყივილი თუ...?

ყოველ ერს თავისი ისტორიული სამშობლო გააჩნია. ქართველისათვის ეს საქართველოა, სომხისთვის — სომხეთი, ტაჯიკისთვის — ტაჯიკეთი, რუსისთვის — რუსეთი, გერმანელისთვის — გერმანია და ა.შ. ისტორიული საცხოვრისის ენა, მიწა-წყალი, მითოსი და ფოლკლორი, ტრადიციები და ადათ-წესები აყალიბებს ამ მიწის მკვიდრის ეთნოსს — ხასიათს, ფსიქოლოგიას, სულიერ და ფიზიკურ სამყაროს და ყოველივე ეს შემდეგ ერთიანდება სიტყვაში ერი და იგი უძლებს საუკუნეებს, ათასწლეულებს, ისტორიულ და სოციალურ ძვრებს. ცნობილია, ებრაელებმა თავიანთი ისტორიული სამშობლო დატოვეს 2500 წლის წინათ ნაბუქოდნოსორ მეორის დროს და საკუთარი ეთნოსის შენარჩუნებისათვის იძულებული გახდნენ მთელ მსოფლიოს მოსდებოდნენ. მათ, დაკარგეს რა მშობლიური ენა ივრითი, ფაქტიურად ყველა იმ ხალხის ენა აიღეს თავიანთი ურთიერთობისა და განათლების საშუალებად, რომელთაც მიეკედლნენ. ასე გაჩნდნენ ქვეყანაზე ქართველი, რუსი, პოლონელი, უკრაინელი, გერმანელი ებრაელები, მაგრამ ყველა მათ აკავშირებდა ერთი დიდი შეგნება, რომ ისინი ებრაელები არიან და მათი ისტორიული სამშობლო ისრაელია. მეორე სოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, როგორც კი მიეცათ საშუალება სამშობლოში დაბრუნებისა, ყველამ მიაშურა მამულს, თუმცა მათ და აღთქმულ ქვეყანას ერთმანეთისაგან ოცდახუთი საუკუნე აშორებდა. ასეთია მიწის ყივილის ძალა!

სომხები მოდებული არიან მთელ მსოფლიოში და ეს მოხდა არა კეთილი ცხოვრების გამო. მიზეზები ყველასათვის ცნობილია. ყოველმა სომეხმა, სადაც არ უნდა დაიბადოს და გაიზარდოს იგი, იქნება ეს ავსტრალია თუ აზია, ევროპა თუ ამერიკა, აფრიკა თუ ახლო აღმოსავლეთი, რა გვარსაც არ უნდა ატარებდეს, იცის, რომ იგი წარმოშობით სომეხია და მისი სანუკვარი ქვეყანა, ისტორიული სამშობლო სომხეთია.

ამას წინათ გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა რეპორტაჟი, რომელიც ეხებოდა ამერიკელი მხატვრის ლევონ ჟამკოჩიანის გამოფენას მოსკოვში. ეს ხელოვანი დაიბადა ბეირუთში, დაწყებითი და უმაღლესი განათლება მიიღო ამერიკაში, ევროპაში დაიცვა ხარისხები, ამჟამად ამერიკელი მოქალაქეა, მაგრამ იცის, რომ მისი წინაპრების ისტორიული საცხოვრისი და სამშობლო არის სომხეთი. არც ისაა შემთხ-

ვევითი, რომ მისი შემოქმედების თემატიკის საგრძნობი ნაწილი სომხურია, ეს არის ალბათ ის ფენომენი, რომელსაც სულის ძახილი ჰქვია. სომხეთში, სომხებს გარდა, ცხოვრობენ სხვა ერის შვილებიც: ქურთები, რუსები, იეზიტები, უკრაინელები, ქართველები, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ იტყვის, (და არც აქვს უფლება თქვას), რომ სომხეთი ჩემი ისტორიული სამშობლოაო, თუნდაც უხსოვარი დროიდან ცხოვრობდეს იქ. ყველას თავისი ეროვნების მიხედვით გააჩნია ისტორიული სამშობლო.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ვოლგისპირეთიდან შუა აზიაში გადასახლებულმა გერმანელებმა, როგორც კი მიიღეს უფლება უკანვე დაბრუნებისა, მათ ვოლგისპირეთს კი არ მიაშურეს, სადაც ომამდე თავიანთი ავტონომიაც კი ჰქონდათ, არამედ გერმანიას, თუმცა რუსეთში ცხოვრების 200 წლის ისტორია გააჩნდათ. აქაც ის კანონი მოქმედებს, რომ გერმანელების ისტორიული სამშობლო გერმანიაა. ასევე საქართველოში მცხოვრები ის ბერძნები, რომლებმაც თავის დროზე რეპრესირების ტკივილები გადაიტანეს, საქართველოში დაბრუნების შემდეგ პირველი შესაძლებლობისთანავე ნელ-ნელა დაიძრნენ ისტორიული სამშობლოსაკენ — საბერძნეთისკენ.

სტატისტიკური მონაცემებით რუსეთში, უპირატესად ლენინგრადსა და მოსკოვში ცხოვრობს 131 ათასი ქართველი.[1] ზოგი მათგანის წინაპარი იქ დასახლდა 250 წლის წინათ არჩილ მეფისა და ვახტანგ მეექვსის დროს, მაგრამ ახლა ბევრი მათგანი აპირებს ისტორიულ სამშობლოში — საქართველოში დაბრუნებას.

XVI — XVII სს. საქართველოსათვის უდიდესი განსაცდელის ჟამი იყო. ბიზანტიის დაცემის შემდეგ (1453 წ.) თურქმა ოსმანებმა ბიზანტიის იმპერიაში შემავალი ხალხების (ბერძნების, ქართველების, სომხების, ქურთების, ბულგარელების) ბედი სასწორზე შეაგდეს. ამ ხალხებს წაართვეს სამშობლოს დიდი ნაწილი და ამის საფუძველზე შექმნეს თავიანთი იმ დროს უძლეველი იმპერია, რომელიც შიშის ზარს სცემდა მსოფლიოს. სწორედ ამ პერიოდში დაკარგა საქართველომ შავშეთი, კლარჯეთი, ერუშეთი, იმერხევი, არტანუჯი, ლაზეთი... (დღეს თურქეთის საქართველოს რომ უწოდებენ.) იქიდან მოყოლებული, დაიწყო, ერთი მხრით, მესხეთ-ჯავახეთის გათურქება, და მეორე მხრით, მისი განსახლება ქართველთა დამპყრობელი თურქული ტომებით, რომელთა მოდგმასაც დღევანდელი თურქი-მესხების დი-

---

[1] „კომუნისტი“, 5.VIII,90.

დი უმრავლესობა წარმოადგენს. ამის თაობაზე ბევრი დაიწერა და ითქვა. მესხეთ-ჯავახეთის მკვიდრი მოსახლეობის დიდმა ნაწილმა თურქი დამპყრობლების ძალმომრეობას ვერ გაუძლო და თავს უშველა ლტოლვით დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში. ასე გაჩნდა ეთნიკურ-ტომობრივი წარმომავლობის გვარები: მესხი, მესხიშვილი, მესხიძე, მესხია, ჯავახია, ჯავახიძე, ჯავახაძე და სხვ. ნაწილი კი დარჩა თავის კუთხეში. შეურიგდა მწარე ხვედრს.

იმ პერიოდში არც აღმოსავლეთ საქართველოს, კერძოდ კახეთს, ულხინდა. იქაც საშინელი ტრაგედია დატრიალდა. სპარსეთის შაჰმა აჰყარა ქართველი ხალხი თავის სამკვიდროდან და შიდა ირანის მწირ მიწებზე. ფერეიდანში გადაასახლა, კახეთში კი თურქმანული მოდგმის ტომები ჩაასახლა. ეს იყო უდიდესი ეროვნული განსაცდელი. 300 ათასი კაცი. დიდი და პატარა, დედაწულიანად მოსწყვიტეს მშობლიურ მამაპაპეულ მიწას და უცხო მხარეში გადახვეწეს. მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ხალხის ამ ტრაგედიიდან გავიდა დაახლოებით 370 წელი. ფერეიდნელ ქართველებს, მათ დიდ უმრავლესობას, მშობლიური ქართული ენა არ დავიწყებიათ და დღეს ქართული ენის 18 დიალექტთა შორის ერთ-ერთი არის ფერეიდნული დიალექტი. ასევე დღევანდელი თურქეთის სახელმწიფოს ფარგლებში მცხოვრები ქართველების ნაწილი მეტყველებს იმერხეულ დიალექტზე.

ამას წინათ „თურქი-მესხებისა" და ქართველი ხალხის წარმომადგენლებს შორის გამართულ დიალოგში (ქართული ტელევიზიით გადმოიცა 6.VIII-ს) „თურქი-მესხების" ლიდერმა სარვაროვმა, მიმართა რა ქართველებს, თქვა: ჩვენ ძმები ვართ, მესხეთი ჩვენი ისტორიული მიწა-წყალია. სამშობლოაო. თუ ეს ასეა, როგორ მოხდა, რომ მან, აქ. საქართველოში დაბადებულმა, ქართველთა გარემოცვაში გაზრდილმა, არ იცის ქართული და არც დაინტერესებულია ამ ენით. ერთ დროს იგი დიდებულიძედ ასაღებდა საკუთარ თავს და ახლა კი განაცხადა. რომ არავითარი დიდებულიძე მე არა ვარ, მე თურქი ვარო. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ როდის აქეთ, საიდან გახდა საქართველო თურქების ისტორიული სამშობლო? ბუნებრივია, თურქის სამშობლო თურქეთია და ამდენად, ეგრეთ წოდებული თურქ-მესხებს არავითარი უფლებრივი პრეტენზია არ უნდა ჰქონდეთ საქართველოზე. მის ისტორიულად განუყოფელ ნაწილზე — მესხეთზე.

როგორც პრესაში გამოქვეყნებული მასალებიდან ჩანს, დეპორტირებულ „თურქ-მესხებს" შორის არის მცირე ნაწილი ქართველებისა. რომლებიც. მართალია, თავის დროზე გაამაჰმადიანეს, მაგრამ

მიუხედავად ამისა, მათ გათვითცნობიერებული აქვთ თავიანთი ეროვნული წარმომავლობა. თუ ზემოაღნიშნული სინამდვილეს შეესაბამება. ეს საკითხი საგანგებო შესწავლას მოითხოვს.

საქართველოში მრავალი ერი ცხოვრობს. აქ ბინადრობენ ესტონელებიც და თუმცა მათ არავინ ერეკებოდა აქედან და შესანიშნავი საარსებო პირობებიც ჰქონდათ, მაინც მათი დიდი ნაწილი დაბრუნდა ესტონეთში. მათ არ ჰქონიათ პრეტენზია, საქართველო ჩვენი ისტორიული სამშობლოაო. ანალოგიური ვითარება გვაქვს „დუხობორებთან" დაკავშირებით. მოვიტანთ ერთ ამონაწერს პრესიდან: „მეცხრამეტე საუკუნის ორმოციან წლებში რუსეთის ხელისუფლებამ მაშინდელ ახალქალაქის მაზრაში დასჯილი რუსი სექტანტები — „დუხობორები" გადმოასახლა. ისინი ქართველთა ნასახლარებში დამკვიდრდნენ და ქართული სოფლებიც თავიანთებურად გადანათლეს: ფარვანა — როდიონოვკად, მახაროვანი — ვლადიმიროვკად, ჭაჭა - ტამბოვკად, ახმა — ორლოვკად, ბუღდაშენი — გორელოვკად და ასე შემდეგ. ჩვენი საუკუნის დასაწყისში „დუხობორები" შეეცადნენ თავიანთ მშობლიურ მიწა - წყალზე დაბრუნებას. მაგრამ ამას ვერც მაშინ მიაღწიეს და ვერც საბჭოთა ხელისუფლების წლებში. მოკლედ, დღემდე შემორჩნენ ისინი ჯავახეთის ქართულ მიწას და აი, სულ ახლახანს საბჭოთა კავშირის მთავრობამ მიიღო დადგენილება ტულის ოლქში მათი კომპაქტური გადასახლების შესახებ."[1]

ძალად სტუმრობა შეუძლებელია. დღეს საქართველო მძიმე პირობებშია. დაძაბულია მისი ეროვნული, სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, დემოგრაფიული მდგომარეობა. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ სტიქიით დაზარალებულთა 20 ათასი (!) ოჯახიდან დიდი უმრავლესობა დაუსახლებელია, დაუბინავებელია და ისედაც დასუსტებულ ქვეყანას. გასაგებია, ვერ ძალუძს მიიღოს ასეულ ათასობით კაცი და დაასახლოს დემოგრაფიულად უკიდურესად გადატვირთულ საქართველოში.

ჩვენ გვესმის, რომ ძალზე მძიმე მდგომარეობაში არიან „თურქმესხები", მაგრამ ეს უკიდურესი გაჭირვება, რაც ქართველი ხალხის მიზეზით არ მომხდარა, არ აძლევს მათ უფლებას, უბოდიშოდ დაეპატრონონ ქართველების ისტორიულ მიწა-წყალს.

---

[1] „ახალგაზრდა ივერიელი". 7.VII.90.

1990.